

შრომითი დავები

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2025, № 12

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2025, № 12

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2025, № 12

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2025, № 12

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი
მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

საკიეპელი

1. სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი
 - 1.1 სამსახურიდან გათავისუფლება
რეორგანიზაციის გამო 4
რეორგანიზაციის და შტატების შემცირების გამო
სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება 38
რეორგანიზაციის საფუძველით დაკავებული
თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერება 55
 - 1.2 სამსახურიდან გათავისუფლება დისციპლინური
გადაცდომის საფუძველით
დისციპლინური პასუხისმგებლობის პროპორციულობა
ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმესთან 91
დისციპლინური წესით დასჯისა და შსს-დან დათხოვნის
თაობაზე ადმინისტრაციული აქტის კანონიერება;
იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 127
2. იძულებითი განაცდურის ანაზღაურება
სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე
ბრძანების კანონიერება;
იძულებითი განაცდურის დაკისრების საფუძველი 152
სპეციალური პენიტენციური სამსახურისთვის მოსარჩელის
სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 171

1. სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი

1.1 სამსახურიდან გათავისუფლება რეორგანიზაციის გამო

გადანყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-212(კ-23)

3 ივლისი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
თ. ოქროპირიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ე. კ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა: ა) ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 1 ივლისის №00012133 ბრძანება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ...ის თანამდებობიდან ე. კ-ის გათავისუფლების შესახებ; ბ) დაევალოს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელე ე. კ-ის საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ...ის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ; გ) დაევალოს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ე. კ-ის სასარგებლოდ მიუღებელი იძულებითი განაცდური შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურება მისი გათავისუფლების დღიდან – 2021 წლის 1 ივლისიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე, ყოველთვიურად 1616 ლარის ოდენობით.

სარჩელის თანახმად, მოსარჩელე 2015 წლის 5 აგვისტოდან მუშაობდა სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. 2017 წლის ივლისიდან მიენიჭა ...ის წოდება. ე.

კ-ი დასაქმებული იყო სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტში. 2018 წლის 1 მარტიდან განხორციელდა სამინისტროს რეორგანიზაცია და მოსარჩელემ კულტურისა და სპორტის სამინისტროში ...ის პოზიციაზე გააგრძელა მუშაობა ადმინისტრაციულ დეპარტამენტში. 2018 წლის 17 სექტემბრიდან, კიდევ ერთი რეორგანიზაციის შემდეგ, მოსარჩელემ გააგრძელა მუშაობა იმავე პოზიციაზე განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში. 2019 წლის 7 ნოემბრიდან მოსარჩელე გადაყვანილ იქნა იურიდიულ დეპარტამენტში, ხოლო 2020 წლის 10 ივლისიდან – კვლავ ადმინისტრაციულ დეპარტამენტში. 2021 წლის 25 მაისს, ახალი მინისტრის დანიშვნის შემდეგ, დაიწყო შიდა საკადრო რეორგანიზაცია და დაინიშნა გამოცდები. სამინისტროში მუშაობის პერიოდში ე. კ-ი იყო ერთ-ერთი საუკეთესო თანამშრომელი, რაც დასტურდება თითოეული წლის საჯარო მოხელეთა შეფასებით. მოსარჩელეს არ აქვს მიღებული შენიშვნა. სამინისტროში რეორგანიზაციის შემდგომ არ შეცვლილა დასაქმებულთა რაოდენობა. ე. კ-იმა ჩააბარა ქართული ენისა და ზოგადი უნარების გამოცდა მაღალი შედეგით, 7 ივნისს კი ჩატარდა გასაუბრება. 2021 წლის 1 ივლისს სრულიად უსაფუძვლოდ გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით ე. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 1 ივლისის №00012133 ბრძანება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ...ის თანამდებობიდან ე. კ-ის გათავისუფლების შესახებ. დაევალა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, მოსარჩელე ე. კ-ის – საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ...ის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ. დაევალა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ე. კ-ის სასარგებლოდ მიუღებელი იძულებითი განაცდური შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურება მისი გათავისუფლების დღიდან – 2021 წლის 1 ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ყოველთვიურად 1616 ლარის ოდენობით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) 2021 წლის 8 აპრილის საქართველოს მთავრობის №575 განკარგულებით დამტკიცდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საშტატო ნუსხა, თანამდებობრივი სარგო და შრომის ანაზღაურების ფონდი. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 22 აპრილის №00003206 ბრძანებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, 2021

წლის 26 აპრილიდან საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფისა და ინსტიტუციური მოწყობის შეცვლის მიზნით, გამოცხადდა რეორგანიზაცია, რომელსაც შესაძლოა მოჰყოლოდა მოხელეთა მობილობა, შტატებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების შემცირება. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მაისის №811 განკარგულებით დამტკიცდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საშტატო ნუსხა, თანამდებობრივი სარგო და შრომის ანაზღაურება, რომელიც ამოქმედდა 2021 წლის პირველი ივლისიდან. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მაისის №229 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულება. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 24 მაისის №00006531 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საშტატო ნუსხა. ბრძანება ძალაში შევიდა 2021 წლის პირველი ივლისიდან. აღნიშნულ ბრძანებაში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 7 ივნისის №00008308 ბრძანებით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 8 ივნისის №00008559 ბრძანებით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 28 ივნისის №000011346 ბრძანებითა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 28 ივნისის №00011346 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილებები. 2021 წლის 25 მაისს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ მიღებულ იქნა №00006722 ბრძანება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის რეორგანიზაციის პროცესში მობილობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით კომისიის შექმნისა და მობილობას დასაქმებულებელ პირთა შესახებ. ბრძანების პირველი პუნქტის თანახმად, დამტკიცდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის რეორგანიზაციის პროცესში მობილობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები კომისია; მე-2 პუნქტით განისაზღვრა, რომ მობილობას დასაქმებულებელ საჯარო მოსამსახურეთა იდენტიფიცირების, მათი კომპეტენციებისა და უნარების განსაზღვრის კომისია უზრუნველყოფდა: ა) წერიტი დავალების/ტესტირების ჩატარებას ქართულ ენაში, ზოგად უნარებში, ინგლისურ ენასა და ზოგად სამართლებრივ საკითხებში (ტესტირება ინგლისურ ენაში განკუთვნილი იყო საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის თანამ-

შრომლებისთვის, თანამდებობრივი პოზიციით კულტურისა და სპორტის სფეროში დეპარტამენტის უფროსებისა და პროტოკოლის სამმართველოს თანამშრომლებისთვის, ხოლო ტესტირება ზოგად სამართლებრივ საკითხებში ეხებოდა იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომლებს); ბ) გასაუბრების ჩატარებას; ბ) საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის რეორგანიზაციისა და რეორგანიზაციასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ 2021 წლის 22 ივნისის №3/რ ოქმის მიხედვით, სამინისტროს ცენტრალური აპარატის რეორგანიზაციის შედეგად, გარე მობილობას დაექვემდებარა 13 საჯარო მოხელე, მათ შორის, ე. კ-ი – ...ი. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის რეორგანიზაციისა და რეორგანიზაციასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ 2021 წლის პირველი ივლისის №4/რ ოქმის მიხედვით, განსახილველი იყო სამინისტროს ცენტრალური აპარატის რეორგანიზაციის შედეგად, შტატების შემცირების გამო გათავისუფლებულ მოხელეთა გარე მობილობის საკითხი. ამავე ოქმის თანახმად, სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მიწოდებულ შესაბამისი ვაკანსიების მქონე უწყებებში, დაუყოვნებლივ გადაგზავნილი იყო გარე მობილობას დაექვემდებარებული პირთა მონაცემები, თუმცა ყველა უწყებიდან სამინისტრომ მიიღო უარი მათი დასაქმების თაობაზე. შესაბამისად, აღნიშნული 13 პირი დაექვემდებარა სამსახურიდან გათავისუფლებას და მოხელეთა რეზერვში ჩაირიცხა. რეზერვში ჩარიცხულ მოხლეებს მიეცათ კომპენსაცია კანონით დადგენილი წესით; გ) საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ორგანიზაციის პროცესში მობილობასთან დაკავშირებული საკითხის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები კომისიის 2021 წლის 7 ივნისის №3 სხდომის ოქმის მიხედვით, დღის წესრიგს წარმოადგენდა: საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს რეორგანიზაციის პროცესში მობილობას დასაქვემდებარებელი პირების განსაზღვრა; საქართველოს კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში დასაქმებულ საჯარო მოხელეებთან გასაუბრება. გასაუბრების მსვლელობისას კომისიის წევრების მიერ დასმული იყო ერთგვაროვანი კითხვები. მიღებული პასუხების საფუძველზე, კომისიის წევრების მიერ პროფესიული და პიროვნული მახასიათებლების მიხედვით, შეფასდა გასაუბრებაში მონაწილე თითოეული პირი. შეფასება აისახა შესაბამის ფორმაში და ქულები დაჯამდა საშუალო არითმეტიკულით. გასაუბრებაში მონაწილე პირების შეფასების ჯამური ქულები აისახა შეფასების საბოლოო ფორმაში, ე. კ-ი შეფასდა 2,3 ქულით. სხდომის ოქმს ხელს არ აწერს ერთ-ერთი

წვერი – ლ. მ-ე. კომისიის გადაწყვეტილებით ე. კ-ი დაექვემდებარა გარე მობილობას; დ) ტესტირების შედეგების ამონაწერის მიხედვით, ე. კ-ი ზოგად უნარებში შეფასდა 66 ქულით (მაქსიმალური ქულა 80); ქართული ენაში – 42 ქულით (მაქსიმალური ქულა 60), ასევე ქართულ ენაში – 13 ქულით (მაქსიმალური ქულა 20); ე) საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 1 ივლისის №00012133 ბრძანებით საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ...ი – ე. კ-ი თანამდებობიდან გათავისუფლდა 2021 წლის 1 ივლისიდან, ჩაირიცხა მოხელეთა რეზერვში 2 წლის ვადით და მიეცა კომპენსაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით; ე) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 17 დეკემბრის №1704 ბრძანებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსს – ე. კ-ის მიენიჭა მოხელის პირველი კლასი.

სასამართლოს მითითებით, განსახილველი დავის ფარგლებში სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს მოსარჩელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველები, კერძოდ, არსებული ფაქტობრივ-სამართლებრივი გარემოებები ამართლებდა თუ არა პირის შრომითი უფლების შეზღუდვას – სამსახურიდან გათავისუფლებას, მისი მოხელეთა რეზერვში ჩაირიცხვა, დამსაქმებელი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან განხორციელებული ქმედება არის თუ არა ადეკვატური შექმნილ ვითარებაში და ხომ არ მოხდა დასაქმებულის კონსტიტუციით გარანტირებული უფლების – შრომის თავისუფლების უსაფუძვლო შეზღუდვა. სადავო ბრძანებით დგინდება, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 24 მაისის №00006531 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სამუშაო ნუსხა. ბრძანება ძალაში შევიდა 2021 წლის პირველი ივლისიდან.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლება მოხდა დაუსაბუთებლად, მის სამსახურიდან გათავისუფლებას საფუძველად არ დადებია კანონით განსაზღვრული საჯარო მოხელის შეფასება, რომელიც წარმართება გამჭვირვალედ, მოხელის უშუალო ხელმძღვანელის მიერ, საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის წარმომადგენლის ჩართულობით, მოხელის ფუნქციების, კომპეტენციების, უნარ-ჩვევების, ქცევის წესების ან/და მის მიერ განხორციელებული მიზნებისა და ამოცანების (კომპონენტების) შეფასების შედეგების შესაბამისად. შეფასება ხდება წერიტი დავალების შეფასებითა და მოხელესთან გასაუბრებით.

სასამართლომ განმარტა, რომ დანესებულების რეორგანიზაციის შედეგად პირის თანამდებობიდან გათავისუფლება, კანონის მიხედვით, მხოლოდ შესაბამისი საშტატო ერთეულის შემცირების შემთხვევაშია შესაძლებელი. საშტატო ერთეულის შემცირება, თავის მხრივ, გულისხმობს კონკრეტული ფუნქციური დატვირთვით აღჭურვილი საშტატო ერთეულის საერთოდ გაუქმებას ისე, რომ აღნიშნული ფუნქციები, თუნდაც სხვა დასახელების მქონე საშტატო ერთეულის ფუნქციებში არ ტრანსფორმირდება. კერძოსამართლებრივი ურთიერთობებისაგან განსხვავებით, საჯაროსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანოსა და საჯარო მოსამსახურის სამართლებრივი ურთიერთობა ვერტიკალური ხასიათისაა და ხშირ შემთხვევაში ძალიან მტკივნეულია რეორგანიზაციის შედეგად პირის გათავისუფლება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებიდან, ამიტომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს მყარ არგუმენტებს და რეორგანიზაციის პროცესში მონაწილე მოხელეს სულ მცირე უნდა უტოვებდეს იმის განცდას, რომ უფლებამოსილმა პირმა მასთან მიმართებაში გაითვალისწინა და შეაფასა მისი როგორც პროფესიული, ასევე პიროვნული უნარ-ჩვევები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი იმპერატიულად მოითხოვს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების დროს დაცული იქნეს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი, რომლის შინაარსი მდგომარეობს საჯარო და კერძო ინტერესების თანაზომიერ განონანსორებასა და მათ მართლზომიერ დაბალანსებაში.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მართალია, სასამართლო არ არის უფლებამოსილი ჩაერიოს ადმინისტრაციული ორგანოს ან შესაბამისი თანამდებობის პირის არჩევანში, რაც დაკავშირებულია მათ დისკრეციას მიკუთვნებულ გადაწყვეტილების მიღებასთან, რადგან აღნიშნული საკითხი მხოლოდ მათი გადასაწყვეტია, მაგრამ მითითებული მსჯელობა არ ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით და ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის ფარგლებში, არ უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, რადგან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე.

ზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. შესაბამისად, აქტის დასაბუთებისას მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წინამძღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა იგი. ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გადაწყვეტილებების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებსა და ფაქტებს.

სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა სადავო აქტის გამოცემისას კანონმდებლობის უხეში დარღვევა, რაც იწვევს გამოცემული გასაჩივრებული აქტის – საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის პირველი ივლისის №00012133 ბრძანების – საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ...ის თანამდებობიდან ე. კ-ის გათავისუფლების შესახებ – ბათილად ცნობას. ასევე, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უნდა დაევალოს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელე ე. კ-ის საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ...ის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის პირველი ივლისის №00012133 ბრძანებით საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ...ის თანამდებობიდან ე. კ-ი დათხოვნილ იქნა და ჩარიცხულ იქნა რეზერვში. ამდენად, ე. კ-ი უფლებამოსილია მიიღოს იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი აღნიშნული პერიოდიდან სამუშაოზე აღდგენამდე პერიოდისათვის.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება ე. კ-ის საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ...ის პირდაპირ (უშუალოდ) თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ე. კ-ის საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ...ის ტოლ-

ფას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და ყურადღება მიაქცია აპელანტის არგუმენტაციას, კერძოდ, აპელანტის განმარტებით, რეორგანიზაციის პროცესში მობილობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნილ კომისიას ტესტირების დანიშვნით შეეზღუდა დისკრეციული უფლებამოსილების არეალი – ტესტირების დანიშვნით თანამშრომელთა შეფასების კუთხით სამინისტრომ დაანესა მალალი სტანდარტი. სამინისტროს თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტესტირება ქართულ ენასა და ზოგად უნარებში, შემდგომ კი, გასაუბრება. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელეს ზოგად უნარებსა და ქართული ენის გამოცდაში არ მიუღია დაბალი ქულები, მისი საერთო შედეგი არ იყო საუკეთესო, კერძოდ, მოსარჩელეზე ბევრად მალალი ქულები ჰქონდათ მიღებული სხვა კონკურსანტებს ზეპირ გასაუბრებაზე, მაგალითად, 3,2, 3.1, 2,8 ქულა, ხოლო მოსარჩელის შეფასება ზეპირ გასაუბრებაზე განისაზღვრა 2 ქულით. ვინაიდან შეფასების ორივე კომპონენტის ერთობლიობაში დაჯამებული ქულით მოსარჩელეზე უკეთესი შედეგი სხვა კანდიდატებს აღმოაჩნდათ, სწორედ აქედან გამომდინარე, მოსარჩელე განისაზღვრა გარე მობილობას დაქვემდებარებულ პირად.

საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და ზემომითითებული არგუმენტების მხედველობაში მიღებით, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ გასაზიარებელია ადმინისტრაციული ორგანოს მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ რეორგანიზაციისას დასაქმებულთა გათავისუფლების პროცესში ტესტირების კომპონენტის დაწესება წარმოადგენს მალალ სტანდარტს დასაქმებულთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, იმდენად, რამდენადაც, განსხვავებით ზეპირი გასაუბრების შედეგად მიღებული შეფასებებისაგან, ის შეფასებები, რომლებიც თანაბარ პირობებში ჩატარებული და შინაარსობრივად ადეკვატური ტესტირების შედეგად განისაზღვრება, უფრო მეტად არის დაცული შეფასების სუბიექტური ელემენტებით განპირობებულობისაგან. ამდენად, ტესტირების კომპონენტის ჩართვა შეფასების პროცესში და ზემოთ დასახელებული პირობების დაცვით ჩატარებული ტესტირების შედეგების საერთო შედეგებში გათვალისწინება მიჩნეულ უნდა იქნეს ობიექტურობის შედარებით მალალი ხარისხის მქონე კრიტერიუმის გამოყენებად, რაც ქმნის დასაქმებულთა უფლებების უფრო მალალი სტანდარტით დაცვის შესაძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლება და მისი მობილობას დაქვემდებარე-

ბულ პირად კვალიფიცირება განაპირობა არა ტესტირების კომპონენტში მიღებულმა შედეგებმა, არამედ – ზეპირი გასაუბრების კომპონენტში მიღებული შეფასების სიმცირემ, კერძოდ, აპელანტის განმარტებით, ზეპირ კომპონენტში მიღებული შეფასება იმდენად დაბალი აღმოჩნდა, რომ ტესტირებაში დაფიქსირებული მაღალი ქულების მიუხედავად, საერთო შედეგების მიხედვით მოსარჩელემ გაცილებით ნაკლები ქულების მიღება შეძლო, ვიდრე სხვა კანდიდატებმა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ზოგადად, მრავალკომპონენტური შეფასების სისტემის პირობებში, რასაკვირველია, შესაძლებელია დადგეს მსგავსი შედეგი, თუმცა, განსახილველ საქმეში აღნიშნული გარემოება განსაკუთრებული ყურადღების ღირსია იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები და ადმინისტრაციული წარმოების მასალები არ შეიცავს მონაცემებს მოსარჩელესა და მის კომპარატორ პირებთან ჩატარებული ზეპირი გასაუბრებების შესახებ, კერძოდ, საქმეს არ ახლავს გასაუბრებების შინაარსის ამსახველი აუდიო ან/და წერილობითი ოქმი, წარმოდგენილი არ არის, კონკრეტულად რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეფასდა მოსარჩელე მითითებული ქულით და რას ექცეოდა ყურადღება ზეპირი გასაუბრების მაღალი ან დაბალი ქულით შეფასების განსასაზღვრად. შესაბამისი ინფორმაცია ასახული არ არის არც გასაჩივრებული აქტის დასაბუთებაში. იმდენად, რამდენადაც ზეპირ კომპონენტში მოსარჩელის მიერ მიღებულმა შეფასებამ ტესტირების შეფასების საპირისპირო შედეგი განაპირობა, აღნიშნული ინფორმაციისა და სათანადო დასაბუთების არარსებობას აქვს აქტის კანონიერების განმსაზღვრელი მნიშვნელობა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მითითება, რომ ვინაიდან საჯაროსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანოსა და საჯარო მოსამსახურის სამართლებრივი ურთიერთობა ვერტიკალური ხასიათისაა და ხშირ შემთხვევაში ძალიან მტკივნეულია რეორგანიზაციის შედეგად პირის გათავისუფლება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებიდან, ამიტომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს მყარ არგუმენტებს და რეორგანიზაციის პროცესში მონაწილე მოხელეს, სულ მცირე, უნდა უტოვებდეს იმის განცდას, რომ უფლებამოსილმა პირმა მასთან მიმართებაში გაითვალისწინა და შეაფასა მისი, როგორც პროფესიული, ასევე პიროვნული უნარ-ჩვევები. არგუმენტაციისა და დასაბუთების ხარისხი განსაკუთრებით არსებითია იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღება ხდება მის დისკრეციულ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხთან დაკავშირებით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექ-

სის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილისა და 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი იმპერატიულად მოითხოვს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების დროს წერილობით დასაბუთებაში მიეთითოს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის გათვალისწინებით, აქტის დასაბუთებისას მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წინამძღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა იგი. ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გადაწყვეტილებების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებსა და ფაქტებს.

სააპელაციო პალატის განმარტებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულების არსებობა განპირობებულია იმ მიზნით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შეიბოჭოს სამართლით და მოექცეს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებსა და ფაქტებს, რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტამდე. სწორედ კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით. გარდა აღნიშნულისა, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში, ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს იცოდეს რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში მოკლებულია.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზეა სადავო აქტის გამოცემისას კანონმდებლობით გათვალისწინებული დასაბუთების ვალდებულების დარღვევა. მოსარჩელე სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლდა, რაც იწვევს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის პირველი ივლისის №00012133 ბრძანების – საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ...ის თანამდებობიდან ე. კ-ის გათავისუფლების შესახებ გამოცემული გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობას.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ აპელაციის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ იქნა საქართველოს

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2022 წლის 28 აპრილის და 2022 წლის 15 ნოემბრის ბრძანებები, რომლითაც ცვლილებები შევიდა „საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2022 წლის 21 იანვრის №1416 ბრძანებაში და რომლითაც დასტურდება, რომ საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროში, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ...ის თანამდებობა (იგივე სახელწოდებითა და ფუნქციური დატვირთვით), რომელ თანამდებობაზე აღდგენასაც ითხოვს ე. კ.-ი, აღარ არსებობს.

სააპელაციო პალატის განმარტებით, საქმეში არსებული მტკიცებულებები და მხარეთა ახსნა-განმარტებები ცხადყოფს, რომ საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის ეტაპზე დამსაქმებელთან არ არსებობს მოსარჩელის თავდაპირველი პოზიციის იდენტური ვაკანტური თანამდებობა. სწორედ ამიტომ, მოსარჩელე, მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, უნდა აღდგეს არა პირდაპირ იმავე თანამდებობაზე, არამედ უნდა დაინიშნოს ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში, ხოლო თუ მისი სამსახურში აღდგენა შეუძლებელი იქნება იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ ჯეროვნად უნდა განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მობილობის პროცედურა და კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები. შესაბამისად, კონკრეტულ თანამდებობაზე პირდაპირ აღდგენის ნაწილში გასაჩივრებული გადანყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უნდა დაევალოს ე. კ.-ის იმავე სამსახურის – საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ...ის ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

აპელანტის მითითებაზე, რომ ამ ეტაპზე ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია ვაკანტური ტოლფასი თანამდებობა, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ გადანყვეტილების აღსრულების პროცესში შესაძლოა არსებული რეალობა შეიცვალოს, თუმცა თუ გადანყვეტილების აღსრულების პროცესშიც იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში არ იქნება ტოლფასი თანამდებობა ვაკანტური, ადმინისტრაციულმა ორგანომ ჯეროვნად უნდა განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურები/ღონისძიებები.

ვინაიდან ე. კ.-ის სამსახურიდან გათავისუფლება უკანონოდ იქნა მიჩნეული და მოპასუხეს მისი სამსახურში აღდგენა დაევალა, სააპე-

ლაციო პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლომ მართებულად დააკისრა ადმინისტრაციულ ორგანოს მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებითი განაცდური შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურება მისი გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობით.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ.

კასატორი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია. მოსარჩელეს არ მოუთხოვია ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა, ამასთან, სამინისტროში არ არსებობს მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობის ტოლფასი თანამდებობა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლი მიუთითებს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების იმ სამართლებრივი შედეგების შესახებ, რაც იწვევს მოსარჩელის უფლებების დაცვას და რეალურ აღდგენას, ეს არის, საჯარო დაწესებულების სისტემაში იმავე ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა. მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნებიც შესაბამისად უნდა ჩამოაყალიბოს, თუმცა დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მას შეუძლია მოითხოვოს ან იმავე კონკრეტულ თანამდებობაზე აღდგენა, ან იმავე თანამდებობის ტოლფას კონკრეტულ თანამდებობაზე აღდგენა, ან ზოგადად მიუთითოს იმავე ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ. ამასთან, ისევე დისპოზიციურობის პრინციპის მიხედვით, მოსარჩელემ უნდა მიუთითოს, კონკრეტულად რომელი თანამდებობა მიაჩნია იმავე თანამდებობად ან ტოლფას თანამდებობად, ხოლო მათი შესაბამისობის შეფასება გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობასთან არის სასამართლოს უფლებამოსილება. სასარჩელო განცხადების მიხედვით, მოსარჩელე ითხოვდა სამინისტროს ...ის თანამდებობაზე აღდგენას, რაც არის იგივე თანამდებობა, რომელიც მოსარჩელეს ეკავა გათავისუფლებამდე. პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა დააკმაყოფილა და სამინისტროს დაევალა გამოსცეს აქტი ე. კ-ის სამინისტროს ...ის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ. სააპელაციო პალატამ შეაფასა ზემოთ აღნიშნული გარემოებები სწორად, მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იმავე თანამდებობაზე აღდგენის შესახებ იყო დაუსაბუთებელი, რაც სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული არ უნდა ყოფილიყო და გააუქმა კიდევ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ ნაწილში. ამასთან, მან დისპოზიციურობის პრინციპის დარღვევით გამოიტანა გადაწყვეტილება მოსარჩელის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ, რადგან ასეთ თა-

ნამდებობაზე აღდგენის სასარჩელო მოთხოვნა არ ყოფილა აღძრული. იმდენად, რამდენადაც სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას აფასებს სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, სამინისტროს სააპელაციო საჩივრის ფარგლებში მოწინააღმდეგე მხარე, რომელიც დაეთანხმა გადაწყვეტილებას, არ იყო უფლებამოსილი დააყენებინა ახალი მოთხოვნა დანესებულების სისტემაში ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ. ამასთან, მოსარჩელის გათავისუფლება კანონიერია და აღდგენის წინაპირობები არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლომ სადავო აქტის გამოცემის წინაპირობების გამოკვლევისას არ შეაფასა აპელანტის მიერ წარდგენილი რეალური არგუმენტები რეორგანიზაციის პროცესში საშტატო ნუსხის შემცირების თაობაზე, კერძოდ, 2021 წლის 19 მაისის №229 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საშტატო ნუსხა 136 ერთეულით, მაშინ, როდესაც საქართველოს კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში, სამინისტროების გაყოფის შედეგად უკონკურსოდ გადავიდა 147 თანამშრომელი (ანუ რეორგანიზაციამდე არსებული 147 თანამშრომელი შემცირდა 136-მდე). გარდა ამისა, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ რეორგანიზაციის შედეგად, რეალური სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდა, კერძოდ, შეიცვალა დეპარტამენტების ფუნქციური დანიშნულება, გაუქმდა დეპარტამენტები და მათ ნაცვლად შეიქმნა ახალი დეპარტამენტები, მათ შორის, გაუქმდა იურიდიული დეპარტამენტი და მისი ფუნქციები გადავიდა ადმინისტრაციაში. შესაბამისად, სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში მოხდა არა მხოლოდ სახელწოდებების ცვლილება, არამედ მათი ფუნქციური დატვირთვის მნიშვნელოვნად შეცვლა, რის გამოც გარდაუვალი იყო თანამშრომელთა შემცირება. უდავოა, რომ რეორგანიზაცია შეეხო ადმინისტრაციის დეპარტამენტს, რომელშიც რეორგანიზაციამდე 4 სამმართველო შედიოდა, მათ შორის, ერთ-ერთი იყო ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო და მასში დასაქმებული იყო 5 თანამშრომელი. მათგან: ერთი – სამმართველოს უფროსი, ორი – პირველი რანგის უფროსი სპეციალისტი, ერთი – მეორე რანგის უფროსი სპეციალისტი (მოსარჩელე) და ერთი – მესამე რანგის უფროსი სპეციალისტი. სამმართველოების გაუქმების შემდეგ ადმინისტრაციაში (დეპარტამენტი), რომელშიც გაერთიანდა საქმის წარმოება, კანცელარია, ადამიანური რესურსები, იურიდიული, პროტოკოლი, განისაზღვრა 13 საშტატო ერთეული (მინისტრის 2021 წლის 28 ივნისის ბრძანება) და ისინი განაწილდა შემდეგნაირად: 2 საშტატო ერთეული – ხელმძღვანელი თანამდებობა, 1.1.- თანამდებობრივი რანგი, 2 საშტატო ერთეული – 3.1. თანამდებობრივი რანგი, 2 საშტატო ერთეული – 3.2 თანამდებობრივი რანგი, 4 საშტატო ერ-

თეული – 3.3 თანამდებობრივი რანგი, 3 საშტატო ერთეული – 4.1 თანამდებობრივი რანგი, ხოლო თანამდებობრივი რანგები განაწილდა შემდეგნაირად: 3.1. და 3.2. თანამდებობრივ რანგებზე განისაზღვრენ იურიდიული საქმიანობის მიმართულებით თანამშრომლები, 3.3. თანამდებობრივ რანგებზე – ორი საქმის წარმოების, ერთი იურიდიულის, ერთი ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით, ხოლო 4.1 თანამდებობრივ რანგებზე – ერთი ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით და 2 საქმის წარმოების კუთხით. ამდენად, ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით ადმინისტრაციაში თუ რეორგანიზაციამდე იყო 5 საშტატო ერთეული, რეორგანიზაციის შემდეგ ის განისაზღვრა 2 საშტატო ერთეულით თანამდებობრივი რანგებით: 3.3 და 4.1, რომელზეც დაინიშნენ ის თანამშრომლები, რომელთაც კომისიის მიერ მინიჭებული ჰქონდათ უფრო მაღალი შეფასება/ქულები (3.2 და 3 ქულა), ვიდრე მოსარჩელეს. ქულების მინიჭება მოხდა როგორც ტესტირების შედეგების, ასევე გასაუბრებისას გამოვლენილი უნარჩვევებისა და პიროვნული მახასიათებლების და სამუშაო გამოცდილების გათვალისწინებით. ამასთან, ადმინისტრაციაში ის ვაკანტური პოზიციები, რომლის შეთავაზებაც შეიძლებოდა მოსარჩელისთვის მისი რანგის გათვალისწინებით (3.2) ან უფრო დაბალი რანგი – 3.3, 4.1, 4.2, 4.3, რეორგანიზაციის დროს არ არსებობდა, ამიტომ მოსარჩელეს შეთავაზება ვერ გაუკეთდა. უდავოა, რომ კომისიამ ადამიანური რესურსების მართვის ფუნქციური დატვირთვის არსებულ 2 ვაკანტურ თანამდებობაზე შეთავაზება გაუკეთა იმ ორ თანამშრომელს, რომლებიც იმავე ფუნქციური დატვირთვით იყვნენ დასაქმებულები რეორგანიზაციამდე და ამასთან მოსარჩელესთან შედარებით გააჩნდათ უკეთესი მახასიათებლები, კომისიის მიერ მინიჭებული ჰქონდათ უფრო მაღალი ქულები, ხოლო ვინაიდან იმავე, ადამიანური რესურსების მართვის ფუნქციური დატვირთვით დეპარტამენტში ვაკანსია აღარ არსებობდა, მოსარჩელეს ვერ შესთავაზეს იგივე ფუნქციური დატვირთვის თანამდებობა, იმდენად, რამდენადაც, მოსარჩელის საკვალიფიკაციო მახასიათებლები და გამოცდილება არ იყო შესაბამისი ადმინისტრაციულ დეპარტამენტში არსებულ სხვა ვაკანტურ თანამდებობებთან, ასევე ეს თანამდებობები იყო უფრო მაღალი – 1.1 ან 2.1 რანგების. შესაბამისად, მოსარჩელე დაექვემდებარა გარე მობილობას.

კასატორის განმარტებით, სამინისტროს მხრიდან რეორგანიზაციის მთლიანი პროცესი დაიგეგმა და ყველა ეტაპი განხორციელდა გამჭვირვალედ. რეორგანიზაციის პროცესში მობილობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნილ კომისიას ტესტირების დანიშვნით შეეზღუდა დისკრეციული უფლებამოსილების არეალი, ამასთან, ტესტირების დანიშვნით თანამშრომელ-

თა შეფასების კუთხით სამინისტრომ დააწესა მაღალი სტანდარტი. მინისტრის 2021 წლის 25 მაისის ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა მობილობას დასაქვემდებარებელ თანამშრომელთა იდენტიფიცირება კომპეტენციისა და უნარების განსაზღვრის მიზნით ჩატარებული წერიტი ტესტირების შედეგების და ასევე, ზეპირი გასაუბრების საფუძველზე. მინისტრის ბრძანების შესაბამისად, რეორგანიზაციის ეტაპების გათვალისწინებით, სამინისტროს თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტესტირება ქართულ ენასა და ზოგად უნარებში, შემდგომ კი, გასაუბრება. მოსარჩელემ ზოგად უნარებსა და ქართულ ენაში გაიარა ტესტირება 2021 წლის 30 ივნისს და ზოგად უნარებში მისი შედეგი იყო 66/80, ხოლო ქართულ ენაში – 55/80. გასაუბრებაზე კი ის 2.3 ქულით შეფასდა.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა სადავო აქტის გამოცემის ფაქტობრივი წინაპირობები, მიიჩნია რა, რომ მობილობას დასაქვემდებარებელ თანამშრომელთა იდენტიფიცირებისას, კომისიის მიერ მოსარჩელის (ასევე სხვა პირების) კომპეტენციის და უნარების შეფასებისას გათვალისწინებული არ ყოფილა ტესტირების შედეგები. სააპელაციო სასამართლოს ამგვარი დასაბუთება სრულიად უსაფუძვლოა, რადგან როგორც შესაგებელი, ასევე სააპელაციო საჩივარი და ადმინისტრაციული წარმოების მასალები ადასტურებს, რომ კომისიას დაევალა მობილობას დასაქვემდებარებელ თანამშრომელთა იდენტიფიცირება მოეხდინა მათი კომპეტენციისა და უნარების განსაზღვრის მიზნით ჩატარებული წერიტი ტესტირების შედეგების და ასევე, ზეპირი გასაუბრების საფუძველზე. შესაბამისად, აღნიშნული კომისიის მიერ თანამშრომლები შეფასდნენ ორივე კომპონენტის (ტესტირება და გასაუბრება) შედეგების გათვალისწინებით და კომისიის მიერ მათთვის მინიჭებული ქულა, რაც გახდა მობილობას დასაქვემდებარებელ პირთა იდენტიფიცირების საფუძველი, მოიცავს როგორც ტესტირების შედეგების, ისე გასაუბრების შედეგების შეფასებას. აპელანტის იმ განმარტების შესახებ, რომ კომისიის მიერ საბოლოო ქულები განისაზღვრა შეფასების ორივე კომპონენტის ერთობლიობით, მითითებულია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაშიც. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კომისიამ ქულების მინიჭებისას გაითვალისწინა მხოლოდ გასაუბრების შედეგები. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ კომისიის მიერ გასაუბრების შედეგების შეფასება მიიჩნია დაუსაბუთებლად, რადგან არ არსებობდა გასაუბრების ოქმი/აუდიო/ვიდეოჩანაწერი. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული პოზიცია დაუსაბუთებელია, რადგან არც ერთი მოქმედი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტი, რომელიც აწესრიგებს საჯარო სამსახურში რეორგანიზაციის დროს თანამშრომელთა შერჩევის პროცესს, არ აწესებს

გასაუბრების აუდიო/ვიდეოჩანაწერის აუცილებლობას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს სადავო აქტის კანონიერება, კერძოდ, მისი გამოცემის მართლზომიერი ფაქტობრივი წანამდღერების არსებობა, უნდა შეეფასებინა ადმინისტრაციული წარმოების ყველა მასალის, მხარეთა პოზიციებისა და წარდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობაში ურთიერთშეჯერების საფუძველზე და მხოლოდ იმის გამო, რომ არ არსებობდა გასაუბრების ჩანაწერი, სადავო აქტი არ უნდა მიეჩნია დაუსაბუთებლად.

კასატორი აღნიშნავს, რომ ტესტირებაში გათვალისწინებული მასალა ყველა პირისთვის იდენტური იყო, ასევე გასაუბრების დროს თანამშრომლებისთვის დასმული იყო ერთგვაროვანი კითხვები. შესაბამისად, რეორგანიზაციის პროცესში თანამშრომელთა მიმართ განსხვავებული დამოკიდებულების დამადასტურებელ რაიმე არგუმენტს მოსარჩელე ვერ მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ კომისია გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობას ქართული ენისა და ზოგადი უნარების თუ გასაუბრების შედეგების რომელიმე კომპონენტს არ ანიჭებდა, ის გადაწყვეტილებას ყველა კომპონენტის ურთიერთშეჯერების საფუძველზე იღებდა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ იგივე ან ტოლფასი ვაკანტური თანამდებობა სამინისტროს იმავე სტრუქტურაში არ არსებობს დღესაც. კერძოდ, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა 2022 წლის 31 მარტს გამოსცა №00010881 ბრძანება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ადმინისტრაციის, შიდა აუდიტის, მასობრივი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, მაღალი მიღწევების სპორტის, ეკონომიკური დეპარტამენტების ინსტიტუციური მოწყობის შეცვლის მიზნით რეორგანიზაციის გამოცხადებისა და საჯარო მოხელეთა შესაძლო მობილობისა და შტატების შემცირების შესახებ. 2022 წლის 28 აპრილის №15412 ბრძანებით შევიდა ცვლილება მოქმედ საშტატო ნუსხაში და დამტკიცდა ახალი საშტატო ნუსხა, რომელიც ამოქმედდა 2022 წლის 1 მაისიდან. რეორგანიზაცია განხორციელდა როგორც სტრუქტურული ერთეულების ცვლილებებით, ასევე შტატების შემცირებით, კერძოდ, სამინისტროს საშტატო რიცხოვნობა 136 ერთეულიდან შემცირდა 129 ერთეულამდე, უშუალოდ ადმინისტრაციაში დარჩა 13 საშტატო ერთეული, მაგრამ შეიცვალა მისი სტრუქტურა, კერძოდ, ადმინისტრაციას გამოეყო იურიდიული საქმიანობის მიმართულება და შეიქმნა ცალკე იურიდიული დეპარტამენტი და დაემატა საორგანიზაციო საქმიანობის მიმართულება, კერძოდ, ადმინისტრაციაში განისაზღვრა შემდეგი მიმართულებები და შტატები: დეპარტამენტის უფროსი (ერთი ერთეული); დეპარტამენტის უფრო-

სის მოადგილე (ერთი ერთეული); კანცელარია (ხუთი ერთეული); ადამიანური რესურსები (ოთხი ერთეული), პროტოკოლი (ერთი ერთეული), საორგანიზაციო მიმართულება (ერთი ერთეული). ასევე განისაზღვრა თანამდებობრივი რანგები, რომელთა შორის არა თუ ვაკანტური, საერთოდ არ არის მოსარჩელის შესაბამისი თანამდებობრივი რანგი – იმავე ან ტოლფასი თანამდებობრივი რანგი 3.2. სამინისტროში მოქმედებს 2022 წლის 15 ნოემბრის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო ნუსხა, რომლის მიხედვით ადმინისტრაციაში საშტატო რიცხოვნობა არის უკვე შემცირებული 12 ერთეულამდე, ხოლო თანამდებობრივ რანგებში ისევე არ არის ვაკანტური 3.2 თანამდებობრივი რანგი.

კასატორის განმარტებით, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არ არის მოცემული ის დასაბუთება, რამაც განაპირობა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ასახული სამართლებრივი შედეგი, კერძოდ, არ არის ასახული ის კონკრეტული, ინდივიდუალური ფაქტები და გარემოებები, რომელთა სამართლებრივი კვალიფიკაციით სასამართლო მივიდა სარეზოლუციო ნაწილში ასახულ სამართლებრივ შედეგებამდე. ამის ნაცვლად, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი შემოიფარგლება მხოლოდ ეროვნული თუ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და ასევე უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების, ასევე ევროსასამართლოს პრაქტიკაზე მითითებით, ისე რომ სასამართლო არ აკეთებს მათ ანალიზსა და ერთგვარ სუბსუმციას მოცემული დავის კონკრეტულ გარემოებებთან. მხოლოდ სამართლებრივი ნორმების თავმოყრა გადაწყვეტილებაში არ განაპირობებს გადაწყვეტილების იურიდიულ დასაბუთებულობას/მართებულობას, აღნიშნული განპირობებულება მხოლოდ კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების სწორი სამართლებრივი ანალიზითა და კვალიფიკაციით. მოცემულ შემთხვევაში დადგენილი გარემოებაა, რომ სამინისტროში განხორციელდა რეორგანიზაცია შტატების შემცირებით, ხოლო სამინისტრომ კომპეტენტური კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოსარჩელე არ მიიჩნია ვაკანტურ თანამდებობებთან შესაბამისად და ის გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობებიდან.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 9 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 13 ივნისის განჩინებით, საქართველოს კულტური-

სა და სპორტის სამინისტროს („საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2023 წლის 30 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ახალგაზრდობის მიმართულებით საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებები გადაეცეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ჩაითვალოს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უფლებამონაცვლედ ახალგაზრდობის მიმართულებით საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ უწყვეტად განაგრძოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ფუნქციის შესრულება და უფლებამოსილების განხორციელება, ხოლო საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ უწყვეტად განაგრძოს საქართველოს კანონმდებლობით საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის გათვალისწინებული ყველა ფუნქციის შესრულება და უფლებამოსილების განხორციელება, გარდა ახალგაზრდობის მიმართულებისა) საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა განისაზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება ე.კ-ის სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები). ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე,

თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 აპრილის №575 განკარგულებით დამტკიცდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საშტატო ნუსხა, თანამდებობრივი სარგო და შრომის ანაზღაურების ფონდი; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 22 აპრილის №00003206 ბრძანებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, 2021 წლის 26 აპრილიდან საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფისა და ინსტიტუციური მოწყობის შეცვლის მიზნით, გამოცხადდა რეორგანიზაცია, რომელსაც შესაძლოა მოჰყოლოდა მოხელეთა მობილობა, შტატებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების შემცირება; საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მაისის №811 განკარგულებით დამტკიცდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საშტატო ნუსხა, თანამდებობრივი სარგო და შრომის ანაზღაურება, რომელიც ამოქმედდა 2021 წლის პირველი ივლისიდან; საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მაისის №229 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულება; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 24 მაისის №00006531 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საშტატო ნუსხა. ბრძანება ძალაში შევიდა 2021 წლის პირველი ივლისიდან; აღნიშნულ ბრძანებაში, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 7 ივნისის №00008308 ბრძანებით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 8 ივნისის №00008559 ბრძანებით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 28 ივნისის №000011346 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილებები; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ 2021 წლის 25 მაისს მიღებულ იქნა №00006722 ბრძანება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის რეორგანიზაციის პროცესში მობილობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ გადწყვეტილების მიღების მიზნით კომისიის შექმნისა და მობილობას დასაქმებულებარებელ პირთა შესახებ. ბრძანების პირველი პუნქტის თანახმად, დამტკიცდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის რეორგანიზაციის

პროცესში მობილობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ გადამწყვეტილების მიმღები კომისია; მე-2 პუნქტით განისაზღვრა, რომ მობილობას დასაქვემდებარებელ საჯარო მოსამსახურეთა იდენტიფიცირების, მათი კომპეტენციებისა და უნარების განსაზღვრის მიზნით კომისია უზრუნველყოფდა: ა) წერიტი დავალების/ტესტირების ჩატარებას ქართულ ენაში, ზოგად უნარებში, ინგლისურ ენასა და ზოგად სამართლებრივ საკითხებში (ტესტირება ინგლისურ ენაში განკუთვნილი იყო საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის, თანამდებობრივი პოზიციით კულტურისა და სპორტის სფეროში დეპარტამენტის უფროსებისა და პროტოკოლის სამმართველოს თანამშრომლებისთვის, ხოლო ტესტირება ზოგად სამართლებრივ საკითხებში ეხებოდა იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომლებს); ბ) გასაუბრების ჩატარებას; ბ) საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის რეორგანიზაციისა და რეორგანიზაციასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ 2021 წლის 22 ივნისის №3/რ სხდომის ოქმის მიხედვით, სამინისტროს ცენტრალური აპარატის რეორგანიზაციის შედეგად, გარე მობილობას დაექვემდებარა 13 საჯარო მოხელე, მათ შორის, ე. კ-ი – ...ი; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის რეორგანიზაციისა და რეორგანიზაციასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ 2021 წლის 1 ივლისის №4/რ სხდომის ოქმის თანახმად, განსახილველი საკითხი იყო სამინისტროს ცენტრალური აპარატის რეორგანიზაციის შედეგად, შტატების შემცირების გამო გათავისუფლებულ მოხელეთა გარე მობილობის საკითხი. ოქმში აღნიშნულია, რომ სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მიწოდებულ შესაბამისი ვაკანსიების მქონე უწყებებში, დაუყოვნებლივ იქნა გადაგზავნილი გარე მობილობას დაექვემდებარებულ პირთა მონაცემები, თუმცა ყველა უწყებიდან სამინისტრომ მიიღო უარი მათი დასაქმების თაობაზე. შესაბამისად, აღნიშნული 13 პირი დაექვემდებარა სამსახურიდან გათავისუფლებას და მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვას. რეზერვში ჩარიცხულ მოხელეებს მიეცემათ კომპენსაცია კანონით დადგენილი წესით; გ) საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის რეორგანიზაციის პროცესში მობილობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ გადამწყვეტილების მიმღები კომისიის 2021 წლის 7 ივნისის №3 სხდომის ოქმის მიხედვით, დღის წესრიგს წარმოადგენდა: საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს რეორგანიზაციის პროცესში მობილობას დასაქვემდებარებელი პირების განსაზღვრა; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს

ცენტრალურ აპარატში დასაქმებულ საჯარო მოხელეებთან გასაუბრება. ოქმის მიხედვით, გასაუბრების მსვლელობისას კომისიის წევრების მიერ დასმული იყო ერთგვაროვანი კითხვები. მიღებული პასუხების საფუძველზე, კომისიის წევრების მიერ პროფესიული და პიროვნული მახასიათებლების მიხედვით, შეფასდა გასაუბრებაში მონაწილე თითოეული პირი. შეფასება აისახა შესაბამის ფორმაში და ქულები დაჯამდა საშუალო არითმეტიკულით. გასაუბრებაში მონაწილე პირების შეფასების ჯამური ქულები აისახა შეფასების საბოლოო ფორმაში, ე. კ-ი შეფასდა 2,3 ქულით. სხდომის ოქმს ხელს არ აწერს ერთ-ერთი წევრი – ლ. მ-ე. კომისიის გადაწყვეტილებით ე. კ-ი დაექვემდებარა გარე მობილობას; დ) ტესტირების შედეგების ამონაწერის მიხედვით, ე. კ-ი ზოგად უნარებში შეფასდა 66 ქულით (მაქსიმალური ქულა 80); ქართული ენაში – 42 ქულით (მაქსიმალური ქულა 60), ასევე ქართულ ენაში – 13 ქულით (მაქსიმალური ქულა 20); ე) საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 1 ივლისის №00012133 ბრძანებით საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ...ი – ე. კ-ი თანამდებობიდან გათავისუფლდა 2021 წლის 1 ივლისიდან, ჩაირიცხა მოხელეთა რეზერვში 2 წლის ვადით და მიეცა კომპენსაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით; ვ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 17 დეკემბრის №1704 ბრძანებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსს – ე. კ-ის მინიჭა მოხელის ... კლასი.

საკაცაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება. უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე და სხვა შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით.

სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული დანაწესი განამტკიცებს შრომის თავისუფლებას. შრომის თავისუფლება მოიცავს როგორც ადამიანისათვის მინიჭებულ უფლებას, თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესა თუ ის სფერო (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/4-24, 28.02.1997), ასევე, სახელმწიფოს ვალდებულებას, იზრუნოს მოქალაქეთა დასაქმებაზე და დაიცვას მათი შრომითი უფლებები (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007), დაცულია არა მარტო უფლება, აირჩიოს სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორ-

ციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შრომის თავისუფლების სამართლებრივი დაცვის გარანტიები გათვალისწინებულია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებითაც. კერძოდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება, და მიიღებენ შესაბამის ზომებს ამ უფლების დასაცავად. ამასთან, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება. საკასაციო სასამართლო აგრეთვე მიუთითებს ევროპის სოციალური ქარტიის 24-ე მუხლის დანაწესზე, რომლის თანახმად, დასაქმების შეწყვეტის შემთხვევებში მუშაკთა მიერ დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ აღიარონ: ა) ყველა მუშაკის უფლება არ შეწყვედეთ დასაქმება ასეთი შეწყვეტის თაობაზე საპატიო მიზეზების გარეშე, რაც დაკავშირებული უნდა იყოს მათ შესაძლებლობასთან ან ქცევასთან ან განპირობებული უნდა იყოს შრომითი დანესტებულების, სანარმოს ან სამსახურის ოპერატიული მოთხოვნებით; ბ) მუშაკთა უფლება, რომელთა დასაქმება შეწყვეტილი იქნება საპატიო მიზეზების გარეშე, სათანადო კომპენსაციაზე ან სხვა შესაბამის დაკმაყოფილებაზე. ამ მხრივ მხარეები ვალდებულია იღებენ უზრუნველყონ მუშაკის, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი დასაქმება შეწყდა საპატიო მიზეზების გარეშე, მიუკერძოებელ ორგანოში საჩივრის შეტანის უფლება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში ინდივიდთა შრომითი უფლებების დაცვისათვის ქმედითი მექანიზმების შექმნა სახელმწიფოს ვალდებულია წარმოადგენს. ხსენებული ვალდებულების ზედმიწევნითი განხორციელების საჭიროება სახელმწიფოს მხრიდან თავს იჩენს მით უფრო საჯარო სექტორში, სადაც სახელმწიფო ეროვნული საკანონმდებლო ბაზის, კერძოდ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ერთი მხრივ, თავად ქმნის დასაქმებულ საჯარო მოხელეთა შრომითი უფლებების დაცვის გარანტიებს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი თავად გვევლინება დამსაქმებლის როლში, რაც საგრძნობლად ზრდის მისი მხრიდან დასაქმებულ საჯარო მოხელეთა უფლებების, განსაკუთრებით კი, შრომითი უფლებების დაცვის სავალდებულობის ხარისხს. საჯარო მოსამსახურე

კონკრეტული გადაწყვეტილებების, მით უფრო, საჯარო მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას და საქროების შემთხვევაში, გათავისუფლების შემდგომი პროცედურების განხორციელებისას შეზღუდულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი კანონიერების პრინციპით, რომლის მიხედვით, საჯარო მოსამსახურე თანამდებობრივი უფლებამოვალეობების განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. მისი ნებისმიერი ქმედება უნდა ემსახურებოდეს კანონის უზენაესობის დაცვას და ეფუძნებოდეს კანონისმიერი დათქმის პრინციპს. ამავე შინაარსის დანაწესი გათვალისწინებულია აგრეთვე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლით დადგენილი კანონიერების პრინციპითაც, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განხორციელოს რაიმე ქმედება.

შრომის უფლება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას სათანადო, კანონიერი საფუძვლების გარეშე არ დაუშვას დასაქმებულთა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, რაც სახელმწიფო სამსახურში პირის შრომის უფლებას არამართლზომიერად შეზღუდავს, ამასთან, შრომის გარანტირებული უფლება არ არის აბსოლუტური და აღნიშნული უფლებით დაცული სფერო შესაძლებელია დაექვემდებაროს შეზღუდვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლეგიტიმური მიზნითა და თანაზომიერების პრინციპის დაცვით. შრომის უფლების დაცვა არ გულისხმობს დამსაქმებლის აბსოლუტურ შეზღუდვას, კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, გაათავისუფლოს დასაქმებული (სუსგ 23.04.2019წ. საქმე №ზს-954(2კ-18)). დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება ობიექტურ მიზეზებზე უნდა იყოს დაფუძნებული, დამსაქმებელი ვალდებულია დაასაბუთოს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების ობიექტური მიზეზები. საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას. მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

მოცემულ შემთხვევაში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს რეორგანიზაციის საფუძვლით საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს...ის – ე. კ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერება, მისი თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის დაკისრების საფუძვლების არსებობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“

საქართველოს კანონზე, რომელიც განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურის სტატუსს, პროფესიული საჯარო მოხელის დასაქმებისა და სამსახურის გავლის პირობებს, საჯარო სამსახურის მართვის საკითხებს, ანერსივებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოებში (დანესებულებებში) და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საჯარო მოსამსახურეთა სამოხელეო სამართლებრივ ურთიერთობებს, თუ ამავე კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი (მე-2 მუხლი).

აღნიშნული კანონის 102-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, საჯარო სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე, სისტემური, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით შესაძლებელია საჯარო დანესებულების რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ან/და მისი სხვა საჯარო დანესებულებასთან შერწყმა. 103-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, რეორგანიზაცია არის საჯარო დანესებულების ინსტიტუციური მონყობის შეცვლა, რის შედეგადაც მიიღება საჯარო დანესებულების ნაწილობრივ ან მთლიანად ახალი სტრუქტურა. რეორგანიზაციად ითვლება აგრეთვე საჯარო დანესებულების შტატების გადაადგილება ან/და შემცირება. რეორგანიზაციად არ ჩაითვლება საჯარო დანესებულების ან მისი სტრუქტურული ერთეულის მხოლოდ დაქვემდებარების ან სახელწოდების შეცვლა ან/და საჯარო დანესებულების სტრუქტურული ერთეულისათვის ახალი ფუნქციის დაკისრება. 108-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოხელე შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფლდეს საჯარო დანესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დანესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით. ამავე კანონის 110-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, მოხელე შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფლდეს საჯარო დანესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დანესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, თუ მოხელის ამ კანონის 52-ე მუხლით გათვალისწინებული მობილობა შეუძლებელია.

რეორგანიზაციის ცნებას ასევე განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის თანახმადაც, რეორგანიზაცია არის საჯარო დანესებულების ან მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულის ინსტიტუციური მონყობის შეცვლა, რის შედეგადაც მიიღება საჯარო დანესებულების ნაწილობრივ ან მთლიანად ახალი სტრუქტურა. რეორგანიზაციად მიიჩნევა საჯარო დანესებულების არავაკანტური შტატების გადაადგილება (როდესაც იცვლება თანამდებობ(ებ)ის ფუნქცია, იერარქიული რანგი ან/და კატეგორია) ან/და შემცირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ რეორგანიზაცია არის საჯარო სამსახურის დაწესებულის შიდა სტრუქტურული ან/და ფუნქციონალური გარდაქმნა, რასაც შეიძლება მოსდევდეს დაწესებულების მთლიანად ან მისი სტრუქტურული ქვე-დანაყოფების სტატუსის, დაქვემდებარების ან/და ფუნქციონალური დატვირთვის ცვლილება. საშტატო ერთეულისათვის სახელწოდების შეცვლა არ წარმოადგენს საფუძველს იმ ფაქტობრივი გარემოების დადგენილად მიჩნევისათვის, რომ აღარ არსებობს საშტატო ერთეული. საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როცა ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი, ახალი საშტატო ერთეულით განისაზღვრა სხვა უფლება-მოვალეობები, ან/და ამგვარი საშტატო ერთეულის დასაკავებლად სხვა კრიტერიუმები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული პირის მიერ და ა.შ.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ რეორგანიზაციამ მხოლოდ შტატის შემცირების შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს პირის სამსახურიდან გათავისუფლება, ამასთან, შტატების შემცირების მოტივით დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლებისას „ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, შემთხვევა, როდესაც დაწესებულებაში განხორციელებულ რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანო უკეთესის/საუკეთესოს, უპირატესის ამორჩევის პრინციპზე დაყრდნობით უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას ცალკეულ მოხელეთა გათავისუფლების თუ სამსახურში დატოვებასთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრივ, შემთხვევა, როდესაც რეორგანიზაციის დროს უქმდება კონკრეტული საშტატო ერთეული“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-166-165(კ-16)).

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ე. კ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, რასაც საფუძველად დაედო საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 24 მაისის №00006531 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საშტატო ნუსხა. ბრძანება ძალაში შევიდა 2021 წლის პირველი ივლისიდან. დადგენილია, რომ მოსარჩელის მობილობა ვერ განხორციელდა, რის გამოც ის ჩაირიცხა მოხელეთა რეზერვში და მიეცა შესაბამისი კომპენსაცია. საყურადღებოა, რომ კასატორის განმარტებით, ვაკანტურ თანამდებობზე თანამშრომელთა დანიშვნა მოხდა კომისიის მიერ მინიჭებული შეფასების/ქულების (3.2 და 3 ქულა) გათვალისწინებით და კომისიამ ადამიანური რესურსების მართვის ფუნქციური დატვირთვის არსებულ 2 ვაკანტურ თანამდებობაზე შეთავაზება გაუკეთა იმ ორ თანამშრომელს, რომლებიც იმავე ფუნქციური დატვირთვით იყვნენ დასაქმებულ-

ლები რეორგანიზაციამდე და ამასთან მოსარჩელესთან შედარებით გააჩნდათ უკეთესი მახასიათებლები, კომისიის მიერ მინიჭებული ჰქონდათ უფრო მაღალი ქულები. თავის მხრივ, ქულების მინიჭება მოხდა როგორც ტესტირების შედეგების, ასევე გასაუბრებისას გამოვლენილი უნარ-ჩვევებისა და პიროვნული მახასიათებლების და სამუშაო გამოცდილების გათვალისწინებით.

ასევე დადგენილია და მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის ფაქტობრივი გარემოება, რომ რეორგანიზაციის ეტაპების გათვალისწინებით, სამინისტროს თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტესტირება ქართულ ენასა და ზოგად უნარებში, შემდგომ კი, გასაუბრება. მოსარჩელემ ზოგად უნარებსა და ქართულ ენაში გაიარა ტესტირება 2021 წლის 30 ივნისს და ზოგად უნარებში მისი შედეგი იყო 66/80, ხოლო ქართულ ენაში – 55/80. გასაუბრებაზე კი ის 2.3 ქულით შეფასდა. ამასთან, როგორც კასატორის განმარტავს, მართალია, მოსარჩელეს ზოგად უნარებსა და ქართულ ენაში მიღებული ჰქონდა სხვა თანამშრომლებზე მაღალი ქულები, თუმცა, საბოლოო შედეგზე გავლენა იქონია გასაუბრებაზე მიღებულმა დაბალმა ქულამ, ვინაიდან, მობილობას დასაქვემდებარებულ პირთა იდენტიფიცირება მოხდა როგორც ტესტირების შედეგების, ისე გასაუბრების შედეგების შეფასების საფუძველზე.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ მიუთითებს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 25 მაისის №00006722 ბრძანების მე-2 პუნქტზე, რომლითაც განისაზღვრა, რომ მობილობას დასაქვემდებარებულ საჯარო მოსამსახურეთა იდენტიფიცირების, მათი კომპეტენციებისა და უნარების განსაზღვრის მიზნით კომისია უზრუნველყოფდა: ა) წერიტი დავალების/ტესტირების ჩატარებას ქართულ ენაში, ზოგად უნარებში, ინგლისურ ენასა და ზოგად სამართლებრივ საკითხებში; ბ) გასაუბრების ჩატარებას. მითითებული ბრძანების მე-4 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია გაითვალისწინოს მობილობას დასაქვემდებარებულ საჯარო მოსამსახურეთა კომპეტენცია, შეფასების შედეგები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა ობიექტური გარემოებები და დასაბუთებული მონაცემები ასახოს გასაუბრების სხდომის ოქმში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ წერიტი დავალება/ტესტირება საჯარო მოსამსახურეთა წერიტი თუ სხვადასხვა უნარ-ჩვევებისა თუ პროფესიული დონისა და მათი კვალიფიციურობის დადგენას ემსახურება, გასაუბრების ეტაპზე კი კომისიის წევრებს ეძლევათ საშუალება, დაადგინონ მოხელის ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელთა გამოვლენა წერიტი დავალების შესრულების პროცესში შეუძლებელია. ამასთან, იმ პირობებში, როდესაც გასაუბრების ოქმი არაინფორმაციული ხასიათისაა და არ იძლევა გასაუბრების პროცესის მართებუ-

ლად შეფასების შესაძლებლობას, სასამართლოს შეუძლებლად მიაჩნია თავად შეაფასოს კონკრეტული საჯარო მოსამსახურის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესაბამისობა დასაკავებელ თანამდებობასთან, ვინაიდან აღნიშნული საკითხი ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადანყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადანყვეტილება. ამავე კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით, (1) თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში; (2) ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. სზაკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

საკაცაციო პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება მუშაკის სამსახურებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობის სხვადასხვა კრიტერიუმებით შეფასება, თითოეული მუშაკის პროფესიონალი ზმის, შრომითი უნარ-ჩვევების, კომპეტენტურობის, მიღებული განათლების, კარიერული ზრდის პერსპექტივის, კრეატიულობის, პირადი თვისებების, თანამშრომლობის უნარის, კოლეგიალობის, რეპუტაციის, სხვა გარემოებების გათვალისწინება და კონკრეტული შემთხვევისათვის სათანადო გადანყვეტილების მიღება (სუსტ 23.07.2020წ. №ბს- 1037(კ-18)). რეორგანიზაციის შედეგად თანამშრომელთა დასაქმების საკითხი ასევე ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებათა რიგს მიკუთვნება, თუმცა მასვე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი ავალდებულებს მიღებული გადანყვეტილების დასაბუთებას. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების შედეგად გადანყვეტილების მიღების შესაძლებლობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს იმგვარად გაგებული, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ გადანყვეტილება უნდა მიიღოს მხოლოდ მიზანშეწონილობის საფუძველზე, ადმინისტრაცი-

ციულ ორგანოს ეკისრება მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება. დაინტერესებული მხარისთვის გასაგები უნდა იყოს, რა მოტივით იქნა მიღებული მის მიმართ კონკრეტული გადაწყვეტილება. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანობისა და კანონიერების განცდას უნდა ქმნიდეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაუბრების გზის საჯარო მოსამსახურეთა კომპეტენციის/უნარების შეფასებისას ადმინისტრაციულ ორგანოს ფართო არეალი აქვს, რაც ზრდის არაობიექტური და მიკერძოებული გადაწყვეტილების მიღების რისკებს. პროცესის გამჭვირვალობითა და გადაწყვეტილების დასაბუთებით ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამორიცხოს თვითნებური, მიკერძოებული, არაობიექტური გადაწყვეტილება. მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლება უნდა ემყარებოდეს ობიექტურ, ცხად და გამჭვირვალე პროცესსა და კრიტერიუმებს, რაც გათავისუფლებულ პირს შესაძლებლობას მისცემს, ობიექტურად და სრულად აღიქვას მისი გათავისუფლებისა და სხვა კონკრეტულ პირთათვის უპირატესობის მინიჭების საფუძვლები. დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერების მტკიცება მხოლოდ დისკრეციული უფლებამოსილების არსებობაზე მითითებით.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ტესტირების შედეგების მიხედვით, ე. კ-ი ზოგად უნარებში შეფასდა 66 ქულით (მაქსიმალური ქულა 80), ქართულ ენაში – 42 ქულით (მაქსიმალური ქულა 60), ასევე ქართულ ენაში – 13 ქულით (მაქსიმალური ქულა 20). ტესტირებაში მიღებული ე. კ-ის შეფასება უმეტესად სხვა თანამშრომელთა უმრავლესობის შედეგებს აღემატებოდა. რაც შეეხება გასაუბრების კომპონენტს, გასაუბრებაში მონაწილე პირების შეფასების ჯამური ქულები აისახა შეფასების საბოლოო ფორმაში, ე. კ-ი შეფასდა 2,3 ქულით და დაექვემდებარა გარე მობილობას.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა რა ე. კ-ის სასარჩელო მოთხოვნა, განმარტა, რომ საქმეს არ ახლავს გასაუბრების შინაარსის ამსახველი აუდიო ან/და წერილობითი ოქმი; წარმოდგენილი არ არის, კონკრეტულად რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეფასდა მოსარჩელე მითითებული ქულით და რას ექცეოდა ყურადღება ზეპირი გასაუბრების მაღალი ან დაბალი ქულით შეფასების განსასაზღვრად. შესაბამისი ინფორმაცია ასახული არ არის არც გასაჩივრებული აქტის დასაბუთებაში. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, იმდენად, რამდენადაც ზეპირ კომპონენტში მოსარჩელის მიერ მიღებულმა შეფასებამ ტესტირების შეფასების საპირისპირო შედეგი განაპირობა, აღნიშნული ინფორმაციისა და სათანადო დასაბუთების არარსებობას აქვს აქტის კანონიერების განმსაზღვრელი მნიშვნელობა.

საკაცაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლო ფლობს დავის გადანყვეტის სრულ იურისდიქციას, თუმცა სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით განსხვავდება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული სფეროს რეგულირების ხარისხი, სასამართლო კონტროლის სიმჭიდროვე, ინტენსივობა, შესაბამისად, სასამართლოს კონტროლი ამ პირობებში უნდა იყოს სათანადო და თანაზომიერი. სასამართლოს შეუძლია შეაფასოს გადანყვეტილების მიღების პროცედურული მხარე, კანონმდებლობით განსაზღვრული დისკრეციული უფლებამოსილების საზღვრების გამოყენების დაცულობა და მიზანთან მისი შესაბამისობის სისწორე, შეფასების საყოველთაოდ მიღებული მასშტაბის, თანასწორობის პრინციპის დაცულობა. სასამართლო ამომწმებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადანყვეტილების მხოლოდ კანონიერებას და არა მიზანშეწონილობას.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ გასაუბრების პროცესის აუდიო ან/და ვიდეოჩანერა არ განხორციელებულა, ხოლო სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტსა და გასაუბრების სხდომის ოქმში არ არის ასახული გარემოებები (მათ შორის კითხვა-პასუხი), რომლითაც მოპასუხემ იხელმძღვანელა ე. კ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების დროს. საგულისხმოა, რომ ნორმატიული აქტით დეტალურად არ არის განსაზღვრული გასაუბრების ეტაპზე მოხელის შეფასების კრიტერიუმები. კასატორი – ადმინისტრაციული ორგანო ვერ უთითებს იმ კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც მოხდა შეფასება, დაუდგენელია როგორ განსაზღვრა კომისია ე. კ-ის პროფესიული და პიროვნული მახასიათებლები. არ არის მითითებული და დასაბუთებული, თუ რა შინაარსის იყო გასაუბრება, რა კრიტერიუმების საფუძველზე მიენიჭათ გასაუბრების დროს მოსარჩელესთან შედარებით უპირატესობა სხვა კანდიდატებს. საქმეში დაცული გასაუბრების ოქმი მშრალი და არაინფორმატიული ხასიათისაა, რაც არ იძლევა გასაუბრების პროცესის მართებულად შეფასების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკაცაციო სასამართლო საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და გასაჩივრებული აქტის/გასაუბრების ოქმის დაუსაბუთებლობაზე მითითებით, უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააკველაციო სასამართლოს მიერ სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას იმ პირობებში, როდესაც სასამართლო შეუძლებლად თვლის გასაუბრების პროცესის მართებულად შეფასების შესაძლებლობას. საზოგადოდ, ადმინისტრაციული ორგანოს კონკრეტული ქმედების პროცედურულ დარღვევად მიჩნევა ყოველთვის არ განაპირობებს წარდგენილი სარჩელის სრულ საფუძვლიანობას და არ წარმოშობს მისი სრულად დაკმაყოფილების შესაძლებლობას. მარტოოდენ სასამართლოს დასკვნა ადმინისტრაციული წარმოების ხარვეზ(ებ)ით ჩატარებასთან

დაკავშირებით, არ შეიძლება ე. კ-ის სარჩელის სრულად დაკმაყოფილების საფუძველი გახდეს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სარჩელი და საქმეში დაცული მტკიცებულებები არ ქმნიდა სარჩელის სრულად დაკმაყოფილების საფუძველს. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებაზე (საქმე №ბს-595-592(კ-17) 28.09.2017წ. განჩინება). „ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ინკვიზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით (სასკ-ის მე-19 მუხლი), მართალია, სასამართლოს აქვს შესაძლებლობა ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით შეაგროვოს დამატებითი მტკიცებულებები, თუმცა აღნიშნული უზრუნველყოფს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაშვებული ხარვეზების აღმოფხვრას და არა ორგანოში განსახორციელებელი წარმოების ჩანაცვლებას. როდესაც წარმოების ხარვეზები არსებითია, ხოლო საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რიგი გარემოებები – გამოუკვლეველი, დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციების სასამართლოსათვის დელეგირება“. განსახილველ შემთხვევაში, სარჩელით სწორედ საკითხის გადაწყვეტისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დაუდგენლად გამოტანილი აქტია სადავო.

სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა

გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან აღნიშნული საკითხი მის დისკრეციას განეკუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 1 ივლისის №00012133 ბრძანება გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, მოპასუხის მიერ დარღვეულია დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესები და დასაბუთებული აქტის გამოცემის ვალდებულება, რის გამოც სასამართლო მოცემულ ეტაპზე დავის არსებითად გადაწყვეტის შესაძლებლობას მოკლებულია. მოპასუხემ ახალი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში უნდა უზრუნველყოს ე. კ-ითან გასაუბრების ჩატარება, კანონით დადგენილი წესით შეფასება (წერიტი დავალების/ტესტირებისა და გასაუბრების შედეგების ერთობლიობით) და აღნიშნულის შესაბამისად გამოსცეს აქტი შესაბამისი დასაბუთებით. ამდენად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი გასაჩივრებულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს უნდა დაევალოს გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელე ე. კ-ითან დაკავშირებით.

რაც შეეხება ე. კ-ის სასარჩელო მოთხოვნებს თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის დაკისრების თაობაზე, საკასაციო პალატა მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის მიხედვითაც, ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას — გოლ-

ფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დანესებულების სისტემაში. თუ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია იმავე საჯარო დანესებულების სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო, საჯარო დანესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით. სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სხვა საჯარო დანესებულებაში ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა დასაშვებია უკანონოდ გათავისუფლებული მოხელისა და ამ საჯარო დანესებულების თანხმობით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახურში აღდგენილ მოხელეს ეძლევა განაცდური თანამდებობრივი სარგო და საკლასო დანამატი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული წელთა ნამსახურობის დანამატი და წოდებრივი სარგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წინამდებარე გადაწყვეტილებით სადავო საკითხი არსებითად არ გადაწყვეტილა და სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ...ის თანამდებობიდან ე. კ-ის გათავისუფლების შესახებ, ამ ეტაპზე არ არსებობს მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენისა და მოპასუხისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელზე გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე და ამ კოდექსის VII³ და VIII¹⁷ თავებით გათვალისწინებულ საქმეებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე გათავისუფლებულია მოცემულ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან. შესაბამისად, ე. კ-ის უნდა დაუბრუნდეს ვ. ბ-ის მიერ სარჩელზე 2021 წლის 30 ივლისს ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 100 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი **TRESGE22**, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი №300773150.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს — სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში — განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის მოცულობა, მისი ფაქტობრივ-სამართლებრივი სირთულე, აგრეთვე, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, მათი შემოსავალი და სხვა ისეთი გარემოებები, რომლებიც წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის გონივრული ფარგლების დადგენას განაპირობებს.

განსახილველ შემთხვევაში ე. კ-ი პირველი ინსტანციის სასამართლოში მოითხოვდა მოპასუხისათვის ადვოკატის მომსახურებაზე განეული ხარჯის ანაზღაურების დაკისრებას. საქმეში წარმომადგენლია გადახდის ქვითარი, რომლის თანახმად, ე. კ-ის მიერ ვ. ბ-ის ანგარიშზე ჩარიცხულია 2500 ლარი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი გასამრჯელოს მართებულ, გონივრულ და მიღებული მომსახურების შესატყვის ოდენობას წარმომადგენს 1000 ლარი. ამდენად, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს უნდა დაეკისროს ე. კ-ის სასარგებლოდ, წარმომადგენლის დახმარებისათვის გადახდილი ხარჯის ანაზღაურება 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, ამავე კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით და 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ე. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 1 ივლისის №00012133 ბრძანება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ...ის თანამდებობიდან ე. კ-ის გათავისუფლების შესახებ და დაევალოს მოპასუხე საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
5. ე. კ-ის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
6. ე. კ-ის (პ/ნ ...) დაუბრუნდეს ვ. ბ-ის მიერ სარჩელზე 2021 წლის 30 ივლისის №1627630779 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 100 ლარი, შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი №300773150;
7. საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ე. კ-ის სასარგებლოდ დაეკისროს წარმომადგენლის დახმარებისათვის გადახდილი ხარჯის ანაზღაურება 1000 (ათასი) ლარის ოდენობით;
8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**რეორგანიზაციის და შტატების შექმნის გამო
სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება**

**განჩინება
საქართველოს სსრ-ში**

№ბს-740(კ-23)

26 ნოემბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ქმედების განხორციელების დავალეზა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ს-იმა 2019 წლის 02 მაისს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიმართ და სარჩელის დაზუსტების შემდეგ მოითხოვა ნ. ს-ის ნაწილში სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2019 წლის 29 მარტის №803710 ბრძანების მე-2 პუნქტის ბათილად ცნობა, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისათვის მოსარჩელის გათავისუფლებამდე არსებულ ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალეზა, სამსახურიდან გათავისუფლების პერიოდიდან სამსახურში აღდგენამდე გაცდენილი დროის სამსახურებრივ სტაჟში ჩათვლა და სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისათვის ნ. ს-ის სასარგებლოდ განაცდური თანხის – ყოველთვიურად დარიცხული ხელფასის (ხელფასის ყველა კომპონენტის გათვალისწინებით) 2019 წლის 28 მარტიდან სამსახურში აღდგენამდე პერიოდი-სათვის სრულად ანაზღაურების დავალეზა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2019 წლის 22 მარტს სამუშაო დღის დასრულებისას დაიბარა აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოს უფროსმა და განუცხადა, რომ „სამინისტროს დასჭირდა შტატი“, რომლის უზრუნველსაყოფადაც აკადემიაში დაგეგმილი სტრუქტურული ცვლილებების მიხედვით გაუქმდებოდა მოსარჩელის თანამდებობა, შესაბამისად მიუთითა, რომ 25 მარტიდან შეეძლო აღარ ევლო სამ-

სახურში. რაც შეეხება მის დასაქმებას, განუცხადეს, რომ უახლოს პერიოდში გადაწყვეტდნენ და დაურეკავდნენ, ამასთან, უთხრეს, რომ პარალელურად შეეძლო ეძებნა სხვა სამსახური, აგრეთვე მიანოდეს ინფორმაცია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში სისტემაში ბევრი ვაკანტური თანამდებობა იყო. მოსარჩელის მითითებით, იმავე დღეს შეხვდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მალაჩინოსანს, იმ იმედით, რომ რაიმე კონკრეტული გახდებოდა მისთვის ცნობილი, თუმცა უშედეგოდ. აღნიშნულის მიუხედავად, 25 აპრილს, ორშაბათ დილით მოსარჩელე გამოცხადდა სამსახურში და მთელი კვირის განმავლობაში გააგრძელა სამსახურებრივი საქმიანობა, ვინაიდან მისთვის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების შესახებ რაიმე დოკუმენტი არ გადაუციათ და სამსახურის გაცდენა არასაპატიოდ ჩაითვლებოდა.

მოსარჩელის მითითებით, 25 აპრილს დაახლოებით 20:00 საათზე ზემოხსენებულ თანამდებობის პირს პირადად გადასცა ...ის – გ. გ-ას სახელზე გამზადებული ლია წერილი. წერილის დაწერა გადაწყვეტინა იმ გარემოებამ, რომ 22 აპრილს, თანამდებობის პირთან შემდგარი 3 წუთიანი დიალოგის შედეგად დარჩა შთაბეჭდილება, რომ მის გარშემო შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით სამინისტროს ხელმძღვანელობას ჰქონდა ცალმხრივი სუბიექტური ინფორმაცია. ნ. ს-ი აღნიშნავს, რომ 2019 წლის 1 აპრილს, ორშაბათს, ჩვეულებრივად გამოცხადდა სამსახურში და დაახლოებით 12:00 საათზე გადაამონმა ელექტრონული მიმონერის სისტემა, სადაც აღმოაჩინა გადმოგზავნილი „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის საორგანიზაციო საშტატო საკითხების შესახებ“ სსიპ საქართველოს შსს აკადემიის 2006 წლის 10 იანვრის №2 ბრძანებით დამტკიცებულ სტრუქტურასა და საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის შესახებ“ სსიპ საქართველოს შსს აკადემიის რექტორის 2019 წლის 28 მარტის №793222 ბრძანება. ცვლილებების მიხედვით, საბაზისო მომზადების სამსახური მთლიანად გაუქმდა (სულ 14 საშტატო ერთეული), 13 ახალი საშტატო ერთეული კი დაემატა პოლიციელთა გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სამსახურს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 ივნისის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მე-3 პირად ჩაება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. ს-ის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გათავისუფლებამდე ეკავა სსიპ საქარ-

თველოს შსს აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოს ...ის თანამდებობა.

კოლეგიამ აღნიშნა, რომ „პოლიციის შესახებ“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, უფლებამოსილ პირს, საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, ენიჭებოდა უფლება მიეღო გადაწყვეტილება რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, ხოლო შტატების შემცირება თავის მხრივ ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენდა რეორგანიზაციას, მაგრამ მარტოდენ რეორგანიზაციის ფაქტი არ ქმნიდა სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველს, კერძოდ განთავისუფლება დასაშვები იყო იმ დროს, როდესაც რეორგანიზაციას თან სდევდა შტატების შემცირება.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ საქართველოს შსს აკადემიის 2006 წლის 10 იანვრის №2 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სამტატო ნუსხის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში გათვალისწინებული იყო საბაზისო მომზადების სამსახურის 14 სამტატო ერთეული, მათ შორის სამსახურის უფროსის 1 სამტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო/კოეფიციენტი – 2200-2.20). სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2019 წლის 28 მარტის №MIA 0 19 00793222 ბრძანებით ცვლილება იქნა შეტანილი ზემოაღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულ სტრუქტურასა და სამტატო განრიგში. კერძოდ, სსიპ საქართველოს შსს აკადემიაში გაუქმდა საბაზისო მომზადების სამსახური (სულ 14 ერთეული), მათ შორის ის სამტატო ერთეული, რომელზეც დასაქმებული იყო ნ. ს-ი. სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2019 წლის 29 მარტის №MIA 4 19 008037 10 ბრძანებით, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანების 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ (შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რასაც თან სდევს შტატების შემცირება) ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 24 დეკემბრის №975 ბრძანების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სსიპ საქართველოს შსს აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოს ...ი, ... – ნ. ს-ი 2019 წლის 28 მარტიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილი იქნა კადრების განკარგულებაში. შესაბამისად, იმ ვითარებაში, როდესაც ერთმნიშვნელოვნად დადგენილი იყო რეორგანიზაციის დროს შტატების შემცირების ფაქტი, კერ-

ძოდ, სსიპ საქართველოს შსს აკადემიაში გაუქმდა საბაზისო მომზადების სამსახურის 14 შტატი, მათ შორის ის საშტატო ერთეული, რომელზეც დასაქმებული იყო მოსარჩელე, სასამართლო მიიჩნია, რომ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორი უფლებამოსილი იყო 2019 წლის 29 მარტის №MIA 4 19 008037 10 ბრძანებით შსს აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოს ...ი, ... – ნ. ს-ი, 2019 წლის 28 მარტიდან გაეთავისუფლებინა დაკავებული თანამდებობიდან და აეყვანა კადრების განკარგულებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ს-იმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 31 იანვრის განჩინებით ნ. ს-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სასამართლოში სარჩელის აღძვრის შემდეგ, გამოცემული იქნა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2019 წლის 29 ივლისის №MIA 0 19 01981718 ბრძანება ნ. ს-ის სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე. შესაბამისად, ნ. ს-ის თავდაპირველი სასარჩელო მოთხოვნა ვერ იქნებოდა ხსენებული 2019 წლის 29 ივლისის №MIA 0 19 01981718 ბრძანების ბათილად ცნობაც, თუმცა მისი სარჩელის მე-2 და მე-3 მოთხოვნა – სამსახურში აღდგენა და იძულებით განაცდურის ანაზღაურება ცალსახად ადასტურებდა მოსარჩელის ნებას – სამსახურიდან გაათავისუფლების ყველა აქტის გაუქმების თაობაზე.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე ნ. ს-ის მიერ სასამართლოში წამოწყებული დავის საგანს სამსახურიდან დათხოვნის უკანონოდ ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებით განაცდურის ანაზღაურება შეადგენდა, სარჩელის ერთ-ერთი მოთხოვნა სამსახურიდან გაათავისუფლების შესახებ 2019 წლის 29 ივლისის №MIA 0 19 01981718 ბრძანების ბათილად ცნობა უნდა ყოფილიყო. პალატის მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს სარჩელის მოთხოვნა არ იქნა დაზუსტებული და სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ ნ. ს-ის კადრების განკარგულებაში აყვანის კანონშესაბამისობის შესახებ. კერძოდ, საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ 2019 წლის 17 დეკემბერს პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე ნ. ს-იმა წარადგინა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2019

ნლის 29 ივლისის №MIA 0 19 01981718 ბრძანება მისი სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე და საქმეზე დართვა მოითხოვა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლზე და აღნიშნა, რომ სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, თუმცა არ არის შეზღუდული მოთხოვნის ფორმულირებით და შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში. განსახილველ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არ იქნა შეთავაზებული სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირება. სააპელაციო პალატის შეფასებით, ასეთად ვერ ჩაითვლება ზოგადი მითითება სარჩელის მოთხოვნის დაზუსტების თაობაზე. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლი ადმინისტრაციული წესით საქმის განხილველ მოსამართლეს აძლევს საფუძველს: განუმარტოს მოსარჩელე მხარეს, რომ სარჩელის ტრანსფორმირების გარეშე იმ იურიდიული მიზნის მიღწევა, რომელსაც ისახავს მოსარჩელე მიზნად, შეუძლებელია. აღნიშნული, ცხადია არ გულისხმობს იმას, რომ სარჩელი უცილობლად დაკმაყოფილდება. ხსენებული წარმოადგენს საკანონმდებლო მექანიზმს საიმისოდ, რომ მოსარჩელემ სწორი სასარჩელო მოთხოვნებით აწარმოოს დავა და სწორი მოლოდინი ჰქონდეს დავის დასრულების შედეგების მიმართ. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სარჩელი აღძრული იყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-24-ე მუხლების საფუძველზე, თუმცა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მოსარჩელის იურიდიული ინტერესი ვერ იქნებოდა მიღწეული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი. კერძოდ, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2019 წლის 29 მარტის №803710 ბრძანების ბათილად ცნობის შემთხვევაშიც შეუძლებელი იყო ნ. ს-ის მომდევნო სასარჩელო მოთხოვნების – სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკმაყოფილება, რადგან სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2019 წლის 29 ივლისის №MIA 0 19 01981718 ბრძანების ბათილად ცნობა არ წარმოადგენდა სარჩელის მოთხოვნას.

პალატამ მიუთითა საკასაციო სასამართლოს პრაქტიკაზე, რომლის თანახმად, სას.კ-ის 28¹ მუხლის შესაბამისად, მხარისათვის მოთხოვნის ტრანსფორმირებაში დახმარების განევა ადმინისტრაციული დავის განმხილველი სასამართლოს ვალდებულებას შეადგენს. სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, თუმცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროში წარმოშობილი დავების სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, პრო-

ცესის ეკონომიის და დაჩქარების მოსაზრებებიდან გამომდინარე, სასამართლო არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით, რაც ადმინისტრაციულ პროცესში შეჯიბრებითობისა და ინკვიზიციურობის პრინციპების შეჯერების ერთ-ერთი გამოვლინებაა. მოსარჩელის ცხადი იურიდიული ინტერესიდან გამომდინარე სასამართლო ვალდებული იყო დახმარება აღმოეჩინა მოსარჩელისათვის მოთხოვნის დაზუსტებაში.

პალატის შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას არ გადაეგზავნა საქმე საქალაქო სასამართლოში და თვითონ გადაეწყვიტა იგი, ვინაიდან საქმეზე დადასტურებული იყო როგორც სარჩელის ტრანსფორმირების, ისე სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2019 წლის 29 ივლისის №MIA 0 19 01981718 ბრძანების გამოცემამდე არსებული რიგი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დადგენის აუცილებლობა. საქმის მასალებით და დადგენილი გარემოებით დასტურდებოდა, რომ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2019 წლის 29 ივლისის №MIA 0 19 01981718 ბრძანების ნაწილში პირველი ინსტანციის მიერ საქმე არ განხილულა, არ იყო მნიშვნელოვანი გარემოებები დადგენილი და შეფასებული. ამ ნაწილში (სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2019 წლის 29 ივლისის №MIA 0 19 01981718 ბრძანების კანონშესაბამისობის თაობაზე) არ იყო მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატაში მოთხოვნის დაზუსტებისა და შესაბამისად საქმის განხილვის შემთხვევაში სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2019 წლის 29 ივლისის №MIA 0 19 01981718 ბრძანების ნაწილში საქმის განხილვის ინსტანციური წესის დაცვა არ იქნებოდა შესაძლებელი. ხსენებული გარემოების გათვალისწინებით პალატამ მიიჩნია, რომ საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაბრუნებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს.

პალატის მითითებით, განსახილველ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოში დავის საგანი შემოიფარგლა მხოლოდ მოსარჩელის კადრების განკარგულებაში აყვანის ბრძანებით. ამდენად, ვერ იქნა შეფასებული ნ. ს-ის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება, არ იქნა დადგენილი საამისოდ მნიშვნელოვანი გარემოებები. პალატამ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.01.19წ. №ბს-847(2კ-18) განჩინებაზე, რომლითაც განიმარტა, რომ მოხელის თანამდებობიდან განთავისუფლების პროცესი, მათ შორის შტატების შემცირების საფუძველით, საუკეთესოს შერჩევის პრინციპით უნდა წარიმართოს. გათავისუფლება ობიექტურ, ცხად

და გამჭვირვალე პროცედურებსა და კრიტერიუმებს უნდა ეფუძნებოდეს, რაც შედეგობრივად განთავისუფლებულ პირს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას, სრულად აღიქვას მისი განთავისუფლების, ასევე, მასთან შედარებით სხვა კონკრეტული პირთათვის უპირატესობის მინიჭების საფუძვლები. ნ. ს-ის სამსახურიდან განთავისუფლების ბრძანება ეფუძნებოდა რეორგანიზაციის საფუძვლით შტატების შემცირებას. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა დაედგინა, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მუშაკთა პროფესიული უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის, შრომის დისციპლინისა და სხვა საჭირო ინფორმაციის ობიექტური შეფასების საკითხი. აპელანტის განმარტებით, პოლიციელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამალლების სამსახურს დაემატა საბაზისო მომზადების სამსახურის ფუნქციები, სადაც იმ დროს არსებობდა მთავარი ინსტრუქტორის ერთი ვაკანტური თანამდებობა, როდესაც ნ. ს-ი გაათავისუფლეს თანამდებობიდან რეორგანიზაციის საფუძვლით. დროის ამავე მონაკვეთში ვაკანტური იყო ასევე აკადემიის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის თანამდებობა, ასევე სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში მომზადების სამმართველოს უფროსის თანამდებობა და მთავარი ინსტრუქტორის თანამდებობა. ასევე ვაკანტური იყო აკადემიის სამინისტროს არქივის დირექტორის მოადგილის შტატი. დამსაქმებელს ნ. ს-ისათვის არ შეუთავაზებია აკადემიის საშტატო განრიგში არსებული რომელიმე ვაკანტური თანამდებობის დაკავება. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება, რომ მარტოოდენ რეორგანიზაციის ფაქტი არ ქმნის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს. პალატის მოსაზრებით, გათავისუფლება დასაშვებია იმ დროს, როდესაც რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება. ამავე დროს შტატების შემცირების დროს დამსაქმებელმა უნდა დაიცვას კანონით გათვალისწინებული წესი და მუშაკთა პროფესიული უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის, შრომის დისციპლინისა და სხვა საჭირო ინფორმაციის ობიექტური შეფასების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება, რაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო საქმის ხელახლა არსებითად განხილვის დროს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 31 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ ნ. ს-ი მსახურობდა სსიპ საქართველოს შსს აკადემიაში პროფესიული მომზადების სამმართველოს ...ის თანამ-

დებობაზე. აკადემიის რექტორის 2019 წლის 28 მარტის №MIA 0 19 00793222 ბრძანებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 24 დეკემბრის №975 ბრძანების მე-9 მუხლის, მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად, შეტანილი იქნა ცვლილება „სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის საორგანიზაციო-საშტატო საკითხების შესახებ“ სსიპ საქართველოს შსს აკადემიის 2006 წლის 10 იანვრის №2 ბრძანებით დამტკიცებულ სტრუქტურასა და საშტატო განრიგში, თანდართული ნუსხის შესაბამისად. აღნიშნულ ბრძანებაზე დართული ნუსხის მიხედვით, სსიპ საქართველოს შსს აკადემიაში გაუქმდა საბაზისო მომზადების სამსახური (სულ 14 ერთეული). სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2019 წლის 29 მარტის №MIA 4 19 00803710 ბრძანებით, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანების 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ (შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რასაც თან სდევს შტატების შემცირება) ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების და „სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 24 დეკემბრის №975 ბრძანების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სსიპ საქართველოს შსს აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოს ...ი, ... ნ. ს-ი, 2019 წლის 28 მარტიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილი იქნა კადრების განკარგულებაში.

კასატორის მითითებით, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანების 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პოლიციელი, სამხედრო მოსამსახურე, საჯარო მოხელე და სამოქალაქო პირი უფლებამოსილი პირის ბრძანებით შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან და აყვანილი იქნეს კადრების განკარგულებაში არა უმეტეს 4 თვის ვადით შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რასაც თან სდევს შტატების შემცირება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში პოლიციელს, სამხედრო მოსამსახურეს, საჯარო მოხელესა და სამოქალაქო პირს 2 თვის განმავლობაში უნარჩუნდება ფულადი სარგო (მხოლოდ თანამდებობრივი და ნოდებრივი სარგო) ბოლო დაკავებული თანამდებობის

შესაბამისად. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, კადრების განკარგულებაში აყვანილი პოლიციელი სამხედრო მოსამსახურე, საჯარო მოხელე და სამოქალაქო პირი განკარგულებაში აყვანის დღიდან ითვლება შესაძლო დათხოვნის შესახებ გაფრთხილებულად. ამავე წესის 37-ე მუხლის თანახმად, კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის მეორე დღიდან შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ხდება სამინისტროს პოლიციელის, სამხედრო მოსამსახურის, საჯარო მოხელისა და სამოქალაქო პირის დათხოვნა სამინისტროდან. სსიპ საქართველოს შსს აკადემიის რექტორის 2018 წლის 13 აგვისტოს №1957714 ბრძანების მე-2 პუნქტის შესაბამისად, კადრების განკარგულებაში მყოფი, სსიპ – საქართველოს შსს აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოს ყოფილი ...ი, ... ნ. ს-ი დათხოვნილი იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში 2019 წლის 29 ივლისიდან.

კასატორი აღნიშნავს, რომ „პოლიციის შესახებ“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, უფლებამოსილ პირს, საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე ენიჭებოდა უფლება მიეღო გადაწყვეტილება რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, ხოლო შტატების შემცირება თავის მხრივ ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენდა რეორგანიზაციას, მაგრამ ამასთან გასათვალისწინებელია, რომ მართლოდენ რეორგანიზაციის ფაქტი არ ქმნის სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველს, კერძოდ განთავისუფლება დასაშვებია იმ დროს, როდესაც რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება. სსიპ საქართველოს შსს აკადემიის 2006 წლის 10 იანვრის №2 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის საშტატო ნუსხის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში გათვალისწინებული იყო საბაზისო მომზადების სამსახურის 14 საშტატო ერთეული, მათ შორის სამსახურის უფროსის 1 საშტატო ერთეული. ამასთან, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2019 წლის 28 მარტის №MIA 019 00793222 ბრძანებით ცვლილება იქნა შეტანილი ზემოაღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულ სტრუქტურას და საშტატო განრიგში. კერძოდ, სსიპ საქართველოს შსს აკადემიაში გაუქმდა საბაზისო მომზადების სამსახური (სულ 14 ერთეული) მათ შორის ის საშტატო ერთეული, რომელზეც დასაქმებული იყო ნ. ს-ი.

კასატორის მითითებით, საჯარო სამსახურის დანესებულების რეორგანიზაცია არის საჯარო დანესებულების შიდა სტრუქტურული ან/და ფუნქციონალური გარდაქმნა, რასაც შესაძლოა მოსდევდეს დანესებულების მთლიანად ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის სტატუსის, დაქვემდებარების ან/და ფუნქციონალური დატვირთვის ცვლილე-

ბა. სამტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როცა ფუნქციონალური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი, ახალი სამტატო ერთეულით განისაზღვრა სხვა უფლება-მოვალეობები, ამგვარი სამტატო ერთეულის დასაკავებლად პირის მიერ სხვა კრიტერიუმები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული და ა.შ. რეორგანიზაციის შედეგად ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა შესაძლოა შეიცვალოს. აგრეთვე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოხელის კვალიფიკაციის შესაბამისი ფუნქციონალური დატვირთვის სამსახურში მისი დასაქმების შესაძლებლობა ან თუ ასეთ გადაწყვეტაზე უარი. მიმდინარე სადავო საქმეზე ერთმნიშვნელოვნად დადგენილი იქნა რეორგანიზაციის დროს შტატების შემცირების ფაქტი, კერძოდ, სსიპ საქართველოს შსს აკადემიაში გაუქმდა საბაზისო მომზადების სამსახურის 14 შტატი, მათ შორის ის სამტატო ერთეული, რომელზედაც დასაქმებული იყო ნ. ს-ი. აგრეთვე, თანამდებობიდან გათავისუფლების და კადრების განკარგულებაში აყვანის ეტაპზე და არც კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში არ არის გათვალისწინებული სამსახურის შეთავაზების ვალდებულება, თუმცა მოსარჩელეს მისმა უშუალო უფროსმა მაინც შესთავაზა სამსახური.

რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებას, კასატორის მითითებით, რა ფორმის სარჩელი უნდა იქნეს აღძრული, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზნის მიღწევა სურს მოსარჩელეს. პირმა, რომელიც საჭიროებს სამართლებრივ დაცვას, პირველ რიგში, თვითონ უნდა შეარჩიოს იმ ფორმის სარჩელი, რომელიც ესაჭიროება მიზნის მისაღწევად. მართალია, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია პირს გაუწიოს სათანადო დახმარება (დაეხმაროს სარჩელის ტრანსფორმირებაში), მაგრამ დავის საგნის განსაზღვრა მთლიანად მოსარჩელის კომპეტენციას მიეკუთვნება. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2019 წლის 29 მარტის №803710 ბრძანება (ბრძანების მე-2 პუნქტი, ნ. ს-ის ნაწილში) კანონიერია და განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევას, რის გამოც არ არსებობს მათი ბათილად ცნობის საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

პალატის 2024 წლის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 31 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

სსიპ საქართველოს შსს აკადემიის 2006 წლის 10 იანვრის №2 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის საშტატო ნუსხის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში გათვალისწინებული იქნა საბაზისო მომზადების სამსახური 14 საშტატო ერთეულით, მათ შორის სამსახურის უფროსის 1 საშტატო ერთეული. ნ. ს-ი მსახურობდა სსიპ საქართველოს შსს აკადემიაში პროფესიული მომზადების სამმართველოს ...ის თანამდებობაზე.

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2019 წლის 28 მარტის №MIA 0 19 00793222 ბრძანებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 24 დეკემბრის №975 ბრძანების მე-9 მუხლის, მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად, შეტანილი იქნა ცვლილება, „სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის საორგანიზაციო-საშტატო საკითხების შესახებ“ სსიპ საქართველოს შსს აკადემიის 2006 წლის 10 იანვრის №2 ბრძანებით დამტკიცებულ სტრუქტურასა და საშტატო განრიგში, თანდართული ნუსხის შესაბამისად. აღნიშნულ ბრძანებაზე დართული ნუსხის მიხედვით, სსიპ საქართველოს შსს აკადემიაში გაუქმდა საბაზისო მომზადების სამსახური (სულ 14 ერთეული).

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2019 წლის 29 მარტის №MIA 4 19 00803710 ბრძანებით, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის

დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანების 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ (შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რასაც თან სდევს შტატების შემცირება) ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების და „სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 24 დეკემბრის №975 ბრძანების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სსიპ საქართველოს შსს აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოს ..., ... – ნ. ს-ი, 2019 წლის 28 მარტიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილი იქნა კადრების განკარგულებაში, ხოლო სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2019 წლის 29 ივლისის №MIA 0 19 01981718 ბრძანებით, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანების 34-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, 37-ე მუხლის (დათხოვნა კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო), „სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 24 დეკემბრის №975 ბრძანების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების, მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის, „სსიპ საქართველოს შსს აკადემიის რექტორის მოვალეობის შესრულების დროებით დაკისრების შესახებ“ სსიპ საქართველოს შსს აკადემიის რექტორის 2018 წლის 13 აგვისტოს № 1957714 ბრძანების მე-2 პუნქტის შესაბამისად, კადრების განკარგულებაში მყოფი, სსიპ – საქართველოს შსს აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოს ყოფილი ..., ... – ნ. ს-ი დათხოვნილი იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში 2019 წლის 29 ივლისიდან.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2019 წლის 29 მარტის №803710 ბრძანების მე-2 პუნქტის ბათილად ცნობა, ნ. ს-ის თანამდებობაზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლოს არსებითად არ უმსჯელია სადავო საკითხზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაეფუძნება მხოლოდ იმ გარემოებას, რომ არსებობდა სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების აუცილებლობა, ვინაიდან გასა-

ჩივრებული არ იყო ნ. ს-ის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში დათხოვნის თაობაზე სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2019 წლის 29 ივლისის №MIA 0 19 01981718 ბრძანება. აღნიშნული კი გამორიცხავდა სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნების განხილვის შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული კანონმდებლობა ითვალისწინებს მოსარჩელის მხრიდან ეფექტური შედეგის მიღწევისათვის მოთხოვნის ტრანსფორმირების ინსტიტუტს, რაც ნიშნავს იმას, რომ სასამართლო, პროცესის დაჩქარების მიზნით, მხარეს ეხმარება მოთხოვნის სწორად ჩამოყალიბებაში. სასამართლო, დაჩქარებული საქმისწარმოების მიზნით იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა პროცესუალურ შესაძლებლობას, რაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციული კანონმდებლობით; კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შეზღუდული სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

სარჩელის ტრანსფორმირება არის ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ინკვიზიციურობისა და დისპოზიციურობის პრინციპების შეჯერების ერთ-ერთი გამოხატულება. ერთი მხრივ, ადმინისტრაციული პროცესი გულისხმობს სასამართლოს აქტიურობას, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლო მიუხედავად მისი აქტიური როლისა, უფლებამოსილი არ არის, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს; უფრო კონკრეტულად, აღნიშნული ნორმის რეალიზებისას, სასამართლომ უნდა დაიცვას ორი პირობა: 1. სარჩელის ტრანსფორმირება უნდა ემსახურებოდეს პროცესის დაჩქარებას და 2. სარჩელის ტრანსფორმირებისას მოსამართლე არ უნდა გასცდეს სარჩელის მოთხოვნის ფარგლებს. ამრიგად, მიუხედავად ადმინისტრაციულ პროცესში გათვალისწინებული სარჩელის ტრანსფორმირების შესახებ ჩანაწერისა, სასამართლოები შეზღუდული არიან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მოქმედებით, რომლის მიხედვით, სასამართლოს უფლება არ აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. პროცესის დისპოზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით, სასამართლომ სარჩელის ტრანსფორმირებისას სწორად უნდა დაადგინოს მოსარჩელის იურიდიული ინტერესი – რა უფლების აღსადგენად მიმართა მან სასამართლოს და რა არის მისი საბოლოო ინტერესი.

ნიშანდობლივია, რომ კანონმდებლის მიზანი სასარჩელო მოთხოვნ-

ნის ტრანსფორმირების უფლების შესახებ, გამომდინარეობს საპროცესო ეკონომიის პრინციპიდან, და უზრუნველყოფს სასამართლო წესით უფლების დაცვას გონივრულ ვადაში. ამასთან, სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირების შეცვლისას სავალდებულოა, ეს განახორციელოს მოსარჩელემ სასამართლოს დახმარებით; სასამართლო არ არის უფლებამოსილი, მოსარჩელის ნების გარეშე თავად ჩამოაყალიბოს სასარჩელო მოთხოვნის ახალი ფორმულირება და იმსჯელოს მასზე. იმ შემთხვევაში, თუკი მოსარჩელის მხრიდან ასეთი თანხმობა ვერ იქნება მიღებული, სასამართლო ვალდებულია იმსჯელოს სასარჩელო მოთხოვნაზე პირვანდელი სახით.

ამდენად, დასკვნის სახით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართალია სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, თუმცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროში წარმოშობილი დავების სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, პროცესის ეკონომიის და დაჩქარების მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლო არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით, რაც ადმინისტრაციულ პროცესში შეჯიბრებითობისა და ინკვიზიციურობის პრინციპების შეჯერების ერთ-ერთი გამოვლინებაა (სუსგ საქმე №ბს-294-294(კ-18), 09.12.2019წ.).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლი კი ადგენს გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ აბსოლუტურ საფუძვლებს: გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ: ა) საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ; ბ) სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას; გ) გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება; დ) გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები; ე) გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული; ე1) გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია; ვ) გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსა-

მართლები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი; ზ) გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ; თ) საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი. ამასთან, 385-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად სააპელაციო სასამართლოში, საქმის განხილვა მიმდინარეობს იმ წესების დაცვით, რომელიც გათვალისწინებულია პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის, კერძოდ, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, საქმე განიხილოს არსებითად, გამოიკვლიოს და დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და საქმეს მისცეს სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი დაუბრუნოს საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, როდესაც მას თვითონ არ შეუძლია სრულყოფილად გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები ან როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ სააპელაციო სასამართლო ვერ შეამოწმებს მას ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ ობიექტურად უნდა არსებობდეს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან გადაგზავნის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი (სუსგ საქმე №ბს-1224(კ-19), 25.11.2021წ.).

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატა არ მიუთითებს მის მიერ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის შეუძლებლობაზე. გასაჩივრებული განჩინება ეფუძნება მხოლოდ იმ მოტივაციას, რომ არსებობს სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების საჭიროება და აღნიშნული სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ვერ მოხდება, რადგან სააპელაციო პალატაში მოთხოვნის დაზუსტებისა და შესაბამისად საქმის განხილვის შემთხვევაში სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2019 წლის 29 ივლისის №MIA 0 19 01981718 ბრძანების ნაწილში საქმის განხილვის ინსტანციური წესი ვერ იქნება დაცული. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ხსენებულ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ მართალია, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნების საფუძვლიანობის შემოწმება საჭიროებს პირის თანამდებობიდან დათხოვნის თაობაზე ბრძანების კანონიერების დადგენას, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მოცემულ შემთხვევაში, აგრეთვე გასაჩივრებულია ნ. ს-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის თაობაზე სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორ-

რის 2019 წლის 29 მარტის №MIA 4 19 00803710 ბრძანება, შესაბამისად სხვა მოთხოვნებთან შეჯერებით სასამართლოს მიერ სრულად იყო შესაძლებელი მოსარჩელის საბოლოო მიზნის დადგენა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დანაწესი რეორგანიზაციას, რასაც თან სდევს შტატების შემცირება, უკავშირებს პოლიციელის შესაძლო თანამდებობიდან გათავისუფლებას (არა სამსახურიდან დათხოვნას) და არა უმეტეს 4 თვის ვადით კადრების განკარგულებაში აყვანას. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, კადრების განკარგულებაში აყვანილი პოლიციელი კადრების განკარგულებაში აყვანის დღიდან ითვლება სამსახურიდან შესაძლო დათხოვნის შესახებ გაფრთხილებულად. მითითებული წესის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სამინისტროს მოსამსახურე შეიძლება დათხოვნილ/თანამდებობიდან გათავისუფლებულ იქნეს კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო.

ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლომ იმსჯელა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2019 წლის 29 მარტის №MIA 4 19 00803710 ბრძანების კანონიერების თაობაზე, სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვის ეტაპზე მოთხოვნის ტრანსფორმაცია და სასარჩელო მოთხოვნებს შორის სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2019 წლის 29 ივლისის №MIA 0 19 01981718 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნის დამატება არ გამოიწვევს ინსტანციურობის წესის დარღვევას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება არ გამოიწვევს საქმეში სხვა მოპასუხის ჩაბმას, რაც შესაძლოა ინსტანციურობის წესის დარღვევის საფუძველი გამხდარიყო. საკასაციო პალატა ადასტურებს, რომ სარჩელის მიზნის გათვალისწინებით, გასაჩივრებას ასევე უნდა დაქვემდებარებოდეს სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2019 წლის 29 ივლისის №MIA 0 19 01981718 ბრძანების კანონიერების შეფასებაც, რაც შესაძლებელი იყო სააპელაციო სასამართლოში საქმის არსებითად განხილვის პირობებშიც.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მხარისათვის მოთხოვნის ტრანსფორმირებაში დახმარების განევა ადმინისტრაციული დავის განმხილველი სასამართლოს არა უფლებას, არამედ ვალდებულებას შეადგენს. მოსარჩელის ცხადი იურიდიული ინტერესიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებული იყო დახმარება აღმოეჩინა მოსარჩელისთვის მოთხოვნის დაზუსტებაში (სუსგ საქმე №ბს-

294-294(კ-18), 09.12.2019წ.). საკასაციო ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებით, რომელიც საკასაციო საჩივარს ამონმებს მხოლოდ სამართლებრივი, იურიდიული თვალსაზრისით, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო ხელახლა იკვლევს საქმის როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ საკითხებს. ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლო არ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, იმთავითვე არ ქმნის საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების საფუძველს. არასრული (შეზღუდული) აპელაციის მოდელი არ გამოიციხავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციურ ელემენტებს. აღსანიშნავია, რომ სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება მოსარჩელის იურიდიული ინტერესის სრულყოფილად დაცვისა და პროცესის დაჩქარების მიზანს ემსახურება, შესაბამისად მოსარჩელეს, ადმინისტრაციულ პროცესში არა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში, არამედ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროსაც შეუძლია აღნიშნული უფლებების რეალიზაცია სააპელაციო საჩივრის ფარგლების გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, სასამართლომ სრულყოფილად არ გაანალიზა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება. განჩინება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წანამძღვრებს, განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემომწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის, აღნიშნული, თავის მხრივ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების წინაპირობაა. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება. უკეთეს სასარჩელო მოთხოვნის არსებული ფორმულირებით სარჩელის მიზნის მიღწევა შეუძლებელია, სააპელაციო პალატამ უნდა გამოიყენოს მისთვის სსკ-ის 28¹ მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილება და დაეხმაროს მოსარჩელეს (აპელანტს) სასარჩელო მოთხოვნის სათანადოდ ფორმულირებაში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დაადგინა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 31 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

რეორგანიზაციის საფუძვლით დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1121(კ-23)

25 დეკემბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
თ. ოქროპირიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და ქმედების განხორციელების დაგეგმვა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ლ. ხ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა: ა) ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 14 თებერვლის №MOD ... ბრძანება ლ. ხ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ბ) ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 26 თებერვლის №MOD ... ბრძანება ლ. ხ-ის როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ; გ) დაევალოს სა-

ქართველოს თავდაცვის სამინისტროს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, მოსარჩელე ლ. ხ-ის სამსახურში აღდგენის თაობაზე; დ) დაევალოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელე ლ. ხ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდური შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურება, მისი თანამდებობიდან გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე, თანამდებობისათვის დადგენილი ყოველთვიური ოდენობით; ე) დაევალოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელე ლ. ხ-ის სასარგებლოდ სამივლინებო ხარჯების (როტაციის დასრულების ვადამდე 2021 წლის 24 მარტის ჩათვლით) ანაზღაურება.

სარჩელის თანახმად, ლ. ხ-ი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, ... თავდაცვის ატაშეს თანაშემწის თანამდებობაზე დაინიშნა 2017 წლის 22 ნოემბერს. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის ბრძანებით მოსარჩელე როტაციის წესით სამუშაოდ მიავლინეს ქ. ...ში (...) 3 წლის ვადით, 2018 წლის 25 მარტიდან 2021 წლის 24 მარტის ჩათვლით. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის ბრძანებით 2020 წლის 20 თებერვლიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტში განხორციელდა რეორგანიზაცია, შედეგად – შემცირდა/გაუქმდა თავდაცვის ატაშეს თანაშემწის კატეგორია. აღნიშნული ბრძანება მიღებულია საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ. ადმინისტრაციულ ორგანოს, აქტის გამოცემამდე არ გამოუკვლევიან საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, კერძოდ, რეორგანიზაცია უზრუნველყოფდა თუ არა კანონით განსაზღვრულ სავალდებულო შემადგენლობას – სისტემურ, ეფექტიან მმართველობას ან არსებობდა თუ არა რეორგანიზაციის აუცილებლობა, საჯარო ინტერესი. ვინაიდან ლ. ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება გამოიცა რეორგანიზაციის შესახებ დაუსაბუთებელი ბრძანების საფუძველზე, ასევე დაუსაბუთებელია, გათავისუფლების შესახებ თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 14 თებერვლის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გათავისუფლების მიზეზად რეორგანიზაციის ფაქტის მითითება. ლ. ხ-ის როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 26 თებერვლის №MOD ... ბრძანებით მოსარჩელე ვადაზე ადრე გაიწვიეს სამუშაო მივლინებიდან. მოცემული ბრძანება, თავის მხრივ, არის გათავისუფლების შესახებ უკანონო ბრძანების თანმდევი სამართლებრივი შედეგი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 23 ივლისის საოქმო განჩინებით ლ. ხ-ის სარჩელე

დასაშვებად იქნა ცნობილი.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით ლ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 14 თებერვლის №MOD72000001956 ბრძანება „ლ. ხ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“. ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 26 თებერვლის №MOD22000002130 ბრძანება „ლ. ხ-ის როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ“. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც ლ. ხ-ი აღდგება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეების და სამინისტროს წარმომადგენლების ოფისის IV რანგის, II კატეგორიის უმცროს სპეციალისტად, ... თავდაცვის ატაშეს თანაშემწის თანამდებობაზე. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა იძულებითი გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელოს (განაცდური) ანაზღაურება მოსარჩელის გათავისუფლების დღიდან, მისი სამსახურში აღდგენის დღემდე პერიოდში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა სამივილინებო ხარჯების (როტაციის დასრულების ვადამდე 2021 წლის 24 მარტის ჩათვლით) ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 23 ივლისის საოქმო განჩინება და 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 22 დეკემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 23 ივლისის საოქმო განჩინება და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 22 ნოემბრის №71700003813 ბრძანებით, ლ. ხ-ი დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეების და სამინისტროს წარმომადგენლების ოფისის IV რანგის, II კატეგორიის უმცროს სპეციალისტად, ... თავდაცვის ატაშეს თანაშემწის თანამდებობაზე. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის №... ბრძანებით ლ. ხ-ი როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ იქნა ..., ქ. ...ში 3 წლის ვადით, 2018 წლის 25 მარტიდან 2021 წლის 24 მარტის ჩათვლით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანო რეორგანიზაციის განხორციელებისას იბოჭება კანონით გათვალისწინებული წინაპირობებით და, შესაბამისად, მხოლოდ სათანადო კანონისმიერი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში შეუძლია განხორციელოს რეორგანიზაცია. ამდენად, სასამართლომ შეაფასა არა რეორგანიზაციის მიზანშეწონილობის საკითხი, არამედ, ის თუ რამდენად იყო დაცული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები რეორგანიზაციის განხორციელებისას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №MOD4200000044 ბრძანება არის დაუსაბუთებელი, კერძოდ, ბრძანების გამოცემისას არ მოხდა გარემოებების არსებითი შესწავლა. ბრძანება, რომელიც საფუძვლად დაედო მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლებას, ვერ აკმაყოფილებს, ვერც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპებს, რომ აქტი იყოს დასაბუთებული და გარემოებები არსებითად შესწავლილი, ასევე, ბრძანება ვერ აკმაყოფილებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნას რეორგანიზაციის წესთან და მის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. რეორგანიზაციის აქტი გამოიცა 2020 წლის 20 იანვარს, რომელიც არ შეიცავს არც ფაქტობრივ და არც სამართლებრივ დასაბუთებას, ამ ეტაპზე კი, აპელანტის ზოგადი მითითება – თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის 2020 წლის 1 მაისის №392740 და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის 2020 წლის 21 აგვისტოს №7359659 წერილებზე, როგორც რეორგანიზაციის მოტივებზე, არ აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ აქტის დასაბუთების სტანდარტს. ვერც პირველი ინსტანციის სასამართლოში და ვერც საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის ეტაპზე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვერ იქნა დადასტურებული, თუ კონკრეტულად რა კანონიერ მიზანს ემსახურებოდა რეორგანიზაცია და ატაშის თანაშემწის შტატის გაუქმება საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №MOD2000000044 ბრძანებით, მაშინ, როდესაც აღნიშნულს, ერთი კვირით წინ უსწრებდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის №2 ბრძანება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“

სააპელაციო პალატის განმარტებით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქმედება იყოს თანმიმდევრული, ობიექტური და გამჭვირვალე, რათა მხარეს გაუჩნდეს მუდმივობის და კანონიერების განცდა. კანონიერი ნდობა ადმინისტრაციული ორგანოს

მიმართ არის უმნიშვნელოვანესი პრინციპი ადმინისტრაციული წარმოების დროს. რეორგანიზაცია არ უნდა იყოს დასაქმებულის სადამსჯელო ღონისძიება, არ უნდა ინვევდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითადი პრინციპების სრულ უგულველყოფას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარე ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, დასაბუთებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ მოხელე აღდგენილი უნდა იქნეს გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე. ნებისმიერ შემთხვევაში პირის თანამდებობაზე აღდგენა თავისთავში გულისხმობს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, ანუ პირის იმ თანამდებობაზე დაბრუნებას, საიდანაც ის გათავისუფლებულ იქნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მართებულად დაევალა გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც მოსარჩელე ლ. ხ-ი აღდგება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეების და სამინისტროს წარმომადგენლების ოფისის IV რანგის, II კატეგორიის უმცროს სპეციალისტად, ... თავდაცვის ატაშეს თანაშემწის თანამდებობაზე.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საჯარო დაწესებულებაში მოხელის თანამდებობაზე აღდგენის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ზემდგომი ორგანოს ან სასამართლო გადაწყვეტილების არსებობა, რომლითაც დასტურდება მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების უკანონობა. შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მართებულად დაეკისრა ლ. ხ-ის სასარგებლოდ იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება გათავისუფლების მომენტიდან 2020 წლის 14 თებერვლიდან დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენამდე, ამ თანამდებობისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური ოდენობით. ასევე, მართებულად დადგინდა მოსარჩელე ლ. ხ-ის სასარგებლოდ სამივილინებო ხარჯების (როტაციის დასრულების ვადამდე 2021 წლის 24 მარტის ჩათვლით) გაცემის საკითხი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 23 ივლისის საოქმო განჩინებასთან დაკავშირებით პალატამ განმარტა, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების უშუალო ადრესატს წარმოადგენს

მოსარჩელე ლ. ხ-ი, ხოლო სამართლებრივი მოწერიგების საგანს წარმოადგენს მისი თანამდებობიდან გათავისუფლება და სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტა, თანამდებობაზე აღდგენა და იძულებით გაცდენილი პერიოდის განაცდური ხელფასისა და სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება. საქმის განმხილველმა სასამართლომ მართებულად მიუთითა, რომ გასაჩივრებული აქტებით მოსარჩელეს მიადგა პირდაპირი და უშუალო ზიანი და ცალსახად არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის წინაპირობები. რაც შეეხება რეორგანიზაციის ბრძანების გაუსაჩივრებლობას, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად განმარტა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ბრძანებით განისაზღვრა – 2020 წლის 20 თებერვლიდან „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტში განხორციელდეს რეორგანიზაცია შტატების შესაძლო შემცირებით.“ აღნიშნულიდან გამომდინარე, რეორგანიზაციის ბრძანების ადრესატს არ წარმოადგენდა მოსარჩელე. რეორგანიზაციის ბრძანება არის ზოგადი ხასიათის, არ არის იმპერატიული სახით ჩამოყალიბებული და შეუძლებელია შეფასდეს, როგორც მოსარჩელისათვის პირდაპირი და უშუალო ინდივიდუალური ზიანის მიმყენებელი. რეორგანიზაციის აქტს არ გამოუწვევია მოსარჩელის კანონიერი უფლების ან კანონიერი ინტერესისთვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენება და უფლების უკანონო შეზღუდვა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 22 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 12 ივლისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 22 დეკემბრის განჩინება (თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების ნაწილში) და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი გარემოებები: ა) საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 22 ნოემბრის №7170003813 ბრძანებით ლ. ხ-ი დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეების და სამინისტროს წარმომადგენ-

ლების ოფისის IV რანგის, II კატეგორიის უმცროს სპეციალისტად, ... თავდაცვის ატაშეს თანაშემწის თანამდებობაზე 12 (თორმეტი) თვის გამოსაცდელი ვადით. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის №... ბრძანებით ლ. ხ-ი როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ იქნა ..., ქ. ...ში, 3 წლის ვადით – 2018 წლის 25 მარტიდან 2021 წლის 24 მარტის ჩათვლით. ლ. ხ-ი 2018 წლის 18 დეკემბრის საქართველოს თავდაცვის მინისტრის №... ბრძანებით 2018 წლის 16 დეკემბრიდან გადაყვანილ იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების სამსახურის IV რანგის, II კატეგორიის უმცროს სპეციალისტად, თავდაცვის ატაშეს თანაშემწის თანამდებობაზე ... და თანამდებობრივ სარგოდ განესაზღვრა ... ევრო; ბ) საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №4200000044 ბრძანებით 2020 წლის 20 თებერვლიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტში განხორციელდა რეორგანიზაცია შტატების შემცირებით. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №72000053977 აქტით საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლ. ხ-ი გააფრთხილა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების გამო, 2020 წლის 20 თებერვლიდან სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ. „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოსა და შრომის ანაზღაურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №MOD 91900000762 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 თებერვლის №MOD7200000155 ბრძანებით, ჩამოყალიბდა განახლებული საშტატო ნუსხა, თანამდებობრივი სარგოს ოდენობა და შრომის ანაზღაურების წესი. „ლ. ხ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 14 თებერვლის MOD ... ბრძანებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის IV რანგის, II კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი, თავდაცვის ატაშეს თანაშემწე ... ლ. ხ-ი 2020 წლის 20 თებერვლიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ლ. ხ-ს მიეცა 20-დღიანი ვადა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 26 თებერვლის ბრძანებით როტაციის წესით შეუწყდა სამუშაო მივლინება ვადაზე ადრე, 2020 წლის 11 მარტიდან. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 მარტის ბრძანებით ლ. ხ-ი პირადი განცხადების საფუძველზე 2 წლის ვადით, 2020 წლის 12 მარტიდან 2022 წლის 12 მარტის ჩათ-

ვლით, ჩარიცხულ იქნა მოხელეთა რეზერვში და მიეცა 3 თვის თანამდებობრივი სარგო.

სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ საჯარო მოსამსახურეს და მასზე ვრცელდებოდა დასახელებული კანონის მოქმედება. სადავო აქტებში ლ. ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლად მითითებულია სწორედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 108-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი და 110-ე მუხლის პირველი პუნქტი. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის დასადგენად უნდა შეფასდეს დაწესებულების რეორგანიზაციის გამო მოსარჩელის მიერ დაკავებული საშტატო ერთეულის შემცირების ფაქტი რეორგანიზაციის მიზნებთან დაკავშირებით.

საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ რეორგანიზაციამდე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის თავდაცვის ატაშეს აპარატი ... შედგებოდა ორი საშტატო ერთეულისაგან – თავდაცვის ატაშე და მეოთხე რანგის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – თავდაცვის ატაშეს თანაშემწე. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 თებერვლის №MOD7200000155 ბრძანებით ცვლილება შევიდა „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოსა და შრომის ანაზღაურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №MOD91900000762 ბრძანებაში, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა განახლებული საშტატო ნუსხა, თანამდებობრივი სარგოს ოდენობა და შრომის ანაზღაურების წესი. განახლებული საშტატო ნუსხის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის თავდაცვის ატაშეს აპარატი ... შედგებოდა ერთი საშტატო ერთეულისაგან – თავდაცვის ატაშე. ამასთან, ხსენებულ თანამდებობაზე საშტატო კატეგორიად მიეთითა „ბრიგადის გენერალი“. ამდენად, დადგენილია, რომ რეორგანიზაციის შემდგომ მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობა აღარ არსებობდა. საგულისხმოა, რომ არც თავად მოსარჩელე და არც ქვედა ინსტანციის სასამართლოები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ რეორგანიზაციის ფარგლებში ლ. ხ-ის მიერ დაკავებული თანამდებობის მსგავსი (ფუნქციური დატვირთვით) საშტატო ერთეული არ შექმნილა. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ თავდაცვის სამინისტრომ მიიღო შესაბამისი ზომები მობილობის განსახორციელებლად, თუმცა შესაბამისი ვაკანტური თანამდებობა ვერ იქნა მოძიებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ ვერ გააქარწყლა ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია, რომ სახე-

ზე იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 108-ე მუხლის „ბ“ ქვე-პუნქტითა და 110-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემადგენლობა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატა სადა-ვო განჩინებაში ვერ ასაბუთებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ კონკრეტულად რომელი მოთხოვნა იქნა დარღვეული თავდაცვის სამინისტროს მიერ. გასაჩივრებულ განჩინებაში სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია რამდენად ექცეოდა სამინისტროში განხორციელებული ცვლილებები „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 103-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული რეორგანიზაციის დეფინიციამ, რეალურად ჰქონდა თუ არა ადგილი შტატების შემცირებას, მოსარჩელის მიერ ადრე დაკავებული თანამდებობის ტოლფასი თანამდებობის შექმნას. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული საკითხების შეფასება სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენდა. სააპელაციო პალატა გასაჩივრებულ განჩინებაში ყურადღებას ამახვილებს ადმინისტრაციული წარმოების გამართვის, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და აქტის დასაბუთებულობის საკითხებზე, თუმცა არ მიუთითებს კონკრეტულად კანონმდებლობის რომელ მოთხოვნათა უგულებელყოფით იქნა გამოცემული სადავო აქტები. სააპელაციო პალატას არ უმსჯელია და არ შეუდარებია რეორგანიზაციამდე არსებული და რეორგანიზაციის შემდგომ დამტკიცებული საშტატო ნუსხები მათი იდენტურობის ან ფუნქციური თავსებადობის თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია შეცვალოს არსებული ორგანიზაციული მოწყობა, მოახდინოს შტატების ოპტიმიზაცია, საშტატო ერთეულის დამატება, გაერთიანება ან გაუქმება, ადმინისტრაცია ცვლილებების გატარებისას სარგებლობს მიხედულების, თავისუფალი დისკრეციის უფლებამოსილებით, ხოლო სასამართლო კონტროლი ამ პროცესში მოიცავს კანონიერების და არა მიზანშეწონილობის საკითხებს (სუსგ 12.04.2018წ. №ბს-1102-1096(კ-17)). ამდენად, სასამართლო კონტროლი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, კერძოდ, ადმინისტრაციულ ორგანოში რეორგანიზაციის ჩატარების პირობებში სასამართლო ვერ იმსჯელებს კონკრეტული საშტატო ერთეულის გაუქმების ან დამატების საჭიროებაზე, არამედ ამ პროცესში სასამართლო ამომწმებს აქვს თუ არა ადგილი საშტატო ერთეულების მხოლოდ ფორმალურ ცვლილებას და მოხელის გათავისუფლების მოტივით ორგანოს მიერ ხელოვნური პროცედურების განხორციელებას, მოხელეთა თა-

ნასწორუფლებიანობის შეზღუდვას, გადანყვეტილების მიღების პროცედურული საკითხების დარღვევას და სხვა. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნულ საკითხებზე სააპელაციო პალატას არ უმსჯელია, რაც დაუსაბუთებელს ხდის მიღებულ გადანყვეტილებას.

სადავო განჩინების მიღებისას სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მითითებულ გარემოებებზე, რომლის თანახმად, თავდაცვის სამინისტროში ნატოსთან თანამშრომლობის მიმართულებით მიმდინარეობდა რეფორმებისა და ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც მოიცავდა თავდაცვის ატაშატის რაციონალური, ეფექტიანი და შედეგებზე გათვლილი სტრუქტურისა და ორგანიზაციის ჩამოყალიბებას. დისკუსიების შედეგად შეჯერებულ იქნა თავდაცვის ატაშატის პოლიტიკა, შემუშავებულ იქნა ოპტიმალური და ეფექტური სტრუქტურა და განისაზღვრა სტრუქტურული განვითარების გეგმა. ერთ-ერთ ასპექტს, რაციონალიზაციისა და სტანდარტიზაციის თვალსაზრისით, წარმოადგენდა თავდაცვის ატაშატებში ატაშეს თანამშენის (სამოქალაქო სამტატო ერთეულის) გაუქმება. სააპელაციო პალატა გასაჩივრებულ განჩინებაში მიუთითებს, რომ რეორგანიზაციის კანონიერად შესაფასებლად, საკმარისი არ არის მხოლოდ სამტატო ერთეულის შემცირების/გაუქმების ფაქტი, არამედ აუცილებელია რეორგანიზაციის განხორციელების კანონით გათვალისწინებული მიზნების არსებობა – რეორგანიზაციის საჯარო სამსახურებრივი ინტერესი ან/და სისტემური ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზანი, თუმცა პალატა ვერ მიუთითებს საქმის გარემოებებიდან გამომდინარე კონკრეტულად კიდევ რა სახის მტკიცებულებებით უნდა დაესაბუთებინა ადმინისტრაციულ ორგანოს რეორგანიზაციის საჯარო სამსახურებრივი ინტერესი ან/და სისტემური ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზანი. ამ კუთხით სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი დებულებების მითითებით.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ ადმინისტრაციულ ორგანოში ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად, გაუქმდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის სამოქალაქო თანამდებობები, ხოლო თავდაცვის ატაშეს თანამდებობაზე განისაზღვრა სამტატო კატეგორია – „ბრიგადის გენერალი“. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკითხიც სააპელაციო პალატის მსჯელობის მიღმა დარჩა. საგულისხმოა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 ივლისის გადანყვეტილებით (რომელიც ძალაში დარჩა სააპელაციო პალატის სადავო განჩინებით) თავდაცვის სამინისტროს დაევალა ახალი აქტის გამოცემა, რომლითაც ლ. ხ-ი აღდგებოდა საქართველოს თავდაც-

ვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეების და სამინისტროს წარმომადგენლების ოფისის IV რანგის, II კატეგორიის უმცროს სპეციალისტად, ... თავდაცვის ატაშეს თანაშემწის თანამდებობაზე. ამავე დროს, ქვედა ინსტანციის სასამართლოები არ უარყოფენ იმ გარემოებას, რომ მითითებული საშტატო ერთეული (ან/და ფუნქციონალური დატვირთვით მისი ტოლფასი საშტატო ერთეული) აღარ არსებობს. ამდენად, გადანყვეტილების აღსრულების მიზნებისთვისაც, გასაჩივრებული განჩინება შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ დებულებებს, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც მოცემული ეტაპისთვის გასულია მოსარჩელის მივლინების ვადა.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის პოზიცია, რომლის თანახმად, რეორგანიზაციის განხორციელების შესახებ 2020 წლის 20 იანვრის №4 20 00000044 ბრძანებაზე მსჯელობისას სასამართლომ გასცდა დავის საგანს. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, როდესაც დავის საგანს რეორგანიზაციის საფუძვლით მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლება წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულია თუ არა რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ აქტი, სასამართლო მოკლებული არ არის შესაძლებლობას იმსჯელოს აღნიშნული აქტის კანონშესაბამისობაზე, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მსჯელობა უნდა შეეხოს არა მიზანშეწონილობის, არამედ მხოლოდ კანონიერების საკითხებს. საქმის ხელახალი განხილვის ფარგლებში სააპელაციო პალატამ უნდა დაასაბუთოს რეორგანიზაციის პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის კონკრეტულ მოთხოვნათა დარღვევის ფაქტები, შეაფასოს როგორც ქველი, ისე ახალი საშტატო ნუსხა, მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობის ტოლფასი საშტატო ერთეულის არსებობის საკითხი და აღნიშნულის შედეგად მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2023 წლის 16 თებერვალს გამართულ სასამართლო სხდომაზე ლ. ხ-ის მიერ დაზუსტდა მე-3 სასარჩელო მოთხოვნა და ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმით: დაევალოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, მოსარჩელე ლ. ხ-ის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების სამსახურის IV რანგის, II კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის, ... თავდაცვის ატაშეს თანაშემწის ან მის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიის 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე, ლ. ხ-ის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეების და სამინისტროს წარმომადგენლების ოფისის IV რანგის, II კატეგორიის უმცროს სპეციალისტად, ... თავდაცვის ატაშეს თანაშემწის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელე ლ. ხ-ის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების სამსახურის IV რანგის, II კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის, ... თავდაცვის ატაშეს თანაშემწის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ: ა) საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №42000000044 ბრძანებით 2020 წლის 20 თებერვლიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტში განხორციელდა რეორგანიზაცია შტატების შემცირებით; ბ) საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №72000053977 აქტით, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლ. ხ-ი გააფრთხილა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების გამო 2020 წლის 20 თებერვლიდან სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ; გ) საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 თებერვლის №MOD72000000155 ბრძანებით, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოსა და შრომის ანაზღაურების დამტკიცების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №MOD 91900000762 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, ჩამოყალიბდა განახლებული საშტატო ნუსხა, თანამდებობრივი სარგოს ოდენობა და შრომის ანაზღაურების წესი; დ) „ლ. ხ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 14 თებერვლის №MOD ... ბრძანებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის IV რანგის, II კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი, თავდაცვის ატაშეს თანაშემწე ... ლ. ხ-ი 2020 წლის 20 თებერვლიდან გათავისუფლდა და კავებული თანამდებობიდან; ე) ლ. ხ-ს მიეცა 20-დღიანი ვადა და საქარ-

თველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 26 თებერვლის ბრძანებით როტაციის წესით შეუწყდა სამუშაო მივლინება ვადაზე ადრე 2020 წლის 11 მარტიდან; ვ) საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 მარტის ბრძანებით ლ. ხ-ი პირადი განცხადების საფუძველზე 2 წლის ვადით 2020 წლის 12 მარტიდან 2022 წლის 12 მარტის ჩათვლით ჩარიცხულ იქნა მოხელეთა რეზერვში და მიეცა 3 თვის თანამდებობრივი სარგო.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვერც პირველი ინსტანციის სასამართლოში და ვერც საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის ეტაპზე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვერ იქნა დადასტურებული, თუ რამ აღმოფხვრა მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობით (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის IV რანგის, II კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი, თავდაცვის ატაშეს თანაშემწე ...) გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების საჭიროება, მაშინ, როდესაც ცალსახაა, რომ კონკრეტული დეპარტამენტი მხოლოდ ორი საშტატო ერთეულისაგან შედგებოდა (თავდაცვის ატაშე და მეოთხე რანგის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – თავდაცვის ატაშეს თანაშემწე). მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც ატაშის თანაშემწის შტატის გაუქმებას ერთი კვირით წინ უსწრებდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის №2 ბრძანება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“, რაც თავის მხრივ, საქართველოს თავდაცვის ატაშეს თანაშემწის შტატის არსებობის საჭიროებაზე მიუთითებდა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აპელანტის წარმომადგენლის მითითება, რომ რეორგანიზაციის ფაქტობრივი აუცილებლობა განაპირობა თავდაცვის დაგეგმვის პროცესის ნატოს სტანდარტებზე დაყრდნობით განხორციელებამ (იხ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2023 წლის 15 მაისის №MOD 9 23 00536439 წერილი), არის ზოგადი შინაარსის განმარტება რეორგანიზაციის მოტივზე. იმ პირობებში, როდესაც აპელანტი ვერ მიუთითებს კონკრეტულად რა გარემოებებმა განაპირობა თავდაცვის ატაშეს აპარატში ატაშეს თანაშემწის სამოქალაქო საშტატო ერთეულის ნატოს სტანდარტებთან შეუსაბამობა, ზემოაღნიშნული განმარტება არ აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ აქტის დასაბუთების სტანდარტს.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ რეორგანიზაციის შედეგად გაუქმებული თავდაცვის ატაშეს თანაშემწის საშტატო ერთეული მიეკუთვნებოდა თავდაცვის ატაშეს აპარატს, ხოლო „დიპლომატი-

ური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, როგორც რეორგანიზაციის დროს მოქმედი, ასევე არსებული მდგომარეობით მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს თავდაცვის ატაშეს აპარატის უმცროს დიპლომატიურ თანამდებობას და ასევე მიუთითებს აპარატის საქმიანობის წესის განსაზღვრაზე. ამდენად, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №42000000044 ბრძანება, რომლითაც 2020 წლის 20 თებერვლიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტში განხორციელდა რეორგანიზაცია შტატების შემცირებით, ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს, რაც თავის მხრივ, განხორციელებული რეორგანიზაციის კანონშეუსაბამოდ მიჩნევის საფუძველია. ამასთან, რეორგანიზაციის უკანონოდ მიჩნევის პირობებში, აღარ არსებობს დამატებით რეორგანიზაციამდე არსებული და რეორგანიზაციის შემდგომ დამტკიცებული საშტატო ნუსხების შედარების, მათი იდენტიურობის ან ფუნქციური თავსებადობის თვალსაზრისით მსჯელობის აუცილებლობა.

რაც შეეხება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №2723 განკარგულებას, რომლითაც ცვლილება შევიდა „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოსა და შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 7 თებერვლის №318 განკარგულებაში (აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, საშტატო ერთეულის რაოდენობა არის 627, რომლის შემადგენლობაში შედის კატეგორია – თავდაცვის ატაშეს თანაშემწის კატეგორია და მათ შორის, თავდაცვის ატაშეს თანაშემწე ...), სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, საჯარო დანესებულების რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საჯარო დანესებულების ხელმძღვანელი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მონინალმდევე მხარის არგუმენტაცია არსებულ შეუსაბამოებაზე და მიიჩნია, რომ საქართველოს მთავრობის განკარგულებით განსაზღვრული საშტატო ნუსხის მოქმედების პირობებშიც, საჯარო სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე, სისტემური, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, ადმინისტრაციული ორგანო (საჯარო დანესებულების ხელმძღვანელი) უფლებამოსილია გააუქმოს ზემოაღნიშნული განკარგულებით გათვალისწინებული საშტატო ერთეული და რეორგანიზაციის შესახებ ბრძანება არ ეწინააღმდეგება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოსა და შრომის ანაზღაურების

შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობს „ლ. ხ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 14 თებერვლის №MOD ... ბრძანების და „ლ. ხ-ის როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 26 თებერვლის №MOD ... ბრძანების ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აპელანტის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ იქნა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2022 წლის 3 მარტის №MOD 4 22 00000150 ბრძანება, რომლითაც ცვლილება შევიდა „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოსა და შრომის ანაზღაურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2022 წლის 14 იანვრის №MOD 0 22 00000020 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული №3, №5 და №9 დანართები ჩამოყალიბდა თანდართული რედაქციით. აღნიშნული ბრძანებით დასტურდება, რომ თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის ... თავდაცვის ატაშეს თანაშემწის სამოქალაქო თანამდებობა, რომელ თანამდებობაზე აღდგენასაც ითხოვს მოსარჩელე, არსებული მდგომარეობით აღარ არსებობს. საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების გაანალიზების შედეგად დგინდება, რომ საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის ეტაპზე დამსაქმებელთან არ არსებობს მოსარჩელის თავდაპირველი პოზიციის იდენტური ვაკანტური თანამდებობა. სწორედ ამიტომ, მოსარჩელე, მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, უნდა აღდგეს არა პირდაპირ იმავე თანამდებობაზე, არამედ უნდა დაინიშნოს ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დანესებულების სისტემაში, ხოლო თუ მისი სამსახურში აღდგენა შეუძლებელი იქნება იმავე საჯარო დანესებულების სისტემაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ ჯეროვნად უნდა განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მობილობის პროცედურა და კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები. შესაბამისად, კონკრეტულ თანამდებობაზე პირდაპირ აღდგენის ნაწილში გასაჩივრებული გადანყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უნდა დაევალოს ლ. ხ-ის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების სამსახურის IV რანგის, II კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის, ... თავდაცვის ატაშეს თანაშემწის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება ტოლფასი თანამდებობის არსებობის თაობაზე და განმარტავს, რომ გადანყვეტილების აღსრულების პროცესში შესაძლოა არსებული რეალობა შეიცვალოს, თუმცა, თუ გადანყვეტილების აღსრულების პროცესშიც იმავე საჯარო დანესებულების სისტემაში არ იქნება ტოლფასი თანამდებობა ვაკანტური, ადმინისტრაციულმა ორგანომ ჯეროვნად უნდა განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურები/ლონისძიებები. კერძოდ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის შესაბამისად, თუ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია იმავე საჯარო დანესებულების სისტემაში, ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო, ასეთ შემთხვევაში, საჯარო დანესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით. ამასთან, სამსახურში აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში პირი ირიცხება მოხელეთა რეზერვში და მას ეძლევა განაცდური შრომითი გასამრჯელო და კომპენსაცია თანამდებობრივი სარგოს სრული ოდენობით 6 თვის განმავლობაში. ვინაიდან სასამართლომ უკანონოდ ცნო მოსარჩელის – ლ. ხ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება, მისი მოთხოვნა სამსახურში აღდგენასთან დაკავშირებით საფუძვლიანი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო, თუმცა მოპასუხეს უნდა დაევალოს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ლ. ხ-ის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების სამსახურის IV რანგის, II კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის, ... თავდაცვის ატაშეს თანაშემწის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ. ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მიხედვით, ლ. ხ-ს უნდა აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური მისი გათავისუფლების დღიდან სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულებამდე. რაც შეეხება ლ. ხ-ისათვის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მის მიერ მიღებული კომპენსაციის თანხა.

სააპელაციო პალატის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, მოხელეს აუნაზღაურდება სამსახურებრივი მივლინების ხარჯები. „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილების მე-3 მუხ-

ლის მე-7 პუნქტის თანახმად, მოხელეს, რომელსაც გზავნიან სამსახურებრივ მივლინებაში, სრულად უნდა აუნაზღაურდეს სამივლინებო ხარჯები მივლინებაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში, გარდა ამ წესით დადგენილი გამონაკლისებისა. ამრიგად, მოსარჩელე ლ. ხ-ის მოთხოვნა სამივლინებო ხარჯების (როტაციის დასრულების ვადამდე 2021 წლის 24 მარტის ჩათვლით) ანაზღაურებასთან დაკავშირებით ასევე საფუძვლიანია და მართებულად დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების უშუალო ადრესატს წარმოადგენს ლ. ხ-ი (მოსარჩელე), ხოლო სამართლებრივი მოწერილების საგანს წარმოადგენს მისი თანამდებობიდან გათავისუფლება, სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტა, თანამდებობაზე აღდგენა და იძულებით გაცდენილი პერიოდის განაცდური ხელფასისა და სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად აღნიშნა, რომ გასაჩივრებული აქტებით მოსარჩელეს მიადგა პირდაპირი და უშუალო ზიანი, რაც სარჩელის დასაშვებად ცნობის წინაპირობას წარმოადგენს.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ იმსჯელა თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №44 ბრძანების კანონიერებაზე და მისი გამოცემის მიზანშეწონილობაზე. სასამართლოს განმარტებით თავდაცვის მინისტრის №44 ბრძანება არის დაუსაბუთებელი და უკანონო, ხოლო მის საფუძველზე გამოცემული სადავოდ გამხდარი აქტები კი, ექვემდებარება ბათილად ცნობას. საფულისხმოა, რომ მოსარჩელის მხრიდან თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №44 ბრძანება რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ სადავოდ არ არის გამხდარი და არც დავის საგანს წარმოადგენდა. ასეთ შემთხვევაში კი, სასამართლოს მიერ მითითებული აქტი უნდა შეფასებულიყო, როგორც მტკიცებულება და დადგენილიყო საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობა ან არარსებობა. სააპელაციო სასამართლოს არ უნდა ემსჯელა თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №44 ბრძანების კანონიერებაზე და მისი გამოცემის მიზანშეწონილობაზე, რამეთუ ასეთი მოთხოვნით სარჩელი აღძრული არ ყოფილა. უფრო მეტიც, სასამართლომ არ გამიჯნა, სარჩელის მოთხოვნის ობიექტი-საგანი მისი ფაქტობრივი საფუძვლებისგან, რის გამოც იმსჯელა არა დავის საგნის, არამედ სამინისტროს მიერ გამოცხადებული რეორგანიზაციის კანონიერებაზე და მიზანშეწონილობაზე. სასამართლოს კვალიფიციური შეფასება უნდა მიეცა დავის საგნისათვის, უნდა შეეფასებინა მხოლოდ

თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 14 თებერვლის №1956 და 2020 წლის 26 თებერვლის №2130 ბრძანებების კანონიერება, როგორც ფორმალური, ისე მატერიალური კუთხით, კერძოდ, ფორმალური კუთხით – სადავო 2020 წლის 14 თებერვლის №1956 და 2020 წლის 26 თებერვლის №2130 ბრძანებები იყო თუ არა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ გამოცემული, მათი გამოცემის დროს იყო თუ არა დაცული ადმინისტრაციული წარმოების მოთხოვნები: წარმოების ფორმა, წარმოების დაწყების საფუძვლები, კანონით გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დაწესების აკრძალვა და ა.შ.; მატერიალური კუთხით – სადავო 2020 წლის 14 თებერვლის №1956 და 2020 წლის 26 თებერვლის №2130 ბრძანებების გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაცული იყო თუ არა კანონიერების პრინციპი, უფლებამოსილების სამართლებრივი საფუძველი, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მართლზომიერება, თანაზომიერების და კონკრეტულობის პრინციპი და ა.შ.

კასატორის განმარტებით, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს არგუმენტაცია, რომ სამინისტროს მიერ ვერ იქნა დადასტურებული, თუ რა კანონიერ მიზანს ემსახურებოდა თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №44 ბრძანებით გამოცხადებული რეორგანიზაცია. თავდაცვის სამინისტროში ნატოსთან თანამშრომლობის მიმართულებით მიმდინარეობს რეფორმებისა და ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც ეფუძნება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინტერესებს და ნატოს წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას და გამოცდილებას. პარალელურად ორმხრივ ფორმატში საქართველოსა და აშშ-ის თავდაცვის უწყებებს შორის მიმდინარეობს თავდაცვის მიმოხილვის სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება. ორივე ხაზით მუშაობის პროცესში მხარეთა ერთ-ერთ სადისკუსიო მიმართულებას წარმოადგენდა თავდაცვის ატაშატის რაციონალური, ეფექტიანი და შედეგებზე გათვლილი სტრუქტურისა და ორგანიზაციის ჩამოყალიბება. შეხვედრების და დისკუსიების შედეგად შეჯერებულ იქნა თავდაცვის ატაშატის პოლიტიკა, შემუშავებულ იქნა ოპტიმალური და ეფექტური სტრუქტურა და განისაზღვრა სტრუქტურული განვითარების გეგმა. ერთ-ერთ ასპექტს რაციონალიზაციისა და სტანდარტიზაციის თვალსაზრისით, წარმოადგენდა თავდაცვის ატაშატებში ატაშეს თანაშემწის (სამოქალაქო საშტატო ერთეულის) გაუქმება, რათა თავდაცვის ატაშეების აპარატების საქმიანობის ეფექტიანი, ხოლო მეორე მხრივ თავდაცვის ატაშატების აპარატების საშტატო კატეგორიების ერთიან სტანდარტში მოქცევის მიზნით გათვალისწინებული ყოფილიყო მსოფლიოში არსებული პატარა ქვეყნების სტანდარტები და საუკეთესო გამოცდილება, ასევე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური სამსა-

ხურების მოწყობის სტანდარტი. გარდა აღნიშნულისა, თავდაცვის სფეროში ქვეყნებს (თავდაცვის სამინისტროებს) შორის ურთიერთობების დარეგულირების და თანამშრომლობის ინტენსიფიკაციის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს სტრატეგიული ინტერესების მქონე ქვეყნებში თავდაცვის ატაშეს აპარატის ინსტიტუტის არსებობა, ხოლო ფუნქციური დანიშნულება თავდაცვის ატაშეს მიერ დაკისრებული ფუნქციის შესრულების ხელშეწყობაში მდგომარეობს და ამ კუთხით განსაკუთრებულად მოითხოვს სამხედრო საქმის ცოდნას, ასევე, ქვეყნებს შორის სამხედრო ხასიათის ურთიერთობებში, კონფერენციებში ჩართულობასა და მონაწილეობას. საშტატო ერთეულების რაოდენობა დამოკიდებულია როგორც თავდაცვის სფეროში შესაბამის ქვეყანასთან (თავდაცვის სამინისტროებს) ორმხრივი ურთიერთობების დინამიკაზე, მოცულობაზე, პირდაპირი კომუნიკაციის არსებულ მექანიზმზე, ასევე საბიუჯეტო ასიგნებებზე. ყოველივე ზემოაღნიშნული კი წარმოადგენდა საფუძველს, რომ თავდაცვის სამინისტროში მითითებული მიმართულებით განხორციელებულიყო რეორგანიზაცია. შესაბამისად, თავდაცვის სამინისტროში 2019 წლიდან დაიწყო თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების სტრუქტურული ქვედანაყოფის და მის საშტატო სტრუქტურაში შემავალი თავდაცვის ატაშეს აპარატების რეფორმირების პროცესი, კერძოდ: 1. თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 21 იანვრის №47 ბრძანებით თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის საშტატო თანამდებობა გადაკეთდა სამხედრო თანამდებობად, რის გამოც სამსახურიდან გათავისუფლდა ამ ქვედანაყოფის ყოფილი უფროსი (სამოქალაქო პირი), ხოლო უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა სამხედრო წოდების მქონე მოსამსახურე; 2. ..., აგრეთვე ... თავდაცვის ატაშეს აპარატის საშტატო განრიგში, თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 თებერვლის № 155 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება – შეიკვეცა თავდაცვის ატაშეს აპარატის საშტატო ერთეულების რაოდენობა. საბიუჯეტო თანხების ოპტიმალურად და რაციონალურად გადანაწილების, აგრეთვე თავდაცვის ატაშეების რესურსების საკმარისობის ფაქტორის და თავდაცვის ატაშატების გასამხედროების მიდგომის გათვალისწინებით, გაუქმდა თავდაცვის ატაშეს თანამშემნის საშტატო – სამოქალაქო თანამდებობები. აღსანიშნავია, რომ ამ რეფორმის შედეგად, თავდაცვის ატაშეების აპარატების საქმიანობის ეფექტიანი, ხოლო მეორე მხრივ, თავდაცვის ატაშეების აპარატების საშტატო კატეგორიების ერთიან სტანდარტში მოქცევის მიზნით, თავდაცვის ატაშეს აპარატის ყველა სამოქალაქო საშტატო თანამდებობა ჩამოყალიბდა სამხედრო თანამდებობების სახით, რითაც მიღწეულ იქნა დაგეგმილი რეფორმის მიზანი.

კასატორის განმარტებით, სასამართლო უსაფუძვლოდ შეიჭრა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში და განიხილა რეორგანიზაციის მიზანშეწონილობა მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია შეცვალოს არსებული ორგანიზაციული მოწყობა, მოახდინოს შტატების ოპტიმიზაცია, საშტატო ერთეულის დამატება, გაერთიანება ან გაუქმება. ადმინისტრაცია ცვლილებების გატარებისას სარგებლობს მიხედულების, თავისუფალი დისკრეციის უფლებამოსილებით, ხოლო სასამართლო კონტროლი ამ პროცესში მოიცავს კანონიერების და არა მიზანშეწონილობის საკითხებს. საკადრო ოპტიმიზაციის პროცესში ადმინისტრაციული ორგანო მიზანშეწონილობის პირობებში მოქმედებს. შესაბამისად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი შეიჭრას ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციაში და საჯარო მმართველობის განმახორციელებელ სუბიექტს თავად განუსაზღვროს თანამდებობათა არსებობა-არარსებობის საჭიროება, ვინაიდან, საკადრო საჭიროებების შეფასებისა და აღნიშნულის შედეგად საკადრო საკითხების გადაწყვეტისას ადმინისტრაციული ორგანო სარგებლობს მიხედულების ფართო ფარგლებით. ამდენად, განსაზღვრა იმისა, კონკრეტულად რომელი შტატის/შტატების არსებობაა საჭირო და საკმარისი ადმინისტრაციული ორგანოს სრული, ეფექტური და მაქსიმალურად ეკონომიური ფუნქციონირებისათვის, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს განეკუთვნება. ამასთან, რეორგანიზაციის განხორციელების აუცილებლობის არსებობის პირობებში, რეორგანიზაციის საფუძველზე საკადრო ოპტიმიზაცია ადმინისტრაციული ორგანოს შეხედულების შესაბამისად წარიმართება, თავად ადმინისტრაციული ორგანოა ექსკლუზიურად კომპეტენტური განსაზღვროს, კონკრეტულად რომელი შტატის დამატება/გაუქმება ან რომელ შტატთა გაერთიანება უწყობს ხელს საჯარო მმართველობის ეფექტურად განხორციელებას.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო გასცდა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს და მოწინააღმდეგე მხარეს შეაცვლევინა სასარჩელო მოთხოვნა იმავე თანამდებობაზე აღდგენის ნაცვლად ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში. ამასთან, სასამართლო დავალების საფუძველზე წარდგენილი 13.04.2023 წლის №423882 წერილით დასტურდება, რომ ტოლფასი რანგისა და კატეგორიის ან/და მისი კომპეტენციის გათვალისწინებით უფრო დაბალი რანგის თანამდებობა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში არ არის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 12 ივლისის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი. გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 22 დეკემ-

ბრის განჩინება (თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების ნაწილში) და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს. საკასაციო სასამართლომ მითითებული განჩინების თანახმად, თითქმის სრულად გაიზიარა სამინისტროს პოზიცია, მიუთითა სააპელაციო სასამართლოს ყურადღება გამახვილებინა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებზე და დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 22 ნოემბრის №3813 ბრძანებით ლ. ხ-ი დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და სამინისტროს წარმომადგენლების ოფისის მეოთხე რანგის, მეორე კატეგორიის უმცროს სპეციალისტად, ... თავდაცვის ატაშეს თანაშემწის თანამდებობაზე 12 თვის გამოსაცდელი ვადით. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის №1096 ბრძანებით ლ. ხ-ი როტაციის წესით, სამუშაოდ მივლინებულ იქნა ... ქ. ...ში 3 წლის ვადით, 2018 წლის 25 მარტიდან 2021 წლის 24 მარტის ჩათვლით. ლ. ხ-ი საქართველოს თავდაცვის მინისტრის №4278 ბრძანებით 2018 წლის 18 დეკემბრიდან გადაყვანილ იქნა თავდაცვის ატაშეებისა და სამინისტროს წარმომადგენლობის სამსახურის მეოთხე რანგის, მეორე კატეგორიის უმცროს სპეციალისტად, თავდაცვის ატაშეს თანაშემწის თანამდებობაზე ... და თანამდებობრივ სარგოდ განესაზღვრა ... ევრო. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №44 ბრძანებით 2020 წლის 20 თებერვლიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და სამინისტროს წარმომადგენლობის დეპარტამენტში განხორციელდა რეორგანიზაცია შტატების შემცირებით. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №53977 აქტით ლ. ხ-ი გაფრთხილებულ იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და სამინისტროს წარმომადგენლობის დეპარტამენტის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონიძირებების გამო 2020 წლის 20 თებერვლიდან სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №762 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 თებერვლის №155 ბრძანებით ჩამოყალიბდა განახლებული საშტატო ნუსხა, თანამდებობრივი სარგოს ოდენობა და შრომის ანაზღაურების წესი. „ლ. ხ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 14 თებერვლის №1956 ბრძანებით ლ. ხ-ი 2020 წლის 20 თებერვლიდან გათავისუფლდა და კავებული თანამდებობიდან. მას მიეცა 20-დღიანი ვადა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 26 თებერვლის ბრძანებით როტაციის წესით შეუნ-

ყდა სამუშაო მივლინება ვადაზე ადრე – 2020 წლის 11 მარტიდან. საკასაციო სასამართლომ განჩინებაში აღნიშნა, რომ არც მოსარჩელე და არც ქვედა ინსტანციის სასამართლოები სადავოდ არ ხდიდნენ იმ გარემოებას, რომ რეორგანიზაციის ფარგლებში ლ. ხ-ის მიერ დაკავებული თანამდებობის მსგავსი (ფუნქციური დატვირთვით) საშტატო ერთეული არ შექმნილა. საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ასევე ის გარემოება, რომ თავდაცვის სამინისტრომ მიიღო შესაბამისი ზომები მობილობასთან დაკავშირებით, თუმცა შესაბამისი ვაკანტური თანამდებობა ვერ იქნა მოძიებული და განმარტა, რომ სააპელაციო პალატამ ვერ გააქარწყლა ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია, რომ სახეზე იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 108-ე მუხლის „ბ“ პუნქტითა და 110-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემადგენლობა. შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 მარტის ბრძანებით ლ. ხ-ი პირადი განცხადების საფუძველზე 2 წლის ვადით, 2020 წლის 12 მარტიდან 2022 წლის 12 მარტის ჩათვლით, ჩარიცხულ იქნა მოხელეთა რეზერვში და მიეცა 3 თვის თანამდებობრივი სარგო. საკასაციო პალატამ განჩინებაში ასევე მიუთითა, რომ სააპელაციო პალატამ ვერ დაასაბუთა კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკრეტულად რომელი მოთხოვნა იქნა დარღვეული თავდაცვის სამინისტროს მიერ, გასაჩივრებულ განჩინებაში სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია რამდენად ექცეოდა სამინისტროში განხორციელებული ცვლილებები „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 103-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული რეორგანიზაციის დეფინიციაში, რეალურად ჰქონდა თუ არა ადგილი შტატების შემცირებას, მოსარჩელის მიერ ადრე დაკავებული თანამდებობის ტოლფასი თანამდებობის შექმნას. სააპელაციო პალატას არ უმსჯელია და არ შეუდარებია რეორგანიზაციამდე არსებული და რეორგანიზაციის შემდეგ დამტკიცებული საშტატო ნუსხები მათი იდენტურობის ან ფუნქციური თავსებადობის თვალსაზრისით. მითითებულზე არც ახალ გადაწყვეტილებაში იმსჯელა სასამართლომ. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქმის ხელახალი განხილვის ფარგლებში სააპელაციო პალატას უნდა დაესაბუთებინა რეორგანიზაციის პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის კონკრეტულ მოთხოვნათა დარღვევის ფაქტები, შეეფასებინა როგორც ძველი, ისე ახალი საშტატო ნუსხა, მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობის ტოლფასი საშტატო ერთეულის არსებობის საკითხი და აღნიშნულის შედეგად მიეღო დასაბუთებული გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნულ საკითხებზე არც 2023 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებაში არ უმსჯელია სააპელაციო სასამართლოს და განმარტა, რომ რეორგანიზაციის უკანონოდ მიჩნევის პირობებში, აღარ არსებობდა დამატებით რეორგანი-

ზაციაში არსებული და რეორგანიზაციის შემდგომ დამტკიცებული სამტაგო ნუსხების შედარების, მათი იდენტიფიკაციის ან ფუნქციური თავსებადობის თვალსაზრისით მსჯელობის აუცილებლობა.

კასატორის განმარტებით, თავდაცვის სამინისტროში უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს რეფორმებისა და ტრანსფორმაციის ფაზა, რომლის ფარგლებში შემუშავებულ იქნა სტრატეგიული მიდგომები, რაც გულისხმობს თავდაცვის დაგეგმვის პროცესის ნატოს სტანდარტებზე დაყრდნობით განხორციელებას. თავდაცვის სამინისტროში გარდაიქმნა და ტრანსფორმაცია შეეხო არაერთ მიმართულებას, მათ შორის, თავდაცვის ატაშეების და წარმომადგენლების დეპარტამენტს. ტრანსფორმაციის და მოდერნიზაციის მთლიანი პროცესი ეფუძნება თავდაცვის განვითარების ხედვის მრავალწლიან დოკუმენტებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ ნატოს საიდუმლოობის გრიფი და მათი სასამართლოსთვის წარდგენა დაუშვებელია ნატოს კლასიფიცირებულ ინფორმაციაზე დაშვების არქონის გამო. ზემოაღნიშნულ პროცესში მონაწილე მხარეები არიან, როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ძალები, ასევე ნატოსა და ევროკავშირის შესაბამისი ერთეულები, პარტნიორი ქვეყნების თავდაცვის ატაშეები და ნატო-საქართველოს არსებითი პარტნიორი ქვეყნების (NATO Core Team). ერთობლივი კონსულტაციები ემსახურება ნატოს სტანდარტებზე გადასვლას და მაქსიმალურად თავსებადობის მიღწევას. პროცესის დროს ხდება პარტნიორი ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინება და მხედველობაში მიიღება მოდერნიზაციისა და ოპტიმიზაციისათვის ნატოს სტანდარტების ფინანსური მოდელი. ანალიზის საფუძველზე და საქართველოს რეალობასთან საუკეთესო პრაქტიკის ადაპტირების შემდგომ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და გაუქმებულ იქნა ატაშეს თანაშემწის სამოქალაქო პოზიციები.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით შექმნილი სამართლებრივი შედეგი ქმნის გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობას, კერძოდ, მოსარჩელის უმთავრეს ინტერესს წარმოადგენს სამსახურში გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სასამართლო მართალია, უთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში მოხელის იმავე თანამდებობაზე ან ტოლფას აღდგენას, თუმცა სასამართლო მხედველობაში არ იღებს იმ ფაქტობრივ მოცემულობას, რომ არა მხოლოდ თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტში, არამედ მთელს სამინისტროს

სისტემაში ფაქტობრივად აღარ არსებობს როგორც მოსარჩელის გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობა, აგრეთვე, მისი ტოლფასი თანამდებობა, როგორც ფუნქციური დატვირთვით, ისე ფაქტობრივად. უფრო მეტიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, მობილობა მოსარჩელის მიმართ ერთხელ უკვე განხორციელებულია და ტოლფასი თანამდებობის არარსებობის გამო, მისივე განცხადებით ჩარიცხულია რეზერვში.

სააპელაციო სასამართლო არასწორად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს დასაბუთებას სამივლინებო თანხების ნაწილში, რადგან საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის 34-ე პუნქტის თანახმად, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში მივლინებული თავდაცვის ატაშეების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებისა და მათი აპარატების თანამდებობის პირთა გრძელვადიანი მივლინების ანაზღაურებისა და შენახვის ხარჯების ყოველთვიური ნორმები განისაზღვრება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ნორმატიული აქტით.

კასატორის განმარტებით, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა თავდაცვის სამინისტროს შუამდგომლობაზე სარჩელის დაუშვებლობის კუთხით, რადგან, როგორც თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №44 ბრძანება, ისე თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 თებერვლის №155 ბრძანება პირდაპირ და უშუალო შემხებლობაშია მოსარჩელესთან, თუმცა არცერთი აქტი მის მიერ გასაჩივრებული არაა და დღემდე იურიდიული ძალის მქონეა.

სასამართლოს მიერ არასწორად იქნა დადგენილი ის ფაქტი, რომ თითქოს, რეორგანიზაციის შედეგად მხოლოდ მოსარჩელე ლ. ხ-ის სამუტატო ერთეული იქნა გაუქმებული. როგორც ზემოთ აღინიშნა, თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 21 იანვრის №47 ბრძანებით თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის სამუტატო თანამდებობა გადაკეთდა სამხედრო თანამდებობად, რის გამოც სამსახურიდან გათავისუფლდა ამ ქვედანაყოფის ყოფილი უფროსი (სამოქალაქო პირი), ხოლო უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა სამხედრო წოდების მქონე მოსამსახურე. ამასთან, ..., აგრეთვე, ... თავდაცვის ატაშეს აპარატის სამუტატო განრიგში, თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 თებერვლის №155 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება, შეიკვეცა თავდაცვის ატაშეს აპარატის სამუტატო ერთეულების რაოდენობა და თავდაცვის ატაშეების გასამხედროების მიდგომის გათვალისწინებით, გაუქმდა თავდაცვის ატაშეს თანაშემწის სამუტატო სამოქალაქო თანამდებობები.

სასამართლოს მიერ, თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის №2 ბრძანების გამოცემის ნაწილში არასწორად იქნა დადგენილი ფაქ-

ტი – მოსარჩელის სამტატო ერთეულის საჭიროების არსებობის თაობაზე. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის №2 ბრძანების გამოცემა განპირობებული იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნით, რომლის მიხედვითაც, საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაამტკიცოს პროფესიული საჯარო მოხელისთვის განკუთვნილი თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ სამტატო ერთეული (საიდანაც მოსარჩელე გათავისუფლდა) თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის №2 ბრძანების გამოცემის დროს არსებობდა, თავდაცვის მინისტრი მოქმედებდა ზემოთ მითითებული კანონისმიერი ვალდებულების შესრულების მოცემულობაში, მიუხედავად იმისა, რომ პარალელურ რეჟიმში თავდაცვის სამინისტროში მიმდინარეობდა განსახორციელებელი რეორგანიზაციისათვის სათანადო მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლა. არსებობს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 თებერვლის № 155 ბრძანება, რომლითაც გაუქმდა თავდაცვის ატაშეს თანაშემწის ყველა თანამდებობა, მათ შორის, ლ. ხის მიერ დაკავებული თანამდებობა.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 9 ნოემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვა განისაზღვრა მხარეთა დასწრებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 20 ნოემბრის განჩინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა განისაზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 22 ნოემბრის №MOD 7 17 00003813 ბრძანებით ლ. ხ-ი დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეების და სამინისტროს წარმომადგენლების ოფისის IV რანგის, II კატეგორიის უმცროს სპეციალისტად, ... თავდაცვის ატაშეს თანაშემწის თანამდებობაზე 12 (თორმეტი) თვის გამოსაცდელი ვადით; ბ) საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის №MOD ... ბრძანებით ლ. ხ-ი როტაციის წესით სამუშაოდ მივილინებულ იქნა ..., ქ. ...ში, 3 წლის ვადით, 2018 წლის 25 მარტიდან 2021 წლის 24 მარტის ჩათვლით; გ) საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 18 დეკემბრის №MOD ... ბრძანებით ლ. ხ-ი 2018 წლის 16 დეკემბრიდან გადაყვანილ იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების სამსახურის IV რანგის, II კატეგორიის უმცროს სპეციალისტად, ... თავდაცვის ატაშეს თანაშემწის თანამდებობაზე და თანამდებობრივ სარგოდ განესაზღვრა ... ევრო; დ) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის №2 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს თავდაცვის ატაშეს თანაშემწის საკვალიფიკაციო მოთხოვნები; ე) საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №MOD 4 20 00000044 ბრძანებით, 2020 წლის 20 თებერვლიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტში განხორციელდა რეორგანიზაცია შტატების შესაძლო შემცირებით; ვ) საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №MOD 7 20 00053977 წერილით ლ. ხ-ს ეცნობა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების გამო 2020 წლის 20 თებერვლიდან სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ; ზ) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოსა და შრომის ანაზღაურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №MOD 9 19 00000762 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 თებერვლის №MOD 7 20 00000155 ბრძანებით, ჩამოყალიბდა განახლებული საშტატო ნუსხა, თანამდებობრივი სარგოს ოდენობა და შრომის ანაზღაურების წესი; თ) „ლ. ხ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 14 თებერვლის №MOD ... ბრძანებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარ-

მომადგენლების დეპარტამენტის IV რანგის, II კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი, თავდაცვის ატაშეს თანაშემწე ... ლ. ხ-ი 2020 წლის 20 თებერვლიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან; ი) საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 26 თებერვლის ბრძანებით ლ. ხ-ს 2020 წლის 11 მარტიდან ვადაზე ადრე შეუნყდა სამუშაო მივლინება და როტაციის წესით გამონვეულ იქნა საქართველოში; კ) საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 მარტის ბრძანებით ლ. ხ-ი 2020 წლის 12 მარტიდან 2022 წლის 12 მარტის ჩათვლით ჩარიცხულ იქნა მოხელეთა რეზერვში და მიეცა კომპენსაცია 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება. უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე და სხვა შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით.

სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული დანაწესი განამტკიცებს შრომის თავისუფლებას. შრომის თავისუფლება მოიცავს როგორც ადამიანისათვის მინიჭებულ უფლებას, თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესა თუ ის სფერო (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/4-24, 28.02.1997), ასევე, სახელმწიფოს ვალდებულებას, იზრუნოს მოქალაქეთა დასაქმებაზე და დაიცვას მათი შრომითი უფლებები (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007), დაცულია არა მარტო უფლება, აირჩიოს სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შრომის თავისუფლების სასამართლოებრივი დაცვის გარანტიები გათვალისწინებულია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებითაც. კერძოდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება, და მიიღებენ შესაბამის ზომებს ამ უფლების დასაცავად. ამასთან, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრო-

მის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება. საკასაციო სასამართლო აგრეთვე მიუთითებს ევროპის სოციალური ქარტიის 24-ე მუხლის დანაწესზე, რომლის თანახმად, დასაქმების შეწყვეტის შემთხვევებში მუშაკთა მიერ დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ აღიარონ: ა) ყველა მუშაკის უფლება არ შეწყდეთ დასაქმება ასეთი შეწყვეტის თაობაზე საპატიო მიზეზების გარეშე, რაც დაკავშირებული უნდა იყოს მათ შესაძლებლობასთან ან ქცევასთან ან განპირობებული უნდა იყოს შრომითი დანესებულების, სანარმოს ან სამსახურის ოპერატიული მოთხოვნებით; ბ) მუშაკთა უფლება, რომელთა დასაქმება შეწყვეტილი იქნება საპატიო მიზეზების გარეშე, სათანადო კომპენსაციაზე ან სხვა შესაბამის დაკმაყოფილებაზე. ამ მხრივ მხარეები ვალდებულია იღებენ უზრუნველყონ მუშაკის, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი დასაქმება შეწყდა საპატიო მიზეზების გარეშე, მიუკერძოებელ ორგანოში საჩივრის შეტანის უფლება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში ინდივიდთა შრომითი უფლებების დაცვისათვის ქმედითი მექანიზმების შექმნა სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს. ხსენებული ვალდებულების ზედმიწევნითი განხორციელების საჭიროება სახელმწიფოს მხრიდან თავს იჩენს მით უფრო საჯარო სექტორში, სადაც სახელმწიფო ეროვნული საკანონმდებლო ბაზის, კერძოდ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ერთი მხრივ, თავად ქმნის დასაქმებულ საჯარო მოხელეთა შრომითი უფლებების დაცვის გარანტიებს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი თავად გვევლინება დამსაქმებლის როლში, რაც საგრძნობლად ზრდის მისი მხრიდან დასაქმებულ საჯარო მოხელეთა უფლებების, განსაკუთრებით კი, შრომითი უფლებების დაცვის სავალდებულოობის ხარისხს. საჯარო მოსამსახურე კონკრეტული გადანყვეტილების, მით უფრო, საჯარო მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე გადანყვეტილების მიღებისას და საჭიროების შემთხვევაში, გათავისუფლების შემდგომი პროცედურების განხორციელებისას შეზღუდულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი კანონიერების პრინციპით, რომლის მიხედვით, საჯარო მოსამსახურე თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. მისი ნებისმიერი ქმედება უნდა ემსახუროდეს კანონის უზენაესობის დაცვას და ეფუძნებოდეს კანონისმიერი დათქმის პრინციპს. ამავე შინაარსის დანაწესი გათვალისწინებულია აგრეთვე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლით დადგენილი კანონიერების პრინციპითაც, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაცი-

ციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

შრომის უფლება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას სათანადოდ, კანონიერი საფუძვლების გარეშე არ დაუშვას დასაქმებულთა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, რაც სახელმწიფო სამსახურში პირის შრომის უფლებას არამართლზომიერად შეზღუდავს, ამასთან, შრომის გარანტირებული უფლება არ არის აბსოლუტური და აღნიშნული უფლებით დაცული სფერო შესაძლებელია დაექვემდებაროს შეზღუდვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლეგიტიმური მიზნითა და თანაზომიერების პრინციპის დაცვით. შრომის უფლების დაცვა არ გულისხმობს დამსაქმებლის აბსოლუტურ შეზღუდვას, კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, გაათავისუფლოს დასაქმებული (სუსგ 23.04.2019წ. საქმე №ბს-954(2კ-18)). დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება ობიექტურ მიზეზებზე უნდა იყოს დაფუძნებული, დამსაქმებელი ვალდებულია დაასაბუთოს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების ობიექტური მიზეზები. საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას. მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

მოცემულ შემთხვევაში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს რეორგანიზაციის საფუძვლით ლ. ხ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 14 თებერვლის №MOD ... ბრძანებისა და ლ. ხ-ის როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ 2020 წლის 26 თებერვლის №MOD ... ბრძანების კანონიერება, ასევე მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენის, მოპასუხისათვის იძულებითი განაცდურისა და სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების დაკისრების საფუძვლების არსებობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურის სტატუსს, პროფესიული საჯარო მოხელის დასაქმებისა და სამსახურის გავლის პირობებს, საჯარო სამსახურის მართვის საკითხებს, ანესრიგებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოებში (დანესებულებებში) და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საჯარო მოსამსახურეთა სამოხელეო სამართლებრივ ურთიერთობებს, თუ ამავე კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი (მე-2 მუხლი).

აღნიშნული კანონის 102-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, საჯარო სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე, სისტემური, ეფექტიანი

მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით შესაძლებელია საჯარო და-
წესებულების რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ან/და მისი სხვა საჯარო და-
წესებულებასთან შერწყმა. 103-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, რე-
ორგანიზაცია არის საჯარო დაწესებულების ინსტიტუციური მოწყობის
შეცვლა, რის შედეგადაც მიიღება საჯარო დაწესებულების ნაწილობრივ
ან მთლიანად ახალი სტრუქტურა. რეორგანიზაციად ითვლება აგრეთვე
საჯარო დაწესებულების შტატების გადაადგილება ან/და შემცირება. რე-
ორგანიზაციად არ ჩაითვლება საჯარო დაწესებულების ან მისი სტრუქ-
ტურული ერთეულის მხოლოდ დაქვემდებარების ან სახელწოდების შეც-
ვლა ან/და საჯარო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულისათვის
ახალი ფუნქციის დაკისრება. 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით,
საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა
საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებას სა-
ქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს საამისოდ უფ-
ლებამოსილი პირი. 108-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოხელე
შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფლდეს საჯარო დაწესებულე-
ბის რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებუ-
ლებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით. ამა-
ვე კანონის სადავო პერიოდში მოქმედი 110-ე მუხლის პირველი პუნ-
ქტის თანახმად კი, მოხელე შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფ-
ლდეს საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და
მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცი-
რებასთან დაკავშირებით, თუ მოხელის ამ კანონის 52-ე მუხლით გათვა-
ლისწინებული მობილობა შეუძლებელია.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ რეორგანიზაცია არის საჯარო
სამსახურის დაწესებულების შიდა სტრუქტურული ან/და ფუნქციონა-
ლური გარდაქმნა, რასაც შეიძლება მოსდევდეს დაწესებულების მთლი-
ანად ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების სტატუსის, დაქვემდე-
ბარების ან/და ფუნქციონალური დატვირთვის ცვლილება. საშტატო ერ-
თეულისათვის სახელწოდების შეცვლა არ წარმოადგენს საფუძველს
იმ ფაქტობრივი გარემოების დადგენილად მიჩნევისათვის, რომ აღარ
არსებობს საშტატო ერთეული. საშტატო ერთეული გაუქმებულად ით-
ვლება, როცა ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტა-
ტი, ახალი საშტატო ერთეულით განისაზღვრა სხვა უფლება-მოვალეო-
ბები, ან/და ამგვარი საშტატო ერთეულის დასაკავებლად სხვა კრიტი-
ერიუმები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული პირის მიერ და ა.შ.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ რეორგანიზაციამ მხოლოდ
შტატის შემცირების შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს პირის სამსა-
ხურიდან გათავისუფლება, ამასთან, შტატების შემცირების მოტივით
დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლებისას „ერთმანეთისგან

უნდა გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, შემთხვევა, როდესაც დანესებულებაში განხორციელებულ რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანო უკეთესის/საუკეთესოს, უპირატესის ამორჩევის პრინციპზე დაყრდნობით უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას ცალკეულ მოხელეთა გათავისუფლების თუ სამსახურში დატოვებასთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრივ, შემთხვევა, როდესაც რეორგანიზაციის დროს უქმდება კონკრეტული საშტატო ერთეული“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-166-165(კ-16)).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია შეცვალოს არსებული ორგანიზაციული მონაცემები, მოახდინოს შტატების ოპტიმიზაცია, საშტატო ერთეულის დამატება, გაერთიანება ან გაუქმება, ადმინისტრაცია ცვლილებების გატარებისას სარგებლობს მიხედულების, თავისუფალი დისკრეციის უფლებამოსილებით, ხოლო სასამართლო კონტროლი ამ პროცესში მოიცავს კანონიერების და არა მიზანშეწონილობის საკითხებს (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 12 აპრილის განჩინება საქმეზე №ბს-1102-1096(კ-17)).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკადრო საჭიროებების შეფასებისა და აღნიშნულის შედეგად საკადრო საკითხების გადაწყვეტისას ადმინისტრაციული ორგანო სარგებლობს მიხედულების ფართო ფარგლებით. შესაბამისად, განსაზღვრა იმისა, კონკრეტულად რომელი შტატის/შტატების არსებობაა საჭირო და საკმარისი ადმინისტრაციული ორგანოს სრული, ეფექტური და მაქსიმალურად ეკონომიური ფუნქციონირებისათვის, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს განეკუთვნება. ამასთან, რეორგანიზაციის განხორციელების აუცილებლობის არსებობის პირობებში, რეორგანიზაციის საფუძველზე საკადრო ოპტიმიზაცია ადმინისტრაციული ორგანოს მიხედულების შესაბამისად წარმართება, თავად ადმინისტრაციული ორგანოა ექსკლუზიურად კომპეტენტური განსაზღვროს, კონკრეტულად რომელი შტატის დამატება-გაუქმება ან რომელ შტატთა გაერთიანება უწყობს ხელს საჯარო მმართველობის ეფექტურად განხორციელებას.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ რეორგანიზაციამდე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის თავდაცვის ატაშეს აპარატი ... შედგებოდა ორი საშტატო ერთეულისაგან – თავდაცვის ატაშე და მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი – თავდაცვის ატაშეს თანაშემწე. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 13 თებერვლის №MOD7200000155 ბრძანებით ჩამოყალიბდა განახლებული საშტატო ნუსხა, თანამდებობრივი სარგოს ოდენობა და შრომის ანაზღაურ-

რების წესი. განახლებული საშტატო ნუსხის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის თავდაცვის ატაშეს აპარატი ... შედგებოდა ერთი საშტატო ერთეულისაგან – თავდაცვის ატაშე. ამასთან, ხსენებულ თანამდებობაზე საშტატო კატეგორიად მიეთითა „ბრიგადის გენერალი“.

განსახილველ საქმეზე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რიგი გარემოებები და არ მიუცია მათთვის სათანადო სამართლებრივი შეფასება. იმ პირობებში, როდესაც რეორგანიზაციის შემთხვევაში სასამართლო კონტროლი მოიცავს კანონიერების და არა მიზანშეწონილობის საკითხებს, სასამართლო ვერ იმსჯელებს კონკრეტული საშტატო ერთეულის გაუქმების ან დამატების საჭიროებაზე. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატა ვერ ასაბუთებს კანონმდებლობით გათვალისწინებული რომელი მოთხოვნა იქნა დარღვეული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ რეორგანიზაციის პროცესში. სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია აკმაყოფილებდა თუ არა საშტატო ნუსხაში განხორციელებული ცვლილება რეორგანიზაციის კანონით დადგენილ დეფინიციას, ხომ არ ჰქონდა ადგილი საშტატო ერთეულების მხოლოდ ფორმალურ ცვლილებას და მოხელის გათავისუფლების მოტივით ორგანოს მიერ ხელოვნური პროცედურების განხორციელებას.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ს“ ქვეპუნქტზე, მე-13 მუხლის „თ“ ქვეპუნქტზე, მე-14 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტზე, 32-ე მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლებიც, მათ შორის, უმცროს დიპლომატიურ თანამდებობებზე ითვალისწინებს თავდაცვის ატაშეს აპარატისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის აპარატის თანამდებობის პირებს. სააპელაციო სასამართლო „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონზე მითითებით აღნიშნავს, რომ საქართველოს საკანონმდებლო აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) შეიძლება მიმდებარე (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში, მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით. მიუხედავად ამისა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს დეტალურ დასაბუთებას თუ რატომ ადასტურებს „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოაღნიშნული ნორმები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ საშტატო ნუსხაში განხორციელებული ცვლილების კანონსაწინააღმდეგობას. მხოლოდ ის გარემოება, რომ „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართვე-

ლოს კანონი ითვალისწინებს უმცროს დიპლომატიურ თანამდებობას და მიუთითებს აპარატის საქმიანობის წესის განსაზღვრაზე, არ წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების უპირობო საფუძველს. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმად, ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან შეთანხმებით შეიძლება დაფუძნებულ იქნეს თავდაცვის ატაშეს აპარატი, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციასთან შეიძლება დაფუძნებულ იქნეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის აპარატი, რომლებშიც შედიან აპარატის უფროსი და უმცროსი დიპლომატიური თანამდებობის პირები, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი და მომსახურე პერსონალი. დასახელებული საკანონმდებლო ნორმის შესაბამისად, თავდაცვის ატაშეს და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის აპარატის დაფუძნება ითვალისწინებს უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას. ამდენად, ზემოაღნიშნული საფუძვლით დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის ბრძანება, რომლითაც 2020 წლის 20 თებერვლიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტში განხორციელდა რეორგანიზაცია შტატების შემცირებით, ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2022 წლის 12 ივლისის განჩინებაში აღნიშნა, რომ „გასაჩივრებულ განჩინებაში სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია რამდენად ექცეოდა სამინისტროში განხორციელებული ცვლილებები „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 103-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული რეორგანიზაციის დეფინიციის რეალურად ჰქონდა თუ არა ადგილი შტატების შემცირებას, მოსარჩელის მიერ ადრე დაკავებული თანამდებობის ტოლფასი თანამდებობის შექმნას. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული საკითხების შეფასება სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენდა. სააპელაციო პალატა გასაჩივრებულ განჩინებაში ყურადღებას ამახვილებს ადმინისტრაციული წარმოების გამართვის, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და აქტის დასაბუთებულობის საკითხებზე, თუმცა არ მიუთითებს კონკრეტულად კანონმდებლობის რომელ მოთხოვნათა უგულებელყოფით იქნა გამოცემული სადავო აქტები. სააპელაციო პალატას არ უმსჯელია და არ შეუდარებია რეორგანიზაციამდე არსებული და რეორგანიზაციის შემდგომ დამტკიცებული საშტატო ნუსხები მათი იდენტურობის ან ფუნქციური თავსებადობის თვალსაზრისით. გასაჩივრე-

ბულ გადანყვეტილებაში სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვერ იქნა დადასტურებული, კონკრეტულად რა კანონიერ მიზანს ემსახურებოდა რეორგანიზაცია და ატაშეს თანაშემნის სამოქალაქო შტატის გაუქმება. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია შეცვალოს არსებული ორგანიზაციული მონყობა, მოახდინოს შტატების ოპტიმიზაცია, საშტატო ერთეულის დამატება, გაერთიანება ან გაუქმება, ადმინისტრაცია ცვლილებების გატარებისას სარგებლობს მიხედულების, თავისუფალი დისკრეციის უფლებამოსილებით, ხოლო სასამართლო კონტროლი ამ პროცესში მოიცავს კანონიერების და არა მიზანშეწონილობის საკითხებს (სუსგ 12.04.2018წ. №პს-1102-1096(კ-17)). ამდენად, სასამართლო კონტროლი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, კერძოდ, ადმინისტრაციულ ორგანოში რეორგანიზაციის ჩატარების პირობებში სასამართლო ვერ იმსჯელებს კონკრეტული საშტატო ერთეულის გაუქმების ან დამატების საჭიროებაზე, არამედ ამ პროცესში სასამართლო ამონმებს აქვს თუ არა ადგილი საშტატო ერთეულების მხოლოდ ფორმალურ ცვლილებას და მოხელის გათავისუფლების მოტივით ორგანოს მიერ ხელოვნური პროცედურების განხორციელებას, მოხელეთა თანასწორუფლებიანობის შეზღუდვას, გადანყვეტილების მიღების პროცედურული საკითხების დარღვევას და სხვა. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნულ საკითხებზე სააპელაციო პალატას არ უმსჯელია, რაც დაუსაბუთებელს ხდის მიღებულ გადანყვეტილებას“.

საგულისხმოა, რომ სააპელაციო პალატას, არც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2022 წლის 12 ივლისის განჩინებით სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემდეგ არ შეუდარებია რეორგანიზაციამდე არსებული და რეორგანიზაციის შემდგომ დამტკიცებული საშტატო ნუსხები მათი იდენტიურობის ან ფუნქციური თავსებადობის თვალსაზრისით, რის შესახებაც მითითებას შეიცავდა აღნიშნული განჩინება და რასაც არსებითი მნიშვნელობა გააჩნია განსახილველ საქმეზე გადანყვეტილების მისაღებად. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ აღარ არსებობს დამატებით რეორგანიზაციამდე არსებული და რეორგანიზაციის შემდგომ დამტკიცებული საშტატო ნუსხების შედარების, მათი იდენტიურობის ან ფუნქციური თავსებადობის თვალსაზრისით მსჯელობის აუცილებლობა. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლოს სრულყოფილად არ დაუდგენია საქმის გარემოებები და არ შეუსწავლია რეორგანიზაციის პროცესი, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამარ-

თლოს დასკვნა რეორგანიზაციის უკანონობის შესახებ.

მართალია, სააპელაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს კასატორის განმარტებაზე, რომ რეორგანიზაციის ფაქტობრივი აუცილებლობა განაპირობა თავდაცვის დაგეგმვის პროცესის ნატოს სტანდარტებზე დაყრდნობით განხორციელებამ, თუმცა აღნიშნულს ზოგადი შინაარსის განმარტებად მიიჩნევს. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2023 წლის 15 მაისის №MOD 9 23 00536439 წერილზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ თავდაცვის სამინისტროში უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს რეფორმებისა და ტრანსფორმაციის ფაზა, რომლის ფარგლებში შემუშავებულ იქნა სტრატეგიული მიდგომები, რაც გულისხმობს თავდაცვის დაგეგმვის პროცესის ნატოს სტანდარტებზე დაყრდნობით განხორციელებას. თავდაცვის სამინისტროში გარდაიქმნა და ტრანსფორმაცია შეეხო არაერთ მიმართულებას, მათ შორის, თავდაცვის ატაშეების და წარმომადგენლების დეპარტამენტს. ტრანსფორმაციის და მოდერნიზაციის მთლიანი პროცესი ეფუძნება თავდაცვის განვითარების ხედვის მრავალწლიან დოკუმენტებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ ნატოს საიდუმლოობის გრიფი და მათი სასამართლოსთვის წარდგენა დაუშვებელია ნატოს კლასიფიცირებულ ინფორმაციაზე დაშვების არქონის გამო. ამდენად, აღნიშნულ წერილში ჩამოყალიბებული პოზიციის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს არ მიუთითებია კონკრეტულად კიდეც რასახის მტკიცებულებებით უნდა დაესაბუთებინა ადმინისტრაციულ ორგანოს რეორგანიზაციის საჯარო სამსახურებრივი ინტერესი ან/და სისტემური ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზანი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებით საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან დაკავშირებული პროცესუალური საქმიანობა ვლინდება არა ფაქტების დადგენაში, არამედ – დასადგენ ფაქტებზე მითითებაში. საკასაციო პალატა არ არის შებოჭილი ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით, თუმცა აღნიშნული უფლებამოსილს არ ხდის საკასაციო სასამართლოს თავადვე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, საკასაციო სასამართლოს პროცესუალური როლის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო. მტკიცებულებების გამოკვლევისა და ფაქტობრივი გარემოებების დადგენაზე უფლებამოსილი სასამართლო სააპელაციო სასამართლოა. პროცესუალური დანაწესებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აფასებს არა მტკიცებულებებს, არამედ – ამ მტკიცებულებათა სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფასების მართებულობას. ვინაიდან დასადგენია საქმის

გადანყვეტისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას სამართლებრივი შეფასება მისცეს სადავო საკითხს.

საქმის ხელახალი განხილვის ფარგლებში სააპელაციო სასამართლომ არსებითად უნდა იმსჯელოს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებაზე, დაასაბუთოს რეორგანიზაციის პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტები, შეადაროს ძველი და ახალი საშტატო ნუსხა და აღნიშნულის შესაბამისად მიიღოს გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული, სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, გადაწყვეტილება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წანამძღვრებს, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების წინაპირობაა. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**1.2სამსახურიდან გათავისუფლება დისციპლინური
გადაცდომის საფუძველზე**

**დისციპლინური პასუხისმგებლობის პროპორციულობა
ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმესთან**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-49(2კ-24)

26 დეკემბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. გოგიაშვილი**

დავის საგანი: დისციპლინური სახდელის სახით სამსახურიდან გა-
თავისუფლების შეფარდება, განმეორებით სადავო საკითხის გადაუწ-
ყვეტლად აქტის ბათილად ცნობის მართლზომიერება

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. დ-ემ 08.09.2021წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასა-
მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის შინაგან
საქმეთა სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა დაკავებული
თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე საქართველოს შს მინის-
ტრის 15.03.2021წ. №MIA 6 21 00622729 ბრძანების ბათილად ცნობა,
გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე
ახალი აქტის გამოცემის მოპასუხისთვის დავალება, ასევე გათავისუფ-
ლებიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისთვის იძულე-
ბითი განაცდური ხელფასის და სხვა მიუღებელი შემოსავლის (საყო-
ველთაო ხასიათის პრემიების, დანამატებისა და წახალისებების) ანაზ-
ღაურება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინის-
ტრის 04.11.2017წ. ბრძანებით ის გათავისუფლდა შსს პოლიციის დე-
პარტამენტის ჩოხატაურის რაიონის უფროსის მოადგილის თანამდე-
ბობიდან. აღნიშნული ბრძანება თბილისის საქალაქო სასამართლოს ად-
მინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 10.07.2018წ. გადაწყვეტილებით სა-
დავო საკითხის გადაუწყვეტლად იქნა ბათილად ცნობილი და მოპასუ-
ხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოე-
ბების გამოკვლევის და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემა. სა-

ქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა 15.03.2021წ. გამოსცა ბრძანება 2017 წლის 04 ნოემბრიდან ...ს ზ. დ-ეის შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ. მოსარჩელე თვლის, რომ აღნიშნული ბრძანება არის დაუსაბუთებელი და კანონსაწინააღმდეგო. მინისტრმა ბრძანება მიიღო შსს გენერალური ინსპექციის 10.03.2021წ. დასკვნის საფუძველზე კანონიერ ძალაში მყოფი თბილისის საქალაქო სასამართლოს 10.07.2018წ. გადაწყვეტილების დასაბუთების გაცნობისა და გათვალისწინების გარეშე. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველასათვის შესასრულებლად, თუმცა მოპასუხე კვლავ იმ არგუმენტებს და შეფასებებს იმეორებს, რომლებზეც წინა სასამართლოს დავის პერიოდში მიუთითებდა.

საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას, სასკ-ის 16.1 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.06.2022წ. გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 04.11.2017წ. დასკვნის თანახმად, ...მა ზ. დ-ემ ჩაიდინა შსს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა, რაც მისი მხრიდან გამოიხატა შსს-ში დადგენილი სანქციის უზრუნველყოფის წესის გვერდის ავლაში და შემდგომი გამოყენების მიზნით შსს-ს კუთვნილი ქონების (სანქციის ბარათის) მესამე პირისათვის გადაცემაში, სამსახურებრივი ავტომანქანისადმი დაუდევარ მოპყრობაში, რასაც შედეგად მისი დაზიანება მოჰყვა და შსს-ს მიადგა ქონებრივი ზიანი, ამასთან, დისციპლინური გადაცდომა გამოიხატა ზ. დ-ეის მიერ ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ შეუტყობინებლობასა და შემთხვევის ადგილის თვითნებურად მიტოვებაში, შსს გენერალურ ინსპექციაში მიმდინარე სამსახურებრივი შემონემებისას გამოჩენილ არაგულწრფელობაში, შს მინისტრის 24.08.2012წ. №709 ბრძანების (არასამსახურებრივი მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეებისთვის შიდა საინფორმაციო სისტემაში მონაცემების მოპოვების, გამოყენების ან გავრცელების აკრძალვა) მოთხოვნათა დარღვევაში. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 04.11.2017წ. ბრძანებით შსს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს ..., ... ზ. დ-ე გათავისუფლდა და კავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროდან საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში. თბილისის საქალაქო სასამარ-

თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 10.07.2018წ. გადაწყვეტილებით აღნიშნული ბრძანება სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონით დადგენილ ვადაში გამოცემა. 25.12.2018წ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 28.05.2020წ. განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეული იქნა დაუშვებლად და უცვლელი დარჩა სააპელაციო სასამართლოს 25.12.2018წ. განჩინება. საკასაციო პალატამ საფუძველს მოკლებულად მიიჩნია კასატორის მოსაზრება ზ. დ-ვის მიერ პერსონალური მონაცემების არასამსახურებრივი მიზნით მოპოვების შესახებ, ხოლო საწვავთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საქმის მასალებით დასტურდება რიგ შემთხვევებში ზ. დ-ვის მიერ საწვავის ვალად აღება და ვალის გადახდის მიზნით სამსახურებრივი ბარათის ბენზინგასამართ სადგურში დასაქმებული პირებისათვის დატოვება, თუმცა შეფასებას საჭიროებს აღნიშნული დარღვევის სიმძიმე, ხსენებული ქმედებების შედეგად დამდგარი ზიანი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენელმა განმარტა, რომ საწვავის მომხმარებლის წესის შესახებ მინისტრის ბრძანება შესასრულებლად სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის. თანამშრომლის მიერ თავისი სურვილისამებრ საწვავის მოხმარებისა და ამ ბრძანებით დადგენილი წესებისთვის გვერდის ავლის შემთხვევაში, ყველანაირი კონტროლის მექანიზმი მოიშლება, დამატებითი საწვავის საჭიროების შემთხვევაში მოსარჩელეს პატაკით უნდა მიემართა შესაბამისი თანამდებობის პირისათვის. საკასაციო პალატამ მეორე დარღვევასთან (სამსახურებრივი ავტომანქანისადმი დაუდევარი მოპყრობა, ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ შეუტყობინებლობა, შემთხვევის ადგილის მიტოვება) დაკავშირებით მიუთითა, რომ მართალია ავტომობილის ვიზუალური დათვალიერებით გამოვლინდა გარკვეული დაზიანებები, თუმცა არ დგინდება აღნიშნული დაზიანებების წარმოშობის საფუძვლები, შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსაზრება კონკრეტული შემთხვევის შედეგად სამინისტროსთვის მატერიალური ზიანის მიყენების შესახებ, არ არის დასაბუთებული. მითითებულ დარღვევასთან დაკავშირებით გენერალური ინსპექციის დასკვნაში აღინიშნა, რომ საგზაო შემთხვევასა და შემთხვევის ადგილის მიტოვების ფაქტს ადასტურებენ ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე მეორე მანქანის მძღოლი კ. ჯ-ე და თვითმხილვე-

ლი გ. ა-ე, აგრეთვე ბენზინ-გასამართ სადგურზე არსებული ვიდეოკამერების ჩანაწერები. რაც შეეხება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაუკისრებლობას, აღნიშნული სამართალდარღვევის ჩადენისთვის დისციპლინური სახდელის გამოყენების მიზნით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-16 მუხლის საფუძველზე მასალები გადაიგზავნა შს გენერალურ ინსპექციაში. საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმის შესახებ, რომ ზ. დ-ის სამსახურიდან დათხოვნით დარღვეული იქნა სახდელის დაკისრების თანაზომიერებისა პროპორციულობის პრინციპი. გადაცდომის სიმძიმესთან ერთად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ზ. დ-ეს გათავისუფლება მდე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 17.05.2017წ. ბრძანებით დაკისრებული ჰქონდა დისციპლინური სახდელი – საყვედური. მხარეთა პოზიციებისა და საქმეზე დადასტურებული მტკიცებულებათა შეფასებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანომ დაასაბუთა ზ. დ-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის პროპორციულობა ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმესთან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.06.2022წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ზ. დ-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.10.2023წ. გადაწყვეტილებით, ზ. დ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.06.2022წ. გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, ზ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი დისციპლინური წესით დასჯისა და საქართველოს შს სამინისტროდან დათხოვნის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 15.03.2021წ. №MIA 6 21 00622729 ბრძანება და ზ. დ-ესთან მიმართებით მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 04.11.2017წ. ბრძანებით, შსს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს ..., ... ზ. დ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროდან საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში. აღნიშნული აქტის მართლზომიერება შეფასდა სასამართლო წესით და დადგინდა, რომ სადავო საკითხი არ იყო სრულყოფილად შესწავლილი და საჭი-

როებდა დამატებით შესწავლას. ხელახალი წარმოების ფარგლებში უნდა შეფასებულიყო შს სამინისტროში დადგენილი სანვავის უზრუნველყოფის წესის გვერდის ავლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დარღვევის სიმძიმე და დამდგარი ზიანი, ავტოსაგზაო შემთხვევის არსებობის ფაქტი, ავტომობილებისთვის მიყენებული და ზიანების ტიპი და ამგვარი დაზიანების არსებობა ამ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, ამ შემთხვევის შედეგად სამინისტროსთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა, ზ. დ-ვის მიერ პერსონალური მონაცემების არასამსახურებრივი მიზნით მოპოვების ფაქტის არსებობა და დარღვევის თანაზომიერი და მიზანშეწონილი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება. საკასაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ სადავო პერიოდში ზ. დ-ვის სამსახურებრივი მანქანა ხშირად იყო გაუმართავი, რის გამოც შესაკეთებლად გადაჰყავდათ თბილისში, ამ მიზნით ზ. დ-ე ახდენდა კონკრეტული პირების სანვავით უზრუნველყოფას, ამასთანავე, სამსახურებრივი მანქანის გაუმართაობის პერიოდში ზ. დ-ე სარგებლობდა პირადი ავტომობილით, რადროსაც მოიხმარდა ბენზინს სამსახურებრივი ბარათის გამოყენებით. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ რიც შემთხვევებში დგინდება ზ. დ-ვის მიერ სანვავის ვალად აღება და ვალის გადახდის მიზნით სამსახურებრივი ბარათის ბენზინგასამართ სადგურში დასაქმებული პირებისთვის დატოვება, თუმცა შეფასებას საჭიროებს აღნიშნული დარღვევის სიმძიმე, ხსენებული ქმედებების შედეგად დამდგარი ზიანი, რასაც მნიშვნელობა ენიჭება ზ. დ-ვის მიმართ გამოყენებული სახდელის თანაზომიერების შეფასებისას. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ხელახალი წარმოების ფარგლებში შსს გენერალური ინსპექციის მიერ შედგენილ დასკვნაში მითითებული გარემოებები სრულად არ ასახავს რეალურ სურათს და არ პასუხობს სასამართლო გადანყვეტილებით დადგენილ გამოსაკვლევ საკითხებს, კერძოდ, არ არის გამოკვლეული ყველა კონკრეტული შემთხვევა, რადროსაც სადავო გახდა ზ. დ-ვის მიერ სანვავის გამოყენების წესის გვერდის ავლა, არ არის შეფასებული ამგვარი ქმედებით მიყენებული ზიანის ოდენობა და სიმძიმე. ავტოავარიის საკითხზე საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ არ დგინდებოდა ავტომობილზე არსებული დაზიანებების ზუსტი წარმოშობა, ამასთან იმ პირობებში, როდესაც ზ. დ-ემ შეაკეთა დაზიანება, არ იყო გამოკვლეული სამინისტროსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა, დამდგარი შედეგის გათვალისწინებით არ იყო შეფასებული ფაქტის სიმძიმე. დასმულ საკითხებს არ პასუხობს არც ხელახალი წარმოების შედეგები. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საკასაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ნ. მ-ვის მართვაში მყოფი ავტომობილის გაჩერების ფაქტი ზ. დ-ვის მიერ მითითებულ ადგილზე და გამორიცხა არასამსახურებრივი მიზნით ინფორმაციის მოძიების ფაქტი. ახალი წარმოების

ფარგლებში ლ. ხ-ის მიერ გენერალური ინსპექციის მიცემული ახსნა-განმარტების თანახმად 20.10.2017წ. ნ. მ-ის ავტომანქანა მისი სახლის წინ იყო გაჩერებული, დასახელებული ლოკაციიდან 13:00სთ-ის შემდეგ ნ. მ-ე თბილისისკენ გაემგზავრა და ჩოხატაურში აღარ შეჩერებულა. აღნიშნული ჩვენების საპირისპიროდ საქმეში წარმოდგენილია ამონაწერი სა...დან, რომლის მიხედვითაც ნ. მ-ემ აიღო თანხა ჩოხატაურში, ...ის ქ. №20-ში მდებარე ბანკომატიდან, რაც გარკვეულწილად წინააღმდეგობაში მოდის ლ. ხ-ის ახსნა-განმარტებასთან. საკასაციო სასამართლოს შეფასებით ყველა სადავო გარემოება საჭიროებდა დამატებითი კვლევას, შეფასებას და იმგვარი მტკიცებულებების მოძიებას, რაც უტყუარად დაადასტურებდა ზ. დ-ის მხრიდან ზოგადად გადაცდომის ჩადენას ან იმგვარი და იმ სიმძიმის გადაცდომათა ჩადენას, რომლისთვისაც რელევანტური იქნებოდა ყველაზე უფრო მკაცრი ადმინისტრაციული სახდელის – სამსახურიდან დათხოვნის გამოყენება და ნაკლებად მკაცრი დისციპლინური სახდელი ვერ უზრუნველყოფდა მიზანს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ხელახალი წარმოების პირობებში არ შეუსრულებია სასამართლოს მითითებები, ჯეროვნად არ გამოუკვლევია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საკითხები. ადმინისტრაციული ორგანო ახალი წარმოების ფარგლებში დაეყრდნო მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებსაც ეყრდნობოდა სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნობილი ბრძანების მიღებისას და რაც არასაკმარისად, არათანაზომიერად ჩათვალა სასამართლომ ზ. დ-ის მიმართ დისციპლინური სახდელის სახით – სამსახურიდან გათავისუფლების გამოყენებისთვის. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ 12.01.2021წ. გამოკითხული იქნენ გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს გამომძიებლები, რომელთა ჩვენებები იდენტურია, ამასთან აღნიშნული ჩვენებები საფუძვლად არ დასდებია გენერალური ინსპექციის დასკვნას. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სას.კ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი. სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნებთან დაკავშირებით, პალატამ აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხები დამოკიდებულია ახალი ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე მოცემული ადმინისტრაციული აქტის შედეგზე, შესაბამისად სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას საქმის განხილვის ამ ეტაპზე იმსჯელოს აღნიშნული მოთხოვნის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.10.2023წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა

ზ. დ-ეის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ.

კასატორმა ზ. დ-ემ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს სადავო საკითხი არსებითად უნდა გადაეწყვიტა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ხელახლა იგივე გარემოებების გამოკვლევის დავალება, დაუსაბუთებელია. კასატორმა მიუთითა საკასაციო სასამართლოს 28.05.2020წ. განჩინების შინაარსსა და ხელახლა ჩატარებული წარმოების ფარგლებში გადაწყვეტილების სათანადოდ აღუსრულებლობაზე. მოპასუხის მიერ ახალი აქტის გამოცემის საფუძველი არ გამხდარა რაიმე ახალი ფაქტი. ადმინისტრაციულ ორგანოს ერთხელ უკვე დაუბრუნდა საკითხი უკან განსახილველად. საკითხის განსახილველად კვლავ ადმინისტრაციულ ორგანოში დაბრუნება არ ემსახურება სამართლიანი სასამართლოს პრინციპს. ყველა სადავო გარემოებას სჭირდებოდა დამატებითი კვლევა, შეფასება და იმგვარი მტკიცებულებების მოძიება, რაც უტყუარად დაადასტურებდა ზ. დ-ეის მხრიდან ზოგადად გადაცდომის ჩადენას ან იმგვარი და იმ სიმძიმის გადაცდომათა ჩადენას, რომლისთვისაც რელევანტური იქნებოდა ყველა უფრო მკაცრი ადმინისტრაციული სახდელის – სამსახურიდან დათხოვნის გამოყენება და ნაკლებად მკაცრი დისციპლინური სახდელი ვერ უზრუნველყოფდა მიზანს. პირველი სასამართლოწარმოების ფარგლებში მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სადავო აქტი ბათილად იქნა ცნობილი სას.კ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე, თუმცა ამ შემთხვევაში დაუკმაყოფილებელ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია. კასატორი ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს, თუმცა თვლის, რომ გამოყენებული უნდა იქნეს სისხლის სამართლის ანალოგია, კერძოდ თუ არ დასტურდება ბრალდება, საქმე უბრუნდება არა გამოძიებას, არამედ მიიღება გამამართლებელი განაჩენი. მოცემულ შემთხვევაში სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს სრულად და საკითხი უნდა გადაწყდეს არსებითად, ასევე დაკმაყოფილდეს თანმდევი მოთხოვნებიც. მართალია, მოსარჩელის თანამდებობა ვაკანტური არ არის, მაგრამ გადაწყვეტილების აღსრულება შესაძლებელია „საჯარო სამსახურის შესახებ“ 118.3 მუხლის საფუძველზე.

კასატორმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნა, რომ შს მინისტრის 24.01.2017წ. №27 ბრძანებით განსაზღვრულია სანვავის უზრუნველყოფის წესი, რომელიც წინასწარ და მკაცრად აყალიბებს სანვავის გამოყენების წესსა და გამოსაყენებელი სანვავის ოდენობას. ბრძანება, აგრეთვე მკაცრად ზღუდავს სანვავის მიღებ პირთა წრეს, საფუძველს და სანვავის ყოველთვიურ ლიმიტს. ამ ლიმიტის ფარგლებში კონკრეტული დანაყოფი ანაწილებს სანვავს მოსამსახურეზე განპიროვნებულ ან პირად სარგებლობაში არსებულ მანქანაზე. თუ მო-

სამსახურე სანვავის ლიმიტს ვერ ამონურავს, ყოველი თვის ბოლოს ხდება დარჩენილი ოდენობის განულება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სანვავის ლიმიტი სამსახურებრივი მიზნებისთვის არ არის საკმარისი, პატაკით შესაძლოა მიმართონ ლოჯისტიკის დეპარტამენტს, რომელიც უზრუნველყოფს მის გაზრდას. ამდენად, სამინისტრო მოქმედებს იმ სახელმწიფოებრივი ინტერესის ფარგლებში, რომ სახელმწიფო ქონება (სანვავი) იხარჯებოდეს მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისთვის. აღნიშნულის კონტროლი ხორციელდება მხოლოდ ხსენებული ბრძანების მოთხოვნათა დაცვის პირობებში. ახალი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გენერალური ინსპექციის 10.03.2021წ. დასკვნაში აღინიშნა, რომ ზ. დ-ეის გადაცდომას წარმოადგენს შს სამინისტროში დადგენილი სანვავის უზრუნველყოფის წესისათვის გვერდის ავლა, კერძოდ, ზ. დ-ე მასზე განპიროვნებულ ავტომანქანაზე სანვავის ლიმიტის ამონურვის შემთხვევაში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისთვის საჭირო სანვავს სესხულობდა, ხოლო ვალის გასტუმრების მიზნით სანვავის ბარათს გადასცემდა მესამე პირს, რის შემდეგ სანვავის ჩასხმა ხორციელდებოდა მესამე პირის განკარგვით არაავტორიზებულ ავტომანქანებში, ასევე დადგენილი წესისთვის გვერდის ავლას წარმოადგენდა შს სამინისტროზე რიცხულ კონკრეტულ ავტომანქანაზე გაცემული სანვავის ბარათიდან ზ. დ-ეის მიერ ან/და მითითებით შს სამინისტროს მოსამსახურეთა კუთვნილ (არაავტორიზებულ) ავტომანქანებში სანვავის ჩასხმა. კასატორის მითითებით ზ. დ-ეს არ გააჩნდა უფლებამოსილება მისი ავტომობილისთვის განკუთვნილი პლასტიკური ბარათი გადაეცა სხვა პირისთვის, თუნდაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით. აუცილებლობის შემთხვევაში მას შეეძლო ხელმძღვანელისთვის მიმართვა, რომელიც უზრუნველჰყოფდა სამსახურებრივი საქმიანობის შეუფერხებლად წარმართვას. ზ. დ-ეის მიერ პლასტიკური ბარათის სხვა პირებისთვის გადაცემა იყო თვითნებობა, იგი არ გამომდინარეობდა რაიმე საჭიროებით, სხვა შემთხვევაში მას შეეძლო და ევალეობოდა ხელმძღვანელისთვის მიმართვა, რაც მას არ განუხორციელებია, აგრეთვე არ შეუსრულებია ბრძანებით დადგენილი ვალდებულება სანვავის ლიმიტის გამოყოფის შეჩერების მოთხოვნის თაობაზე, ვინაიდან მისი განმარტებით ავტომობილი, რომლისთვისაც გადაეცა პლასტიკური ბარათი, იყო გაუმართავი. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა სამინისტროს მსჯელობა ზ. დ-ეის მიერ სხვა პირისთვის პლასტიკური ბარათის გადაცემის უფლებამოსილების არარსებობის თაობაზე, თუმცა აღნიშნული არ მიიჩნია მძიმე გადაცდომად. სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ ზ. დ-ეის ქმედებამ საფრთხე შეუქმნა ადმინისტრაციული ორგანოს საბიუჯეტო რესურსს, ვინაიდან კონტროლს მიღმა დარჩა სანვავის მიმღებ პირთა

წრე, ოდენობა და მიზნობრიობა.

კასატორმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნა, რომ 20.10.2017წ. ზ. დ-ემ შს სამინისტროს შიდა საინფორმაციო სისტემის მეშვეობით მოიპოვა ინფორმაცია „...“-ის მოდელის ავტომანქანის (სახელმწიფო №...) მესაკუთრისა და ადმინისტრაციული ჯარიმების შესახებ. ზ. დ-ის განმარტებით, ხსენებულ თარიღში ...ის ცენტრში მდებარე კლინიკა „...ს“ წინ შეამჩნია ავტომანქანა, რომელსაც შეეძლო მოძრაობა ავტომანქანებისთვის დაბრკოლების შექმნა, ამის გამო საჭირო გახდა ავტომანქანის მესაკუთრის ვინაობის დადგენა. მოსარჩელის აღნიშნული განმარტება არ შეესაბამება სინამდვილეს. ამ ავტომობილის მოსარგებლის ნ. მ-ის განმარტებით, ნ. მ-ეს 20.10.2017წ. ხსენებული ავტომობილი გაჩერებული ჰყავდა სხვა ლოკაციაზე, კერძოდ, ლ. ხ-ის სახლთან, საიდანაც 13:00 სთ-ზე დაიწყო სვლა თბილისის მიმართულებით და ჩოხატაურში არ გაჩერებულა. ლ. ხ-ემ შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში გამოკითხვისას დაადასტურა, რომ ხსენებული ავტომობილი მისი სახლის წინ ნამდვილად იყო გაჩერებული. დამატებით მან განმარტა, რომ მას მეგობრული ურთიერთობა აქვს ზ. დ-ესთან და ამ უცხო მანქანის გაჩერებამ გამოიწვია ზ. დ-ის დაინტერესება მისი მფლობელის მიმართ. სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო პერსონალური ინფორმაციის უკანონო დამუშავების საქმეებზე მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურობა, კერძოდ, მონაცემთა დამუშავების კანონიერის მტკიცების ტვირთი, აგრეთვე მონაცემთა დამუშავებაზე სუბიექტის თანხმობის არსებობასთან დაკავშირებით დავის წარმოშობის შემთხვევაში მონაცემთა დამუშავების კანონიერების, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის არსებობის მტკიცების ტვირთი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის 26.4 მუხლის თანახმად, ეკისრება მონაცემთა დამმუშავებელს, ამ შემთხვევაში ზ. დ-ეს. მოსარჩელე უთითებს ხსენებული ავტომობილის მიერ სხვა ავტომობილებისთვის შესაძლო ხელისშემწეაზე, ანუ აბსტრაქტულ გარემოებაზე და არა იმწუთიერ საფრთხეზე. თუ მოქალაქეს არასწორად ჰყავდა პარკირებული ავტომობილი, გაურკვეველია მოსარჩელის მიერ სამართალდარღვევის ოქმის შეუდგენლობა ან/და საპატრულო პოლიციისთვის მიუმართველობა. ცხადია, რომ ზ. დ-ე პერსონალური ინფორმაციის მოპოვების პროცესში მოქმედებდა პირადი ინტერესით და არა სამსახურებრივი მიზნით, შესაბამისად, მან დაარღვია, როგორც „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა საინფორმაციო პორტალზე განთავსებული ინფორმაციის გამოყენების ზოგიერთი საკითხის მონესრიგების შესახებ“ 24.08.2012წ. №709 ბრძანება, აგრეთვე საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი.

კასატორმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნა,

რომ შემდგომ დისციპლინურ დარღვევას – საგზაო შემთხვევასა და შემთხვევის ადგილის მიტოვების ფაქტს ადასტურებს ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე მეორე მანქანის მძღოლი კ. ჯ-ე და თვითმხილველი გ. ა-ე, აგრეთვე ბენზინ-გასამართ სადგურზე არსებული ვიდეოკამერების ჩანაწერები. რაც შეეხება ავტოსატრანსპორტო შემთხვევის მოხდენის ფაქტის ეჭვის ქვეშ დაყენებას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაუკისრებლობის გამო, აღნიშნული სამართალდარღვევის ჩადენისთვის დისციპლინური სახდელის გამოყენების მიზნით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-16 მუხლის საფუძველზე მასალები გადაიგზავნა შსს გენერალურ ინსპექციაში. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, თუმცა ზ. დ-ის მიერ ავტომობილის შეკეთების გამო მიიჩნია, რომ არ არსებობს სამინისტროსთვის მატერიალური ზიანის მიყენების ფაქტი. სასამართლოს არ შეუფასებია მოქმედი პოლიციელის მხრიდან საგზაო შემთხვევისა და შემთხვევის ადგილის მიტოვების ფაქტის სიმძიმე, აგრეთვე ზ. დ-ის მიერ გამოჩენილი არაგულწრფელობა. ზ. დ-ის და მის დაქვემდებარებაში მყოფი დანაყოფების ერთ-ერთ ფუნქცია-მოვალეობას შეადგენს საგზაო მოძრაობის შესახებ არსებული კანონმდებლობის აღსრულება. კასატორმა მიუთითა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123-ე და 127^{1.6} მუხლებზე და აღნიშნა, რომ ზ. დ-ემ დაარღვია საგზაო მოძრაობის კანონმდებლობა – სამსახურებრივი ავტომანქანით მომხდარ საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის ადგილი მიატოვა თვითნებურად. აღნიშნული ქმედება წარმოადგენს გადაცდომას. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ აღნიშნული სამართალდარღვევისკენ ზ. დ-ემ უბიძგა სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილე მეორე მძღოლსაც. შემთხვევას შეესწრო ასევე სხვა მოქალაქეც, რომლისთვისაც ცნობილი იყო ზ. დ-ის თანამდებობა. ამდენად, მოსარჩელემ ჩაიდინა ისეთი ქმედება, რითაც შეილახა სამინისტროს სისტემის ავტორიტეტი და მოახდინა მისი დისკრედიტაცია, რაც წარმოადგენს მძიმე დისციპლინურ გადაცდომას. კასატორმა მიუთითა სკ-ის 999-ე მუხლით გათვალისწინებულ ზიანის ანაზღაურების საფუძველზე და აღნიშნა, რომ ავტომობილი, რომლითაც ზ. დ-ე გადაადგილდებოდა, იყო შს სამინისტროს ბალანსზე. თანამშრომელი, რომელიც იყენებს სამინისტროს ბალანსზე არსებულ ავტომობილს, უნდა აცნობიერებდეს მომეტებულ პასუხისმგებლობას და ნებისმიერი შეჯახებისას ხელმძღვანელს პირს უნდა აყენებდეს საქმის კურსში. ეთიკის კოდექსიდან გამომდინარე ზ. დ-ეს ეკისრებოდა უშუალო უფროსისთვის და გენერალური ინსპექციისთვის შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაციის მინოდების ვალდებულება, მიუხედავად გამოწვეული ზიანის სიმცირისა. შს სამინისტ-

ტროს საექსპერტო-კრიმინალისტური დეპარტამენტის აჭარის არ საექსპერტო-კრიმინალისტურ სამსახურში 07.01.2018წ. დასკვნის თანახმად, ექსპერტიზაზე წარდგენილი ავტომანქანის („...“) ვიზუალური დათვალიერებით გამოვლენილი დაზიანებით მიყენებული მატერიალური ზარალის ოდენობამ შეადგინა 1360 ლარი, შესაბამისად, იგი აღდგენილია მხოლოდ ნაწილობრივ. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ აქტის სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენებით სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნობა მოკლებულია, როგორც ფაქტობრივ, ასევე პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს. საქმეზე წარმოდგენილია ახალი მტკიცებულებები, აგრეთვე დაზუსტებულია მთელი რიგი გარემოებები, რომელიც საფუძვლად დაედო ზ. დ-ეის გათავისუფლებას. რაც შეეხება სახდელის პროპორციულობას, მოსარჩელის სამინისტროდან გათავისუფლება მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის ერთადერთი და თანაზომიერი საშუალებაა. გასათვალისწინებელია აგრეთვე ზ. დ-ეის პიროვნება და დამსახურება. მოსარჩელეს სამსახურებრივი შემონმებისას გააჩნდა მოქმედი დისციპლინური სახდელი – საყვედური. იგი ხელმძღვანელის მხრიდან დახასიათდა, როგორც ინერტული და უპასუხისმგებლო, გამოკითხვისას სხვა თანამშრომლებმაც აღნიშნეს, რომ ზ. დ-ე იყო ნაკლებად მოტივირებული ხელმძღვანელი პირი. შს სამინისტროს არ გადაუჭარბებია მისთვის დაკისრებული დისკრეციული უფლებამოსილებისთვის. გადწყვეტილება ზ. დ-ეის სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე მის მიერ ჩადენილი გადაცდომების პროპორციულია, რის გამოც არ არსებობდა შს მინისტრის 15.03.2021წ. ბათილად ცნობის საფუძვლები.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში 25.09.2024წ. საკასაციო საჩივრების დასაშვებობის შემონმების მიზნით გაიმართა ზეპირი მოსმენის სხდომა. აღნიშნულ სხდომაზე მოსარჩელემ გამოთქვა მორიგების სურვილი გარკვეულ პირობებზე მითითებით, შესაბამისად მხარეებს მიეცათ ვადა საქმის მორიგების დასრულების მიზნით. საკასაციო პალატაში 25.11.2024წ. წარმოდგენილი იქნა შს სამინისტროს წარმომადგენლის წერილი, რომლითაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მორიგებაზე უარი განაცხადა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, გასაჩივრებული გადწყვეტილებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლების კანონიერების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ზ. დ-ეის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასა-

ჩივრებული გადაწყვეტილება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წანამძღვრებს. სააპელაციო ინსტანციაში პროცესუალურ-სამართლებრივი რეგულაციური ფუნქციის ფარგლები გამოიხატება სასამართლოს უფლებამოსილებაში თავად გამოიკვლიოს მტკიცებულებები და დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები. გასაჩივრებული გადაწყვეტილება ძირითადად შეიცავს საკასაციო პალატის განჩინებაზე მითითებას, სააპელაციო სასამართლომ საკასაციო სასამართლოს განჩინებაში ასახულ გამოსაკვლევ გარემოებებზე მითითება მიიჩნია საკასაციო პალატის მიერ დადგენილ გარემოებებზე მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო სასამართლოს პროცესუალურ უფლებამოსილებას არ შეადგენს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. სააპელაციო სასამართლოს მიერ არამართებულად იქნა გამოყენებული სასკ-ის 32.4 მუხლი, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. აღნიშნული თავის მხრივ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის საქმის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების წინაპირობას წარმოადგენს.

საქმის მასალებში დაცული საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 04.11.2017წ. №2665742 ბრძანებით, შსს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს ..., ... ზ. დ-ე თავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილი იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროდან საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში. აღნიშნული ბრძანება სასამართლო წესით გასაჩივრდა ზ. დ-ეის მიერ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 10.07.2018წ. გადაწყვეტილებით ზ. დ-ეის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 04.11.2017წ. №2665742 ბრძანება ზ. დ-ეის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ დაევალა კანონით დადგენილ ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა შემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ, კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.12.2018წ. განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი საქალაქო სასამართლოს 10.07.2018წ. გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე არ დაკ-

მაყოფილდა, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.05.2020წ. განჩინებით სამინისტროს საკასაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მიჩნეული იქნა დაუშვებლად. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში დადგინდია, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით საკითხის გადაუწყვეტლად იქნა ბათილად ცნობილი ადმინისტრაციული ორგანოს აქტი მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევა, ახალი გადაწყვეტილების მიღება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კონვენციის 6.1 მუხლით დაცულია საბოლოო და აღსასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილების აღსრულების უფლება („Ouzounis and others v. Greece“, §21), წინააღმდეგ შემთხვევაში კონვენციის აღნიშნული მუხლი აზრს იქნებოდა მოკლებული („Burdov v. Russia“, §34,37). ეფექტური დაცვის საშუალებები და კანონიერების აღდგენა მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სასამართლოს აქტების შესრულების ვალდებულებას („Hornsby v. Greece“, § 41). გადაწყვეტილება უნდა შესრულდეს სრულად და არა ნაწილობრივ. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების სრულად ან ნაწილობრივ გაუთვალისწინებლობა შედეგად იწვევს ერთი და იგივე საკითხზე სასამართლონარმოებათა სერიას, რაც ასევე ეწინააღმდეგება კონვენციის 6.1 მუხლს („Turczanik v. Poland“, §49). ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ კონვენციის 6.1 მუხლის მოთხოვნებს, უნდა დაექვემდებარონ იმ „სასამართლო ორგანოს კონტროლს, რომელსაც სრული იურისდიქცია“ გააჩნია („Ortenberg v. Austria“, §31). განსახილველ შემთხვევაში დგინდება, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ 15.03.2021წ. მიღებული იქნა №MIA 6 21 00622729 ბრძანება, რომლითაც ზ. დ-ე კვლავ გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2017 წლის 4 ნოემბრიდან. განსახილველი დავის საგანს აღნიშნული ბრძანების ბათილად ცნობა შეადგენს. სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე 15.03.2021წ. №MIA 6 21 00622729 ბრძანება სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო იმაზე მითითებით, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეუსრულებია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დავალებული მითითებები და არ გამოუკვლევიან სათანადო გარემოებები. ამდენად, ზ. დ-ეის სამსახურიდან გათავისუფლების მართლობიერება სასამართლოს მიერ შეფასდა ორი სასამართლონარმოების ფარგლებში და ორივე შემთხვევაში გა-

საჩივრებული აქტი მოსარჩელის შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ბათილად იქნა ცნობილი სადავო საკითხის გადაუნყვტელად.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველას აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებულია სამართლიანი სასამართლოს უფლება. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის დროულად და სამართლიანად განხილვის უფლება, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ქმნის კონსტიტუციური უფლებების ან/და კანონიერი ინტერესების დაცვის პროცესულურ გარანტიას, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლება ინსტრუმენტული ხასიათისაა, რომლის მიზანია ადამიანის უფლებების და კანონიერი ინტერესების სასამართლოს გზით ადეკვატური, ეფექტური დაცვის შესაძლებლობის უზრუნველყოფა. სამართლიანი სასამართლოს უფლება ქმნის კონსტიტუციითა თუ კანონით დაცული, აღიარებული რომელიმე უფლებისა თუ სამართლებრივი ინტერესის სასამართლოში დაცვის პროცესულურ გარანტიას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 03.04.2015წ. №2/2/630 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თ. ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4). საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი იცავს პირის შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს მისი უფლებების, მათ შორის შრომის თავისუფლების უფლების დასაცავად. აღნიშნული უფლების დაცვისათვის სათანადო პროცესულური კანონმდებლობის შექმნა, თავის მხრივ, სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნას წარმოადგენს. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის და შეფასების, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების უცილობელი პირობის, დაუცველობის შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულია სასამართლოს უფლებამოსილება (ცნოს აქტი ბათილად სადავო საკითხის გადაუნყვტელად (სასკ-ის 32.4 მუხ.). სზაკ-ის 53.5 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს, ხოლო სზაკ-ის 96.1 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას

გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. აღნიშნული იმპერატიული ხასიათის უმნიშვნელოვანეს დანაწესს წარმოადგენს. სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე სადავო საკითხის გადაწყვეტლად, აქტის ბათილად ცნობა სასამართლოს მიერ ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო აქტის გამოცემისას დარღვეულია კანონმდებლობით იმპერატიულად დადგენილი ვალდებულება – საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის და მათი შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აღნიშნული ვალდებულების დარღვევით ინდივიდუალური აქტის გამოცემის შემთხვევაში სასამართლო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნობს ადმინისტრაციულ აქტს და ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს არა კონკრეტული შინაარსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, არამედ ადმინისტრაციულ ორგანოს უთითებს საკითხებს, რომლებიც მის მიერ დამატებით უნდა იქნეს გამოკვლეული და შეფასებული ახალი აქტის გამოცემისას. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს თუ აქტის ბათილად ცნობისთვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ინკვიზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით (სასკ-ის მე-4, მე-19 მუხ.) მართალია, სასამართლოს აქვს შესაძლებლობა ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით შეაგროვოს დამატებითი მტკიცებულებები, თუმცა აღნიშნული არ უნდა იწვევდეს ორგანოში განსახორციელებელი წარმოების ჩანაცვლებას. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის გზით უფლების დაცვა გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სრულყოფილ გადამოწმებას ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სასამართლოს აქვს უფლებამოსილება დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების და შესწავლის საფუძველზე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში არ იქნა სრულყოფილად გამოკვლეული. ადმინისტრაციული წარმოება არის მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის გამოყენების ანუ გადაწყვეტილების მიღების ორგანიზებული პროცესი, რომლის დროსაც ადმინისტრაციული ორგანო ასრულებს კანონით მასზე დაკისრებულ ამოცანებს და აწესრიგებს სამართალურთიერთობის მონაწილეების უფლება-მოვალეობებს. ადმინისტრაციული წარმოება შედგება რამდენიმე ეტაპისაგან (ინფორმაციის მოპოვება, გადაწყვეტილების მომზადება და გადაწყვეტილების მიღება), რაც ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასზე კანონით დაკისრებული ძირითადი

ფუნქციის შესრულებას, საჯარო მმართველობის განხორციელებას. ადმინისტრაციული დავის გადაწყვეტის პროცესში სასამართლო ახორციელებს სასამართლოწარმოებას და არა ადმინისტრაციულ წარმოებას, უკანასკნელი გულისხმობს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების განსაზღვრას, მათ შესახებ ინფორმაციის მოძიებას, მოძიებული ინფორმაციის მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის ფაქტობრივ შემადგენლობასთან შესაბამისობის დადგენას და სამართლებრივი შედეგის განსაზღვრას. სასამართლოს მიერ მითითებული ფუნქციების საკუთარ თავზე აღების შემთხვევაში, სასამართლო სრულად ჩაანაცვლებდა ადმინისტრაციულ ორგანოს და განახორციელებდა არა მართლმსაჯულებას, არამედ საჯარო მმართველობას, რაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე არ არის დასაშვები (სუსგ 05.02.2020წ. საქმე №ბს-1350(2კ-19)). ადმინისტრაციული სასამართლოწარმოების დროს ხორციელდება სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თუ განხორციელებული ქმედების კანონიერებაზე. სასამართლო არ არის შებოჭილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით. ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით სასამართლოსთვის მინიჭებული საკუთარი ინიციატივით მტკიცებულებების შეგროვების უფლებამოსილება ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპის დაცვას. განსახილველ შემთხვევაში, მართალია, შეფასებას საჭიროებდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მითითებული გარემოებების კვლევის ვალდებულების შესრულება, თუმცა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ასეთი გარემოებების სათანადოდ გამოკვლევის ფაქტის არარსებობა იმთავითვე არ გულისხმობს საკითხის განმეორებით ადმინისტრაციულ ორგანოში დაბრუნების საფუძვლების არსებობას, ხელახლა იგივე გარემოებების ადმინისტრაციული ორგანოსთვის გამოკვლევის დავალებას. სადავო საკითხის გადაწყვეტლად აქტის ბათილად ცნობის თაობაზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისას, სასამართლო უფლებამოსილია, საქმის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებითა და ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი ინკვიზიციურობის პრინციპის საფუძველზე, ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის გზით შეაგროვოს დამატებითი მტკიცებულებები და მიიღოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე. უკეთეს საკითხის ხელახალი შესწავლისას დადგინდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების არასათანადო გამოკვლევა, ადმინისტრაციული სასამართლოწარმოების ფარგლებში

მეგროვებული და გამოკვლეული გარემოებების საფუძველზე საკითხის არსებითად გადაწყვეტა არ გამოირიცხება. ყოველ ჯერზე სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე სადავო აქტის საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნობამ შესაძლოა გამოინვიოს დავის უსასრულოდ გაგრძელება. აღნიშნულმა შესაძლოა საერთოდ დაუკარგოს აზრი დავის საბოლოო შედეგს. ამდენად, სასამართლოს მიერ კონკრეტულ საკითხზე განმეორებით სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენება საჭიროებს სათანადო დასაბუთებას, ასევე საჭიროებს გონივრული ბალანსის დაცვას სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოს ჩანაცვლების დაუშვებლობასა და მართლმსაჯულების განხორციელებას შორის.

„პოლიციის შესახებ“ კანონის 4.3 მუხლის მიხედვით, პოლიციელი არის საჯარო მოხელე. საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი ადგენს ყოველი მოქალაქის საჯარო თანამდებობაზე წვდომის უფლებას. აღნიშნული კონსტიტუციური დანაწესი იცავს სახელმწიფო სამსახურზე მოქალაქის თავისუფალი წვდომის უფლებას, რაც გულისხმობს საჯარო სამსახურში დასაქმებული პირის თანამდებობასთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ გარანტიებს არ იქნეს დაუსაბუთებლად გათავისუფლებული სამსახურიდან, იყოს დაცული ყოველგვარი გარე ჩარევისგან (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 23.05.2014წ. №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-19). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, ერთმანეთისგან გამიჯნულია სახელმწიფო სამსახურში საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების სხვადასხვა უფლებრივი კომპონენტები, მათ შორის სამსახურიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებისგან დაცვის გარანტია. საჯარო მიზნების განხორციელებაზე ორიენტირებული, საჯარო ფუნქციის განმახორციელებელი პირები, დამოუკიდებლად იმისგან, წარმოადგენენ თუ არა ისინი კანონით განსაზღვრულ საჯარო მოხელეებს ან სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირებს, საჯარო ფუნქციის ეფექტიანად და სრულყოფილად განხორციელებისათვის უნდა სარგებლობდნენ საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით გათვალისწინებული კონსტიტუციური გარანტიებით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 11.04.2014წ. №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დ. კანდელაკი, ნ. დვალი, ზ. დავითაშვილი, ე. გოგუაძე, გ. მელაძე და მ. ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5-6). შრომის უფლება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას სათანადო, კანონიერი საფუძველების გარეშე არ დაუშვას დასაქმებულთა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, ამასთან, შრომის გარანტირებული უფლება არ არის აბსოლუტური და აღნიშნული უფლებით დაცული სფერო შესაძლებელია დაექვემდებაროს შეზღუდვას

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლეგიტიმური მიზნითა და თანაზომიერების პრინციპის დაცვით. შრომის უფლების დაცვა არ გულისხმობს დამსაქმებლის აბსოლუტურ შეზღუდვას კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში გაათავისუფლოს დასაქმებული (სუსგ 23.04.2019წ. საქმე №ბს-954(2კ-18)). დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება ობიექტურ მიზეზებზე უნდა იყოს დაფუძნებული, დამსაქმებელი ვალდებულია დაასაბუთოს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების ობიექტური მიზეზები (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №158 კონვენციის (1982წ.) №166 რეკომენდაცია „დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის შესახებ“). ამდენად, საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას. მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება საკმარისად დასათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული.

„პოლიციის შესახებ“ კანონის 41.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო პოლიციელის სამსახურიდან დათხოვნის შესაძლებლობას. ამავე კანონის 59.3 მუხლი შეიცავს დისციპლინური სახდელების ჩამონათვალს, რომელთაგან სამსახურიდან დათხოვნა („ზ“ ქვ.პ.) წარმოადგენს ყველაზე მძიმე სახდელს. დისციპლინური სახდელის გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ჩადენილი გადაცდომის შინაარსი და სიმძიმე, შედეგები, აგრეთვე ჩადენის გარემოებები, მოსამსახურის პიროვნება და დამსახურება (საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 31.12.2013წ. №989 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების“ 41.2 მუხ.). პირის გათავისუფლება სამსახურიდან, როგორც ყველაზე მკაცრი დისციპლინური სახდელი, სარწმუნოდ უნდა დასაბუთდეს. განსახილველ შემთხვევაში არ იქნა გამოკვლეული გარემოებები, რომელიც საკმარისი იქნებოდა აღნიშნულ საკითხებზე დასკვნის მისაღებად. საქმეში დაცული მასალებით მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე შს მინისტრის 04.11.2017წ. და 15.03.2021წ. ბრძანებებს საფუძვლად დაედო შსს გენერალური ინსპექციის დასკვნები, რომლებითაც ინსპექციამ სამსახურებრივი შემონმების შედეგად გამოვლენილი დარღვევების (სანვავის მოხმზარების წესის დარღვევა, პერსონალური მონაცემების არასამსახურებრივი მიზნით გამოყენება, ავტოსაგზაო შემთხვევის შეუტყობინებლობა, სამინისტროს ბალანსზე არსებული ავტომანქანის დაზიანება) გამო მიზანშეწონილად მიიჩნია დისციპლინური სახდელის სახით ზ. დ-ეისთვის სამსახურიდან გათავისუფლების შეფარდება. გენერალური ინსპექციის დასკვნების მიხედვით ზ. დ-ემ და-

არღვია შს მინისტრის 24.01.2017წ. №27 ბრძანებით დამტკიცებული სანვავის გამოყენების წესი, რომელიც დამტკიცებული ლიმიტის ზემოთ სანვავის გასაცემად ადგენს შესაბამისი პირის მიერ მოტივირებული პატაკის წარდგენის საჭიროებას. სამსახურებრივი შემომწების შედეგად დადგინდა, რომ ... ზ. დ-ეზე განპიროვნებული იყო შს სამინისტროზე რიცხული ავტომანქანა, რომლისთვისაც სს „გ...ს“ მიერ დამზადებული იქნა სანვავის ბარათი. აღნიშნულ ბარათზე ყოველთვიურად ირიცხებოდა 400 ლიტრი ბენზინის სანვავი. დისციპლინური გადაცდომა მდგომარეობს იმაში, რომ 2017 წლის აპრილსა და მაისში ზ. დ-ემ სანვავის ლიმიტის ამოწურვის გამო სანვავი ბენზინგასამართი სადგურიდან აიღო ვალად, შემდგომ ვალის დაბრუნების მიზნით ბარათი სარგებლობისთვის გადასცა ჩოხატაურში იმავე ბენზინგასამართი სადგურის თანამშრომელს სხვა პირთა კუთვნილ ავტომანქანებში სანვავის ჩასხმის მიზნით, ასევე ზ. დ-ეის მიერ ან/და მისი მითითებით ხდებოდა შს სამინისტროს მოსამსახურეთა კუთვნილ (არაავტორიზებულ) ავტომანქანებში სანვავის ჩასხმა. საკასაციო პალატა მიუთითებს „პოლიციის შესახებ“ კანონის 55.2 მუხლზე, რომლის თანახმად, თუ პოლიციელი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის სახელმწიფო ან პირად საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებას იყენებს, ამ სატრანსპორტო საშუალებას სანვავით უზრუნველყოფს სამინისტრო მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით. შს მინისტრის 24.01.2017წ. №27 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების სანვავით უზრუნველყოფის შესახებ“ მიღებულია სწორედ მითითებული ნორმის საფუძველზე, აღნიშნული ბრძანება წარმოადგენს მინისტრის არა ნორმატიულ, არამედ ინდივიდუალურ აქტს, რომლის გაცნობის წესი დადგენილია კანონმდებლობით. საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული სანვავის მოხმარების „წესის“ დარღვევის გამო დისციპლინური გადაცდომის დადგენა საჭიროებდა მოსარჩელის მიერ შს მინისტრის 24.01.2017წ. №27 ბრძანების გაცნობის ფაქტის დადგენას. საკასაციო სასამართლოში ზეპირი მოსმენის სხდომაზე შს სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვერ გასცა დაზუსტებული პასუხი და გამოთქვა მხოლოდ ვარაუდი იმის შესახებ, რომ ელექტრონული კანცელარიის მეშვეობით მოსარჩელე გაცნობილი უნდა იყოს აღნიშნულ ინდივიდუალურ აქტს. საქმეში არსებული მასალების მიხედვით, მოსარჩელის სახელზე განპიროვნებული შს სამინისტროს კუთვნილი ავტომანქანა პერიოდულად საჭიროებდა შეკეთებას. გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს უფროსი ზ. მ-ი 18.05.2017წ. ახსნა-განმარტებაში მიუთითებს, რომ მიმდინარე წელს ზ.

დ-ეზე განპიროვნებული ავტომობილი რამდენჯერმე იქნა გადაყვანილი ქ. თბილისში შესაკეთებლად და მოსარჩელე სამსახურში ცხადდებოდა პირადი ავტომობილით. ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი ს. მ-ი 18.05.2017წ. ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, რომ ზ. დ-ეის სამსახურებრივი ავტომანქანა შეკეთების მიზნით, ევაკუატორის საშუალებით, გადაყვანილი იქნა ქ. თბილისში. ს. მ-ის მითითებით 2017 წლის მარტში ის გაემგზავრა ქ. თბილისში აღნიშნული ავტომობილის ჩამოყვანის მიზნით, რის გამოც ზ. დ-ემ მას გადასცა თავისი სამსახურებრივი სანვავის ბარათი, რომლითაც ს. მ-მა ისარგებლა ჩოხატაურში ჩამოსვლის მიზნით. ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს ...ის ნ. ტ-ეის 18.05.2017წ. ახსნა-განმარტების თანახმად, 11.04.2017წ. ზ. დ-ეის თხოვნით ქ. თბილისიდან ჩამოიყვანა ზ. დ-ეის სამსახურებრივი ავტომანქანა, რომელიც თბილისში შესაკეთებლად იმყოფებოდა, ავტომანქანის ჩამოსაყვანად მან ისარგებლა ზ. დ-ეის მიერ გადაცემული სანვავის ბარათით, კერძოდ, სანვავი ავტომობილში ჩაასხა ქ. თბილისში, ...ში მდებარე „ვ...ს“ ბენზინგასამართ სადგურში. აღნიშნული გარემოება ასევე დასტურდება სს „ვ...ს“ მიერ გადაცემული სანვავის ჩასხმის ცხრილით. ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს ...ის ვ. ნ-ეის 18.05.2017წ. ახსნა-განმარტებით, იმავე წლის 25-26 აპრილს ქ. თბილისში წაიყვანა მოსარჩელის სამსახურებრივი ავტომანქანა შეკეთების მიზნით, 27 აპრილს ქ. თბილისიდან ჩოხატაურში დასაბრუნებლად ავტომობილში საკუთარი სახსრებით ჩაასხა სანვავი, სანაცვლოდ რამდენიმე დღეში სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე ზ. დ-ემ ჩოხატაურში არსებული „ვ...ს“ ბენზინგასამართი სადგურის პერსონალთან გასაუბრების შემდგომ სანვავი ჩაუხსნა მის კუთვნილ „...ს“ მარკის ავტომანქანაში. ზ. დ-ეის 17.05.2017წ. ახსნა-განმარტების თანახმად, მან სანვავი ვალად აიღო 2017 წლის მარტსა და აპრილში, საქმის მასალებში დაცული უბნის ინსპექტორ-გამომძიებლების ახსნა-განმარტებების შესაბამისად მოსარჩელის სამსახურებრივი ავტომანქანა სწორედ მითითებულ პერიოდში საჭიროებდა შეკეთებას. ამდენად, მოსარჩელის სახელზე განპიროვნებული ავტომობილისთვის გამოყოფილი სანვავის ოდენობის არასაკმარისობა შესაძლოა განპირობებული ყოფილიყო სწორედ ავტომანქანის შეკეთების გამო ჩოხატაურიდან თბილისში და თბილისიდან ჩოხატაურში ტრანსპორტირებით, შესაბამისად დასაბრუნებული არ არის კასატორის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სანვავის ბარათის სხვა პირისათვის გადაცემის საჭიროება არ არსებობდა. ამასთანავე, ამ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოში გამართულ ზეპირი მოსმენის სხდომაზე სამინისტროს წარმომადგენელს არ მიუთითებია ავტომანქანის შეკეთების შემდგომ მისი თბილისიდან ჩოხატაურში დაბ-

რუნების მიზნით გამოსაყენებელი სანვავის მოხმარების კონკრეტულ ნესზე. სანვავის გამოყენებასთან დაკავშირებით მითითებული გარემოებები სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია და არ შეუფასებია. სააპელაციო პალატის მითითებით საკასაციო სასამართლომ 28.05.2020წ. განჩინებით დადასტურებულად მიიჩნია სადავო პერიოდში ზ. დ-ეის სამსახურებრივი მანქანის ხშირად გაუმართაობა, ამის გამო თბილისში შესაკეთებლად მანქანის გადაყვანა, გადაყვანის მიზნით კონკრეტული პირების სანვავით უზრუნველყოფა, სამსახურებრივი მანქანის გაუმართაობის პერიოდში ზ. დ-ეის მიერ თავისი პირადი ავტომობილით სარგებლობა და სამსახურებრივი ბარათით ბენზინის მოხმარება, რიგ შემთხვევებში ზ. დ-ეის მიერ სანვავის ვალად აღება და ვალის გადახდის მიზნით სამსახურებრივი ბარათის ბენზინგასამართ სადგურში დასაქმებული პირებისთვის დატოვება. ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის ნაცვლად სააპელაციო პალატა შემოიფარგლა საკასაციო საჩივრის დაუშვებლობის შესახებ საკასაციო პალატის განჩინებაზე მითითებით, აღნიშნულ განჩინებაში ასახული გარემოებები მიიჩნია საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებად მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო ინსტანციის სასამართლოს ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესუალური უფლებამოსილება არ გააჩნია, ამასთანავე საკასაციო სასამართლოს განჩინება ეხებოდა სასკის 32.4 მუხლის საფუძველზე დავის გადაუწყვეტლად აქტის ბათილად ცნობაზე და საქმის გარემოებების გამოკვლევის შემდეგ ახალი აქტის გამოცემაზე შეტანილი საკასაციო საჩივრის დაუშვებლობას. სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების ნაცვლად გაიმეორა საკასაციო პალატის დასკვნა სანვავის მოხმარებასთან დაკავშირებული დარღვევის სიმძიმის და ამ ქმედების შედეგად დამდგარი ზიანის შეფასების საჭიროებაზე, შესაბამისად საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და მტკიცებულებათა შეფასების მართებულება ასეთის არარსებობის გამო. საკასაციო პალატა აგრეთვე ყურადღებას ამახვილებს ბენზინგამასართი სადგურის თანამშრომლების ახსნა-განმარტებებზე, რომელთა მიხედვით ზ. დ-ეს სანვავის ვალი არ გააჩნია, აღნიშნულ გარემოებას არც მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო უარყოფს, შესაბამისად შეფასებას საჭიროებს სანვავის გამოყენებასთან დაკავშირებით ზ. დ-ეის ქმედებით მძიმე შედეგების დადგომის არსებობა, ვინაიდან მოსარჩელის ქმედებით გარკვეული სახის რისკის შექმნა არ ქმნის ყველაზე მძიმე დისციპლინური სახდელის – სამსახურიდან გათავისუფლების გამოყენების საკმარის საფუძველს (სუსგ 10.11.2022წ. საქმე №ბს-763(2კ-22), 26.06.2024წ. საქმე №ბს-227(კ-24)). ამასთანავე, გენე-

რალური ინსპექციის დასკვნებში სანვავის გამოყენების „ნესის“ დარღვევად მიჩნეულია აგრეთვე სანვავით პირადი მანქანის უზრუნველყოფა სამსახურებრივი ავტომობილის გაუმართაობის პერიოდში. აღნიშნულთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ „პოლიციის შესახებ“ კანონის 55.2 მუხლი ითვალისწინებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისთვის პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების გამოყენებისა და ამ სატრანსპორტო საშუალების სანვავით სამინისტროს მიერ უზრუნველყოფის შესაძლებლობას. ასეთ შესაძლებლობას ადგენს აგრეთვე შს მინისტრის 24.01.2017წ. №27 ბრძანებით დამტკიცებული სანვავის გამოყენების „ნესის“ მე-2 მუხლი. ამდენად, სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად პირად საკუთრებაში მყოფ მანქანაში ბარათის გამოყენებით სანვავის ჩასხმა არ წარმოადგენს დისციპლინური დევნის საფუძველს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სანვავის ბენზინგასამართი სადგურიდან ვალად აღებისა და შემდეგ ვალის დაბრუნების ფაქტთან მიმართ – დადგენილი არ არის გადაცდომის სიმძიმე და ჩადენილ ქმედებასთან მიმართებით გამოყენებული სახდელის ადეკვატურობა. აღმინისტრაციული ორგანო არ მიუთითებს ზ. დ-ეის მიერ სანვავთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებების შედეგად სამინისტროსთვის ზიანის მიყენების ან სანვავის არასამსახურებრივად გამოყენების ფაქტზე. მოპასუხე მიუთითებს სანვავის მოხმარების კონტროლის მექანიზმის მოშლაზე, სამსახურებრივი მიზნით გამოყოფილი სანვავის არასამსახურებრივი მიზნით გამოყენების შესაძლებლობაზე, თუმცა განსახილველ შემთხვევაში სანვავის არასამსახურებრივი მიზნით გამოყენებას ადგილი არ ჰქონია, არასამსახურებრივი მიზნით სანვავის გამოყენებას მოპასუხე მოსარჩელეს არ ედავება. კასატორის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა საკასაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზე ვერ დააზუსტა აგრეთვე დადგენილი „ნესის“ ავლით გამოყენებული სანვავის ოდენობა, შესაბამისად სანვავის ამ ოდენობის დაუდგენლობის გარეშე არ არსებობს ზ. დ-ეის ქმედების მძიმე დისციპლინურ გადაცდომად მიჩნევის საკმარისი საფუძველი. აღნიშნული გარემოება სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ გამოუკვლევა. „ნესის“ დარღვევით მოხმარებული სანვავის ოდენობის, გადაცდომის სიმძიმის, გადაცდომის შედეგად სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის შეფასების შეუძლებლობის შემთხვევაში, არ არსებობს აღნიშნული გარემოების დასაქმებულის საინააღმდეგოდ განმარტების და მის მიმართ ყველაზე მძიმე დისციპლინური სახდელის გამოყენების საკმარისი საფუძველი.

საქმის მასალებში დაცული გენერალური ინსპექციის 04.11.2017წ. და 10.03.2017წ. დასკვნების მიხედვით ზ. დ-ე 01.11.2017წ. დაახლო-

ბით 18:00 საათზე...ში ბენზინგასამართი სადგურის „ს...ს“ მიმდებარედ მოძრაობისას შეეჯახა კ. ჯ-ის მართვის ქვეშ მყოფ ავტომანქანას, ზ. დ-ემ მომხდარის შესახებ არ შეატყობინა შს სამინისტროს შესაბამის დანაყოფებს ან გურიის პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირებს, მან მიატოვა შემთხვევის ადგილი და აღნიშნული ქმედების დაფარვის მიზნით ავტომანქანა მიიყვანა ხელოსანთან, ხოლო ახსნა-განმარტება ავტომანქანის დაზიანების შესახებ დაწერა ხელმძღვანელი პირის მოთხოვნის შემდგომ. გენინსპექციის დასკვნის თანახმად, ზ. დ-ემ გამოიჩინა არაგულწრფელობა და განმარტა, რომ ავტომანქანა დაზიანდა არა სხვა ავტომანქანასთან შეჯახების, არამედ მისი საცხოვრებელი სახლის ლითონის კარებთან შეხების შედეგად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მითითებულ ნაწილში გადაცდომა მდგომარეობს ზ. დ-ის მიერ ავტოსაგზაო მოძრაობის წესების დარღვევის შედეგად სამინისტროზე რიცხული ავტომანქანის დაზიანებაში, თუმცა საქმეზე დადგენილი არ არის ზ. დ-ის მიერ კონკრეტული საგზაო მოძრაობის წეს(ებ)ის დარღვევა და ამგვარი წეს(ებ)ის დარღვევით საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის წარმოშობა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-16 მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისთვის იმ პირთა პასუხისმგებლობას, რომლებზეც ვრცელდება სპეციალური დისციპლინური ნორმების მოქმედება. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საერთო საფუძველზე. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, აღნიშნულ შემთხვევებში ორგანოებს (თანამდებობის პირებს), რომლებსაც ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვთ, შეუძლიათ მის ნაცვლად სამართალდარღვევათა მასალები გადასცენ შესაბამის ორგანოებს ბრალეულთა დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის საკითხის გადასაწყვეტად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეს არ მიუთითებია საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ადმინისტრაციული სახდელის დადებაზე უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამისი ორგანოსთვის მასალების გადაგზავნის ფაქტზე, ამასთან, მითითებული ნორმით დადგენილი უფლებამოსილება არ გამორიცხავს შესაბამისი ორგანოს (მაგ. დისციპლინური პასუხისმგების საკითხის გადაწყვეტაზე უფლებამოსილი პირის) ვალდებულებას დაადგინოს პირის ქმედების საგზაო მოძრაობის კანონმდებლობასთან შეუსაბამობა და გამოიკვლიოს რელევანტური გარემოებები, მათ შორის, პირის ბრალეულობა. მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველად მითითებული გენერალური ინსპექციის დასკვნები არ შეიცავს მსჯელობას მოსარჩელის მიერ კონკრეტული

საგზაო წესების დარღვევაზე (მაგ. „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონის 36-ე მუხლი განსაზღვრავს გზაჯვარედინზე გზის დათმობის მოვალეობის წარმოშობის შემთხვევებს, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლი შეიცავს სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის შემთხვევათა ჩამონათვალს). მოპასუხეს არ მიუთითებია ამ კონკრეტულ შემთხვევაში მითითებული ნორმებით დადგენილი კონკრეტული მოვალეობის ან საგზაო მოძრაობის წესის ზ. დ-ეის მიერ დარღვევაზე, რამაც გამოიწვია შეჯახება და შესაბამისად სამინისტროს ბალანსზე არსებული ავტომანქანის დაზიანება. იმ შემთხვევაში, თუ სამინისტროს მოსაზრებით ავტომანქანა დაზიანდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად, მნიშვნელოვანია დადგინდეს ამ ფაქტის – საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის წარმოშობაში ბრალეული პირი. შემთხვევის ადგილის მიტოვება ან/და შეუტყობინებლობა ავტო-საგზაო შემთხვევის წარმოშობაში პირის ბრალს არ ადასტურებს, ვინაიდან ადგილის მიტოვება და შეუტყობინებლობის ვალდებულება სწორედ ასეთი შემთხვევის შემდგომ შეიძლება წარმოიშვას. კასატორი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საკასაციო საჩივარში მიუთითებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 127¹.6 მუხლზე, რომლითაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სახდელი საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ან ტვირთის გადაზიდვის წესების დარღვევის გამო, რომელსაც მოჰყვება სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება (ადმინისტრაციული წარმოების მასალები აღნიშნულ ნორმაზე მითითებას არ შეიცავს). კასატორის მიერ მითითებული სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი აგრეთვე მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვისათვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს. გარდა იმისა, რომ განსახილველი დავის საგანს ზიანის ანაზღაურება არ შეადგენს, მოცემულ შემთხვევაში არ დგინდება ზ. დ-ეის მიერ მგზავრის ან ტვირთის გადაზიდვის გარემოება, ამასთანავე კასატორი არ მიუთითებს კონკრეტულ საგზაო წესზე, რომელიც მისი მოსაზრებით იქნა მოსარჩელის მიერ დარღვეული. საქმის მასალებში დაცულია 01.11.2017წ. ბენზინ-გასამართი სადგურის მიმდინარე ტერიტორიის ამსახველი ვიდეოჩანაწერი, რომელზეც მოპასუხის მითითებით ასახულია ზ. დ-ეის სამსახურებრივი ავტომობილისა და კ. ჯ-ეის ავტომობილის შეჯახების ფაქტი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვიდეოჩანაწერით ერთმნიშვნელოვნად შეუძლებელია იმის შეფასება ადგილი ჰქონდა ავტომობილების შეჯახებასა თუ მკვეთრ დამუხრუჭებას. საქმის მასალებში წარმოდგენილი არ არის ექ-

სპერტიზის დასკვნა ან სხვა რაიმე სახის დოკუმენტი, რომლითაც აღნიშნული გარემოება ცალსახად დადასტურდებოდა. ზ. დ-ის განმარტებით, ავტომობილი დაზიანდა არა ბენზინგასამართი სადგურის „ს...ს“ მიმდებარე ტერიტორიაზე, არამედ თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოს კარებთან შეხების შედეგად. საქმის მასალებში დაცულია აღნიშნული შემთხვევის ამსახველი სქემა, რომელიც შედგა ზ. დ-ის მიერ მითითებულ ადგილას. მიუხედავად იმისა, რომ დისციპლინურ გადაცდომად მიჩნეული იქნა „ს...ს“ მიმდებარე ტერიტორიაზე ავტომობილთან შეჯახება, რაიმე სახის სქემის შედგენა ან ქმედების განხორციელება „ს...ს“ მიმდებარე ტერიტორიაზე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამოკვლევის მიზნით არ მომხდარა.

საკასაციო პალატა აგრეთვე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ვიდეოჩანანერის მიხედვით ზ. დ-ე ან მეორე ავტომობილის მძღოლი მანქანიდან არ გადმოსულა. გონიერი დამკვირვებლის თვალში, ჩვეულებრივ ავტოავარიის შემთხვევაში ავტომობილისთვის მიყენებული ზიანის ან შეჯახების შედეგად არსებული სიტუაციის შეფასების მიზნით მძღოლი გადმოდის თავისი მართვის ქვეშე მყოფი მანქანიდან და ვიზუალურად ათვალიერებს თავის ან შემთხვევაში მონაწილე მეორე მანქანას, თუმცა განსახილველ შემთხვევაში ორივე ავტომობილის მძღოლმა რამდენიმე წამში, მანქანიდან გადმოსვლის გარეშე გააგრძელა მოძრაობა. 04.11.2017წ. „ს...ს“ თანამშრომელთან გ. ა-ესთან გასაუბრების შესახებ ოქმიდან გამომდინარე მას უშუალოდ შეჯახება არ დაუხანავს, მან დაინახა მანქანები როგორ ტოვებდნენ ტერიტორიას. კ. ჯ-ესთან 04.11.2017წ. გასაუბრების ოქმის მიხედვით, მანქანები ოდნავ შეეხო ერთმანეთს, შეხება იყო იმდენად უმნიშვნელო, რომ მანქანიდან არ გადმოსულა და გზა გააგრძელა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად სატრანსპორტო საშუალების დაზიანებას, გაურკვეველია აღნიშნული მოვლენის წარმოშობაში ბრალეული პირი. ამ საკითხის დადგენა მნიშვნელოვანი იყო ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად სამინისტროს ქონებისთვის ზიანის მიმყენებელი პირის დასადგენად. იმის მტკიცება, რომ ზ. დ-ემ ზიანი მიაყენა სამინისტროს ბალანსზე არსებულ ავტომანქანას, საჭიროებდა ავტოსატრანსპორტო შემთხვევის გამომწვევი ბრალეული პირის დადგენას, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს არ მოუხდენია. უკეთეს მანქანას დაზიანება მიადგა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად და ამ შემთხვევის გამომწვევი პირი ზ. დ-ე არ ყოფილა, გამოირიცხება მის მიერ სამინისტროს ქონებისთვის ზიანის მიყენების ფაქტი. ავტოავარიის საკითხზე სააპელაციო პალატა შემოიფარგლა საკასაციო საჩივრის დაუშვებლობის შესახებ საკასაციო სასამართლოს 28.05.2020წ. განჩინებაში ასახულ დასკვნაზე მითითე-

ბით (ავტომობილზე არსებული დაზიანების ზუსტი წარმოშობის, სამინისტროსთვის მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენის და დამდგარი შედეგის გათვალისწინებით ფაქტის სიმძიმის შეფასების საჭიროებაზე). ამდენად, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული გარემოებები არც სააპელაციო სასამართლოს გამოუკვლევია, რომელსაც საკასაციო სასამართლოსაგან განსხვავებით მინიჭებული აქვს ფაქტების კვლევის უფლებამოსილება.

რაც შეეხება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შეუტყობინებლობას, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონის 27.1 მუხლის თანახმად, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლი მოვალეა დაუყოვნებლივ გააჩეროს სატრანსპორტო საშუალება და მომხდარის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ შესაბამის სამსახურს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულია, მძღოლებს, არსებულ გარემოებათა შეფასებით, შეთანხმების საფუძველზე შეუძლიათ წინასწარ შეადგინონ შემთხვევის სქემა, მოაწერონ ხელი და მივიდნენ საპატრულო პოლიციის უახლოეს დანაყოფში ამ ფაქტის გასაფორმებლად. საქმის მასალებით დგინდება, რომ ზ. დ-ემ იმავე დღეს, 01.11.2017წ. შეატყობინა შესაბამის უფლებამოსილ პირს საცხოვრებელი სახლის ეზოდან გამოსვლისას ავტომანქანის ეზოს კარებთან შეჯახების შესახებ, იმავე დღეს მას ჩამოერთვა ახსნა-განმარტება, ასევე შედგა აღნიშნული მოვლენის – საცხოვრებელი სახლის ეზოდან გამოსვლისას ეზოს კარებთან ავტომანქანის შეჯახების ამსახველი სქემა. მითითებული სამართლებრივი ნორმისა და იმის გათვალისწინებით, რომ შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა, საკასაციო პალატა თვლის, რომ საკმარისად არ არის დასაბუთებული ზ. დ-ის ქმედების (შეუტყობინებლობა და შემთხვევის ადგილის მიტოვება) დისციპლინური გადაცდომად მიჩნევა. დასაბუთებული არ არის აგრეთვე სამინისტროს ქონებისთვის ზიანის მიყენების ფაქტი. საქმის მასალებში დაცულ ახსნა-განმარტებებში, ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს 02.11.2017წ. წერილში აღნიშნულია, რომ ზ. დ-ის სამსახურებრივ ავტომანქანას 01.11.2017წ. შეჯახების შედეგად დაუზიანდა წინა მარჯვენა ფრთა. ზ. დ-ის მიერ სამინისტროსთვის მიყენებული ზიანის დასადასტურებლად მოპასუხე მიუთითებს შს სამინისტროს საქსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის აჭარის არსაქსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის 07.11.2018წ. ექსპერტიზის დასკვნაზე. დასკვნაში აღნიშნულია, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილ ავტომანქანისთვის ვიზუალური დათვალიერებით გამოვლენილი დაზიანებით მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა შეადგენს 1360 ლარს. დასკვნა არ შეიცავს მითითებას მანქანისთვის მიყენებული ზიან-

ნის წარმომშობ მიზეზებზე, ამასთან დასკვნაში ასახულია ისეთი სახის დაზიანებებიც (მაგ. გვერდითი სარკის მინა, მაშუქი, სანისლე მაშუქი და სხვ.), რომელთა კავშირი ზ. დ-ის ქმედებასთან არ არის დადგენილი, შესაბამისად მითითებული დასკვნა არ ადასტურებს ზ. დ-ის მიერ ქონებრივი ზიანის მიყენების ფაქტს. 01.11.2017წ. ზ. დ-ესთან გასაუბრების შესახებ ოქმის თანახმად, ავტომანქანის გარე დაზიანება აღმოფხვრილი იქნა და წინა მარჯვენა ფრთას დაბრუნებული აქვს პირვანდელი სახე. 04.11.2017წ. ახსნა-განმარტებით ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს უფროსი ზ. მ-ი ასევე ადასტურებს, რომ ზ. დ-ემ მანქანა მიიყვანა ხელოსანთან, სადაც მიმდინარეობდა დაზიანებული ავტომანქანის შეკეთება, კერძოდ, ავტომანქანას დაზიანებული ჰქონდა წინა მარჯვენა ფრთა, რომელსაც ხელოსანი ასწორებდა. იმ შემთხვევაში, თუ ზ. დ-ემ აღმოფხვრა ავტომანქანისთვის მიყენებული დაზიანება, დასაბუთებული არ არის მოპასუხის მოსაზრება სამინისტროსთვის ზიანის მიყენების ფაქტზე, შესაბამისად აღნიშნული გარემოება საჭიროებს გამოკვლევას დისციპლინური გადაცდომის – ქონებრივი ზიანის მიყენების ფაქტის დასადასტურებლად.

გენერალური ინსპექციის 04.11.2017წ. და 10.03.2021წ. დასკვნების თანახმად ზ. დ-ის ერთ-ერთი დისციპლინური გადაცდომა მდგომარეობს შს სამინისტროს შიდა საინფორმაციო სისტემაში მონაცემების არასამსახურებრივად მოპოვებაში. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 28.12.2011წ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის (ძალადაკარგულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ 14.06.2023წ. კანონით) მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება არის ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის შეგროვება, ჩანერა, ფოტოზე აღბეჭდვა, ორგანიზება, შენახვა, გამოთხოვა, გამოყენება, დაჯგუფება, კომბინაცია და სხვ.. ამავე კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია შეაგროვოს ის პირადი მონაცემები, რომლებიც აუცილებელია მის წინაშე მდგარი ამოცანების შესასრულებლად. აღნიშნულის შესაბამისად, დამუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად საჭირო მონაცემების დამუშავება არის მონაცემთა დამუშავების დასაშვებობის ერთ-ერთი საფუძველი (მე-5 მუხ. „გ“ ქვ.პ.). დისციპლინური წარმოების მასალების მიხედვით, 20.10.2017წ. ზ. დ-ე პირადი ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით დაუკავშირდა ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს სამორიგეო განყოფილებას ავტომანქანის (სახელმწიფო ნო-

მერი ...) მესაკუთრისა და ადმინისტრაციული ჯარიმების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით. ავტომანქანის იმდროინდელ მესაკუთრეს ლ. ჩ-ის მანქანა ფაქტობრივად გაყიდული ჰქონდა ნ. მ-ეზე. ამ უკანასკნელის 04.11.2017წ. ახსნა-განმარტებით, ნ. მ-ე 2017 წლის 18 ოქტომბრიდან იმყოფებოდა ...ში, 20.10.2017წ. ავტომანქანა გაჩერებული ჰყავდა 13:00 საათამდე ლ. ხ-ის საცხოვრებელი სახლის წინ, ხოლო 13:00სთ-ზე აღნიშნული მისამართიდან დაიწყო მოძრაობა თბილისის მიმართულებით ჩოხატაურში შეჩერების გარეშე. აღნიშნულის საპირისპიროდ ნ. მ-ე 21.03.2018წ. ახსნა-განმარტებაში მიუთითებს, რომ 20.10.2017წ. დაახლოებით 11:30სთ-ზე გამოვიდა ჩოხატაურში მდებარე კლინიკიდან, დაძრა ავტომობილი (სახელმწიფო ნომერი ...), წავიდა სს „სა...ს“ ბანკომატთან და მანქანა გააჩერა კლინიკა „...ს“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ბანკომატიდან თანხის გამოტანისა და მალაზიაში პირადი ნივთების შექენის შემდგომ ნ. მ-ე წავიდა ჩოხატაურიდან. სს „სა...ს“ ცნობის თანახმად, 20.10.2017წ. 12:17 სთ-ზე ნ. მ-ემ ჩოხატაურში, ...ის ქ. №20-ში მდებარე ბანკომატის საშუალების სს „სა...ს“ ანგარიშიდან გაიტანა 30 ლარი. საქმეში დაცული მასალებით ლ. ჩ-ის (ყოფილი მესაკუთრე) ავტომანქანის შესახებ მონაცემები გადამოწმდა 20.10.2017წ. 11:32 სთ-ზე. ზ. დ-ის 03.11.2017წ. ახსნა-განმარტებით 20.10.2017წ. დღის საათებში ჩოხატაურში მდებარე „...ს“ კლინიკის მიმდებარე ტერიტორიაზე შენიშნა გზის პირას გაჩერებული ავტომანქანა, რომელსაც შეეძლო სხვა მანქანებისთვის დაბრკოლების შექმნა, ავტომანქანაში მძღოლი არ იმყოფებოდა, რის გამოც დაუკავშირდა მორიგეს და სთხოვა აღნიშნული ავტომობილის მფლობელის მონაცემების გადამოწმება, ავტომანქანის მფლობელს ზ. დ-ე აღარ დაკავშირებია, რადგან გარკვეული პერიოდის შემდეგ იმავე ადგილზე ჩავლისას მანქანა აღარ იდგა, ამასთან საკასაციო სასამართლოში ზეპირის მოსმენის სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ზ. დ-ის მიერ ავტომანქანის მფლობელის გადამოწმების დროისათვის ევაკუატორის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მანქანების გადაყვანას, ადგილზე არ იმყოფებოდა. მოპასუხის მიერ დისციპლინური წარმოებისას ზ. დ-ის ახსნა-განმარტება არ იქნა გაზიარებული იმის გამო, რომ 20.10.2017წ. ნ. მ-ეს ავტომობილი გაჩერებული ჰყავდა არა კლინიკის მიმდებარე ტერიტორიაზე, არამედ ლ. ხ-ის საცხოვრებელი სახლის წინ. მიუხედავად 21.03.2018წ. ნ. მ-ის ახსნა-განმარტებაში ასახული და ბანკომატიდან თანხის გატანის თაობაზე სს „სა...ს“ ცნობაში მითითებული გარემოებებისა, საკითხის ხელახალი განხილვისას მოპასუხეს ავტომანქანის მფლობელი – ნ. მ-ე არ გამოუკითხავს. აღნიშნული პირი მონმის სახით არც სააპელაციო სასამართლოს არ დაუკითხავს. ხელახალი დისციპლინური წარმოებისას გენერალური ინსპექციის მიერ

12.01.2021წ. ახსნა-განმარტება ჩამოერთვა ლ. ხ-ეეს, რომელიც აღნიშნული ავტომობილის მფლობელი ან მესაკუთრე არ ყოფილა და არც მითითებული ავტომობილი იმყოფებოდა მისი მართვის ქვეშე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სზაკ-ის 2.1 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, საიდუმლო ინფორმაციათა რიგს განეკუთვნება. მოქალაქე მოკლებულია ადმინისტრაციულ ორგანოში მის შესახებ არსებული ინფორმაციის სათანადო დაცულობის გაკონტროლების შესაძლებლობას, თუმცა მას აქვს კონფიდენციალობის, მონაცემთა დაცულობის გონივრული, ლეგიტიმური მოლოდინი. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 31.12.2013წ. №999 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსის“ 2.14 მუხლის თანახმად, პოლიციელმა სამსახურებრივი ინფორმაციით და პერსონალური მონაცემებით ბოროტად არ უნდა ისარგებლოს საკუთარი ან/და ახლობელ პირთა კერძო ინტერესების დაკმაყოფილებისათვის. ამავე კოდექსის 2.18 მუხლის მიხედვით, პოლიციამ პერსონალური მონაცემების შეგროვება, შენახვა და გამოყენება უნდა მოახდინოს პერსონალური მონაცემების ხელშეუხებლობის საერთაშორისო პრინციპების დაცვით. საქართველოს პარლამენტის 28.10.2005წ. №2010 დადგენილებით რატიფიცირებული „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ კონვენციის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემები, რომლებიც ექვემდებარებიან ავტომატიზირებულ დამუშავებას შენახული უნდა იქნეს ზუსტად განსაზღვრული კანონიერი მიზნებისათვის და არ უნდა იყოს გამოყენებული მათთან შეუთავსებელი მიზნით. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 31.12.2013წ. №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 9.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტროს მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას სამინისტროში სამსახურებრივი ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებული ინსტრუქციები. შს სამინისტროს თანამშრომლებს შიდა საინფორმაციო სისტემაში მონაცემების არასამსახურებრივი მიზნით მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება ასევე აკრძალული აქვთ შს მინისტრის 24.08.2012წ. №709 ბრძანებით. განსახილველ შემთხვევაში საქმეში დაცული მასალებით ზ. დ-ეის მიერ არასამსახურებრივი მიზნით ავტომობილის მფლობელის შესახებ პერსონალური ინფორმაციის მოპოვება არ გამოირიცხება. აღნიშნული გარემოების დასადგენად სააპელაციო სასამართლოს შეფასება არ მიუცია საქმეში დაცული მტკიცებულებებისთვის, საჭიროების შემთხვევაში სააპელაციო პალატა ასევე უფლებამოსილი იყო მოწმის სახით მოენვია იმ ავტომობილის მფლობე-

ლი, რომლის ავტომობილის ადგილმდებარეობის განსაზღვრას 20.10.2017წ. შესაძლოა გავლენა მოეხდინა ზ. დ-ის მიერ გადაცდომის ჩადენის ფაქტის დადგენაზე. სააპელაციო პალატა შემოიფრაგლა მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ საკასაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ნ. მ-ის მართვაში მყოფი ავტომობილის გაჩერების ფაქტი ზ. დ-ის მიერ მითითებულ ადგილზე, ასევე საკასაციო სასამართლომ გამოიციხა არასამსახურებრივი მიზნით ინფორმაციის მოძიების ფაქტი. ამდენად, როგორც საწვავის გამოყენებისა და ავტოსაგზაო შემთხვევის, ასევე პერსონალური მონაცემების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხზე სააპელაციო სასამართლომ, ნაცვლად საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასებისა, მიუთითა საკასაციო სასამართლოს 28.05.2020წ. განჩინებაში ასახულ მსჯელობაზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოსგან განსხვავებით საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან დაკავშირებული პროცესუალური საქმიანობა გამოიხატება არა ფაქტების დადგენაში, არამედ – დასადგენ ფაქტებზე მითითებაში. საკასაციო პალატა არ არის შებოჭილი ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით, თუმცა აღნიშნული უფლებამოსილს არ ხდის საკასაციო სასამართლოს თავადვე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, საკასაციო სასამართლოს პროცესუალური როლის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო. მტკიცებულებების გამოკვლევისა და ფაქტობრივი გარემოებების დადგენაზე უფლებამოსილი სასამართლო სააპელაციო სასამართლოა. სააპელაციო სასამართლო მტკიცებულებათა დასაშვებობისა და განკუთვნიადობის პრინციპების დაცვით იღებს და შემდეგ აფასებს მათ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. პროცესუალური დანაწესებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო აფასებს არა მტკიცებულებებს, არამედ ამ მტკიცებულებათა სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფასების მართებულობას (სუსგ 02.06.2021წ. საქმე №ბს-568(2კ-კს-20). მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ძირითადად იმეორებს საკასაციო საჩივრის დაუშვებლობის საკითხზე საკასაციო სასამართლოს განჩინებაში ასახულ დასაბუთებას. აღსანიშნავია, რომ საკასაციო სასამართლოს 28.05.2020წ. განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი შს სამინისტროს საკასაციო საჩივარი და უცვლელი დარჩა ქვედა ინსტანციის გადანიშნული გადავო საკითხის გადაუწყვეტლად აქტის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით, შესაბამისად სასკ-ის 32.4 მუხლის

საფუძველზე საკითხის გადანყვევტა იმთავითვე გულისხმობდა დამატებითი გარემოებების გამოკვლევის საჭიროებას. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ საკასაციო სასამართლოს შეფასებები და მითითება დასადგენ ფაქტებზე მიიჩნია საკასაციო პალატის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებად, შესაბამისად სააპელაციო სასამართლოს ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა და შეფასება ფაქტობრივად არ განუხორციელებია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონმდებლობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ ადგენს დასაბუთების მოთხოვნას (სზაკ-ის 53-ე მუხ. 1-ელი ნაწ.), დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში აქტის დასაბუთების საერთო იმპერატივი დამატებით მოთხოვნებს ითვალისწინებს (სზაკ-ის 53-ე მუხ. მე-4 ნაწ.). თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მითითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას (სზაკ-ის 53.4 მუხ.). აქტის დასაბუთების შინაარსისა და მოცულობისადმი მოთხოვნები დეტერმინირებულია საკითხის თავისებურებებით. სხვა გადანყვევტილების მსგავსად, მიხედულების მიხედვით მიღებული გადანყვევტილება უნდა შეიცავდეს მნიშვნელოვან ფაქტოლოგიურ და სამართლებრივ ასპექტებზე მითითებას. დასაბუთებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დისკრეციული აქტებისათვის, დასაბუთების არარსებობა არის აქტის გაუქმების საფუძველი. ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია რაიმე აღმატებული სტატუსი ან აბსოლუტური ძალაუფლება, შესაბამისად მას ევალება დაასაბუთოს თავისი გადანყვევტილება, ხსენებული ზრდის აქტის ხარისხს. წარდგენილ პრეტენზიასთან დაკავშირებით დასაბუთების მოთხოვნა სამართლებრივი სახელმწიფოს ჯანსაღი გამოვლინებაა. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება გულისხმობს გადანყვევტილების შედეგის დასაბუთებას, რომლის მეშვეობით ირკვევა მიღებულ იქნა თუ არა უშეცდომო გადანყვევტილება (სუსგ 07.03.20196. საქმე №ბს-797(კ-18)). როგორც უკვე აღინიშნა, დისციპლინური სახდელის ერთერთ და ყველაზე მკაცრ სახეს წარმოადგენს პოლიციელის სამსახურიდან დათხოვნა („პოლიციის შესახებ“ კანონის 59.3 მუხ. „ზ“ ქვ.პ., საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 31.12.2013წ. №989 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების“ 3.2 მუხ. „ზ“ ქვ.პ.). „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების“ მე-4¹ მუხლის მე-5 პუნქტი შეიცავს იმ გადაცდომათა ჩამონათვალს, რომელთა ჩადენის შემთხვევაში დისციპლინური სახდელის

სახით გამოიყენება სამსახურიდან დათხოვნა (ესენია: აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ადგილზე სათამაშოდ შესვლა, ასევე თამაშობაში მონაწილეობა; ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის ჩადენის ფაქტი, რასთან დაკავშირებითაც მოსამსახურის მიმართ გამოიცა შემაკავებელი/დამცავი ორდერი; მოსამსახურეთა პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით სამინისტროსთან დადებული შეთანხმების პირობების დარღვევა; ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, მცირე ოდენობით შეძენა-შენახვა, ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება ან/და სამინისტროს უფლებამოსილი მოსამსახურის მოთხოვნისას აღნიშნული გადაცდომის არსებობის დადგენის მიზნით შემონმებისათვის თავის არიდება; აზარტულ თამაშობებთან დაკავშირებით გადაცდომის ფაქტზე დისციპლინური წარმოების დაწყების შემთხვევაში საბანკო ანგარიშზე განხორციელებული ტრანზაქციების თაობაზე ინფორმაციის გენერალური ინსპექციისთვის წარუდგენლობა), ხოლო ამავე მუხლის მე-6 პუნქტი შეიცავს იმ გადაცდომაზე მითითებას, რომლის შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სახდელის სახით სამსახურიდან დათხოვნა, კერძოდ აღნიშნულ გადაცდომას წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში ან/და სამინისტროს უფლებამოსილი მოსამსახურის მოთხოვნისას აღნიშნული გადაცდომის არსებობის დადგენის მიზნით შემონმებისათვის თავის არიდება. განსახილველ შემთხვევაში არ არის ცხადად დასაბუთებული ზემოთ მითითებული ნორმით გათვალისწინებული ისეთი დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი, რომლითაც იმთავითვე გათვალისწინებულია დისციპლინური სახდელის სახით სამსახურიდან დათხოვნის შეფარდების შესაძლებლობა, შესაბამისად მოსამსახურის მიმართ ყველაზე უკიდურესი ღონისძიებები – სამსახურიდან დათხოვნის გამოყენება სათანადო დასაბუთებასა და დათხოვნის საფუძველად მითითებული გარემოებების დადასტურებას საჭიროებს. საკასაციო პალატა აგრეთვე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „პოლიციის შესახებ“ კანონის 59.3 მუხლი შეიცავს დისციპლინური სახდელის გრადაციას, სადაც „შენიშვნა“ წარმოადგენს ყველაზე მსუბუქ, ხოლო „სამსახურიდან დათხოვნა“ ყველაზე მძიმე სახდელს. მართალია, მოსარჩელეს დისციპლინური წარმოების პერიოდში გააჩნდა მოქმედი სახდელი – „საყვედური“ (მანქანის შეკეთებასთან დაკავშირებით წარმოშობილი კონფლიქტის გამო), თუმცა გასაჩივრებული აქტი არ შეიცავს დასაბუთებას „საყვედურზე“ მძიმე და „სამსახურიდან დათხოვნაზე“ უფრო მსუბუქი სახდელის გამოყენების დაუშვებლობაზე, მაგალითად ისეთი სახდელის სახის გამოყენებაზე, როგორიცაა სასტიკი საყვედური, სამინისტროს სამკერდე ნიშნის ჩამორთმევა, სპეცი-

ალური ან სამხედრო წოდების ერთი საფეხურით ჩამოქვეითება, თანამდებობიდან ჩამოქვეითება.

კასატორი საქართველოს შიგანან საქმეთა სამინისტრო აგრეთვე მიუთითებს საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას ზ. დ-ის პიროვნებისა და დამსახურების გათვალისწინების სავალდებულობაზე. საქმეში დაცული მასალებით ზ. დ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ შს მინისტრის 04.11.2017წ. ბრძანებას საფუძვლად დაედო გენერალური ინსპექციის 04.11.2017წ. დასკვნა. მითითებული დასკვნის მიხედვით ზ. დ-ე ხელმძღვანელის მიერ დახასიათდა უარყოფითად, კერძოდ მიეთითა, რომ იგი გამოირჩევა ინერტულობით, თითქმის არ იღებს მონაწილეობას ჩოხატაურის სამმართველოში შემოსული შეტყობინებების, საჩივრებისა და განცხადებების განხილვასა და რეაგირებაში, ასევე არის ნაკლებად მოტივირებული ხელმძღვანელი პირი. ხელახალი ადმინისტრაციულ წარმოების ფარგლებში შედგენილი გენერალური ინსპექციის 10.03.2021წ. დასკვნის მიხედვით ზ. დ-ე ხელმძღვანელის მიერ დახასიათდა კვლავ უარყოფითად, ინერტულ და უპასუხისმგებლო მოსამსახურედ. სამსახურებრივი შემომნების ფარგლებში დამატებით გამოკითხული იქნენ შსს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს ...ები. მათი განმარტებით ზ. დ-ე იყო ნაკლებად მოტივირებული ხელმძღვანელი პირი, იგი ყოველდღიურ რეჟიმში არ ამონებდა მის დაქვემდებარებაში მყოფი მოსამსახურეების საქმიანობას და არ ახორციელებდა კონტროლს, სამსახურებრივი დროის დიდ მონაკვეთს უთმობდა პირად საკითხებს, რის გამოც ხშირად არ იმყოფებოდა სამუშაო ადგილზე, მყისიერად გადასაწყვეტი საკითხების შეთანხმება მოსამსახურეებს უხდებოდათ ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს უფროსთან, რაც აფერხებდა საამართველოს ეფექტურ მუშაობას, ზ. დ-ე არ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს, მისი ინერტულობა, დაუდევრობა და უპასუხისმგებლობა უარყოფითად აისახებოდა სამსახურის ფუნქციონირებაზე. გენინსპექციის 04.11.2017წ. და 10.03.2021წ. დასკვნები მითითებულია ზ. დ-ის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ შს მინისტრის 15.03.2021წ. ბრძანების საფუძვლად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პოლიციელთა ქცევისა და მათ მიმართ ნდობის განსაკუთრებული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებაში პოლიციელი აღქმულია კანონისა და ზნეობრივი ნორმების განუხრელად შემსრულებლად და საზოგადოებაში მათი დაცვის გარანტიად. დემოკრატიულ საზოგადოებაში, ზოგადად საჯარო სამსახურის და განსაკუთრებით პოლიციის მიმართ, საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება და დაცვა უმნიშვნელოვანეს ლეგიტიმურ საჯარო ინტერესს წარმოადგენს, რამდენადაც საჯარო სამსახურის და განსაკუთრებით პოლიციის საქმიანობის ეფექტურობა მნიშ-

ენელოვნად არის დამოკიდებული საზოგადოების ნდობასა და საჯარო სამსახურის ავტორიტეტზე, რაც შესაბამისი საჯარო მოსამსახურეების და პოლიციელების სათანადო ქცევითა და საქმიანობით მიიღწევა. შს სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა მიმართ მოქმედებს მაღალი სადისციპლინო-სამშემსრულებლო მოთხოვნები, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოს თანამშრომლებს ქცევის კიდევ უფრო მაღალ სტანდარტს უწესებს და მკვეთრად გამიჯნავს მათ საჯარო სამსახურის სხვა მოხელეებისაგან (სუსგ 17.01.2019წ. საქმე №ბს-809-805(3კ-17)). გასაჩივრებული 15.03.2021წ. ბრძანების გამოცემის ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძველს შეადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 31.12.2013წ. №989 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების“ 2.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი (სადავო პერიოდში მოქმედი), რომლის თანახმად სამსახურებრივი მოვალეობებისადმი დაუდევარი დამოკიდებულება წარმოადგენს დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს. იგივე დათქმას შეიცავს „წესდების“ 2.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის ამჟამად მოქმედი რედაქცია. ამდენად, პოლიციელის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული მოვალეობების დაუდევრად შესრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, რომელიც არის საჯარო მოსამსახურისთვის პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში გამოვლენილი დარღვევებისთვის დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმა, მისი მიზანია საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ფუნქციების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფა და საქმიანობის პროცესის გაუმჯობესება, რაც სამომავლოდ სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევის შემთხვევების თავიდან აცილებას უზრუნველყოფს (სუსგ 20.04.2017წ. საქმე №ბს-644-637(კ-16)). განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული საკითხი საერთოდ არ გამოუკვლევია და მისთვის შეფასება არ მიუცია. პირიქით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მითითებული გარემოება არ წარმოადგენდა დისციპლინური სახდელის შეფარდების საფუძველს და ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების ჩვენებები საფუძველად არ დასდებია გენერალური ინსპექციის დასკვნას, რაც არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან, კერძოდ მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ შს მინისტრის 15.03.2021წ. ბრძანების საფუძველად მითითებული გენინსპექციის 04.11.2017წ. და 10.03.2021წ. დასკვნებიდან. საკასაციო პალატა უთითებს, რომ საჯარო მოსამსახურისათვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი შესაბამისობაში უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმესთან და ითვალისწინებდეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენისას არსებულ გარემოე-

ბებს. ასეთი გარემოებების გამოკვლევის გარეშე შეუძლებელია დაკისრებული სახდელის პროპორციულობის დადგენა ჩადენილი გადაცდომის სიმძიმესთან, შესაბამისად აღნიშნული გარემოების გამოკვლევის შედეგად სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს სადავო ბრძანების საფუძვლად მითითებული გარემოებების დისციპლინური გადაცდომის სახედ მიჩნევისა და აღნიშნულის გამო სახდელის სახედ – სამსახურიდან დათხოვნის შეფარდების პროპორციულობა.

მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას შეადგენს აგრეთვე თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო პალატა ვერ იქონიებს მსჯელობას სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საფუძვლების არსებობაზე, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია გარემოებები, რომლებიც მნიშვნელოვანია მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე მიღებული ბრძანების მართლზომიერების შესაფასებლად, ამასთანავე სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის საფუძვლიანობაზე მსჯელობა საჭიროებს მოსარჩელის მიერ ადრე დაკავებული თანამდებობის ვაკანტურობის ან მისი არარსებობის შემთხვევაში ტოლფასი თანამდებობის ვაკანტურობის დადგენას, ასევე საჭიროებს ხელფასის (მისი ელემენტების) ოდენობასთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ აპელაცია მიზნად ისახავს პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების გზით მხარეთა უფლებების დაცვას. საკასაციო ინსტანციის სასამართლოსაგან განსხვავებით, რომელიც საკასაციო საჩივარს ამოწმებს მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო იკვლევს საქმის როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ საკითხებს, შესაბამისად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს აქვს შესაძლებლობა თავად გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება. სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულების განხორციელების არსი მდგომარეობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი ასპექტების შემოწმებაში. სააპელაციო სასამართლო, ერთი მხრივ, ამოწმებს პირველი ინსტანციის მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევასთან მიმართებით დარღვევების არსებობას და პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტების შესახებ მსჯელობას, ხოლო, მეორე მხრივ, თავად იკვლევს და აფასებს მტკიცებულებებს, რომელიც აუცილებელია საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევისათვის (სუსგ 02.06.2021 წ. №ბს-568(2კ-კს-20)). განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს სას.კ-ის 32-

ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოსთვის მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების საკითხის განმეორებით შესწავლის დავალების საკმარის დასაბუთებას, აგრეთვე არ შეიცავს მითითებას დავის სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტის შეუძლებლობაზე. ადმინისტრაციული სასამართლონარმოების ფარგლებში ერთხელ უკვე შეფასდა მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის მართლობიერება და ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის ხელახალი შესწავლა დაევალა. უკეთეს სააპელაციო სასამართლო დაადგენს, რომ ადმინისტრაციული ნარმოებისას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები არ გამოკვლეულა, ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი ინკვიზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით მას გააჩნია აღნიშნული გარემოების თავად გამოკვლევის და შეფასების უფლებამოსილება. სააპელაციო სასამართლო, როგორც საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დამდგენი სასამართლო უფლებამოსილია, გამოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებები, დაკითხოს მოწმეები, შეაფასოს მოსარჩელის მიმართ გამოყენებული დისციპლინური ღონისძიების პროპორციულობა და გააკეთოს დასკვნები დავის გადაწყვეტის მნიშვნელობის მქონე ყველა საკითხზე. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოყვანილი არგუმენტაცია არ წარმოადგენს სადავო საკითხზე განმეორებით სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე აქტის ბათილად ცნობის და ადმინისტრაციული ორგანოსათვის გარემოებების ხელახალი გამოკვლევის შემდეგ ახალი აქტის გამოცემის დავალების პირობას. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას საქმეში დაცული მტკიცებულებების ანალიზის, მტკიცებულებათა შეგროვების, გარემოებების გამოკვლევის შედეგად საკითხი უნდა გადაწყვიტოს არსებითად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ზ. დ-ის საკასა-

ციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.10.2023წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დისციპლინური წესით დასჯისა და შსს-დან დათხოვნის
თაობაზე ადმინისტრაციული აქტის კანონიერება;**

იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

**განჩინება
საქართველოს სახალხით**

№ბს-922(2კ-24)

15 მაისი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ბ. სტურუა

დავის საგანი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2021 წლის 29 ივლისს კ. ს-იამ სარჩელით, ხოლო 2021 წლის 24 სექტემბერს დაზუსტებული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიმართ, რომლითაც მოითხოვა დისციპლინური წესით დასჯისა და შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 29 ივნისის №MIA 9 21 01643304 ბრძანების ბათილად ცნობა, ასევე მოპასუხისთვის მოსარჩელე კ. ს-იას საქართველოს შინაგან საქ-

მეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ... დეპარტამენტის ...-ის სამმართველოს უფროსის მოადგილის ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და მოსარჩელისთვის იძულებითი შრომითი განაცდურის (მისი სამსახურიდან გათავისუფლებიდან აღდგენამდე პერიოდში შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობით) ანაზღაურების დავალება.

სარჩელის თანახმად, კ. ს-ია 1995 წლიდან მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, ხოლო 2002 წლიდან სასაზღვრო პოლიციაში. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მას დისციპლინური სახდელი არ დასდებია და არაერთხელ იყო წახალისებული, ამასთან მიღებული ჰქონდა ჯილდოებიც. მიუხედავად ამისა, დისციპლინური წესით დასჯისა და საქართველოს შს სამინისტროდან დათხოვნის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 29 ივნისის №MIA 92101643304 ბრძანებით საქართველოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ... დეპარტამენტის ...-ის სამმართველოს უფროსის მოადგილე, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის პირველი რანგის კაპიტანი – კ. ს-ია უკანონოდ იქნა გათავისუფლებულ დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 29 სექტემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით კ. ს-იას სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი კ. ს-იას დისციპლინური წესით დასჯისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 29 ივნისის №MIA 92101643304 ბრძანება; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციას დაევალა კ. ს-იას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ...-ის დეპარტამენტის ...-ის სამმართველოს უფროსის მოადგილის ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებ-

რივი აქტის გამოცემა, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა კ. ს.-იასთვის იძულებითი შრომითი განაცდურის ანაზღაურება მისი გათავისუფლებიდან აღდგენამდე პერიოდში შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობით და მასვე დაევალა ადვოკატის მომსახურებისთვის 2 000 ლარის ოდენობით ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ კ. ს.-ია 1998 წლიდან მსახურობდა საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში სხვადასხვა თანამდებობაზე, ხოლო 2019 წლის 5 აგვისტოდან გათავისუფლებამდე, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ...ის დეპარტამენტის ...-ის სამმართველოს უფროსის მოადგილის პოზიციაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მიერ 2021 წლის 21 ივნისს №MIA 0 21 01592159 დამტკიცდა შს სამინისტროს მოსამსახურეთა მიმართ ჩატარებული სამსახურებრივ შემოწმების შედეგებზე დასკვნა, რომლის თანახმად, შს სამინისტროს მოსამსახურეთა მიმართ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების ს/პ I რანგის კაპიტანი კ. ს. – შს სამინისტროს სსდ – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს უფროსის მოადგილე, შს სამინისტროში მსახურობდა 2009 წლიდან, დაკავებულ თანამდებობაზე იყო 2019 წლიდან და მოქმედი დისციპლინური სახდელი არ გააჩნდა. ამავე დასკვნის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ 2021 წლის 30 მარტიდან 18 აპრილამდე პერიოდში შემოწმებული იქნა შსს სსდ-საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ...ის დეპარტამენტის მიერ ...ის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა, რის შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება.

ზემოაღნიშნული შემოწმების თანახმად, ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მიერ არაჯეროვნად ხორციელდებოდა დაქვემდებარებული მოსამსახურეებზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობათა შესრულებაზე კონტროლი; სატვირთო და სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების საგზურის ფურცლებში მძღოლების მიერ შეყვანილი ინფორმაცია არ შეესაბამებოდა რეალობას, ასევე დარღვეული იყო საგზურის ფურცლების წარმოების წესი; საწყობის გვერდის ავლით განხორციელებული იყო სამეურნეო ოპერაცია; ქონების შემოსავლის ამსახველი დოკუმენტაცია წარმოებდა ხარვეზებით; საწყობში არსებული მატერიალური ფასეულობების ფაქტობრივი ნაშთების ბუღალტრულ მონაცემებთან შედარებისას გამოვლინდა ზედმეტობა/დანაკლისები; დარღვეული იყო საწყობიდან მატერიალური ფასეულობების გაცემის წესი; სასაზღვრო პოლიციისათვის საჩუქრად გადაცემული მატერიალური

ფასეულობები არ იყო აღრიცხული დადგენილი წესით; შეიარაღების საწყობში დარღვეული იყო შეიარაღებისა და საბრძოლო მასალის შენახვის წესი, რომელთა გამოსწორების მიზნითაც არ იყო გატარებული ქმედითი ღონისძიებები; ...ის დეპარტამენტის საინჟინრო-სარემონტო სამმართველოში ინახებოდა ისეთი მატერიალური ფასეულობები, რომლებიც აღრიცხული არ იყო დადგენილი წესით; შესყიდული იყო ... საშუალებების ისეთი სათადარიგო ნაწილები, რომლებიც ნაშთად ირიცხებოდა საწყობში; დარღვეული იყო ჯართისა და ფერადი ლითონის შემოსავალში აღების წესი; დარღვეული იყო საქვაბე კმაყოფაზე მყოფი მოსამსახურეების კვებით უზრუნველყოფის წესი; დარღვეული იყო ინვენტარიზაციის ჩატარების წესი; არ იყო გატარებული დებიტორული დავალიანებების ანაზღაურებისათვის საჭირო ღონისძიებები; ახლად აშენებულ საწყობზე არსებული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით არ იყო გატარებული შესაბამისი ღონისძიებები; საწყობში არსებული არასაჭირო მატერიალური ფასეულობების შემდგომი განკარგვის მიზნით არ იყო გატარებული ღონისძიებები; დადგენილი წესით არ იყო დაფიქსირებული სამსახურებრივი ავტომანქანების დაზიანების ფაქტები; დაგვიანებით იყო შესყიდული ექსპლუატაციაში არსებულ ... საშუალებებზე ეკიპაჟის უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებული ...ის განახლების მომსახურება; არ იყო ჩამონერილი ისეთი მატერიალური ფასეულობები, რომლებიც შესრულებული სამუშაოს აქტების საფუძველზე ექვემდებარებოდა ჩამონერას; არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია.

ზემოაღნიშნული დასკვნის თანახმად მიჩნეულ იქნა, რომ ს/პ I რანგის კაპიტანმა კ. ს-იამ ჩაიდინა შს სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ (სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობა), „ა“ (სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულება) და „ვ“ (მოსამსახურისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავს სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს“) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა, რაც მისი მხრიდან გამოიხატა: დაქვემდებარებული მოსამსახურეების მიერ მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებაზე სუსტ კონტროლში; შეიარაღების და საბრძოლო მასალების სასაწყობე პირობების მონესრიგების მიზნით კომპეტენციის ფარგლებში გასატარებული ღონისძიებების განუხორციელებლობაში; სატრანსპორტო საშუალებათა საგზურის ფურცლების წარმოებაში არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით ღონისძიების განუხორციელებლობაში; საოფისე-საყაზარმე საწყობიდან საჭირო მატერიალური ფასეულობების დადგენილი წესის დარღვევით გატანის ფაქტების გამოსწორების მიზნით შესაბამისი ღონისძიების განუხორციელებლობაში; დებიტორული დავა-

ლიანებების ანაზღაურების მიზნით დადგენილი წესით გასატარებელი ღონისძიებების განუხორციელებლობაში; ქონების შემოსავლის ამსახველი დოკუმენტაციის წარმოების ხარვეზის გამოსწორების მიზნით ღონისძიების განუხორციელებლობაში; საქვაბე კმაყოფაზე მყოფი მოსამსახურეების დადგენილი წესით კვებით უზრუნველყოფის მოუწესრიგებლობაში; ჯარისა და ფერადი ლითონის დადგენილი წესის გვერდის ავლით შემოსავალში ალების გამოუსწორებლობაში; სათადარიგო ნაწილების მოთხოვნის შესახებ კორესპონდენციის არასწორად განაწილებაში, რითაც გამოირიცხა დაქვემდებარებულ დანაყოფებს შორის კოორდინირებული მუშაობის შესაძლებლობა; სამეურნეო ოპერაციის არასწორად ასახვის გამოსწორების მიზნით სათანადო ღონისძიების განუხორციელებლობაში; დაქვემდებარებული დანაყოფის მოსამსახურეების მიერ ჩადენილი გადაცდომების გამოვლენის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განუხორციელებლობაში; სამსახურებრივი შემონმებისას გამოჩენილ არაგულწრფელობაში და გენერალური ინსპექციის შეცდომაში შეყვანის მცდელობაში. აღნიშნული დასკვნა გადაეგზავნა შს სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტსა და შს სამინისტროს სსდ-საქართველოს სასაზღვრო პოლიციას.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის დისციპლინური წესით დასჯისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ 2021 წლის 29 ივნისის №MIA 9 21 01643304 ბრძანებით: „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №989 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ (სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობა), „ა“ (სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულება) და „ვ“ (მოსამსახურისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავს სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს) ქვეპუნქტებით, ამავე წესდების მე-3 მუხლის „ზ“ (სამსახურიდან დათხოვნა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისთვის, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ და „ნ“ ქვეპუნქტების შესაბამისად: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს უფროსის მოადგილე, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის პირველი რანგის კაპიტანი კ. ს. გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა საქარ-

თველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

ასევე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ სსდ – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს უფროსის 2021 წლის 11 აგვისტოს №MIA7 21 2114894 მიმართვის თანახმად, ყოფილი მოსამსახურე კ. ს. საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს უფროსის მოადგილის პოზიციაზე დანიშნული იყო 2019 წლის 5 აგვისტოდან (სსდ – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2019 წლის 5 აგვისტოს ბრძანება №2#64643), აღნიშნულ პოზიციაზე მისი ყოველთვიური დარიცხული ფულადი ანაზღაურება 2020 წლის ივლისის თვემდე შეადგენდა 3012,50 ლარს, მათ შორის: – თანამდებობრივი სარგო – 2100,00 ლარი; – წოდებრივი სარგო – 70,00 ლარი; – დანამატი წელთა ნამსახურების (25%) – 542,50 ლარი; – სპეციალური დანამატი – 300,00 ლარი. ხოლო, 2020 წლის ივლისიდან კ. ს-იას ყოველთვიური დარიცხული ფულადი ანაზღაურება შეადგენდა 3168,75 ლარს, მათ შორის: – თანამდებობრივი სარგო – 2225,00 ლარი; – წოდებრივი სარგო – 70,00 ლარი; – დანამატი წელთა ნამსახურების (25%) – 573,75 ლარი; – სპეციალური დანამატი – 300,00 ლარი. „დისციპლინური წესით დასჯისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 29 ივნისის №1643304 ბრძანების თანახმად, კ. ს. გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, ხოლო 2021 წლის 24 ივნისს ჩაერიცხა ფულადი ანაზღაურება ხელზე გასაცემი 2534,01 ლარი, მათ შორის: – თანამდებობრივი სარგო – 1779,00 ლარი; – წოდებრივი სარგო – 56,00 ლარი; – დანამატი – 699,01 ლარი. ხოლო უკან დაბრუნებულ იქნა 2 (ორი) დღის (29-30 ივნისი) – 169,00 ლარი.

საქალაქო სასამართლომ დამატებით მიუთითა თავად კ. ს-იას განმარტებაზე, რომლის თანახმად შეიარაღების და საბრძოლო მასალების სასაწყობე პირობების მოწესრიგების მიზნით კომპეტენციის ფარგლებში გატარებული ჰქონდა შესაბამისი ზომები; კერძოდ, წარმოდგენილი მტკიცებულებით, მან წერილით მიმართა ...ის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას და სასაზღვრო პოლიციის უფროსს საბრძოლო მასალასთან დაკავშირებით; როგორც შემომწმებელმა გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა მიუთითა, სხვა ალტერნატიული სათავსო ოთახი ...ის დეპარტამენტის ტერიტორიაზე არ არსებობდა, სადაც დაცული იქნებოდა შეიარაღება და საბრძოლო მასალები, როგორც დატაცების, ასევე მატერიალური ფასეულობის გაუვარგისების მიზნით. ასევე სატრანსპორტო საშუალებების საგზურების შევსების წესი რეგულირდება 2017 წლის 6 ივნისის №201 სასაზღვრო პოლიციის ბრძანებით, სადაც აღნიშნულ იქნა ერთ ავტომანქანაზე რამდენიმე პასუხისმგებელი პირის მი-

მაგრება. აღნიშნული ბრძანების გამოცემის შემდგომ საავტომობილო მომსახურების განყოფილების უფროსი და დისპეტჩერი მივლინებული იყვნენ სასაზღვრო პოლიციის საავტომობილო სამსახურში, რათა სწორად მომხდარიყო საგზურების შევსება, ასევე **არაერთხელ** ყოფილა სასაზღვრო პოლიციის საავტომობილო სამსახურიდან შემონმება, რომლებსაც შენიშვნაც კი არ მოუციათ. ასევე განმარტა, რომ საოფისე საყაზარმე საწყობიდან საჭირო მატერიალური ფასეულობების დადგენილი წესის დარღვევით გატანის ფაქტი არ მომხდარა მიზანმიმართულად, ეს იყო პირველი და უკანასკნელი, კერძოდ, ახალ აშენებულ ... საშუალებების სათადარიგო ნაწილების საწყობში, უცხოელი პარტნიორების მოთხოვნით უნდა გაკეთებულიყო/მონყობილიყო შესაბამისი ოთახი, სადაც შეინახებოდა მაღალი ტექნოლოგიების და ძვირად ღირებული ნაწილები. აღნიშნული ოთახების მონყობას ახორციელებდა ...ის დეპარტამენტის ... სამმართველოს მაღალკვალიფიციური თანამშრომლები, ამასთან დაკავშირებით საფინანსო სამმართველოს უფროსს საქმის კურსში ჩაყენებული ჰყავდა ზემდგომი ხელმძღვანელობა და მისი განკარგულებით მოხდა აღნიშნული.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კვების საკითხთან დაკავშირებით განიმარტა, რომ პირადი შემადგენლობის საქვაბე კმაყოფაზე მყოფი პირების კვება რეგულირდებოდა სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №6 ბრძანებით, სადაც განწესში მყოფი პირად შემადგენლობას უნდა მიეღო სამჯერადი კვება, მაგრამ ბრძანებით არ იყო განსაზღვრული, როდიდან დაწყებულიყო კვება; ვინაიდან განწესი იწყებოდა 09:00 საათზე, თავისთავად კვება იწყებოდა სადილით 13:30 წუთიდან 14:30 წუთამდე, ვახშამი 17:30 წუთიდან 18:00 წუთამდე და შესაბამისად საუზმე 07:00 წუთიდან 08:00 საათამდე. აღნიშნული გადაწყვეტილება ხელმძღვანელობამ მიიღო პირადი შემადგენლობასთან თათბირის შემდგომ, ვინაიდან მოდიოდნენ სახლიდან ნა-საუზმეები და ასევე ვახშმიდან საუზმემდე იყო დიდი დრო და ჯობდა დაწყებულიყო სადილით კვება. კ. ს-იას განმარტებით, წინა წლების შემომონმებელ გენერალური ინსპექციას შენიშვნა არ მიუცია. ასევე განიმარტა, რომ შავი და ფერადი ლითონის შემოსავალში აყვანა ხდებოდა ჯართის ან ფერადი ლითონის ანონვის და შესაბამისი აქტის გაფორმების საფუძველზე, არსებული სასწორით. გენერალური ინსპექციის მიერ ჯართის გადანონვა განხორციელდა ქ. ...ის ტერიტორიაზე არსებულ ტერმინალის სასწორით, ანონილი ჯართი თითქმის იყო არა გაბარიტული, ხოლო გენერალური ინსპექციის დავალებით მოხდა ჯართების დაჭრა და ტრანსპორტირება. რაც შეეხება კორესპონდენციას, 2020 წელს საქართველოში გამოცხადებული ლოკდაუნის დროს, პირადი შემადგენლობის 90% გადაყვანილი იყო დისტანციურ რეჟიმში, რა დროსაც მოხ-

და შესყიდვის მოთხოვნის კორესპონდენციის არასწორად განაწილება.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში კ. ს-იას მიმართ საკითხის განხილვისას დისციპლინური პასუხისმგებლობის სახის შერჩევა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დისკრეციას წარმოადგენს, მაგრამ იმ შემთხვევაშიც, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილებით, იგი მაინც შეზღუდულია კანონის მოთხოვნის ფარგლებით. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება უმნიშვნელოვანესია, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან უნდა გამოირიცხოს თვითნებური, მიკერძოებული და არაკვალიფიციური გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისად უნდა მოხდეს აღნიშნული გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობის, ასევე მიღებული გადაწყვეტილების აუცილებლობის დასაბუთება, სადაც არგუმენტირებულად უნდა მიეთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლის შესაბამისად იქნა კონკრეტული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული და უარი ეთქვა სხვა სახის გადაწყვეტილებას. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ ნორმაში ალტერნატიული სანქციის არსებობა მიუთითებს უფრო მკაცრი სახის სახდელის გამოყენების შესაძლებლობაზე იმ შემთხვევაში, თუ ნაკლებად მკაცრი სახდელი ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი მიზნების მიღწევას. ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, რადროსაც იგი ყველა შესაძლებლობას უნდა იყენებდეს ყველა შემთხვევასთან დაკავშირებით საუკეთესო გადაწყვეტილების მისაღებად. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლი განსაზღვრავს დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის აუცილებლობას.

საქალაქო სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნით იმ უწყებაში, რომლის ერთ-ერთ ხელმძღვანელს კ. ს-ია წარმოადგენდა, გამოვლენილი იქნა დარღვევები, თუმცა წარმოდგენილი სამსახურებრივი პატივებითა და მიმართვებით დასტურდებოდა, რომ კ. ს-ია არსებული პრობლემების შესახებ ხელმძღვანელ პირებს აწვდიდა ინფორმაციას, ასევე გენერალური ინსპექციის დასკვნით დასტურდებოდა, რომ დარღვევების აღმოსაფხვრელად შემუშავდა გეგმა და ასევე დასკვნით არ გამოკვეთა ისეთი დარღვევა, რომელიც იქნებოდა შეუქცევადი, გამოუსწორებელი, რომელიც შელახავდა სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს. ამასთან, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

ნისტროს მიერ, არ იქნა სათანადოდ შეფასებული კ. ს-იას შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის ხანგრძლივობა და სამსახურებრივი დახასიათებები, რაც ცალსახად ქმნიდა საკმარის საფუძველს იმისთვის, რომ კ. ს-იას მიმართ შესაძლებელი იყო უფრო მსუბუქი სახდელის გამოყენება, რომლითაც დაცული იქნებოდა როგორც კ. ს-იას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო და კერძო ინტერესები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებლობაში ალტერნატიული სახდელების არსებობა, ემსახურება სწორედ იმ მიზანს, რომ თუნდაც დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ გამოყენებულ იქნეს, ყველაზე შესაბამისი, ადეკვატური სახდელი, რომელიც ეფექტურად, დასაქმებულის უფლებების შეუზღუდავად უზრუნველყოფს შესაბამისი მიზნის მიღწევას. ამდენად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების სამართლებრივი შეფასების შედეგად, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელე კ. ს-იას მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელი – სამსახურიდან დათხოვნა, რომელსაც წინ არ უსწრებდა უფრო მსუბუქი დისციპლინური სახდელი, საქმეში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, წარმოადგენდა შეუსაბამოდ მკაცრ ზომას და მიიჩნია, რომ იკვეთებოდა დისციპლინური წესით დასჯისა და შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 29 ივნისის №MIA 9 21 01643304 ბრძანების ბათილად ცნობის ნაპირობების არსებობა.

გარდა ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც ბათილად იქნა ცნობილი სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელე კ. ს-იას თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე, მოთხოვნა მისი შესაბამის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ იყო საფუძვლიანი და მოპასუხეს უნდა დავალებოდა როგორც ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელის სამსახურში აღდგენის თაობაზე, ასევე მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მისი გათავისუფლების დღიდან – 2021 წლის 29 ივნისიდან სამსახურში აღდგენამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით

სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 15 ნოემბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეყნულებო დანესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქალაქო სასამართლომ მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და დამატებით ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავო ბრძანების გამოცემის საფუძვლად მითითებულ იქნა გენერალური ინსპექციის დასკვნაში აღნიშნული დისციპლინური გადაცდომები, რაც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან შეფასდა, როგორც სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობა და არაჯეროვანი შესრულება და ასევე, მოსამსახურისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავდა სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს. ამასთან, საქმის მასალების მიხედვით, კ. ს-იას მიერ განმარტებაში მითითებულ გარემოებებს, ადმინისტრაციული ორგანოები არსებითად არ უარყოფდნენ.

სააპელაციო პალატამ ხაზი გაუსვა, რომ მართალია, მოსარჩელისთვის დისციპლინური სახდელის შეფარდების პროცესში ადმინისტრაციული ორგანო სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, თუმცა იგი არ უნდა იქცეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების დასაბუთებად. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების მტკიცება არ უნდა დადიოდეს დისკრეციული უფლებამოსილების არსებობაზე მითითებით.

ამდენად, სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასება, რომ სადავო ბრძანება არ შეიცავდა დასაბუთებას მოსარჩელის მიმართ ყველაზე მძიმე დისციპლინური სახდელის – სამსახურიდან დათხოვნის გამოყენების მიზანშეწონილობის თაობაზე, სანქციის ალტერნატივის არსებობა კი სწორედ ასეთ დასაბუთებას საჭიროებდა და დაუსაბუთებელი იყო მოსარჩელის მიმართ უფრო მსუბუქი სახდელის გამოყენება, რატომ ვერ უზრუნველყოფდა მოსარჩელის მიერ ჩადენილი გადაცდომებისთვის სახდელის მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ გენერალური ინსპექციის დასკვნის შესწავლის შედეგად აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ ორგანო სხვადასხვა საჯარო მოხელეების ქმედებების შეფასებისა და დისციპლინური სახდელების განსაზღვრისას, არ ხელმძღვანელობდა შეფასების ერთნაირი სტანდარტით. ამდენად, სააპელაციო პალატამ პირ-

ველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად მიიჩნია, რომ მოსარჩელე კ. ს-იას მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელი – სამსახურიდან დათხოვნა, რომელსაც წინ არ უსწრებდა უფრო მსუბუქი დისციპლინური სახდელი, საქმეში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, წარმოადგენდა შეუსაბამოდ მკაცრ ზომას.

აპელანტების მოსაზრებაზე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინაპირობებთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ საქმეზე დავის გადაწყვეტისათვის დადგენილი იყო საკმარისი ფაქტობრივი გარემოებები, შესაბამისად სახეზე არ იყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4-ე მუხლის გამოყენების წინაპირობა. სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი შეიცავდა სასამართლოს მოსაზრებებს საქმის სამართლებრივ ასპექტებთან დაკავშირებით, რაც თავისთავად არ ქმნიდა დავის გადაწყვეტილად სადავოდ გამხდარი აქტის ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის საკითხის ხელახალი გამოკვლევისათვის დავალების საფუძველს. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები საკმარისი იყო იმის დასადგენად, რომ გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება იყო დაუსაბუთებელი და არ ემყარებოდა კანონმდებლობის მოთხოვნებს, რაც ადასტურებდა სარჩელის სრულად დაკმაყოფილების წინაპირობების არსებობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 15 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია აღნიშნავს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ უგულებელყოფილი იქნა მოპასუხის პოზიცია სადავო საკითხთან მიმართებით და სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ დასაბუთებაზე მსჯელობისას გვერდი აუარა საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ...ის დეპარტამენტში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ გამოვლენილ დარღვევებთან მიმართებაში კ. ს-იას პასუხისმგებლობის საკითხს. კასატორის მითითებით, კ. ს-იას მიერ გადაცდომის ჩადენა დადგენილი იყო უდავო ფაქტობრივი გარემოებებით, ხოლო არცერთი ინსტანციის სასამართლომ არ იმსჯელა მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

მიერ წარმოდგენილ მნიშვნელოვან მტკიცებულებებზე (2022 წლის 16 თებერვლის №411622 სამს.ბარათი, შსს გენერალური ინსპექციის უფროსის მიერ 2021 წლის 21 ივნისს დამტკიცებულ №1592159 დასკვნა და დასკვნასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები, მათ შორის კ. ს-იასა და მის დაქვემდებარებაში მყოფი ამავე დასკვნის საფუძველზე თანამშრომლების ახსნა-განმარტებები). კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლო უხეშად ჩაერია მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქციაში და ფაქტობრივად სახდელის გარეშე დატოვა პირი, რომელსაც ჩადენილი ჰქონდა არაერთი გადაცდომა, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა როგორც საქართველოს კანონმდებლობასთან, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მყარად დამკვიდრებულ პრაქტიკასთან, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება, თუ რომელ დისციპლინურ სახდელს აირჩევს (სუსგ №ბს-523(2კ-23), 28.11.2023წ., №ბს-644-637(კ-16) 20.04.2017წ.).

კასატორი მიიჩნევს, რომ საქმის განმხილველმა სასამართლომ არასწორად შეაფასა კ. ს-იას მხრიდან ჩადენილი ქმედებების სიმძიმე და მხარეთა შორის არაპროპორციულად გაანაწილა მტკიცების ტვირთი, სააპელაციო პალატის მიერ არასწორად იქნა განმარტებული დანაყოფის ხელმძღვანელისა და მოადგილის პასუხისმგებლობის გადანაწილების საკითხი. კასატორი ხაზს უსვამს, რომ კ. ს-იას მიერ ჩადენილია არაერთი გადაცდომა, რაც დასტურდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნით და თავად კ. ს-იას ახსნა-განმარტებით, რაც გახდა მის მიმართ დისციპლინური სახდელის – სამსახურიდან დათხოვნის გამოყენების საფუძველი. ამასთან, რამდენადაც მოსარჩელეს ეკავა მენეჯერული თანამდებობა, ამიტომ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიზანშეწონილად ჩათვალა მოხელისათვის პასუხისმგებლობის დისციპლინური წესით დაკისრება, რაც გამოიხატა მისი სამსახურიდან გათავისუფლებაში.

კასატორმა აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, კ. ს-იას, როგორც საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს უფროსის მოადგილეს, ეკისრებოდა ვალდებულება განეხორციელებინა საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების შესრულების ან/და გადაწყვეტილების კონტროლი, ხოლო საქმის განმხილველი ორივე ინსტანციის სასამართლოს მხრიდან არასწორად იქნა შეფასებული ის ფაქტი, რომ სამმართველოს უფროსის გარეშე თითქოს მას კონტროლის განხორციელების უფლებას კანონი არ ავალდებულებდა. ამასთან, კასატორმა აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის,

როგორც მენეჯერული რგოლის მიერ განხორციელებული სუსტი კონტროლის შედეგად, მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების მიერაც იქნა ჩადენილი გადაცდომები, რასაც მოჰყვა მათი სამსახურიდან დათხოვნა, რომლებიც იმავე დასკვნით იქნენ დათხოვნილნი. კასატორმა ასევე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დასახელებულ შემთხვევაში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი, რაც გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ და სრულად ეთქვა მოსარჩელეს უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ხოლო მეორე შემთხვევასთან მიმართებაში ორივე ინსტანციის სასამართლომ მოსარჩელეს უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. ამასთან, კასატორი ხაზს უსვამს, რომ სამსახურებრივი შემონმების შედეგად დადგენილია, რომ კ. ს-იას მხრიდან საქმიანობის ეფექტური კონტროლის პირობებში, დაქვემდებარებული დანაყოფის მიერ მოვალეობათა შეუსრულებლობას ან/და არაჯეროვან შესრულებას ადგილი არ ექნებოდა.

კასატორმა ასევე ყურადღება გაამახვილა, რომ სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა აუდიტის დასკვნაზე, რომელსაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნის არაერთი გვერდი აქვს დათმობილი, რომლის თანახმადაც გამოვლინდა დარღვევები, თუმცა არ მომხდარა მათი პრევენცია, მიუხედავად აუდიტის დასკვნით გაცემული რეკომენდაციისა. ასევე სასამართლო საერთოდ არ მსჯელობს ისეთ მნიშვნელოვან მტკიცებულებაზე, როგორიცაა საქართველოს გენერალური ინსპექციის უფროსისათვის საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მიერ 2022 წლის 16 თებერვალს მიწერილი სამსახურებრივი ბარათი, რომლითაც მკაფიოდ და ხაზგასმით არის აღწერილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ შემონმების შედეგად გამოვლენილი დარღვევებისა და სწორი მენეჯერული კონტროლის ფარგლებში მათი აღმოფხვრის შესახებ.

კასატორი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ არ მოხდა კ. ს-იას მხრიდან დისციპლინური დარღვევების სიმძიმის ადეკვატური შეფასება. ამდენად, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სასამართლოს მხრიდან ვერ იქნა დასაბუთებული, თუ რატომ იქნა მიჩნეული კ. ს-იას მიმართ გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობა არაპროპორციულად მის მიერ ჩადენილ გადაცდომებთან მიმართებით.

კასატორმა მიუთითა კ. ს-იას უფლებამოსილებებზე კონკრეტულ საკითხებში (მათ შორის სამსახურის სხვადასხვა მიმართულებების უშუალოდ განმახორციელებელი პირების კოორდინაცია/კონტროლი) და მისი მხრიდან საკუთარი მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების არაერთ კონკრეტულ შემთხვევაზე, რის საფუძველ-

ზეც მიჩნეულ იქნა, რომ მოსარჩელემ ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა, რაც გახდა მისი სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი. კასატორი აღნიშნავს, რომ საჯარო სამსახურის და განსაკუთრებით პოლიციის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება და დაცვა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ლეგიტიმურ საჯარო ინტერესს, რამდენადაც საჯარო სამსახურის და განსაკუთრებით პოლიციის საქმიანობის ეფექტიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საზოგადოების ნდობასა და საჯარო სამსახურის ავტორიტეტზე, ეს კი მიიღწევა შესაბამისი საჯარო მოსამსახურეებისა და პოლიციელების სათანადო ქცევითა და საქმიანობით. ამდენად, სამინისტრო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში იკვეთება მომეტებული საჯარო ინტერესი, რომელიც აღემატება იმ კერძო ინტერესს, რომელიც კონკრეტული პირის აღნიშნულ თანამდებობაზე დასაქმებაა. კასატორი მიიჩნევს, რომ პოლიციელი, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვას, თავად არ უნდა გვევლინებოდეს სამართალდამრღვევად, ამდენად, დაცულ სფეროში, შრომის უფლებაში ჩარევის ინტენსივობის ხარისხი კანონით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნის — საჯარო ინტერესის დაცვის მიზნის პროპორციულია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 13 სექტემბრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საკასაციო საჩივრები დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2025 წლის 25 მარტის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილი-

სის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 15 ნოემბრის განჩინება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იგი იმსჯელებს იმ პრეტენზიებზე, რომლებიც მოცემული დავის გადასაწყვეტად სამართლებრივად მნიშვნელოვანია. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

კ. ს-ია 1998 წლიდან მსახურობს საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში სხვადასხვა თანამდებობაზე, ხოლო 2019 წლის 5 აგვისტოდან გათავისუფლებამდე, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს უფროსის მოადგილის პოზიციაზე. გარდა ამისა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მიერ 2021 წლის 21 ივნისს №MIA 021 01592159 **ბრძანებით** დამტკიცდა შს სამინისტროს მოსამსახურეთა მიმართ ჩატარებული სამსახურებრივ შემოწმების შედეგებზე დასკვნა, რომელიც ადასტურებს, რომ შს სამინისტროს მოსამსახურეთა მიმართ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების ს/პ I რანგის კაპიტანი კ. ს. – შს სამინისტროს სსდ – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს უფროსის მოადგილე, შს სამინისტროში მსახურობდა 2009 წლიდან. მოსარჩელე დაკავებულ თანამდებობაზე იმყოფებოდა 2019 წლიდან და მას მოქმედი დისციპლინური სახდელი არ გააჩნდა.

ზემოაღნიშნული დასკვნით განისაზღვრა, რომ ს/პ I რანგის კაპიტანმა კ. ს-იამ ჩაიდინა შს სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ (სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობა), „ა1“ (სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულება) და „ვ“ (მოსამსახურისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავს სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა, რაც მისი მხრიდან გამოიხატა: დაქვემდებარებული მოსამსახურეების მიერ მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებაზე სუსტ კონტროლში; შეიარაღების და საბრძოლო მასალების სასაწყობე პირობების მოწესრიგების მიზნით კომპეტენციის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების განუხორციელებლობაში; სატრანსპორტო საშუალება-

თა საგზურის ფურცლების წარმოებაში არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით ღონისძიების განუხორციელებლობაში; საოფისე-საყაზარმე სანყოფიდან საჭირო მატერიალური ფასეულობების დადგენილი წესის დარღვევით გატანის ფაქტების გამოსწორების მიზნით შესაბამისი ღონისძიების განუხორციელებლობაში; დებიტორული დავალიანებების ანაზღაურების მიზნით დადგენილი წესით გასატარებელი ღონისძიებების განუხორციელებლობაში; ქონების შემოსავლის ამსახველი დოკუმენტაციის წარმოების ხარვეზის გამოსწორების მიზნით ღონისძიების განუხორციელებლობაში; საქვაბე კმაყოფაზე მყოფი მოსამსახურეების დადგენილი წესით კვებით უზრუნველყოფის მოუწესრიგებლობაში; ჯვართისა და ფერადი ლითონის დადგენილი წესის გვერდის ავლით შემოსავალში აღების გამოუსწორებლობაში; სათადარიგო ნაწილების მოთხოვნის შესახებ კორესპონდენციის არასწორად განაწილებაში, რითაც გამოირიცხა დაქვემდებარებულ დანაყოფებს შორის კოორდინირებული მუშაობის შესაძლებლობა; სამეურნეო ოპერაციის არასწორად ასახვის გამოსწორების მიზნით სათანადო ღონისძიების განუხორციელებლობაში; დაქვემდებარებული დანაყოფის მოსამსახურეების მიერ ჩადენილი გადაცდომების გამოვლენის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განუხორციელებლობაში; სამსახურებრივი შემომგებისას გამოჩენილ არაგულწრფელობაში და გენერალური ინსპექციის შეცდომაში შეყვანის მცდელობაში.

შედეგად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის დისციპლინური წესით დასჯისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ 2021 წლის 29 ივნისის №MIA 9 21 01643304 ბრძანებით: „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №989 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ (სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობა), „ა¹“ (სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულება) და „ვ“ (მოსამსახურისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავს სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს) ქვეპუნქტებით, ამავე წესდების მე-3 მუხლის „ზ“ (სამსახურიდან დათხოვნა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისთვის, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ და „ნ“ ქვეპუნქტების შესაბამისად: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ...ის დეპარტამენტის ...ის სამმარ-

თველოს უფროსის მოადგილე, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის პირველი რანგის კაპიტანი კ. ს. გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის სადავო პერიოდში მოქმედ რედაქციაზე, რომელიც კანონის მოქმედებას მათ შორის ავრცელებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ, სპეციალური და სამხედრო წოდებების მქონე პირების საქმიანობაზე. ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის თანახმად კი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი პოლიციელებსა და სამინისტროს მოსამსახურეებზე ვრცელდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ იყო დადგენილი (კანონის ამჟამად მოქმედი რედაქციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება პოლიციელსა და სამინისტროს სხვა მოსამსახურეზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონით, სხვა საკანონმდებლო აქტით ან/და მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი).

ზემოაღნიშნული კანონის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციით, პოლიციელის სამსახურიდან დათხოვნის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა დისციპლინური გადაცდომის ჩადენა ან მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი (მსგავსი შინაარსის რეგულირებას მოიცავს დასახელებული კანონის ამჟამად მოქმედი რედაქციის 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი). ამავე კანონის 59-ე მუხლის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია კი, სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისათვის სამინისტროს მოსამსახურის მიმართ გამოსაყენებლად ითვალისწინებდა შემდეგ დისციპლინური სახდელებს: ა) შენიშვნა; ბ) საყვედური; გ) სასტიკი საყვედური; დ) სამინისტროს სამკურდენი ნიშნის ჩამორთმევა; ე) სპეციალური ან სამხედრო წოდების ერთი საფეხურით ჩამოქვეითება; ვ) თანამდებობიდან ჩამოქვეითება; ზ) სამსახურიდან დათხოვნა (იგივე რეგულირებას შეიცავს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №989 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების“ მე-3 მუხლი).

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №989 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსა-

ხურეთა დისციპლინური წესდების“ სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-2 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის მოსამსახურეს ეკისრება დისციპლინური სახდელი. ხოლო, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტები დისციპლინური გადაცდომის სახედ ითვალისწინებდა სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობას, სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვან შესრულებას და მოსამსახურისათვის შეუფერებელ ქმედებას, რომელიც ლახავდა სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს. აღსანიშნავია, რომ დასახელებული წესდების სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-4 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სახდელის გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ჩადენილი გადაცდომის შინაარსი და სიმძიმე, შედეგები, აგრეთვე ჩადენის გარემოებები, მოსამსახურის პიროვნება და დამსახურება.

საკაცაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება. უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე და სხვა შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით. საქართველოს კონსტიტუციის ზემოხსენებული ნორმით გარანტირებული შრომის უფლება გულისხმობს მოქალაქის უფლებას გააჩნდეს წვდომა საჯარო სამსახურზე და სახელმწიფოს ვალდებულებას არ დაუშვას პირის საჯარო სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება. შრომის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება და ექვემდებარება შეზღუდვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუმცა მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი უნდა იყოს დამაჯერებლად დასაბუთებული.

შრომის თავისუფლებასთან დაკავშირებულ ნორმა-პრინციპი გათვალისწინებული იყო საქართველოს 2018 წლის 23 მარტის №2071 კონსტიტუციური კანონით განხორციელებულ ცვლილებებამდე არსებული საქართველოს კონსტიტუციის რედაქციის 30-ე მუხლით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების თანახმად, კონსტიტუციის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტით „დაცულია არა მხოლოდ უფლება, აირჩიო სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო, დაცული იყო უმუშევრობისაგან და ისეთი რეგულირებისაგან, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს ან იძლევა სამსახურიდან უსაფუძვლო, თვითნებური და უსამართლო გათავისუფლების საშუალებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“,

II-19).

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომელიც განსაზღვრავს, რომ საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მსგავსი შინაარსის რეგულირებას შეიცავდა საქართველოს 2018 წლის 23 მარტის №2071 კონსტიტუციური კანონით განხორციელებულ ცვლილებებამდე არსებული საქართველოს კონსტიტუციის რედაქციის 29-ე მუხლიც, რომელთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი „მოიცავს სახელმწიფო სამსახურში საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების სხვადასხვა უფლებრივ კომპონენტს, მათ შორის, სამსახურიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებისგან დაცვის გარანტიას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13).

ამდენად, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ პირის სამსახურიდან გათავისუფლების თითოეული შემთხვევის შეფასება უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილით, რამდენადაც იგი წარმოადგენს კონსტიტუციურად განმტკიცებულ ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ძირითად უფლებაში ჩარევას, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ მკაფიოდ განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნის არსებობის პირობებში, გათავისუფლების როგორც უკიდურესი ღონისძიების გამოყენების აუცილებლობისას, დასაცავ ინტერესსა და შეზღუდულ უფლებას შორის პროპორციულობის დაცვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს, რომ საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლზე, რომლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭე-

ბული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. ამავე კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად კი, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიყენა. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4-მე-5 ნაწილები განსაზღვრავს, რომ თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შრომით ურთიერთობაში, დასაქმებულის მიერ შესაბამისი პირის გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება ექცევა მისი დისკრეციული უფლებამოსილების სფეროში, თუმცა საკასაციო პალატა ხაზს უსვამს, რომ დისკრეციული უფლებამოსილება და მასში ჩარევის შეუძლებლობა, არ აძლევს ადმინისტრაციული ორგანოს თვითნებობის გარანტიას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების ფარგლებში მხოლოდ მიზანშეწონილობის კრიტერიუმით ხელმძღვანელობის შესაძლებლობას. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება ავტომატურად არ ადასტურებს მის კანონიერებას და ადმინისტრაციულ ორგანოს არ ათავისუფლებს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებისგან. სამართალწარმოების ფარგლებში, სასამართლომ უნდა შეამოწმოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული შესაბამისი ქმედების ან მიღებული გადაწყვეტილების აუცილებლობა და მისი კანონიერება და გამორიცხოს შესაბამისი ორგანოს მიერ თვითნებური, მიკერძოებული ან კანონთან შესაბამო გადაწყვეტილების მიღება, ამასთან, მიღებული გადაწყვეტი-

ლება უნდა იყოს დასაბუთებული და დეტალურად უნდა იყოს განსაზღვრული თუ რატომ გამოიწვია კონკრეტული გარემოებების ერთობლიობამ და მათმა შეფასებამ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება, განსაკუთრებით იმ პირობებში, თუ კანონმდებლობა ითვალისწინებს დასაქმებულის მიმართ ნაკლებად მზლუდავი გადაწყვეტილების მიღების ალტერნატივას.

საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის – ILO-ს (რომლის წევრიც საქართველო არის 1993 წლიდან) № 158 კონვენციაზე (დასაქმების შეწყვეტის შესახებ კონვენცია), რომელიც აწესებს საერთაშორისო სტანდარტს იმ თვალსაზრისით, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს დასაქმებულის გათავისუფლება. მოცემული კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად „დამსაქმებელმა არ უნდა შეწყვიტოს დასაქმებულთან არსებული შრომითი ურთიერთობა, თუ არ არსებობს მისი შეწყვეტის იმგვარი სათანადო საფუძველი, რომელიც დაკავშირებულია დასაქმებულის კვალიფიკაციასთან, ქცევასთან ან სანარმოს, დანესებულების ან სამსახურის ოპერაციულ საჭიროებებთან. ხსენებულ კონვენციასთან მიმართებით მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ასევე ILO-ს მიერ შექმნილი ექსპერტთა კომიტეტის („ექსპერტთა კომიტეტის კონვენციებისა და რეკომენდაციების გამოყენების თაობაზე“ – CEACR) 1995 წლის სამართლებრივი დოკუმენტი: „დაცვა უსაფუძვლო გათავისუფლებისგან“, რომელიც სწორედ ამ კონვენციის დანაწესთა სიღრმისეულ ანალიზს და პრაქტიკაში ეფექტიანი გამოყენების წესის განსაზღვრას ისახავს მიზნად. მოცემული დოკუმენტის (პარაგრაფი 93) თანახმად, „დასაქმებულის მიმართ დისციპლინური მოქმედების კონტექსტში, დასაქმებულის გათავისუფლება უნდა იყოს მის მიმართ გამოსაყენებელი უკიდურესი ზომა.“

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პირისთვის დისციპლინური სახდელის შეფასებისას ადმინისტრაციული ორგანოს თვითმიზანს მისი დასჯა არ უნდა წარმოადგენდეს და იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ აქტში არ არის მსჯელობა გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის სახის ჩადენილი დარღვევის სიმძიმესთან პროპორციულობასა და თანაზომიერებაზე; კერძოდ მოსარჩელის მიმართ ყველაზე მძიმე დისციპლინური სახდელის – სამსახურიდან დათხოვნის გამოყენების მიზანშეწონილობის და აუცილებლობის თაობაზე, მაშინ, როდესაც სანქციის ალტერნატივის არსებობა სწორედ ასეთ დასაბუთების საჭიროებას ადასტურებდა. ამასთან, არ არის განმარტებული, თუ განსახილველ შემთხვევაში, შესაბამისი კანონიერი მიზნების მიღწევას რატომ ვერ უზრუნველყოფდა უფრო მსუბუქი დისციპ-

ლიწური სახდელის გამოყენება. აღნიშნული კი განსაკუთრებით საყურადღებოა იმ პირობებში, როდესაც საქმის მასალების თანახმად, სამსახურიდან გათავისუფლების დროისთვის, მოსარჩელე ითვლებოდა დისციპლიწური პასუხისმგებლობის არმქონედ და ნამსახურობის პერიოდში იგი არაერთხელ იქნა წახალისებული.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველაზე მძიმე სახდელის გამოყენების შეფასებისას, გათვალისწინებული უწდა ყოფილიყო ჩადენილი გადაცდომის შინაარსი და სიმძიმე, შედეგები, აგრეთვე ჩადენის გარემოებები, მოსამსახურის პიროვნება და დამსახურება. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ საქმეზე სააპელაციო პალატამ ერთი მხრივ აღნიშნა, რომ გენერალური ინსპექციის დასკვნით დასტურდებოდა, რომ დარღვევების აღმოსაფხვრელად შემუშავდა გეგმა და ასევე დასკვნით არ გამოიკვეთა ისეთი დარღვევა, რომელიც იქნებოდა შეუქცევადი, გამოუსწორებელი, რომელიც შელახავდა სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს, ხოლო მეორე მხრივ ყურადღება გაამახვილა თავად მოსარჩელე – კ. ს-იას პოზიციაზე და მის მიერ განხორციელებულ მოქმედებებზე, კერძოდ, განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სამსახურებრივი პატაკებითა და მიმართვებით დასტურდებოდა, რომ **კ. ს.** არსებული პრობლემების შესახებ ხელმძღვანელ პირებს აწვდიდა ინფორმაციას, ხოლო აღნიშნული გარემოებების საპირისპიროდ მოპასუხეებს არ წარმოუდგენიათ დასაბუთებული შედავება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა მიმართ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგებზე შედგენილი დასკვნის თანახმად გამოიკვეთა სამინისტროს საფინანსო-სამეურწეო დეპარტამენტის არაერთი თანამშრომლის მიმართ გადაცდომის ჩადენის ფაქტი, მათ შორის გამოიკვეთა კ. ს-იას უშუალო უფროსის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსდ – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის საფინანსო-სამეურწეო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის – **ი. ტ-ის** მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლიწური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ (სამსახურებრივ მოვალეობა-

თა შეუსრულებლობა), „ა“ (სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულება) „თ“ (შრომის დისციპლინის წესის დარღვევა (სახელმწიფო ქონების არასამსახურებრივი მიზნით გამოყენება)) და „გ“ (ქონებრივი ზიანის მიყენება) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ივანე ტაბატაძის და თანამშრომელთა გარკვეული რაოდენობის მიმართ დისციპლინური სახდელის სახედ გამოყენებულ იქნა – თანამდებობიდან ჩამოქვეითება, ამასთან, ზოგიერთი თანამშრომლის მიმართ გამოყენებულ იქნა მკაცრი საყვედური, საყვედური და შენიშვნა, ხოლო კ. ს-ია წარმოადგენდა ერთ-ერთ იმ გამონაკლისთაგანს, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნა ყველაზე მძიმე დისციპლინური სახდელი – სამსახურიდან დათხოვნა. როგორც უკვე აღინიშნა, საქმის მასალებში არ არის დეტალური დასაბუთება, თუ რატომ იქნა გამოყენებული კ. ს-იას მიმართ კანონით გათვალისწინებული ყველაზე მძიმე დისციპლინური სახდელი იმ პირობებში, როდესაც მას მოქმედი არ ჰქონდა მოქმედი დისციპლინური სახდელი და სხვა თანამშრომლების მიმართ გამოყენებულ იქნა უფრო მსუბუქი სახდელი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ განსახილველ შემთხვევაში, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას, ადმინისტრაციულმა ორგანომ სათანადოდ არ შეაფასა მოსარჩელის სამუშაო სტაჟი, მისი სამსახურებრივი დახასიათებები, რაც ადასტურებდა მოსარჩელის მიმართ უფრო მსუბუქი სახდელის გამოყენების შესაძლებლობას. ამდენად, მოსარჩელისათვის სახდელის სახედ სამსახურიდან დათხოვნის შეფარდება, რომელსაც წინ არ უსწრებს უფრო მსუბუქი დისციპლინური სახდელი, საქმეში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, წარმოადგენს შეუსაბამოდ მკაცრ ზომას და ადასტურებს სადავო აქტის ბათილად ცნობის წინაპირობების არსებობას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილის სადავო პერიოდში მოქმედ რედაქციაზე, რომლის თანახმად, ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას — ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. თუ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო, საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბიუროს საჯარო სამ-

სახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით. სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სხვა საჯარო დაწესებულებაში ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა დასაშვებია უკანონოდ გათავისუფლებული მოხელისა და ამ საჯარო დაწესებულების თანხმობით. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ იმ პირობებში, როდესაც დადასტურებულია კ. ს-იას დისციპლინური წესით დასჯისა და შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 29 ივნისის №MIA 9 21 01643304 ბრძანების ბათილად ცნობის წინაპირობების არსებობა, ასევე საფუძვლიანია მოსარჩელის მოთხოვნა მისი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოადგილის ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმად, სამსახურში აღდგენილ მოხელეს ეძლევა განაცდური თანამდებობრივი სარგო და საკლასო დანამატი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული წელთა ნამსახურობის დანამატი და წოდებრივი სარგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ იმ პირობებში, როდესაც სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია მოსარჩელესთან შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელებაზე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს უარი და საფუძვლიანად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა სამსახურში აღდგენის შესახებ, იკვეთებოდა მოპასუხისთვის კ. ს-იას სასარგებლოდ განაცდური ხელფასის ანაზღაურების წინაპირობების არსებობაც.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 15 ნოემბრის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაადგინა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 15 ნოემბრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე ბრძანების კანონიერება; იძულებითი განაცდურის დაკისრების საფუძველი

გადანყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-775(კ-23)

15 მაისი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, მისი შედეგების აღმოფხვრა და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. მ-მა 2020 წლის 30 მარტს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიმართ და სასარჩელო მოთხოვნათა და ზუსტების შედეგად „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2020 წლის 25 თებერვლის №328 და „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან დათხოვნის შესახებ“ ამავე სამსახურის უფროსის 2020 წლის 26 ივნისის № 1168 ბრძანებების ბათილად ცნობა, მოსარჩელის – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური ოპერაციული დეპარტამენტის, სპეციალური დანიშნულების ...ის, მისი არარსებობის შემთხვევაში კი, ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოპასუხისთვის დავალება, ასევე გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობით (კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში მიღებული ორი თვის შრომითი გასამრჯელოს გამოკლებით), იძულებითი განაცდურის ანაზღაურება,

მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, მისი შედეგების აღმოფხვრა და აქედან გამომდინარე მორალური ზიანის – 10 000 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მისი თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი გახდა ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე ...ად გ. გ-ის და-ნიშვნასთან დაკავშირებით გაკეთებული კომენტარი – „ანი რალა გვიჭირს“. სწორედ აღნიშნული კომენტარის გამო დაიბარეს იგი და მისი ნების სანინალმდეგოდ, მუქართა და ზენოლით, იძულებით დაანერინეს პატაკი. მოსარჩელის მოსაზრებით, აღნიშნულმა გარემოებამ და-არღვია მისი კონსტიტუციითა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დაცული უფლებები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-ლეგიის 2021 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან დათხოვნის შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2020 წლის 26 ივნისის №1168 ბრძანება; მოპასუხეს დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური ოპერაციული დეპარტამენტის, სპეციალური დანიშნულების ...ის, ან მისი არარსებობის შემთხვევაში, ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ; მოპასუხეს ასევე დაევალა მოსარჩელისათვის იძულებითი განაცდური შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურება მისი გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობით (კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში მიღებული ორი თვის შრომითი გასამრჯელოს გათვალისწინებით). დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მი-იჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე გ. მ-ი 2000 წლიდან მუშაობდა საქართველოს სახელ-მწიფო უსაფრთხოების სამსახურში სხვადასხვა თანამდებობაზე, 2020 წლიდან კი მუშაობა გააგრძელა ამავე სამსახურის ...ის თანამდებობა-ზე. 2020 წლის 21 თებერვალს გ. მ-იმა პატაკით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური ოპერაციული დეპარტამენტის დირექტორს და დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება და კადრების განკარგულებაში აყვანა მოითხოვა. სპეცია-ლური ოპერაციული დეპარტამენტის დირექტორმა იმავე დღეს მიმარ-თა პატაკით საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს, წარუდგინა გ. მ-ის პატაკი და მისი თანამდებობიდან გათავი-სუფლებასა და კადრების განკარგულებაში აყვანასთან დაკავშირებით

განკარგულების გამოცემა მოითხოვა. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა 2020 წლის 25 თებერვალს გამოსცა №328 ბრძანება მოსარჩელე გ. მ-ის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ. გ. მ-იმა 2020 წლის 30 მარტს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2020 წლის 25 თებერვლის №328 ბრძანების ბათილად ცნობა და სამსახურში აღდგენა მოითხოვა. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2020 წლის 26 ივნისის ბრძანებით მოსარჩელე გ. მ-ი დათხოვნილ იქნა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის საფუძვლით.

დასახელებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას სასამართლომ მიუთითა „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სამსახურის მოხელე, მათ შორის, სამხედრო ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურე, საამისოდ უფლებამოსილი პირის ბრძანებით შეიძლება გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში არაუმეტეს 4 თვის ვადით პირადი განცხადების (პატაკის) საფუძველზე. განსახილველ შემთხვევაში გ. მ-ი სამსახურიდან გათავისუფლდა და კადრების განკარგულებაში იქნა აყვანილი იმ პირობებში, როდესაც პატაკით თვითონ გამოხატა ამის თაობაზე ნება, ხოლო რამდენიმე დღის განმავლობაში, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, მას არ მიუმართავს სამსახურისათვის გამოსხატული ნების არანამდვილობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2020 წლის 25 თებერვლის №328 ბრძანება გამოცემული იყო მითითებული კანონის საფუძველზე და არ ეწინააღმდეგებოდა მას.

სასამართლომ კვლავ მიუთითა „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამსახურე სამსახურიდან შეიძლება დათხოვნილ იქნეს კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო, ხოლო კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადა, იმავე ნორმატიული აქტის 33-ე მუხლის შესაბამისად, ოთხ თვეს შეადგენს. შესაბამისად, სამსახურის მოსამსახურის სამსა-

ხურიდან დათხოვნა, ისევე, როგორც მისი თანამდებობიდან გათავისუფლება და კადრების განკარგულებაში აყვანა, უფლებამოსილი თანამდებობის პირის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2020 წლის 26 ივნისის ბრძანებით, მოსარჩელე გ. მ-ი დათხოვნილ იქნა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის საფუძველზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, როდესაც არსებობს საექსპო გარემოებები, მათ შორის, მრავალი პირის მიერ ერთდროულად განცხადების დაწერა სამსახურის დატოვებასთან დაკავშირებით, პირის უარი სამსახურის დატოვებასთან დაკავშირებით და ა.შ., ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში უზრუნველყოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების საფუძველიანად გამოკვლევა და შეფასება, რაც გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, დაინტერესებული პირის გამოკითხვას, მისი მდგომარეობის შეფასებას ა.შ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 დეკემბრის განჩინება, საქმის №ბს-898(კ-19)). განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ მოსარჩელე გ. მ-მა 2020 წლის 30 მარტს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2020 წლის 25 თებერვლის №328 ბრძანების ბათილად ცნობა და სამსახურში აღდგენა მოითხოვა, თუმცა მიუხედავად ამისა, იგი 2020 წლის 26 ივნისის ბრძანებით, დათხოვნილ იქნა სამსახურიდან კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის საფუძველზე. შესაბამისად, სამართლებრივი პირობა – პირადი პატაკი, რომელიც საფუძველი გახდა მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის, მისი სამსახურიდან დათხოვნის დროისათვის აღარ არსებობდა და ეს ცნობილი იყო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისათვის, დათხოვნამდე 3 თვით ადრე. ამრიგად, ადმინისტრაციულმა ორგანომ – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მოსარჩელე გ. მ-ის კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში არ გამოიკვლია და არ შეაფასა მისი სარჩელი იმასთან დაკავშირებით, რომ სამსახურიდან დათხოვნა მის ნებას არ წარმოადგენდა და მას სურდა სამსახურის გაგრძელება. შესაბამისად, არ არსებობდა მისი სამსახურიდან დათხოვნის სამარ-

თლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები. ამდენად, სასამართლო მივი-
და დასკვნამდე, რომ უნდა გაბათილებულიყო „საქართველოს სახელ-
მწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან დათხოვნის შესახებ“ საქართვე-
ლოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2020 წლის 26
ივნისის № 1168 ბრძანება.

რაც შეეხებოდა მოსარჩელის მოთხოვნას სამსახურში აღდგენისა
და განაცდურის ანაზღაურების თაობაზე, სასამართლომ „საჯარო სამ-
სახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტზე
მითითებით განმარტა, რომ ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ
მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების
გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხე-
ლე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი
თანამდებობის არარსებობისას — ტოლფას თანამდებობაზე იმავე სა-
ჯარო დაწესებულების სისტემაში. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახ-
მად კი, მოხელის სამსახურში აღდგენის შემთხვევაში, სამსახურში აღ-
დგენილ მოხელეს ეძლევა განაცდური შრომითი გასამრჯელო. ამრი-
გად, სასამართლომ დაასკვნა, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფ-
რთხოების სამსახურს უნდა დავალებოდა მოსარჩელე გ. მ-ის სამსა-
ხურში აღდგენა და მისთვის იძულებითი განაცდური – შრომითი გასამ-
რჯელოს ანაზღაურება მისი გათავისუფლების დღიდან (კადრების გან-
კარგულებაში ყოფნის პერიოდში მიღებული ორი თვის შრომითი გასამ-
რჯელოს გამოკლებით) სამსახურში აღდგენამდე, შესაბამისი თანამ-
დებობისათვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენ-
და ასევე დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, მისი შედეგების აღმოფ-
ხვრა და მორალური ზიანის ანაზღაურება, რასთან დაკავშირებითაც
სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციაზე, ადამიანის
უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაზე, ადამიანის უფლებათა და ძი-
რითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე, „დისკრიმი-
ნაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონზე,
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებებზე, ადამიან-
ის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალ-
ზე დისკრიმინაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საქმეში წარ-
მოდგენილი არც ერთი მტკიცებულებით არ დგინდებოდა ის გარემოე-
ბა, რომ მოსარჩელე გ. მ-ი არსებითად მის მსგავს მდგომარეობაში მყო-
ფი პირებისაგან განსხვავებული მოპყრობის ობიექტი გახდა რაიმე კონ-
კრეტული ნიშნით. შესაბამისად, სასამართლომ სარჩელი აღნიშნულ ნა-
წილში უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-
ლეგიის 2021 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმა-

ყოფილებულ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების შედეგად სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს მოსარჩელე გ. მ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდური შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურება დაევალა მისი გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობით (კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში მიღებული ორი თვის შრომითი გასამრჯელოს გათვალისწინებით) და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს დაევალა მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებითი განაცდური შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურება შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობით (კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში მიღებული ორი თვის შრომითი გასამრჯელოს გათვალისწინებით) მისი გათავისუფლების დღიდან 2020 წლის 19 დეკემბრამდე, ხოლო 2020 წლის 19 დეკემბრიდან გ. მ-ის სამსახურში აღდგენამდე პერიოდის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს დაევალა აუნაზღაუროს მას შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობასა და სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ „დ...ში“ დარიცხულ ხელფასს შორის სხვაობა; დანარჩენ ნაწილში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, ამ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შეცვალა მხოლოდ მოსარჩელისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში და აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს უნდა დავალებოდა მოსარჩელისათვის, 2020 წლის 19 დეკემბრიდან სამსახურში აღდგენამდე პერიოდის განმავლობაში, შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობასა და სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეც-

ნიერო-ტექნიკური ცენტრ „დ...ში“ დარიცხულ ხელფასს შორის სხვაობის ანაზღაურება. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებას სააპელაციო პალატამ საფუძვლად დაუდო მის მიერ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დ...დან“ გამოთხოვილი ინფორმაცია, რომლის თანახმად, გ. მ-ი 2020 წლის 18 სექტემბრიდან დღემდე დასაქმებულია სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დ...ში“. მას შრომითი ანაზღაურება ერიცხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და შეადგენს: 2020-2022 წწ. – დარიცხვა – 40927,04, საშემოსავლო – 6985,42, მისაღები – 33941,62, დაზღვევა – 630,00, ჩარიცხვა – 33311,62. 2020 წლის ოქტომბრიდან 2020 წლის დეკემბრის ჩათვლით შემდეგი ოდენობით – დარიცხვა – 11 792,05, საშემოსავლო – 2358,41, მისაღები – 9433,64, დაზღვევა – 105,00, ჩარიცხვა – 9328,64, 2021 წლისათვის – დარიცხვა – 23377,99, საშემოსავლო – 4075,61, მისაღები – 19302,38, დაზღვევა – 420,00, ჩარიცხვა – 18882,38, 2022 წლის იანვარი-მარტის ჩათვლით პერიოდში – დარიცხვა – 5757, საშემოსავლო – 551,40, მისაღები – 5206,60, დაზღვევა – 105,00, ჩარიცხვა – 5100,60.

დანარჩენი სასარჩელო მოთხოვნების ნაწილში სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება. შესაბამისად, ამ ნაწილში უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა საკასაციო წესით გაასაჩივრა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების შედეგად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი თავის საკასაციო პრეტენზიას კვლავ ამყარებს იმავე ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე, რაზეც მიუთითებდა სააპელაციო სასამართლოში და დამატებით აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საკითხზე მსჯელობისას მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც არ შეესაბამება კონკრეტულ გარემოებებს. კერძოდ, გ. მ-ისგან განსხვავებით, აღნიშნულ საქმეებში მოსარჩელებმა კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში მიმართეს უწყების ხელმძღვანელობას, კვლავ დაენიშნათ თანამდებობებზე, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ამასთან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიმართ პოლიტიკური ნიშნით წაყენებული დისკრიმინაციული ბრალდებები არ ფიგურირებდა სააპელაციო პალატის მიერ გამოყენებულ გადაწყვეტილებებში. ასევე მნიშვნელოვან-

ნი გარემოებაა ის, რომ კადრების განკარგულებაში აყვანილ მოსამსახურეს – გ. მ-ის სწორედ კადრების განკარგულებაში ყოფნის 4-თვიანი ვადის გასვლისას შეუსრულდა 20-წლიანი სამუშაო სტაჟი, რაც „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, კომპენსაციის დანიშვნის საფუძველს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, უწყებამ საპენსიო ასაკის მიღწევისთვის სრულად შეუნარჩუნა მოსარჩელეს სამსახურის მოსამსახურის სტატუსი და მხოლოდ 4 თვის გასვლის შემდეგ დაითხოვა სამსახურიდან მაშინ, როდესაც დისკრეციული უფლებამოსილება აძლევდა საშუალებას სამსახურის ხელმძღვანელს 4 თვის გასვლამდეც გამოეცა ბრძანება სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ მოცემულ საქმეში დაშვებულია პრეცედენტი, როდესაც საჯარო სამსახურის სისტემის თანამშრომელი საკუთარი ნებით გადადის კადრების განკარგულებაში, შემდეგ კი სამსახურის შიდა რეგულაციების გვერდის ავლით, კერძოდ, სასამართლოსადმი მიმართვის გზით იცვლის ნებას, ითხოვს თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში გადაყვანის თაობაზე გამოტანილი აქტის ბათილად ცნობას, მორალური ზიანის ანაზღაურებას და ამასთანავე, აღნიშნავს, რომ მისი ნების საწინააღმდეგოდ დაანერინეს პატაკი. ამგვარი პრაქტიკის დაფუძნება, სამსახურის მოსაზრებით, არა მარტო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, არამედ მთელ საჯარო სისტემას შეუქმნის პრობლემას. ამასთან, საქალაქო სასამართლომ სრულიად კანონიერად ცნო გ. მ-ის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ ბრძანება. დასახელებული აქტი მას შემდეგ შევიდა კანონიერ ძალაში, როცა იგი მხარემ სააპელაციო წესით არ გაასაჩივრა. ამის შემდეგ, სააპელაციო სასამართლომ ისე დატოვა ძალაში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში, რომ უკვე კანონიერ ძალაში იყო შესული კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ ბრძანება. კადრების განკარგულებაში მყოფი პირის სამსახურში უპირობოდ აღდგენა კი, კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ ვერ დაადგინა და ვერც დაასაბუთა სამსახურიდან დათხოვნის შესახებ ბრძანების უკანონობა, არ შეაფასა ასევე ის ფაქტი, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გამოიყენა სპეციალური კანონის, კერძოდ „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ კანონის 32-ე მუხლი, ამასთანავე, სრულიად უგულებელყო სამსახურის უფროსის დისკრეციული უფლებამოსილება – მიეღო გადაწყვეტილება საკუთარი პასუხისმგებ-

ლობით. ამდენად, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა უწყების მიერ წარდგენილი მნიშვნელოვანი სამართლებრივი არგუმენტები და დისკრეციული უფლებამოსილება, კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. მ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი „გ. მ-ის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან დათხოვნის შესახებ“ ამავე სამსახურის უფროსის 2020 წლის 26 ივნისის № 1168 ბრძანება და მოპასუხეს, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა უნდა დაევალოს.

საქმის მასალების მიხედვით, დასტურდება, რომ გ. მ-ი 2000 წლიდან მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სხვადასხვა თანამდებობაზე, 2020 წლიდან კი სამსახური გააგრძელა ამავე სამსახურის სპეციალური ოპერაციული დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების ...ის თანამდებობაზე. 2020 წლის 21 თებერვალს გ. მ-მა პატაკით მოითხოვა თანამდებობიდან გათავისუფლება და კადრების განკარგულებაში აყვანა, რასთან დაკავშირებითაც, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური ოპერაციული დეპარტამენტის დირექტორმა იმავე დღეს მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს, წარუდგინა მოსარჩელე გ. მ-ის პატაკი და მისი თანამდებობიდან გათავისუფლებასა და კადრების განკარგულებაში აყვანასთან დაკავშირებით განკარგულების გამოცემა მოითხოვა. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა 2020 წლის 25 თებერვალს გა-

მოსცა №328 ბრძანება გ. მ-ის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ. 2020 წლის 30 მარტს კი გ. მ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2020 წლის 25 თებერვლის №328 ბრძანების ბათილად ცნობა და სამსახურში აღდგენა მოითხოვა, ხოლო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2020 წლის 26 ივნისის ბრძანებით, გ. მ-ი დათხოვნილ იქნა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გ. მ-ის სასარჩელო მოთხოვნები – „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2020 წლის 25 თებერვლის №328 ბრძანების ბათილად ცნობის (რომელიც მიღებულია პირადი განცხადების (პატაკის) საფუძველზე), დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის, მისი შედეგების აღმოფხვრისა და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა. სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ სააპელაციო წესით არ გასაჩივრებულა, შესაბამისად, ამ ნაწილში გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404.1 მუხლის პირველი წინადადების თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამდენად, ზემოთ აღნიშნულ სასარჩელო მოთხოვნებზე საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს და შეაფასებს მხოლოდ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აქტის ბათილად ცნობისა და მისი თანმდევი შედეგების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველების არსებობას. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო წესით გასაჩივრებულია მხოლოდ მოპასუხის – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ. სწორედ ამიტომ, განსახილველ შემთხვევაში სადავო საკითხს წარმოადგენს მხოლოდ სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის – გ. მ-ის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება. აღსანიშნავია, რომ სამსახურიდან დათხოვნის შესახებ სადავო აქტის გამოცემის საფუძველად მითითებულია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2015 წლის პირველი აგვისტოს №1 ბრძანებით დამტკი-

ცებული, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სამსახურის გავლის წესის“ 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი (კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლა), ასევე „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №385 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები.

სადავო საკითხის შეფასების მიზნით, საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლზე, რომელიც ადგენს ყოველი მოქალაქის საჯარო თანამდებობაზე წვდომის უფლებას. ეს კონსტიტუციური დანაწესი იცავს სახელმწიფო სამსახურზე მოქალაქის თავისუფალი წვდომის უფლებას, აღნიშნული გულისხმობს საჯარო სამსახურში დასაქმებული პირის თანამდებობასთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ გარანტიებს – არ იქნეს დაუსაბუთებლად გათავისუფლებული სამსახურიდან, იყოს დაცული ყოველგვარი გარე ჩარევისგან (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-19). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, ერთმანეთისგან გამიჯნულია სახელმწიფო სამსახურში საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების სხვადასხვა უფლებრივი კომპონენტები, მათ შორის, სამსახურიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებისგან დაცვის გარანტია. საჯარო მიზნების განხორციელებაზე ორიენტირებული, საჯარო ფუნქციის განმახორციელებელი პირები, დამოუკიდებლად იმისგან, წარმოადგენენ თუ არა ისინი კანონით განსაზღვრულ საჯარო მოხელეებს ან სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირებს, საჯარო ფუნქციის ეფექტიანად და სრულყოფილად განხორციელებისათვის უნდა სარგებლობდნენ საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით გათვალისწინებული კონსტიტუციური გარანტიებით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დ. კანდელაკი, ნ. დვალი, ზ. დავითაშვილი, ე. გოგუაძე, გ. მელაძე და მ. ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5-6). შრომის უფლება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას სათანადო, კანონიერი საფუძვლების გარეშე არ დაუშვას დასაქმებულთა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, რაც სახელმწიფო სამსახურში პირის შრომის უფლებას არამართლზომიერად შეზღუდავს, ამასთან, შრომის გარანტირებული უფლება არ არის აბსოლუტური და აღნიშნული უფლებით დაცული სფერო შესაძლებელია დაექვემდებაროს შეზღუდვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლეგიტიმური მიზნითა

და თანაზომიერების პრინციპის დაცვით. შრომის უფლების დაცვა არ გულისხმობს დამსაქმებლის აბსოლუტურ შეზღუდვას, კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, გაათავისუფლოს დასაქმებული (სუსგ 23.04.2019წ. საქმე №ბს-954(2კ-18)). დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება ობიექტურ მიზეზებზე უნდა იყოს დაფუძნებული, დამსაქმებელი ვალდებულია დაასაბუთოს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების ობიექტური მიზეზები (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №158 კონვენციის (1982წ.) №166 რეკომენდაცია „დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის შესახებ“). საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას. მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს, დაინტერესებულ პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გაეცნოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში რა გარემოებებზე დაყრდნობით მიიღო ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ კანონის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის მოხელე, მათ შორის, სამხედრო ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურე, საამისოდ უფლებამოსილი პირის ბრძანებით შეიძლება გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში არაუმეტეს 4 თვის ვადით პირადი განცხადების (პატაკის) საფუძველზე. ანალოგიურ დებულებას შეიცავს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2015 წლის პირველი აგვისტოს №1 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სამსახურის გავლის წესის“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოხელის კადრების განკარგულებაში აყვანისათვის საკმარისია პირადი განცხადების (პატაკის) არსებობა. კონკრეტულ შემთხვევაში, გ.მ-ი პირადი განცხადების (პატაკის) საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში, თუმცა, მოგვიანებით, კადრების განკარგულებაში აყვანის თაობაზე მიღებული აქტის ბათილად ცნობა სასამართლო წესით მოითხოვა. პირველი ინსტანციის სასამართლომ კი კანონიერად ცნო აღნიშნული აქტი და მასზე მიღებული გადაწყვეტილება დღეის მდგომარეობით კანონიერ ძალაშია შესული. ამასთან, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის („საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სამსახურის გავლის წესის“ 29-ე მუხლის პირველი პუნქტის

„დ“ ქვეპუნქტის) შესაბამისად, მოსამსახურე სამსახურიდან შეიძლება დათხოვნილ იქნეს კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო. ამდენად, კადრების განკარგულებაში აყვანიდან 4 თვის ვადის გასვლა „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის (ნესის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი) თანახმად, სამსახურიდან დათხოვნის ცალკე საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, დასახელებული კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს მოხელის აყვანას კადრების განკარგულებაში არაუმეტეს 4 თვის ვადით.

ამრიგად, საქმის მასალებით დადგენილია, რომ გ. მ-ის კადრების განკარგულებაში აყვანას საფუძველად დაედო მისი 2020 წლის 21 თებერვლის განცხადება, ხოლო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2020 წლის 26 ივნისის ბრძანებით გ. მ-ი დათხოვნილ იქნა სამსახურიდან, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 2020 წლის 30 მარტის სასარჩელო განცხადებით დასაქმებულმა სადავო გახადა სამსახურიდან დათხოვნის ნამდვილი ნება.

საკაცაციო სასამართლო განმარტავს, რომ კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და კანონმდებლობით გარანტირებულია ყოველი პირის უფლება თავისი თავისუფალი და ნამდვილი ნების საფუძველზე გააგრძელოს დაკავებულ თანამდებობაზე სამსახური ან დატოვოს კონკრეტული თანამდებობა. დასაქმებულის, მოცემულ შემთხვევაში კი საჯარო მოსამსახურის სურვილი, შეწყვიტოს დაკავებულ თანამდებობაზე ყოფნა, გამომდინარეობს კონსტიტუციური დათქმიდან – შრომა თავისუფალია, რაც მოიცავს პირის უფლებას თავად გადაწყვიტოს იყოს თუ არა დასაქმებული. არავის აქვს უფლება მისი ნების საწინააღმდეგოდ აიძულოს პირი იშრომოს ან პირიქით უარი თქვას შრომაზე. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო, ისევე როგორც დასაქმებულის დანიშვნა/გათავისუფლებაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირი ვალდებულია პატივი სცეს საჯარო მოსამსახურის ამ უფლებას. აღნიშნული კი, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ პირის მიერ გამოხატული სურვილი გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან უნდა ეფუძნებოდეს მის ნამდვილ ნებას, რომელიც თავისუფალია რაიმე სახის გარე ზემოქმედებისაგან.

ბუნებრივია, რომ დასაქმებულის მიერ სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე წარდგენილი განცხადების განხილვისას, ადმინისტრაციული ორგანო ყველა შემთხვევაში არ არის ვალდებული დაადგინოს დასაქმებულის ნამდვილი ნება, რასაც ადასტურებს თუნდაც ის გარემოება, რომ პირადი განცხადებით სამსახურის დატოვების შემთხვევაში სავალდებულო არ არის განცხადებაში აისახოს სამსახურიდან წას-

ვლის მიზეზი. ამგვარი საჭიროება, ანუ დასაქმებულის ნების ნამდვილობის დადგენის საჭიროება დგება იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული ფაქტობრივი მოცემულობა იძლევა ეჭვის წარმოშობის საფუძველს განმცხადებლის ნების გამოვლენის ნამდვილობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კადრების განკარგულებაში მყოფი მოსამსახურე მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს დათხოვნილი სამსახურიდან, თუ მხარეთა შორის სადავო არ არის მისი კადრების განკარგულებაში აყვანის პირობა და საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე სათანადო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გზით დამსაქმებლის მიერ გამოკვლეული და შეფასებული უნდა ყოფილიყო, თუ რით იყო განპირობებული გ. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების სურვილი და რამდენად ჰქონდა ადგილი ნების თავისუფალ გამოვლენას, იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ გ. მ-იმა, რომელიც წლების მანძილზე დასაქმებული იყო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სხვადასხვა თანამდებობაზე და 2020 წლიდან გათავისუფლებამდე (კადრებში გადაყვანამდე) იკავებდა ამავე სამსახურის ...ის თანამდებობას, 2020 წლის 21 თებერვალს განცხადებით, ყოველგვარი განმარტების გარეშე მოითხოვა კადრების განკარგულებაში გადაყვანა, ხოლო 2020 წლის 30 მარტს სასარჩელო განცხადებით სადავო გახადა კადრების განკარგულებაში აყვანის ნამდვილი ნება და განმარტა, რომ მისი ნების სანინაალმდეგოდ დაწერა განცხადება კადრების განკარგულებაში გადასვლაზე.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვინაიდან 2020 წლის 30 მარტს გ. მ-იმა სასარჩელო განცხადებით დააფიქსირა პოზიცია პატაკის მისი ნების სანინაალმდეგოდ დაწერის თაობაზე, აღნიშნული ცალსახად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ 2020 წლის 26 ივნისის ბრძანების მიღებამდე, კერძოდ, 4-თვიანი ვადის გასვლის გამო სამსახურიდან გათავისუფლებამდე, ადმინისტრაციული ორგანოსთვის უკვე ცნობილი იყო 2020 წლის 21 თებერვალს შედგენილი პატაკის და მის საფუძველზე მიღებული ბრძანების სადავოობა. მიუხედავად აღნიშნულისა, კადრების განკარგულებაში მყოფი გ. მ-ი დათხოვნილ იქნა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო. ანუ მოსარჩელე სამსახურიდან დათხოვნილია მისი ნების სანინაალმდეგოდ იმ პირობებშიც კი, თუ ჩავთვლით, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მოსარჩელის სურვილის საფუძველზე გამოსცა მისი კადრების განკარგულებაში აყვანის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვინაიდან კადრების განკარგულების ვადის გასვლამდე, კანონით დადგენილი წესით არ გამოიკვლია და

არ შეაფასა გ. მ-ის მიერ გამოხატული ნება, არ დათხოვნილიყო სამსახურიდან. ფაქტია, რომ გ. მ-ის არ სურდა სამსახურიდან დათხოვნა და ეს სასარჩელო განცხადებით გამოხატა კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლამდე. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება – დაითხოვოს მოსამსახურე სამსახურიდან კადრებში ყოფნის ვადის გასვლის გამო, მოცემულ შემთხვევაში არ უნდა განხორციელდეს იმ მიზნით, რომლისთვისაც აქვს მინიჭებული იგი ადმინისტრაციულ ორგანოს, კერძოდ, პირადი პატაკის საფუძველზე, კადრების განკარგულებაში მყოფი მოსამსახურის, კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო, სამსახურიდან დათხოვნის უფლებამოსილება უფლებამოსილ თანამდებობის პირს აქვს მხოლოდ შესაბამისი მოსამსახურის სამსახურის დატოვებასთან დაკავშირებული ნების რეალიზაციის მიზნით და არა მის საწინააღმდეგოდ. შესაბამისად, ისეთ პირობებში, როდესაც მოსარჩელემ სადავო გახადა მისი ნების საწინააღმდეგოდ კადრების განკარგულებაში გადაყვანა, რითაც გამოხატა სამსახურში დარჩენის სურვილი, ვერ ჩაითვლება დამსაქმებლის მიერ სათანადო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გზით დასაქმებულის სამსახურიდან წასვლის ნამდვილი ნების გამოკვეთად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ვერ დაადასტურა, რომ არსებობდა გ. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების კანონით გათვალისწინებული საფუძველი, რის გამოც საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ გასაჩივრებული აქტი უკანონოა და სახეზეა სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე ადასტურებს დავის ასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე გადაწყვეტის საჭიროებას და აღნიშნავს შემდეგს: ადმინისტრაციული წარმოება არის მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის გამოყენების ანუ გადაწყვეტილების მიღების ორგანიზებული პროცესი, რომლის დროსაც ადმინისტრაციული ორგანო ასრულებს კანონით მასზე დაკისრებულ ამოცანებს და აწესრიგებს სამართალურთიერთობის მონაწილეების უფლება-მოვალეობებს. ადმინისტრაციული წარმოება შედგება რამდენიმე ეტაპისაგან, მათ შორის, ინფორმაციის მოპოვება, გადაწყვეტილების მომზადება და გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნული ემსახურება ადმინისტრაციულ ორგანოს კანონით დაკისრებული ძირითადი ფუნქციის შესრულებას, საჯარო მმართველობის განხორციელებას.

საჯარო მმართველობის განხორციელების დროს ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაიცვას ადმინისტრაციული წარმოების წე-

სები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადანყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ხოლო იმავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადანყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მითითებას სასამართლოს მხრიდან დავის არსებითად გადანყვეტის შესაძლებლობის თაობაზე და განმარტავს, რომ სასამართლოები ადმინისტრაციული დავის გადანყვეტის პროცესში ახორციელებენ სამართალწარმოებას და არა ადმინისტრაციულ წარმოებას, რომლის დროსაც საჭიროა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების განსაზღვრა, მათ შესახებ ინფორმაციის მოძიება, მოძიებული ინფორმაციის მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის ფაქტობრივ შემადგენლობასთან შესაბამისობის დადგენა და სამართლებრივი შედეგის განსაზღვრა. იმ პირობებში, თუ სასამართლო მოახდენდა მითითებული ფუნქციების საკუთარ თავზე აღებას, სასამართლო სრულად ჩაანაცვლებდა ადმინისტრაციულ ორგანოს და განახორციელებდა საჯარო მმართველობას, რაც დაუშვებელია ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 19 ოქტომბრის გადანყვეტილებაზე (საქმე №ბს-329-327(2კ-17)), სადაც საკასაციო სასამართლო განმარტავს, „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან აღნიშნული მის დისკრეციას განეკუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადავო ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.“

საკასაციო სასამართლო იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ მოსამსახურის მიერ განცხადების დაწერა სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე არის მისი ნების გამოვლინება, თუმცა, მნიშვნელოვანია დასტურდებოდეს, რომ ნება გამოვლენილი იყოს თავისუფლად, შეუზღუდავად, ყოველგვარი ზენოლისა და იძულების გარეშე, რისი დადგენაც უნდა მოხდეს ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს მოსამსახურის კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში არ გამოუკვლევია და შეუფასებია ის გარემოებები, რომლებიც, შესაძლოა, მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნის ან მისი სამსახურში დატოვების საფუძველი გამხდარიყო, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც დასაქმებულმა სასარჩელო განცხადებით სადავო გახადა ნების ნამდვილობა და აღნიშნა, რომ მას არ სურდა დაეტოვებინა სამსახური და შემწყდარიყო შრომითი ურთიერთობა. კერძოდ, გ. მ-მა კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ ბრძანება გაასაჩივრა სასამართლოში, ხოლო ამის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოსათვის ცნობილი იყო. მიუხედავად ამისა, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მხედველობაში არ მიიღო აღნიშნული ფაქტი და გამოცხადებულ ბრძანება გ. მ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს რიგი ფაქტობრივი გარემოებები, რამაც ზეგავლენა იქონია გ. მ-ის ნების თავისუფალ გამოვლენაზე და კადრების განკარგულებაში გადაყვანასთან დაკავშირებით პირადი პატაკის დაწერაზე. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე გაათავისუფლა მოსარჩელე, რომ არ გამოუკვლევია საქმის გარემოებები, კერძოდ, რატომ გადაწყვიტა მოსარჩელემ სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე პატაკის დაწერა, აღნიშნული წარმოადგენდა თუ არა მისი ნამდვილი ნების გამოხატვას, თუ აღნიშნული გამონეგული იყო რაიმე გარეშე ფაქტორის ზემოქმედებით, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე თავადვე მიუთითებდა აღნიშნული ფაქტორების არსებობის თაობაზე. სწორედ ამიტომ, საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვით, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუნყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინის-

ტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. შესაბამისად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2020 წლის 26 ივნისის № 1168 ბრძანება და მოპასუხეს უნდა დაევალოს, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელის საკითხთან დაკავშირებით.

პირის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების სამართლებრივ შედეგებთან მიმართებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2015 წლის პირველი აგვისტოს № 1 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სამსახურის გავლის წესზე“, რომლის მე-60 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამსახურეები სამსახურიდან უკანონო დათხოვნის/გათავისუფლების, დაქვეითების ან ნოდების უკანონო ჩამორთმევის შემთხვევაში ექვემდებარებიან აღდგენას თანამდებობაზე, ასევე უბრუნდებათ ჩამორთმეული ნოდება. იმავე „წესის“ 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად კი, უკანონოდ გათავისუფლებული მოსამსახურის თანამდებობაზე აღდგენისას, თუ შტატის შემცირების გამო აღარ არსებობს ან უკვე დაკომპლექტებულია უკანონოდ გათავისუფლებამდე არსებული თანამდებობა, პირი, მისი კვალიფიკაციის და პროფესიული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, ინიშნება შესაბამის (ტოლფას) ან მისი თანხმობით – სხვა თანამდებობაზე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირი უარს იტყვის შეთავაზებულ თანამდებობაზე, გათავისუფლება დაკავებული/აღდგენილი თანამდებობიდან. რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნას იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახურში აღდგენილ მოხელეს ეძლევა განაცდური თანამდებობრივი სარგო და საკლასო დანამატი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული წელთა ნამსახურობის დანამატი და ნოდებრივი სარგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

საკასაციო სასამართლო, სადავო ბრძანების სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობის პირობებში, განმარტავს, რომ სასარჩელო მოთხოვნა სამსახურში აღდგენასთან დაკავშირებით, განსახილ-

ველ დავასთან მიმართებით უსაფუძვლოა, რამდენადაც სამსახურში აღდგენის უმთავრეს წინაპირობას მოხელის სამსახურიდან უკანონო გათავისუფლება წარმოადგენს, რაც, მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს გამოსარკვევია. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საკითხი თანამდებობიდან უკანონოდ გათავისუფლებას უკავშირდება. შესაბამისად, ამ პირობებში ასევე უსაფუძვლოა მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს მოსარჩელის დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენისა და მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის იძულებითი განაცდურის დაკისრების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება გ. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. მ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი „გ. მ-ის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან დათხოვნის შესახებ“ ამავე სამსახურის უფროსის 2020 წლის 26 ივნისის № 1168 ბრძანება და მოპასუხეს, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა უნდა დაევალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. გ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი „გ. მ-ის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან დათხოვნის შესახებ“ ამავე სამსახურის უფროსის 2020 წლის 26 ივნისის №1168 ბრძანება;

5. მოპასუხეს – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს დაევალოს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სპეციალური პენიტენციური სამსახურისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-1073(კ-24)

27 თებერვალი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აბუსერიძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2023 წლის 10 მარტს ლ.რ-იმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2012 წლიდან ლ.რ-ი მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება პენიტენციურ სამსახურში. მას დაკავებული ჰქონდა ...ის ...ის სამმართველოს მე-... კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიცია.

მოსარჩელის მითითებით, 2020 წლის 9 ოქტომბრის №15952 ბრძანების საფუძველზე, იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, რაზეც მან მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. სარჩელით მოთხოვნილ იქნა გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება და თანამდებობაზე აღდგენა. სასამართლომ სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნო 2020 წლის 9 ოქტომბრის ბრძანება და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაავალა, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მოპასუხის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად, მას მოუწია აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის მიმართვა. 2022 წლის 1 ნოემბერს პენიტენციურმა სამსახურმა გამოსცა ბრძანება (რომლის თაობაზეც მისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი), რომლითაც მხოლოდ ფორმალურად შესრულდა გადაწყვეტილება.

მოსარჩელე თვლის, რომ პენიტენციურმა სამსახურმა კვლავ არ გამოიკვლია გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო გარემოებები. ბრძანება ეფუძნება გარემოებებს, რომლებიც უკვე შესწავლილ იქნა სასამართლოს მიერ.

ამდენად, საბოლოოდ, მოსარჩელემ (1) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2022 წლის 1 ნოემბრის №23866 ბრძანების ბათილად ცნობა, (2) მისი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება პენიტენციური სამსახურის ...ის ...ის სამმართველოს ინსპექტორის პოზიციაზე აღდგენა და (3) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურისათვის ლ. რ-ის სასარგებლოდ 2020 წლის 9 ოქტომბრიდან 2022 წლის 31 იანვრამდე – 1300 ლარის ოდენობით, 2022 წლის 31 იანვრიდან 2023 წლის 11 იანვრამდე – 1573 ლარის ოდენობით, 2023 წლის 11 იანვრიდან 2023 წლის 15 აგვისტომდე – 1731 ლარის ოდენობით, 2023 წლის 15 აგვისტოდან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების თარიღამდე 1815 ლარის ოდენობით იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დავალა და მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით ლ.რ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2022 წლის 1 ნოემბრის №23866 ბრძანება; ლ. რ-ი აღდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ...ის მთავარი სამმართველოს ...ის სამმართველოს ინსპექტორის პოზიციაზე; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციურ სამსახურს ლ.რ-ის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2020 წლის 9 ოქტომბრიდან 2022 წლის 31 იანვრამდე 1300 ლარის ოდენობით, 2022 წლის 31 იანვრიდან 2023 წლის 11 იანვრამდე – 1573 ლარი ოდენობით, 2023 წლის 11 იანვრიდან 2023 წლის 15 აგვისტომდე – 1731 ლარის ოდენობით, 2023 წლის 15 აგვისტოდან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების თარიღამდე – 1815 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. რ-ი 2012 წლიდან მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახურის დეპარტამენტში სხვადასხვა პოზიციაზე, კერძოდ: 2012 წლის 10 სექტემბრიდან ამავე წლის 25 სექტემბრამდე იყო საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №... დაწესებულების ...ის ... კონსულტანტი; 2012 წლის 25 სექტემბრიდან ამავე წლის 18 დეკემბრამდე – საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №... დაწესებულების ..ის სპეციალისტი; 2012 წლის 18 დეკემბრიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე – საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №... დაწესებულების ...ის ... კონსულტანტი; 2015 წლის 1 სექტემბრიდან ამავე წლის 2 დეკემბრამდე – საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ...ის სამმართველოს კონსულტანტის მოვალეობის შემსრულებელი; 2015 წლის 17 დეკემბრიდან 2018 წლის 19 ივლისამდე – საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ...ის სამმართველოს კონსულტანტი; 2018 წლის 19 ივლისიდან 2019 წლის 18 თებერვლამდე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სპეციალური პენიტენციური სამ-

სახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ...ის სამმართველოს კონსულტანტი; 2019 წლის 18 თებერვლიდან 2020 წლის 9 ოქტომბრამდე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სპეციალური პენიტენციური სამსახურის ...ის ...ის სამმართველოს II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სადაც მისი თანამდებობრივი სარგო შეადგენდა თვეში 1200 ლარს.

სასამართლომ, ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 26 აგვისტოს № 13604 ბრძანებით სპეციალური პენიტენციური სამსახურის ...ში გამოცხადდა რეორგანიზაცია.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 15 სექტემბრის № 14643 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახურის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ...ში შეიქმნა ორი სამმართველო: 1) ...ის სამმართველო და 2) ...ის სამმართველო. საშტატო ნუსხის დანართი № 1-ის თანახმად, ...ში განისაზღვრა სულ 61 საშტატო ერთეული. მათ შორის, დეპარტამენტის ...ის სამმართველოს მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე – 2 საშტატო ერთეული, ...ის სამმართველოს მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე – 50 საშტატო ერთეული.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 15 სექტემბრის № 14643 ბრძანებით დამტკიცებული რეორგანიზაციის ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 9 ოქტომბრის № 15947 ბრძანებით დამტკიცდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის საშტატო ნუსხა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ...ში სულ განისაზღვრა 42 საშტატო ერთეული, მათ შორის – მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 27 საშტატო ერთეული.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ...ის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობის 25 ერთეულით შემცირების გამო, დარჩენილ საშტატო ერთეულებზე საუკეთესო საჯარო მოსამსახურეთა შერჩევის მიზნით, პროფესიული ტესტირება და გასაუბრება ჩაუტარდათ იმავე პუნქტში და-

ნიშნულ მოხელეებს, მათ შორის – ლ. რ-ის.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ პროფესიულ ტესტირებაში ლ. რ-იმა მიიღო 30-დან 26 ქულა, რაც აღემატებოდა იმ თანამშრომელთა უმრავლესობის შედეგებს, რომლებიც დარჩნენ სამსახურში. ამასთან, გასაუბრების შედეგად, შესაბამისი კომისიის წევრებმა მოსარჩელე ლ. რ-ი შეაფასეს 8 ქულებით. გასაუბრების შინაარსი და დაბალი ქულით მოსარჩელის შეფასების საფუძველი ოქმში მითითებული არ არის.

სასამართლომ, ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 9 ოქტომბრის №15952 ბრძანებით მოსარჩელე ლ. რ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 9 მარტის №3/7180-20 გადაწყვეტილებით ლ. რ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი „ლ. რ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 9 ოქტომბრის №15952 ბრძანება და მოპასუხეს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, მოსარჩელე ლ. რ-სთან დაკავშირებით, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 31 მაისის №33/801-21 განჩინებით არ დაკმაყოფილდა სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და ლ. რ-ის სააპელაციო საჩივრები და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 12 ივლისის განჩინებით სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და ლ. რ-ის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუმეგბლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 31 მაისის განჩინება.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 9 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, 2022 წლის 1 ნოემბერს მიღებულ იქნა

№23866 ბრძანება, რომლითაც ლ. რ-ი სამსახურიდან გათავისუფლდა 2020 წლის 9 ოქტომბრიდან.

საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს 2023 წლის №01/395447 სამსახურებრივ ბარათზე, რომლის თანახმად, 2020 წლის 9 ოქტომბრის №15947 ბრძანებით და 2021 წლის 9 აგვისტოს №11166 ბრძანებით ... ექვემდებარებოდა ...ის, თანამდებობას ეწოდებოდა II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, თანამდებობრივი სარგო კი შეადგენდა თვეში 1300 (ათას სამასი) ლარს. 2022 წლის 31 იანვრის №1839 ბრძანებით ... დაექვემდებარა ...ის მთავარ სამმართველოს, როგორც ...ის სამმართველო; თანამდებობას ეწოდებოდა ინსპექტორი, თანამდებობრივი სარგო კი შეადგენდა თვეში 1573 (ათას ხუთას სამოცდაცამეტი) და 1430 (ათას ოთხას ოცდაათი) ლარს. 2023 წლის 11 იანვრის №456 ბრძანებით ... დაექვემდებარა ...ის მთავარ სამმართველოს, როგორც ...ის სამმართველო; თანამდებობას ეწოდებოდა ინსპექტორი, თანამდებობრივი სარგო კი შეადგენდა თვეში 1731 (ათას შვიდას ოცდათერთმეტი) და 1573 (ათას ხუთას სამოცდაცამეტი) ლარს. 2023 წლის 15 აგვისტოს №17814 ბრძანებით ... ექვემდებარება ...ის მთავარ სამმართველოს, როგორც ...ის სამმართველო; თანამდებობას ეწოდება ინსპექტორი, თანამდებობრივი სარგო კი შეადგენს თვეში 1815 (ათას რვაას თხუთმეტი) ლარს.

საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ დღეის მდგომარეობით მოქმედი „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახურის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2023 წლის 15 აგვისტოს ბრძანების თანახმად, ...ის სამმართველოში არის 8 უფროსი ინსპექტორისა და 36 ინსპექტორის საშტატო ერთეული. ვაკანტურია ინსპექტორის 2 საშტატო ერთეული.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, თუ სპეციალური კანონმდებლობით ან მის საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეებზე.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სამსახურის სპეციალუ-

რი და სამოქალაქო დანაყოფების მოსამსახურე შეიძლება სამსახურიდან დათხოვნილ/გათავისუფლებულ იქნეს: სამსახურის, სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფის/ერთეულის, პენიტენციური დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო. აქვე სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 20 სექტემბრის №ბს-266(2კ-23) განჩინებაზე, სადაც სასამართლომ განმარტა შემდეგი: „მართალია, რომ დასაქმებული პირის თანამდებობიდან გათავისუფლების ერთ-ერთი საფუძველი რეორგანიზაციის შედეგად შესაბამისი საშტატო ერთეულის გაუქმებაა (შემცირება), თუმცა საშტატო ერთეულის გაუქმება თავის თავში გულისხმობს იმავე ფუნქციური დატვირთვის და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მქონე საშტატო ერთეულის საშტატო ნუსხიდან ამოღებას. ამდენად, მოხელის გასათავისუფლებლად აუცილებელია რეორგანიზაციას თან სდევდეს შესაბამისი საშტატო ერთეულის შემცირება, ხოლო საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როცა ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი. პალატა მიიჩნევს, რომ საჯარო დაწესებულებაში განსაზღვრული თითოეული საშტატო ერთეული დატვირთულია კონკრეტული საჯარო ფუნქციებითა და პასუხისმგებლობებით, რაც მის ინდივიდუალურ ადგილს განაპირობებს საჯარო სამსახურის სისტემაში. შესაბამისად, სამართლებრივ ურთიერთობებში, მათ შორის, რეორგანიზაციის დროს შტატების შემცირების პროცესში თითოეული საშტატო ერთეულის შეფასება ინდივიდუალურად უნდა განხორციელდეს და საშტატო ერთეულის შემცირების საფუძველით მხოლოდ იმ საჯარო მოსამსახურის გათავისუფლება უნდა მოხდეს, რომლის საშტატო ერთეულიც გაუქმდა“.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 9 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ 2022 წლის 1 ნოემბერს მიღებულ იქნა №23866 ბრძანება, რომლითაც ლ.რ-ი სამსახურიდან გათავისუფლდა 2020 წლის 9 ოქტომბრიდან.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 110-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, მოხელე შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფლდეს საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, თუ მოხელის ამ კანონის 52-ე მუხლით გათვალისწინებული მობილობა შეუძლებელია. ამავე კანონის 103-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, რეორგანიზაცია განმარტებულია როგორც

საჯარო დანესებულების ინსტიტუციური მოწყობის შეცვლა, რის შედეგადაც მიიღება საჯარო დანესებულების ნაწილობრივ ან მთლიანად ახალი სტრუქტურა. რეორგანიზაციად ითვლება აგრეთვე საჯარო დანესებულების შტატების გადაადგილება ან/და შემცირება. რეორგანიზაციად არ ჩაითვლება საჯარო დანესებულების ან მისი სტრუქტურული ერთეულის მხოლოდ დაქვემდებარების ან სახელწოდების შეცვლა ან/და საჯარო დანესებულების სტრუქტურული ერთეულისათვის ახალი ფუნქციის დაკისრება.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 8 დეკემბრის №ბს-449-442(კ-15) გადაწყვეტილებაზე, რომელშიც საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საჯარო სამსახურის დანესებულების რეორგანიზაცია არის საჯარო სამსახურის დანესებულების შიდა სტრუქტურული ან/და ფუნქციონალური გარდაქმნა, რასაც შეიძლება მოსდევდეს დანესებულების მთლიანად ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების სტატუსის, დაქვემდებარების ან/და ფუნქციონალური დატვირთვის ცვლილება. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საშტატო ერთეულისათვის სახელწოდების შეცვლა არ წარმოადგენს საფუძველს იმ ფაქტობრივი გარემოების დადგენილად მიჩნევისათვის, რომ აღარ არსებობს საშტატო ერთეული. საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როცა ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი, ახალი საშტატო ერთეულით განისაზღვრა სხვა უფლება-მოვალეობები, ან/და ამგვარი საშტატო ერთეულის დასაკავებლად სხვა კრიტერიუმები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული პირის მიერ და ა.შ. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ რეორგანიზაციის შედეგად შეიძლება ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა შეიცვალოს, გაიყოს და კონკრეტული სამსახურები განსხვავებულად ჩამოყალიბდეს, მაგრამ მოხელის მიერ დაკავებული შტატი არსებითად უცვლელად დარჩეს, ანუ, იყოს იმავე იერარქიულ საფეხურზე, თუნდაც სხვა უწყების დაქვემდებარებაში და ითვალისწინებდეს იმავე უფლება-მოვალეობების შესრულებას, შესაბამისად, კონკრეტული თანამდებობების იდენტურობის დადგენის მიზნით უნდა შეფასდეს ა) მათი ადგილი ადმინისტრაციული ორგანოს სამსახურებრივ იერარქიაში; ბ) ძირითად უფლებამოსილებათა წრე, ამასთან, საკასაციო სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ფორმალურად ზოგიერთი ფუნქციის მოკლება ან რაიმე უმნიშვნელო მოთხოვნის დამატება მდგომარეობას არ ცვლის; გ) მოთხოვნები, რომლებიც რეორგანიზაციის შემდგომ საჭიროა კონკრეტული თანამდებობის დასაკავებლად; დ) ზოგიერთ შემთხვევაში – შრომის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, დადგენილი იყო, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ...ში 2020

ნლის 26 აგვისტოს №13604 ბრძანებით გამოცხადებული რეორგანიზაციის ფარგლებში, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ...ის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეულის რაოდენობა შემცირდა 25 საშტატო ერთეულით. დარჩენილ საშტატო ერთეულებზე, საუკეთესო საჯარო მოსამსახურეთა შერჩევის მიზნით, ჩატარდა პროფესიული ტესტირება, რომელშიც მონაწილეობდა ლ.რ-ი. მოსარჩელემ მიიღო 30-დან 26 ქულა, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა იმ თანამშრომელთა უმრავლესობის შედეგებს, რომლებიც დარჩნენ სამსახურში. გასაუბრების შედეგად, შესაბამისი კომისიის წევრებმა მოსარჩელე ლ.რ-ი შეაფასეს დაბალი ქულებით, თუმცა გასაუბრების შინაარსი და დაბალი ქულებით მოსარჩელის შეფასების საფუძველი ოქმში არ ფიქსირდებოდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაწყვეტლად „ლ.რ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 9 ოქტომბრის №15952 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი გახდა სწორედ ის გარემოება, რომ არც სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში და არც გასაუბრების ოქმში არ იყო ასახული გარემოებები, რომლითაც სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა ლ.რ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების დროს იხელმძღვანელა, კერძოდ, არ იყო მითითებული და დასაბუთებული, თუ რა შინაარსის იყო გასაუბრება, რა კრიტერიუმების (კვალიფიკაცია და ა.შ) გათვალისწინებით მიენიჭა სხვა პირს უპირატესობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ...ის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეულზე დანიშვნის დროს და რატომ ეთქვა უარი ლ.რ-ის მოცემულ საშტატო ერთეულზე დანიშვნაზე იმ პირობებში, როდესაც, მოსარჩელეს პროფესიულ ტესტირებაში ჰქონდა 30-დან 26 ქულა, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა იმ თანამშრომელთა შედეგებს, რომლებიც დარჩნენ სამსახურში.

საქალაქო სასამართლოს შეფასებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ არც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 9 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით 2022 წლის 1 ნოემბერს გამოცემულ ბრძანებაში მიუთითა იმ გარემოებებზე, რომლითაც სამსახურმა ლ.რ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების დროს იხელმძღვანელა. ბრძანებაში არ აღწერილა გასაუბრების შინაარსი და შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც სხვა პირებს მიენიჭათ უპირატესობა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ...ის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეულზე დანიშვნის დროს. საქალაქო სასამართლოს მითითე-

ბით, დაუსაბუთებელი იყო, თუ როგორ განსაზღვრა კომისიამ ლ.რ-ის პროფესიული ჩვევების, უნარების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობების, პიროვნული თვისებების დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან შეუსაბამობა, როგორ შეაფასა მოხელის მიერ შესრულებული პროფესიული სამსახურებრივი საქმიანობა და მოხელის პროფესიული დონის გამოყენების პერსპექტივა და რატომ ეთქვა ლ. რ-ის უარი მოცემულ საშტატო ერთეულზე დანიშვნაზე.

ზემოაღნიშნული მსჯელობისა და მითითებული სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2022 წლის 1 ნოემბრის №23866 ბრძანება, რომლითაც სპეციალური პენიტენციური სამსახურის ...ის ...ის სამმართველოს II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ლ. რ-ი გათავისუფლდა სამსახურიდან 2020 წლის 9 ოქტომბრიდან.

სასამართლომ, ასევე, მიუთითა „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, სამსახურის სპეციალური და სამოქალაქო დანაყოფების მოსამსახურე, რომელიც სამსახურიდან უკანონოდ იქნა დათხოვნილი გათავისუფლებული, ექვემდებარება სამსახურში აღდგენას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახურის სპეციალური და სამოქალაქო დანაყოფების მოსამსახურის სამსახურში შესაბამის თანამდებობაზე აღდგენის საფუძველია სამსახურებრივი შემომნების დასკვნა ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, აგრეთვე გამართლებული პირის განცხადება სამსახურში აღდგენის შესახებ.

ამასთან, სასამართლომ მიუთითა ამავე კანონის 37-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილი/გათავისუფლებული სამსახურის სპეციალური და სამოქალაქო დანაყოფების მოსამსახურე უფლებამოსილია მოითხოვოს მისი სამსახურიდან დათხოვნის/გათავისუფლების უკანონოდ ცნობა, დათხოვნის/გათავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. სამსახურის სპეციალური და სამოქალაქო დანაყოფების მოსამსახურეს იძულებით გაცდენილი პერიოდისათვის ეძლევა განაცდური თანამდებობრივი სარგო, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული წელთა ნამსახურობის დანამატი და წოდებრივი სარგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სამსახურის სპეციალური და სამოქალაქო დანაყოფების მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნის/გათავისუფლების ან გადაყვანის შესახებ გამოცემული ბრძანების, განკარგულების

ან გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ არაკანონიერად ცნობის შემთხვევაში სამსახურის სპეციალური და სამოქალაქო დანაყოფების მოსამსახურე ექვემდებარება სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი უარს ამბობს სამსახურში აღდგენაზე. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სამსახურის სპეციალური და სამოქალაქო დანაყოფების მოსამსახურეს მის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სამსახურში აღდგება. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება. დასახელებული მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად კი, სამსახურის სპეციალური და სამოქალაქო დანაყოფების მოსამსახურის სამსახურში აღდგენა ხდება ბოლოს დაკავებულ თანამდებობაზე ან მის ტოლფას თანამდებობაზე, მისივე თანხმობით.

ზემოაღნიშნულიდან სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ რამდენადაც ბათილად იქნა ცნობილი ლ.რ-ის გათავისუფლების შესახებ ბრძანება, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს უნდა დავალებოდა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ლ. რ-ის მიერ ბოლოს დაკავებული თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ...ის მთავარი სამმართველოს ...ის სამმართველოს ინსპექტორის პოზიციაზე დანიშვნის შესახებ.

ამასთან, იმავე საფუძვლებზე დაყრდნობით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს უნდა დაკისრებოდა მოსარჩელისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2020 წლის 9 ოქტომბრიდან 2022 წლის 31 იანვრამდე 1300 ლარის ოდენობით, 2022 წლის 31 იანვრიდან 2023 წლის 11 იანვრამდე – 1573 ლარის ოდენობით, 2023 წლის 11 იანვრიდან 2023 წლის 15 აგვისტომდე – 1731 ლარის ოდენობით, 2023 წლის 15 აგვისტოდან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების თარიღამდე 1815 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

პალატის 2024 წლის 28 ივნისის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახური სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით, სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 28 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა აღასრულა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება. ხელმოწერედ, სრულყოფილად და დეტალურად იქნა შესწავლილი ლ.რ-ის სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებული გარემოებები, რომელთა შეჯერების შემდეგად, მიღებულ იქნა სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2022 წლის 1 ნოემბრის №23866 ბრძანება, რომლის თანახმადაც, ლ.რ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2020 წლის 9 ოქტომბრიდან.

კასატორი აღნიშნავს, რომ ლ.რ-ის სამსახურიდან გათავისუფლებას საფუძვლად დაედო სისტემაში განხორციელებული რეორგანიზაცია და მის მიერ გამოწვეული პროცესები. კერძოდ, „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ...ში შესაძლო სტრუქტურულ ცვლილებებთან ან/და შტატების მოსალოდნელ შემცირებასთან დაკავშირებით რეორგანიზაციის დაწყებისა და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ“ სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 26 აგვისტოს №13604 ბრძანების შესაბამისად, ...ში ჩატარდა რეორგანიზაცია. რეორგანიზაციამდე სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 15 სექტემბრის №14643 ბრძანებით დამტკიცებული საშტატო ნუსხის მიხედვით, ...ში გამოყოფილი იყო ორი სამმართველო: 1. ...ის სამმართველო და 2. ...ის სამმართველო. აღნიშნული საშტატო ნუსხის თანახმად, ...ში განსაზღვრული იყო სულ 61

საშტატო ერთეული, ამასთან, ...ის ...სთან ურთიერთობის სამმართველოს II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე – 2 საშტატო ერთეული, ხოლო ...ის ...ის სამმართველოს II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე – 50 საშტატო ერთეული. რეორგანიზაციის ფარგლებში კი, „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახურის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 15 სექტემბრის № 14643 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 9 ოქტომბრის ბრძანებით დამტკიცდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის საშტატო ნუსხა, რომლის მიხედვითაც, ...ში განისაზღვრა სულ 42 საშტატო ერთეული, ამასთან, II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე – 27 საშტატო ერთეული.

კასატორის მითითებით, ვინაიდან ...ში II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობის კვოტა 25 ერთეულით შემცირდა, 2020 წლის 26 აგვისტოს № 13604 ბრძანების თანახმად, დეპარტამენტში სამსახურის გასაგრძელებლად გადასანიშნი მოსამსახურეების იდენტიფიცირების კრიტერიუმებად განისაზღვრა პროფესიული ტესტირება და გასაუბრება. აგრეთვე, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მოხდა ...ში დასაქმებული პირების, მათ შორის, მოსარჩელე ლ.რ-ის გაფრთხილება (2020 წლის 27 აგვისტოს) მოსალოდნელი რეორგანიზაციის თაობაზე, რასაც შესაძლოა თან მოჰყოლოდა შტატების შემცირება და ამ საფუძვლით მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნა/გათავისუფლება.

კასატორი აღნიშნავს, რომ რეორგანიზაციის ფარგლებში ჩატარებულ პროფესიულ ტესტირებაში ლ.რ-ის შეფასებამ 26 ქულა (მაქსიმალური ქულა – 30), ხოლო გასაუბრების შეფასებამ კი 8 ქულა შეადგინა. 2020 წლის 8 ოქტომბრის ოქმით ირკვევა, რომ კომისიის წევრების მიერ მოსამსახურეთათვის საქმიანობის სპეფიციკის შესაბამისად დასმული ერთგვაროვანი კითხვებისა და მათ მიერ გაცემული პასუხების, პირადი უნარ-ჩვევების, პიროვნული მახასიათებლებისა და პროფესიული უნარების შეფასებაზე დაყრდნობით, გასაუბრებისას კანდიდატები შეფასდნენ ქულებრივი სისტემის მეშვეობით, სადაც მინიმალური ქულა იყო 1 (არადამაკმაყოფილებელი) და მაქსიმალური – 5 (ძალიან კარგი). კომისიის წევრები ინდივიდუალურად აფასებდნენ კანდიდატებს და როგორც ზემოთ აღინიშნა, ლ. რ-ის გასაუბრების ქულა იყო 8. შესაბამისად, მოსარჩელის შეფასებამ, საბოლოოდ, 34 ქულა შეადგინა.

კასატორის განმარტებით, ...ში გადასანიშნი კანდიდატების შერჩე-

ვა განხორციელდა სწორედ ჯამური ქულების მიხედვით. ლ. რ-ის ჯამური ქულა (34) სამსახურში დარჩენილ მოსამსახურეთა ჯამურ ქულებზე დაბალი იყო. ...ში გადანიშნულ მოსამსახურეებს შორის მხოლოდ ერთ პირს ჰქონდა მოსარჩელის ქულასთან შედარებით უფრო დაბალი ქულა, თუმცა იგი დანიშნულ იქნა იმის გამო, რომ მას ჰყავდა 3 წლამდე შვილი და იმ მომენტში, იმყოფებოდა „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო“ შვებულებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი აღნიშნავს, რომ მოსამსახურეთა საბოლოო შედეგებზე დაყრდნობით, ლ. რ-ის კანდიდატურა ვერ მოხვდა დასანიშნად შერჩეულ მოსამსახურეთა შორის და სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 9 ოქტომბრის № 15952 ბრძანებით მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და კომპენსაციის სახით მიეცა ორი თვის თანამდებობრივი სარგო.

კასატორის მოსაზრებით, წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებს, რომ სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა თითოეული ნაბიჯი განახორციელა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და სამსახურის თითოეული ქმედება გამყარებული იყო შესაბამისი კანონიერი საფუძვლით.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს სასამართლოს განმარტებაზე, რომლის თანახმად, ლ. რ-იმა პროფესიულ ტესტირებაში 30 ქულიდან მიიღო 26 ქულა, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა იმ თანამშრომელთა უმრავლესობის შედეგებს, რომლებიც დარჩნენ სამსახურში. კასატორი არ ეთანხმება აღნიშნულ მსჯელობას, რამდენადაც ...ში გადასანიშნი მოსამსახურეების შერჩევა ხდებოდა არა პროფესიულ ტესტირებაში მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, არამედ პროფესიულ ტესტირებასა და გასაუბრებაზე მიღებული ქულების ჯამური ოდენობით, რაც განერილი იყო კიდევ სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 26 აგვისტოს № 13604 ბრძანებაში. ლ. რ-ის ჯამურმა ქულამ შეადგინა 34, რაც მოსამსახურეთა ქულების რეიტინგში არ აღმოჩნდა საკმარისი საუკეთესო კანდიდატებს შორის მოსახვედრად. რაც შეეხება გასაუბრების საფუძველზე მიღებულ შეფასებას, კასატორი განმარტავს, რომ კომისიის წევრებმა კანდიდატები შეაფასეს ინდივიდუალურად გასაუბრებაზე დასმული კითხვა-პასუხის შესაბამისად.

კასატორი მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე და აღნიშნავს, რომ პენიტენციური სამსახური გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა საჯარო და კერძო ინტერესების ფარგლებში და იგი არ გასცდენია დისკრეციულ უფლებამოსილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

პალატის 2024 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2025 წლის 6 თებერვლის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად იმ ნაწილში, რომლითაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 28 ივნისის განჩინებით უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურისათვის ლ. რ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და აღნიშნულ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 28 ივნისის განჩინება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და დაშვებულ ნაწილში გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 28 ივნისის განჩინება დაშვებულ ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. რ-ის სარჩელი მის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა, უპირველესად, მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2025 წლის 6 თებერვლის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად მხოლოდ იმ ნაწილში, რომლითაც თბილისის სააპელაციო

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 28 ივნისის განჩინებით უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურისათვის ლ.რ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში. დანარჩენ ნაწილში კი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული და აღნიშნულ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 28 ივნისის განჩინება.

ამდენად, ზემოაღნიშნული განჩინებით საკასაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ ლ.რ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ბრძანების უკანონოდ მიჩნევასა და აღნიშნული ბრძანების ბათილად ცნობის შედეგად მოპასუხისათვის მისი სამსახურში აღდგენის დავალებას. მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებული სამართლებრივი დასკვნები ლ.რ-ის სამსახურიდან გათავისუფლების უკანონობასთან დაკავშირებით, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს განმეორებით ყურადღება გაამახვილოს იმ მიზეზებზე, რომლებმაც ლ.რ-ის სამსახურიდან გათავისუფლების უკანონოდ მიჩნევა განაპირობა.

საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 9 მარტის (საქმე №3/7 180-20) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაევალა ლ.რ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლების დეტალური მითითება, კერძოდ, ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში უნდა გამოკვლეულიყო გასაუბრების შინაარსი, ასევე, ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც ლ.რ-სთან მიმართებით უპირატესობა სხვა პირებს მიენიჭათ. სასამართლო გადაწყვეტილებით სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაევალა დაესაბუთებინა, თუ რამ გამოიწვია ლ.რ-ისათვის შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის თქმა იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელეს პროფესიულ ტესტირებაში ჰქონდა 30-დან 26 ქულა, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა იმ თანამშრომელთა შედეგებს, რომლებიც დარჩნენ სამსახურში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს იუსტიციის სამი-

ნისტროს სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა არც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 9 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გამოცემულ 2022 წლის 1 ნოემბრის ბრძანებაში მიუთითა იმ გარემოებებზე, რომლითაც სამსახურმა ლ.რ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების დროს იხელმძღვანელა. მასში არ აღწერილა გასაუბრების შინაარსი, შეფასების კრიტერიუმები და ის გარემოებები, რომლითაც ადმინისტრაციულმა ორგანომ ლ.რ-ის შესაბამისი თანამდებობის მოთხოვნებთან შეუსაბამობა დაადგინა. ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ პირვანდელ გასაუბრებასთან დაკავშირებული გარემოებების (გასაუბრების შინაარსი, შეფასების კრიტერიუმები) ხელახალი წარმოების ფარგლებში კვლევის შეუძლებლობის შემთხვევაში, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა ლ.რ-ის არც ხელახალი გასაუბრება ჩაუტარა მისი დასაკავებელ თანამდებობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, სასამართლოს აქტები შესასრულებლად სავალდებულოა. „საერთო სასამართლობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლოს აქტი, აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მოთხოვნა და განკარგულება სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოსათვის.

საკასაციო პალატა, ასევე, მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლზე, რომლის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, ... თუ კერძო სანარმოსათვის, დანესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.

საკასაციო პალატის შეფასებით, ზემოაღნიშნულ გარემოებათა ერთობლიობა ცხადყოფს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 9 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნები ფორმალურად იქნა შესრულებული, რაც სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობას უტოლდება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რეორგანიზაციის შედეგად კონკრეტული კანდიდატის დასაკავებელ თანამ-

დებობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით გამოყენებული კრიტიკურიუმების სასამართლოსათვის ხელმისაწვდომობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების შესწავლის კუთხით. ამ მხრივ, ფუნდამენტურია რეორგანიზაციის შედეგად შემცირებულ საშტატო ერთეულებზე დასაინიშნ საუკეთესო კანდიდატთა შერჩევისათვის ჩატარებული გასაუბრების, როგორც ერთ-ერთი ეტაპის, შინაარსისა და შეფასების კრიტიკურიუმების გამჭვირვალობა, შემფასებელთა მხრიდან თითოეული მოხელისათვის დაწერილი ქულის დასაბუთება. მხოლოდ ამ გზით ხდება სასამართლოსათვის შესაძლებელი სამსახურის მიერ კანდიდატის დასაკავებელ თანამდებობასთან დადგენილი შეუსაბამობის კანონიერების შემოწმება. მეორე მხრივ, მითითებული პირობის შეუსრულებლობა, თავად კანდიდატს ართმევს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების უკანონობის მტკიცების ეფექტურ საშუალებას. ამავდროულად, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღუსრულებლობა, ანუ ამ გადაწყვეტილებით გაცემული მითითებების განუხორციელებლობა, არაეფექტურად აქცევს სასამართლოს მხრიდან სადავო საკითხის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული პროცესუალური შესაძლებლობის განმეორებით გამოყენებას. აღნიშნულს განაპირობებს ის ფაქტი, რომ ასეთ პირობებში, ადმინისტრაციულ ორგანოს ეძლევა საკითხის ხელახალი კვლევის არაერთი შესაძლებლობა, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაცემული მითითებების არაერთგზის შეუსრულებლობა ქმნის განცდას, რომ ადმინისტრაციული ორგანო შეგნებულად არიდებს თავს აღნიშნულ მითითებათა შესრულებას, ასევე, წარმოშობს რისკს, რომ გადაწყვეტილება სამომავლოდაც დარჩება აღუსრულებელი. შედეგად, სასამართლოს მხრიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის საკითხის ხელახალი კვლევის დაუსრულებელი დავალება გააჭიანურებს თანამდებობიდან გათავისუფლებული პირის უფლებებში აღდგენის პროცესს და პარალელურად, არაგონივრულად გაზრდის იძულებითი განაცდურის მოცულობას.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მაშინ, როდესაც შრომით-სამართლებრივი თვალსაზრისით დავა წარმოშობილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით განსაზღვრული დავალების აღუსრულებლობის საფუძვლით, ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობა სასამართლოს მხრიდან დავის კვლავ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით გადაწყვეტას უშედეგოდ აქცევს. ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება მოითხოვს დავის დროულ გადაწყვეტას, საპროცესო ეკო-

ნომის მისაღწევად კი მნიშვნელოვანია გამოინახოს სათანადო პროცესუალური შესაძლებლობა როგორც სახელმწიფოს, ასევე, თავად გათავისუფლებული საჯარო მოხელის ინტერესების დაბალანსებისა და დაცვისათვის.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სწორედ ასეთ დროს, სასამართლოს ხელენიფება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებისაგან გამონეწეული საზიანო შედეგების დავის არსებითად გადაწყვეტის გზით თავიდან არიდება, თუკი, ცხადია, საქმეში დაცული მტკიცებულებები და გასაუბრების ეტაპამდე გათავისუფლებული მოხელის მიმართ არსებული გარემოებები იძლევა მოხელის თანამდებობასთან შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველსა და საშუალებას. საკითხისადმი სხვაგვარი მიდგომა ადმინისტრაციულ ორგანოს მისცემდა სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მითითების არაერთგზისი შეუსრულებლობისა და, შესაბამისად, გადაწყვეტილების აღსრულებლობის შესაძლებლობას, რაც, შედეგობრივად, შეუძლებელს გახდიდა სადავო საკითხის საბოლოო გადაწყვეტას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მ. რ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობისა და მისი სამსახურში აღდგენის ნაწილში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა სწორედ ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობა. კერძოდ, გასაუბრების შინაარსისა და შეფასების კრიტერიუმების იდენტიფიცირების შეუძლებლობის მიუხედავად, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გამოვლენილი უმოქმედობა, როგორც სახელმწიფოს, ასევე, გათავისუფლებული მოხელის ინტერესთა დაცვისათვის, წარმოშობდა დავის არსებითად გადაწყვეტის აუცილებლობას. ამ მხრივ, სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მ. რ-ის მიერ პროფესიულ ტესტირებაში მიღებულ ქულას, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატებოდა სამსახურში დარჩენილ თანამშრომელთა შედეგებს. ნიშანდობლივია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ აღასრულა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და არ უზრუნველყო მოსარჩელისათვის ჩატარებული გაუსაბრების შინაარსის, მის მიერ დასაკავებელ თანამდებობასთან შეუთავსებლობის დადგენისათვის გამოყენებული სხვა გარემოებებისა თუ კრიტერიუმების გამჭვირვალობა. კერძოდ, ადმინისტრაციულ ორგანოს მიეცა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებში მოსარჩელის პროფესიული უნარ-ჩვევებისა თუ კომპეტენციის ხელახალი, სრულყოფილი კვლევის საშუალება. უფრო მეტიც, სამსახურს შეეძლო მისთვის ხელახალი გასაუბრების ჩატარებაც კი, თუმცა ადმი-

ნისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილების ფორმალურად აღსრულებით თავი აარიდა ლ. რ-ის პროფესიული უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის დასაკავებელ თანამდებობასთან შესაბამისობის რეალურ შესწავლას. ასეთ პირობებში კი, საკასაციო სასამართლომ კანონიერად და დასაბუთებულად მიიჩნია ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მხრიდან საქმეში დაცულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ლ. რ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა და მისი სამსახურში აღდგენა.

რაც შეეხება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურისათვის ლ. რ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის დაკისრების საკითხს, საკასაციო პალატა მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, თუ სპეციალური კანონმდებლობით ან მის საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეებზე.

ამასთან, „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სამსახურის სპეციალური და სამოქალაქო დანაყოფების მოსამსახურეებზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საკასაციო სასამართლო, ასევე, მიუთითებს „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ 36-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, სამსახურის სპეციალური და სამოქალაქო დანაყოფების მოსამსახურე, რომელიც სამსახურიდან უკანონოდ იქნა დათხოვნილი გათავისუფლებული, ექვემდებარება სამსახურში აღდგენას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახურის სპეციალური და სამოქალაქო დანაყოფების მოსამსახურის სამსახურში შესაბამის თანამდებობაზე აღდგენის საფუძველია სამსახურებრივი შემონმების დასკვნა ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, აგრეთვე გამართლებული პირის განცხადება სამსახურში აღდგენის შესახებ.

საკასაციო პალატა მიუთითებს „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილი/გათავისუფლებული სამსახურის სპეციალური და სამოქალაქო დანაყოფების მოსამსახურე უფლებამოსილია მოითხოვოს მისი სამსახურიდან დათხოვნის/გათავისუფლების უკანონოდ ცნობა, დათხოვნის/გა-

თავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. სამსახურის სპეციალური და სამოქალაქო დანაყოფების მოსამსახურეს იძულებით გაცდენილი პერიოდისათვის ეძლევა განაცდური თანამდებობრივი სარგო, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული წელთა ნამსახურობის დანამატი და წოდებრივი სარგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სამსახურის სპეციალური და სამოქალაქო დანაყოფების მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნის/გათავისუფლების ან გადაყვანის შესახებ გამოცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ არაკანონიერად ცნობის შემთხვევაში სამსახურის სპეციალური და სამოქალაქო დანაყოფების მოსამსახურე ექვემდებარება სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი უარს ამბობს სამსახურში აღდგენაზე. მითითებული მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სამსახურის სპეციალური და სამოქალაქო დანაყოფების მოსამსახურეს მის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სამსახურში აღდგება. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება.

საკასაციო სასამართლო, უპირველესად, მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტზე (ძველი რედაქციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი), რომლის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითებულ ნორმაში (ძველი რედაქციით 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი) „საუბარია, ზოგადად, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ მიყენებულ ზიანზე. ამ ნორმით გათვალისწინებულია როგორც მატერიალური, ასევე, პროცესუალური ხასიათის კონსტიტუციური გარანტიები. 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი ყველას ანიჭებს უფლებას მოითხოვოს და მიიღოს ზარალის ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან. გარდა ამისა, ყველასთვის არის უზრუნველყოფილი სასამართლებრივი დაცვის საშუალება – სასამართლოსათვის მიმართვა. ნათლად არის დადგენილი ანაზღაურების მასშტაბებიც — ზარალი სრულად უნდა ანაზღაურდეს. ამ სახით ჩამოყალიბებული კონსტიტუციური ნორმა კანონმდებელს უტოვებს თავისუფალი მოქმედების ვიწრო არეალს, რაც, უპირატესად, კონსტიტუციური მოთხოვნების დაცვით პროცედურული საკითხების მოწესრიგებას მოიცავს“ (საქართველოს

საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის №2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2).

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებითვე, „საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი ზარალის ანაზღაურების უფლებას რამდენიმე წინაპირობის არსებობას უკავშირებს: 1. უნდა არსებობდეს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სახელით მოქმედი პირის ქმედებით პირისათვის ზარალის მიყენების ფაქტი; 2. ხსენებულ პირთა ქმედების უკანონო ხასიათი დადგენილი უნდა იყოს სათანადო წესით; 3. პირისათვის მიყენებული ზარალი გამონვეული უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული სუბიექტების უკანონო ქმედებით და უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და დამდგარ ზარალს შორის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „საჯარო მოხელის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში ჩამოთვლილ სუბიექტთა მიერ ჩადენილი უკანონო ქმედების შედეგს. შესაბამისად, კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან/და თვითმმართველობის ორგანოებს ეკისრება პირის უკანონოდ გათავისუფლების ყველა შემთხვევაში, იმისდა მიუხედავად, გათავისუფლებისას დაირღვა თუ არა მატერიალური თუ საპროცესო ნორმების მოთხოვნები, უკანონობა უკავშირდება გათავისუფლების საფუძვლის უკანონობას თუ გათავისუფლების პროცედურის მარეგულირებელი ნორმების უხეშ დარღვევას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საჯარო მოხელეს სამსახურში დანიშვნისას წარმოეშობა გონივრული მოლოდინი, რომ გარანტირებულად მიიღებს თანამდებობრივ სარგოს, გარდა მისი მართლზომიერად, კანონიერ საფუძველზე გათავისუფლების შემთხვევისა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6). „შესაბამისად, ის ანაზღაურება, რომელსაც მოხელე ვერ

იღებს სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების გამო, წარმოადგენს ზარალს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიზნებისთვის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/4/735 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – მერი გიორგაძე და ფიქრია მერაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, „პირს ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ენიჭება იმისდა მიუხედავად, სასამართლოსთვის მიმართვის ან/და გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის ის ფაქტობრივად დასაქმებულია თუ არა. კერძოდ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გათავისუფლებული პირი მოგვიანებით დამსაქმებლის ინიციატივით აღდგენილი ან დანიშნული იქნება სხვა თანამდებობაზე, აღნიშნული არ ართმევს პირს უფლებას, მოითხოვოს უკანონოდ გათავისუფლებით მისთვის რეალურად მიყენებული ზარალის ანაზღაურება. შესაბამისად, სამსახურში ფაქტობრივად აღდგენა, ისევე როგორც პირის სხვა სამსახურში (მათ შორის კერძო სექტორში) დასაქმება, ვერ გაათავისუფლებს სახელმწიფოს უკანონოდ გათავისუფლებით პირისათვის მიყენებული ზარალის სრული მოცულობით ანაზღაურების ვალდებულებისგან, თუმცა შესაძლებელია, განსხვავებული იყოს ასანაზღაურებელი ზარალის კონკრეტული ოდენობა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ზარალის ოდენობა იზრდება იძულებითი გაცდენის ხანგრძლივობასთან ერთად და მისი მოცულობა დამოკიდებულია სხვადასხვა ობიექტურ თუ სუბიექტურ გარემოებებზე, რომლებიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებული იქნება თავად ურთიერთობის, შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკის, დასაქმებულის პიროვნებისა თუ შესაძლებლობების გათვალისწინებით. საჯარო მოხელე შრომის ანაზღაურებას იღებს მის მიერ შესრულებული სამუშაოსათვის. იძულებითი გაცდენის დროს არ ხდება პირის მიერ სამუშაოს შესრულება და ამ დროს მიყენებული ზარალი შეიძლება ყოველთვის არ იყოს იძულებითი გაცდენის პერიოდში მისაღები ხელფასის იდენტური. შესაბამისად, თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში განსაზღვრული უნდა იქნეს უკანონოდ განთავისუფლებით პირისთვის მიყენებული ზარალის კონკრეტული ოდენობა. ზარალის მოცულობა შეიძლება გაიზარდოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირის სამსახურში აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობის მიუხედავად, დაწესებულება აჭიანურებს მის აღსრულებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამარ-

თლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-14).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ასევე, განმარტავს, რომ „კერძო პირის ინტერესი, აინაზღაუროს ზიანი, უკავშირდება შესაბამისი პირებისა და ორგანოების უკანონო ქმედებას, რომელშიც თავად გათავისუფლებული პირი, როგორც წესი, არ მონაწილეობს. სადავო ნორმით დადგენილ განთავისუფლების შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს მოხელის მხრიდან განხორციელებული არამართლზომიერი ქმედება. ერთადერთი უკანონო ქმედება ჩადენილია გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები მოხელის მიერ, რომელიც არამართლზომიერად ათავისუფლებს მისთვის სამსახურებრივად დაქვემდებარებულ პირს. შესაბამისად, მოხელე საფუძველშივე მოკლებულია შესაძლებლობას, გავლენა მოახდინოს და თავიდან აირიდოს მისთვის ზიანის მიყენება ან შეამციროს მისი მოცულობა, რაც მისი დაცვის მომეტებულ საჭიროებას ქმნის. მიუხედავად იმისა, თუ ვინ იქნება ზიანის წყარო, პირის ინტერესს წარმოადგენს თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა და ზიანით მიყენებული მატერიალური დანაკლისის შევსება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-24).

საკაცაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული პირის უფლება მიყენებული ზიანის სამართლიან ანაზღაურებაზე გარანტირებულია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ, ასევე, რიგი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებითაც. კერძოდ, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლითაც აღიარებულია ადამიანის უფლება, ჰქონდეს სამართლიანი ანაზღაურება.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 1982 წლის C158 – შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ კონვენციის (Termination of Employment Convention) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დასაქმებულს, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი შრომითი ურთიერთობა დაუსაბუთებლად შეწყდა, უფლება აქვს აღნიშნული შეწყვეტა გაასაჩივროს ისეთ მიუკერძოებელ ორგანოში, როგორიცაა სასამართლო, შრომითი ტრიბუნალი, საარბიტრაჟო კომიტეტი ან არბიტრი. ამავე კონვენციის მე-10 მუხლი კი განამტკიცებს სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული დასაქმებულის უფლებას შეწყვეტის უკანონობისა და სამსახურში აღდგენის შემთხვევაში, მისთვის სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაციის მიღებაზე.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 1982 წლის R119 – შრო-

მითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის (Termination of Employment Recommendation) მე-6 პარაგრაფით კი დადგენილია შრომითი ურთიერთობის გაუმართლებლად შეწყვეტის შემთხვევაში, დასაქმებულის უფლება სამსახურში აღდგენასა და გადაუხდელი ხელფასის ანაზღაურებაზე.

ზემოაღნიშნულ გარემოებებსა და სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ საჯარო მოხელეს როგორც ეროვნული, ასევე, საერთაშორისო კანონმდებლობა ანიჭებს გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე პერიოდში მიუღებელი თანხის – იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

ნიშანდობლივია, რომ ლ. რ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივრის დასაშვებად მიჩნევა და საკითხზე არსებითი მსჯელობის საჭიროება წარმოშვა არა, ზოგადად, მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების უკანონობამ, არამედ ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მხრიდან იძულებითი განაცდურის ოდენობის დაანგარიშების მიზნით გამოყენებული მეთოდოლოგიის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკასთან შეუსაბამობამ. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციურ სამსახურს ლ. რ-ის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2020 წლის 9 ოქტომბრიდან 2022 წლის 31 იანვრამდე 1300 ლარის ოდენობით, 2022 წლის 31 იანვრიდან 2023 წლის 11 იანვრამდე – 1573 ლარი ოდენობით, 2023 წლის 11 იანვრიდან 2023 წლის 15 აგვისტომდე – 1731 ლარის ოდენობით, 2023 წლის 15 აგვისტოდან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების თარიღამდე – 1815 ლარის ოდენობით. მითითებული გადაწყვეტილება სრულად (მათ შორის, იძულებითი განაცდურის ნაწილშიც) უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 28 ივნისის განჩინებით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ლ. რ-ის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დასაკისრებელი იძულებითი განაცდურის ოდენობის დაანგარიშება ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სამსახურის რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი, ლ. რ-ის მიერ სამსახურიდან გათავისუფ-

ლებამდე დაკავებული პოზიციის ტოლფასი თანამდებობისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ოდენობებს დააფუძნეს. კერძოდ, სასამართლოებმა ყურადღება გაამახვილეს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს 2023 წლის №01/395447 სამსახურებრივ ბარათზე, რომლის თანახმად, 2020 წლის 9 ოქტომბრის №15947 ბრძანებით და 2021 წლის 9 აგვისტოს №11166 ბრძანებით ... ექვემდებარებოდა ...ის, თანამდებობას ეწოდებოდა II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, თანამდებობრივი სარგო კი შეადგენდა თვეში 1300 (ათას სამასი) ლარს. 2022 წლის 31 იანვრის №1839 ბრძანებით ... დაექვემდებარა ...ის მთავარ სამმართველოს, როგორც ...ის სამმართველო; თანამდებობას ეწოდებოდა ინსპექტორი, თანამდებობრივი სარგო კი შეადგენდა თვეში 1573 (ათას ხუთას სამოცდაცამეტი) და 1430 (ათას ოთხას ოცდაათი) ლარს. 2023 წლის 11 იანვრის №456 ბრძანებით ... დაექვემდებარა ...ის მთავარ სამმართველოს, როგორც ...ის სამმართველო; თანამდებობას ეწოდებოდა ინსპექტორი, თანამდებობრივი სარგო კი შეადგენდა თვეში 1731 (ათას შვიდას ოცდათერთმეტი) და 1573 (ათას ხუთას სამოცდაცამეტი) ლარს. 2023 წლის 15 აგვისტოს №17814 ბრძანებით ... ექვემდებარება ...ის მთავარ სამმართველოს, როგორც ...ის სამმართველო; თანამდებობას ეწოდება ინსპექტორი, თანამდებობრივი სარგო კი შეადგენს თვეში 1815 (ათას რვაას თხუთმეტი) ლარს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ როგორც საქალაქო, ასევე, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ლ.რ-ის გათავისუფლების შემდგომ მის მიერ დასაკავებელი თანამდებობისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს პერიოდული ზრდა და მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დასაკისრებელი იძულებითი განაცდურის ოდენობა კონკრეტულ პერიოდებზე კონკრეტული სახელფასო ოდენობით განსაზღვრა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს იძულებითი განაცდურის ზემოაღნიშნულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით კალკულაციას, რამდენადაც საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 2007 წლის 13 სექტემბრის №ბს-171-160(კ-07) განჩინებაში „სამსახურში აღდგენის ფაქტი წარმოშობს იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ვალდებულებას, რომელიც მიზნად ისახავს პირის უფლებებში აღდგენას. იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მიმართულია იმ უფლებებში აღდგენისაკენ, რომელშიც პირი იმყოფებოდა სამსახურიდან გათავისუფლებამდე, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების

ბათილად ცნობა არ ითვალისწინებს სამომავლო უფლების აღდგენას. კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით სამსახურიდან გათავისუფლების დადგენა, რეორგანიზაციის გამო ...-ის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა წარმოშობს ადმინისტრაციის ვალდებულებას, აღადგინოს მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა არ ადასტურებს იმას, რომ მუშაკი იმავდროულად პასუხობდა იმ სალიკვიდაციო მოთხოვნებს, რომლებიც წარედგინებოდა ა.ი.-ის სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომ გაზრდილი ხელფასის მქონე მოსამსახურეს. კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, აუნაზღაუროს ა.ი.-ეს განაცდური ხელფასი გათავისუფლებიდან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ანუ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, ნიშნავს იმას, რომ განაცდური ხელფასის ოდენობის გაანგარიშებას საფუძვლად უნდა დაედოს ის საშუალო ანაზღაურება, რომელსაც ა.ი.-ე იღებდა მისი გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემამდე, განაცდური ხელფასის ანაზღაურება უნდა მოხდეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად ცნობილი აქტის გამოცემამდე არსებული ანაზღაურების შესაბამისად.“

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული განმარტება ასახულია, ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შემდგომ წლებში მიღებულ არაერთ განჩინებაში (იხ. მაგალითად, სუსგ 28.05.2008წ. №ბს-65-65(2კ-08); 08.05.2014წ. №ბს-603-581(კ-13); 05.02.2019წ. №ბს-1512(კს-18); 21.02.2019წ. №ბ-92-1(გან-19); 08.06.2020წ. №ბს-139(4კ-19); 07.09.2020წ. №ბ-898-8(2გან-20); 24.06.2024წ. №ბს-1070(კ-23); 25.06.2024წ. №ბს-261(კ-24); 03.07.2024წ. №ბს-663(კ-23); 12.12.2024წ. №ბს-908(კ-22)).

ამდენად, საკასაციო პალატა განმეორებით აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განჩინება იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში არ შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მყარად დადგენილ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას, რამდენადაც სამსახურში აღდგენილი საჯარო მოხელისათვის ასანაზღაურებელი იძულებითი განაცდურის ოდენობის დაანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი იდენტური თუ ტოლფასი თანამდებობისათვის დადგენილი თანამდებობრივი სარგოს ოდენობა და მისი სამომავლო ზრდა დინამიკაში. იძულებითი განაცდურის ანაზღაურება ემსახურება პირის სამსახურიდან გათავისუფლებამდე

არსებულ და არა სამომავლო უფლებებში აღდგენას. შესაბამისად, იძულებითი განაცდურის ოდენობა განისაზღვრება მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების მომენტში არსებული ხელფასის მოცულობით.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ სამსახურიდან გათავისუფლებამდე (2020 წლის 9 ოქტომბრამდე) ლ.რ-ი მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სპეციალური პენიტენციური სამსახურის ...ის ...ის სამმართველოს II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიციაზე, სადაც მისი თანამდებობრივი სარგო შეადგენდა თვეში 1200 ლარს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელე ლ.რ-ისათვის ასანაზღაურებელი იძულებითი განაცდურის ოდენობის დაანგარიშება უნდა განხორციელდეს მის მიერ სამსახურიდან გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობისათვის დადგენილი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის (1200 ლარის) საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 28 ივნისის განჩინება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურისათვის ლ.რ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ.რ-ის სარჩელი მის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს ლ.რ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2020 წლის 9 ოქტომბრიდან გადაწყვეტილების აღსრულების დღემდე თვეში 1200 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 28 ივნისის განჩინება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურისათვის ლ. რ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ლ. რ-ის სარჩელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს ლ. რ-ის სასარგებლოდ დაეკისროს იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2020 წლის 9 ოქტომბრიდან გადაწყვეტილების აღსრულების დღემდე თვეში 1200 ლარის ოდენობით;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge